საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შუალედური არჩევნების მონიტორინგის ანგარიში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შუალედური არჩევნების მონიტორინგის ანგარიში

თბილისი
2022

საიას საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღის სადამკვირვებლო მისიის განხორციელება და საბოლოო ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და მისი შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

British Embassy
Tbilisi

კვლევის ხელმძღვანელები: ნიკა სიმონიშვილი
ნანუკა ყრუაშვილი

ავტორები: მარიამ ლაცაბიძე
თამთა წვერაიძე

მკვლევრები: კოკა კიღურაძე
თათია მიქელაძე
ნიკოლოზ ოდიკაძე

კვლევის ასისტენტები: გიორგი აბულაძე
ლელა ბერიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შემაჯამებელი დასკვნები 5

სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია 16

1. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია (LTO) 16
2. მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია (STO) 17
3. COVID-19 20

I ნაწილი – არჩევნებისწინა პერიოდი 22

1. პოლიტიკური კონტექსტი 22
2. სისტემური ცვლილებები 31
3. საარჩევნო ადმინისტრაცია 34
   3.1. ცენტრალური საარჩევნო კომისია 34
   3.2. საოლქო საარჩევნო კომისიები 40
   3.3. საუბნო საარჩევნო კომისიები 44
4. ელექტრონული არჩევნები 46
5. შედეგების სავალდებულო გადათვლა 53
6. შედეგების დათვლის ვიდეოფიქსაცია 58
7. გენდერი და არჩევნები 60

II ნაწილი – წინასაარჩევნო გარემო 64

1. საჯარო რესურსის ბოროტად გამოყენება 64
   1.1. სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა 64
   1.2. საჯარო რესურსის ბოროტად გამოყენება და საჯარო მოხელეების აგიტაციაში უკანონო მონაწილეობა 64
   1.3. საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა 73
2. ამომრჩევლის მოსყიდვა 77
3. იძულება, თავდასხმები და ძალადობრივი ქმედებები 80
4. საარჩევნო კამპანიისთვის დაბრკოლებების შექმნა 85
   4.1. ტელეკომპანია „იმედმა“ „ევროპულ საქართველოს“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვებაზე უარი უთხრა 86
   4.2. წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხისა და ადგილების გამოქვეყნების ვალდებულების დარღვევა მუნიციპალიტეტის მიერ 86
   4.3. საკანონმდებლო ინიციატივა სიძულვილის ენის რეგულირების შესახებ 87
5. სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება 89

III ნაწილი – არჩევნების დღე 95

I ტური 95

1. კენჭისყრის პროცესი 95
   1.1. უბნის მომზადება და გახსნა 95
   1.2. ხმის მიცემის პროცესი 98
2. ამომრჩევლის ნების კონტროლი 106
   2.1. ამომრჩეველზე ზეგავლენა უბნის შიგნით 106
   2.2. სამართალდარღვევები პერიმეტრზე 107

2.3. ამომრჩევლის ნების კონტროლის სხვა შემთხვევები პერიმეტრზე 111
3. შედეგების დათვლა და შეჯამება 112
3.1. უბნის დახურვა და შედეგების დათვლა 112
3.2. არჩევნების შედეგების შეჯამება 114
4. საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა 118
5. დამკვირვებლის საქმიანობის ხელშეშლა 120
II ტური 124
1. კენჭისყრის პროცესი 124
1.1. უბნის მომზადება და გახსნა 124
1.2. ხმის მიცემის მიმდინარეობა 125
2. ამომრჩევლის ნების კონტროლი 130
2.1. ამომრჩეველზე ზეგავლენა უბნის შიგნით 130
2.2. სამართალდარღვევები პერიმეტრზე 131
2.3. ამომრჩევლის ნების კონტროლის სხვა შემთხვევები პერიმეტრზე 132
3. შედეგების დათვლა და შეჯამება 132
3.1. უბნის დახურვა და შედეგების დათვლა 132
3.2. არჩევნების შედეგების შეჯამება 134
4. საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა 135
5. დამკვირვებლის საქმიანობის ხელშეშლა 136
დანართი №1 - ხმის მიცემის სტატისტიკა ცესკოში საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას 139
დანართი №2 - 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში (ოქტომბერი) 140
1. შესავალი 140
2. სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა 140
3. ამომრჩევლის მოსყიდვა 141
4. პოლიტიკური პარტიისთვის საქმიანობაში ხელშეშლა 142
დანართი №3 - 2021 წლის 2 აპრილის ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნების შეფასება 145
1. საიას სადამკვირვებლო მისია 145
2. პოლიტიკური კონტექსტი 145
3. წინასაარჩევნო პერიოდი 148
3.1. სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა 149
3.2. ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა 150
4. ელექტრონული არჩევნები 154
5. არჩევნების დღე 157
5.1. უბნის მოწყობა და გახსნა 157
5.2. კენჭისყრის პროცესი 157
5.3. აგიტაციის წესების დარღვევა 158
5.4. პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის შემთხვევები 160
5.5. ამომრჩევლის ნების კონტროლის სხვა შემთხვევები 160
შენიშვნები 162

შემაჯამებელი დასკვნები

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები პანდემიის და განგრძობადი პოლიტიკური კრიზისის ფონზე ჩატარდა. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე კანონმდებლობაში შევიდა რამდენიმე ცვლილება, რომლებსაც საფუძვლად დაედო ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის მედიაციის შედეგად მიღწეული 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმება. რეფორმის შემდეგ კანონმდებლობა ბევრი მიმართულებით გაუმჯობესდა, თუმცა, ამის მიუხედავად, მწვავე პოლარიზაციამ და კამპანიის პროცესში გამოვლენილმა დარღვევებმა თავისუფალი წინასაარჩევნო გარემოს წარმართვას ხელი შეუშალა. მთავარი გამოწვევა კვლავ ხელისუფლებასა და მმართველ პარტიას შორის ზღვრის წაშლა და ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება იყო. ამან უმრავლესობას გაუმართლებელი უპირატესობა მიანიჭა და თანაბარი საბრძოლო პირობების შექმნა ვერ უზრუნველყო. კამპანიაზე უარყოფითად აისახა ოპოზიციის კანდიდატებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ ზეწოლის, დაშინების და საჯარო მოხელეების სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შემთხვევები. პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმები, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისა და ძალადობის ინციდენტები ორივე ტურის წინ, არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად გახშირდა. ამომრჩევლების მოსყიდვის მცდელობებმა და მათზე ზეწოლამ ხმის მიცემის უფლებით სრულფასოვან სარგებლობას ხელი შეუშალა. ამ ტენდენციებმა, სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეებზე გამოძიების გაჭიანურებასთან ერთად, წინასაარჩევნო პროცესი დააზიანა და კამპანიის ნორმალურ პირობებში წარმართვა ვერ უზრუნველყო.

თვითმმართველობის არჩევნების წინმსწრები პოლიტიკური კრიზისი, მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე შეუთანხმებლობის გამო, მნიშვნელოვნად გამწვავდა. მხარეები, საერთაშორისო პარტნიორების ფასილიტაციის მიუხედავად, შეთანხმებამდე თვეების განმავლობაში ვერ მიდიოდნენ. ამან ქვეყანა ჩიხში შეიყვანა. პროცესი ახალ ეტაპზე გადავიდა საქართველოში ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის ვიზიტის შემდგომ. მისი მედიაციით, 19 აპრილს მხარეებმა პოლიტიკურ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ყველა პარტიამ, რომელიც ამ შეთანხმებას შეუერთდა, მათ შორის „ქართულმა ოცნებამ“, აიღო ვალდებულება, გაეტარებინა რეფორმები მართლმსაჯულების, არჩევნების, პარლამენტში ძალთა გადანაწილების მიმართულებებით. ერთ-ერთი პუნქტი შეეხო ვადამდელ არჩევნებსაც, რომელიც დაინიშნებოდა იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველობის არჩევნებში მმართველი პარტია ნამდვილი პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს მიიღებდა. ამ შეთანხმების შემდეგ ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი მანდატების მიღებას დათანხმდა. დოკუმენტს თავიდანვე არ მოაწერა ხელი წამყვანმა ოპოზიციურმა ძალამ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, ხოლო მმართველმა პარტიამ ის მალევე დატოვა იმ მიზეზით, რომ მასზე ოპოზიციური დეპუტატების „ნახევარზე მეტს“ ხელი არ ჰქონდა მოწერილი, შესაბამისად, შეთანხმებამ „თავი ამოწურა“. ამის შემდგომ, რამდენიმე თვეში, ყველაზე მსხვილმა ოპოზიციური პარტიამ 19 აპრილის დოკუმენტს ხელი მოაწერა.

კამპანიის მიმდინარეობისას „ქართული ოცნება“ სტრატეგიულად თავს ესხმოდა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს: „საქართველოს ახალგაზრდა იურის-

ტთა ასოციაციას“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ და მათ ანგარიშებს აკრიტიკებდა. „ქართული ოცნების“ აზრით, სამივე ანგარიშში პრობლემური ტენდენცია იყო კანონდარღვევისა და „ცუდი პრაქტიკის“ გამიჯვნა. ასევე, შეფასებები არ იყო საკმარისად მკაფიო, გამჭვირვალე და, მათი თქმით, ეფუძნებოდა ორგანიზაციების შიდა კრიტერიუმებს. მმართველი პარტიის თავდასხმები ხასიათდებოდა, როგორც წინააღმდეგობრივი, ცილისმწამებლური, ფორმალისტური და ზედაპირული. საიამ საპასუხო წერილში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ კრიტიკა ემსახურებოდა ორგანიზაციის დისკრედიტაციას და იმიჯის შელახვას, ვინაიდან საია საზოგადოებაში მიუკერძოებელი და კომპეტენტური ორგანიზაციის სახელით სარგებლობს.

პოლიტიკურ დღის წესრიგზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საქართველოში ქვეყნის მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაბრუნებას, რომელიც სამართალდამცავებმა არჩევნების წინა დღეს დააკავეს. ამას წინ უძღოდა კამპანიის პერიოდში „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ორი ფართომასშტაბიანი აქცია, რომელთაც ათასობით ადამიანი ესწრებოდა. არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე კამპანია მთლიანად მოიცვა ორი პოლარიზებული მხარის დაპირისპირებამ. ამან არ დატოვა სივრცე ადგილობრივ საკითხებზე შინაარსობრივი დისკუსიისთვის, პარტიებს შორის შეჯიბრისა და ინფორმირებული არჩევანისთვის.

19 აპრილის შეთანხმებით, საარჩევნო კანონმდებლობა არაერთი მიმართულებით გაუმჯობესდა, მათ შორის, შეიცვალა საარჩევნო სისტემა ადგილობრივ დონეზე. წინა არჩევნებთან შედარებით, ადგილობრივ არჩევნებში პროპორციული წილი გაიზარდა. ბარიერი შეადგენდა თბილისში 2.5%-ს, მის გარეთ კი - ყველგან 3%-ს. საკრებულოს წევრი მაჟორიტარების ასარჩევად ბარიერი 40%-ით განისაზღვრა. პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, პრობლემური იყო ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის დადგენილი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრები, რომლებიც ხმის თანაბრობის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა. საიამ მათი არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. რეფორმამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროპორციულ სიებში სქესთა თანაფარდობაც შეცვალა, რომლის მიხედვითაც, პარტიულ სიაში ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. ამით, სტანდარტი, რომელიც პარტიებს ავალდებულებდა, სიაში ყოველი მეორე კანდიდატი განსხვავებული სქესის ყოფილიყო, გაუარესდა.

საარჩევნო რეფორმით ახლებურად მოწესრიგდა საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და კომისიის წევრთა შერჩევის წესები სამივე დონეზე. იქამდე, საარჩევნო ადმინისტრაციის მოწყობა მმართველ პარტიას არაპროპორციულად დიდ წარმომადგენლობას და გავლენას ანიჭებდა, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ოპოზიციის უნდობლობას საარჩევნო პროცესისადმი. ცესკოს წევრთა რაოდენობა 17-მდე გაიზარდა, რაც პოლიტიკური პარტიების უფრო დაბალანსებული წარმომადგენლობის მიღწევას ემსახურებოდა. შერჩევის პროცედურაში კანდიდატების გარშემო კონსენსუსის ფორმირების მიზნით დადგინდა მაღალი კვორუმი. დამატებით, ჩიხური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ცესკოს წევრისა და თავმჯდომარის არჩევის პროცედურაში ანტიკრიზისული მექანიზმი შევიდა ძალაში. კენჭისყრებს შორის გა-

ნისაზღვრა 4-კვირიანი ინტერვალი, თუმცა გარდამავალ ეტაპზე ეს ვადა 1 კვირამდე შემცირდა. ცესკოს თავმჯდომარე და ორი პროფესიული წევრი სწორედ ახალი რეგულაციების მიხედვით შეირჩნენ, თუმცა, სამწუხაროდ, მათ მხოლოდ დეპუტატთა უმრავლესობის ხმები მოიპოვეს და ამ საკითხზე მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. ცესკოს 9 პარტიული წევრი დანიშნეს საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახულმა პარტიებმა, თუმცა, დროებითი მექანიზმის მიხედვით, უპირატესობა მიენიჭათ იმ პარტიებს, რომელთაც უფრო მეტი საბიუჯეტო დაფინანსება ეკუთვნოდათ. ამ რეგულაციით, ორ პოლიტიკურ სუბიექტს - „ლეიბორისტული პარტია“ და „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - წაერთვათ შანსი, დაენიშნათ წარმომადგენელი საარჩევნო ადმინისტრაციაში. ცესკოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილედ ოპოზიციური პარტიის წევრი შეირჩა. ცესკოს პლურალისტურმა შემადგენლობამ ხელი შეუწყო ამ ორგანოს მიმართ ნდობის გაზრდას, მათ შორის, მისასალმებელია ცესკოს სხდომების პირდაპირი ჩართვის რეჟიმში გადაცემის ინიციატივა, რამაც წვლილი შეიტანა ამ საქმეში.

პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში კვლავ რჩება გამოწვევები, მათ შორის, ნდობის კუთხით. ორივე დონეზე კანდიდატთა შერჩევის პროცესი რეალური კონკურენციის გარეშე წარიმართა. ამას განაპირობებდა ობიექტური ფაქტორებიც, კერძოდ, წინა არჩევნებთან შედარებით, ვაკანსიების რაოდენობის სამჯერ გაზრდა. თუმცა, განაცხადის წარდგენის უაღრესად მოკლე ვადები არ იძლეოდა ინფორმაციის სათანადოდ გავრცელებისა და ამ ინფორმაციის ადრესატების მხრიდან შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობას. საოლქო კომისიების დროებითი წევრებიდან შერჩეული კანდიდატების ნახევარი დაინიშნა პროფესიულ წევრებს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების საფუძველზე, რაც მისასალმებელია. თუმცა, ყველა კანდიდატი, რომელსაც პარტია „ქართული ოცნების“ დანიშნულმა წევრმა დაუჭირა მხარი, საბოლოოდ შეირჩა კომისიის წევრად (თუ მათ პირველ ტურში ვერ მიიღეს საკმარისი ხმების რაოდენობა, ეს მხარდაჭერა მეორე ტურში ჰქონდათ). ეს მიანიშნებს მმართველი პარტიის გავლენების შენარჩუნებაზე.[i] ცესკოს ოპოზიციური წევრების ნაწილი შერჩევაში არ მონაწილეობდა. თუმცა, კონსენსუსზე ორიენტირებული მიდგომით გადაწყვეტილებების მიღებამ იმუშავა და საჭირო არ გახდა, საოლქოს წევრები უფრო დაბალი კვორუმით შერჩეულიყვნენ. პოზიტიურად უნდა შეფასდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მონდომება, მაქსიმალურად ღია ყოფილიყო ეს პროცესი და სწრაფად გაესაჯაროებინა სტატისტიკურ მონაცემებში გამოვლენილი ტენდენციები. იმავდროულად, მეტი ეფექტიანობისთვის, მათ შორის, კანდიდატებთან გასაუბრებისა და განაცხადების განხილვის ეტაპებზე, არსებული რეგულაციები გაუმჯობესებას საჭიროებს.

ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით რეფორმის ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა. ასევე ხელი მოეწერა მემორანდუმს ცესკოს, უწყებათაშორის კომისიასა და 18 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის, რომელსაც საიაც შეუერთდა. ამგვარი ძალისხმევის მიუხედავად, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა. საიას მიერ შეტანილი საჩივრების უმრავლესობა ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებას ეხებოდა. დავების გადაწყვეტისას, ორგანიზაციის შეფასებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლოებმა, ზოგ შემთხვევაში,

ვერ უზრუნველყვეს კანონის თანმიმდევრული და სწორი ინტერპრეტაცია, რაც ადმინისტრაციული რესურსის მარეგულირებელი ნორმების ეფექტიანი აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ზოგიერთ საქმეში საარჩევნო ადმინისტრაციამ მტკიცების დაბალი სტანდარტით იხელმძღვანელა. ასეთი მიდგომა ხელს უშლის კანონის სათანადოდ აღსრულებას და სამომავლოდ საჯარო რესურსის ბოროტად გამოყენების პრევენციას. სასამართლომ მხოლოდ ერთ შემთხვევაში გაიზიარა საიას პოზიციები საჩივარზე, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული საკომუნიკაციო საშუალებების სააგიტაციო მიზნებისთვის გამოყენებას. მან ეს ფაქტი სამართალდარღვევად შეაფასა, რაც მისასალმებელია. ამის მიუხედავად, საერთო ჯამში, ეს ცვლილებები არ აღმოჩნდა საკმარისი ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის და მასზე შედეგიანი რეაგირებისთვის. ამას ემატება უწყებათაშორისი კომისიის მკაფიო მანდატის არარსებობა და საქმიანობის არაეფექტიანობა, რის გამოც ამ გამოწვევებთან გამკლავება ვერ მოხერხდა.

კამპანიის მიმდინარეობისას ისეთი ფაქტებიც გამოვლინდა, რომლებიც არ არის კანონდარღვევა, თუმცა ცუდი პრაქტიკაა და ხელს უშლის თანაბარ პირობებში მის წარმართვას. ამის მაგალითია სამთავრობო პროექტების პერსონიფიცირება და კონკრეტულ პარტიასთან აფილირება. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი პარტიული ღონისძიებების დროს სახელისუფლებო ინიციატივებსა და პროექტებზე საუბრისას მუდმივად ხაზგასმით მიუთითებდა პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და ლიდერის ბიძინა ივანიშვილის როლზე, ასევე მის ფინანსურ წვლილზე. ამგვარი მიდგომები ართულებს სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვრის გავლებას და ეწინააღმდეგება საერთაშორისო პრინციპებს.

წინასაარჩევნოდ საია მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ცვლილებებსაც დააკვირდა. სოციალური დახმარებების მიმართულებით ბიუჯეტის გაზრდით კანონი 3 მუნიციპალიტეტში დაირღვა. საია აგრეთვე დააკვირდა სუბსიდიის, გრანტის, შრომის ანაზღაურებისა და სხვა ხარჯების კუთხით ბიუჯეტის ცვლილებებს, რაც დარღვევა არ არის, თუმცა ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს საჯარო რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებაზე. ცუდი პრაქტიკის სახით, ორგანიზაციამ აღრიცხა სუბსიდიის და სხვა ხარჯების მიმართულებით სახსრების ზრდა თითო-თითო მუნიციპალიტეტში. წინასაარჩევნო პერიოდში არცერთ მუნიციპალიტეტში არ შეცვლილა შრომის ანაზღაურებისა და გრანტების მუხლები. ორგანიზაცია ამ ფაქტს პოზიტიურად აფასებს.

საია თვალს ადევნებდა წინასაარჩევნო პერიოდში აგიტაციაში მონაწილეობის წესების დაცვას. ამ მიმართულებით ორი შემთხვევა უნდა აღინიშნოს: პირველი - ცესკოს წევრის ჩართულობა ოპოზიციური კანდიდატის კამპანიაში, ხოლო მეორე - საუბნო კომისიის წევრის დასწრება მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრაზე. აქედან არცერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ ამ შემთხვევებში მტკიცების დაბალი სტანდარტით იხელმძღვანელა, რაც ხელს არ უწყობს კანონის სათანადოდ აღსრულებას და სამომავლოდ ამგვარი დარღვევების პრევენციას.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკურ ოპონენტებს შორის დაპირისპირებამ იძულების, მუქარის, ფიზიკური დაპირისპირების, ძალადობის ფორმები მიიღო. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი ინციდენტები საიამ მთელი

ქვეყნის მასშტაბით დააფიქსირა. ამან, საერთო ჯამში, კამპანიის მშვიდ და წყნარ გარემოში წარმართვას ხელი შეუშალა. კამპანიის აგრესიულობა სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა, მათ შორისაა, ოფისისა და პირადი ნივთების დაზიანება, სააგიტაციო მასალების განადგურება. საიამ უმრავლესობისა და ოპოზიციური პარტიების ბანერებისა და პლაკატების დაზიანების ათეულობით ფაქტი აღრიცხა. განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ოპოზიციური კანდიდატების, მათი მხარდამჭერებისა და ამომრჩევლების მიმართ ზეწოლის ხშირი შემთხვევები. საიას ხელთ არსებული ინფორმაციით, სისხლის სამართლის სავარაუდო დანაშაულებზე გამოძიება გაჭიანურებულია და თითქმის არცერთ საქმეში პასუხისმგებელი პირები არ არიან გამოვლენილნი (ერთეული შემთხვევების გარდა). ეს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შესაბამისი უწყებების მხრიდან არ ხდება ამგვარ დანაშაულებზე სწრაფი, ქმედითი რეაგირება და დამნაშავეთა დასჯა. ასევე, ზოგიერთ საქმეზე, რომელზეც გამოძიება არ დაწყებულა, საიას შეფასებით, არსებობს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და საგამოძიებო ორგანოები ვალდებულები იყვნენ, სათანადოდ ემოქმედათ. ამასთანავე, პრობლემურია საზოგადოების დროული ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს რეაგირება ამგვარ ფაქტებზე არაეფექტიანია და ხელს არ უწყობს წინასაარჩევნო პროცესების მშვიდ და წყნარ გარემოში წარმართვას.

კამპანიის მიმდინარეობისას საიამ აღრიცხა ამომრჩევლის მოსყიდვის არაერთი ფაქტი, რომელთაგან უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ უკავშირდებოდა. ჯამში, 9 ასეთი შემთხვევიდან 5-ზე გამოძიება არ დაწყებულა. ეს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არ ხდება საარჩევნო დანაშაულებზე დროული და სათანადო რეაგირება, რაც ამომრჩევლებს უკარგავს შესაძლებლობას, ნება თავისუფლად გამოხატონ. ამასთანავე, პრობლემურია საზოგადოების დროული ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. საერთო ჯამში, სახელმწიფოს რეაგირება ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევებზე არადამაკმაყოფილებელია და ხელს არ უწყობს სამომავლოდ მათ პრევენციას.

ანგარიშში ასევე მოცემულია ინფორმაცია რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიერ მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შესახებ. ეს ეხება წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის გამოქვეყნებას და პარტიებს აგიტაციის წარმოების მიმართულებით სირთულეებს უქმნის.

საანგარიშო პერიოდში საიამ მიიღო შეტყობინებები საჯარო დაწესებულებებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებისა და საჯარო მოხელეებზე ზეწოლის ათეულობით შემთხვევის შესახებ. ეს ეხებოდა პირებს, რომლებსაც ყოფილ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მიერ ახლად დაფუძნებული პარტიის „საქართველოსთვის“ წევრებთან ნათესაური, მეგობრული, კეთილგანწყობილი ურთიერთობები აკავშირებდათ, ასევე მოხელეებს, რომლებიც ამ პარტიის ან მისი ლიდერის მიმართ სიმპათიებს გამოხატავდნენ. სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკური დისკრიმინაციის დადგენა რთული აღმოჩნდა მტკიცებულებების მოპოვების სირთულის გამო. საიამ შეზღუდული რესურსის პირობებში დაიწყო იმ ფაქტების შესწავლა, სადაც აშკარად იკვეთებოდა პოლიტიკური დისკრიმინაციის ნიშნები ან/და არსებობდა ამის მტკიცებულებები. ორ შემთხვევაში სასამართლომ გათავისუფლებული პირები სამსახურში აღადგინა, რაც მისასალმებელია. თუმცა, ორგანიზაციის შეფასებით, ორივე შემთხვე-

ვაში იკვეთებოდა პოლიტიკური დისკრიმინაციის ნიშნები, რაც სასამართლოს არ დაუდგენია. ამგვარ საქმეებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია სასამართლოს როლი არა მხოლოდ უკანონოდ გათავისუფლებული პირების შრომითი უფლებების აღდგენის, არამედ დისკრიმინაციის მოტივის დადგენისას სამართლიანი და ერთგვაროვანი სტანდარტის დანერგვის კუთხით. დანარჩენი საქმეების განხილვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს სასამართლოში, რამდენიმე მათგანზე კი პროცესი ამ დრომდე არ დანიშნულა.

დაძაბული და პოლარიზებული წინასაარჩევნო გარემო აისახა არჩევნების დღეზეც. პირველ და მეორე ტურებში საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს კომისიის წევრებსა და ზოგიერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების არაერთი შემთხვევა, რაც ხშირად ხელს უშლიდა კენჭისყრის პროცესს უბანზე. გამოვლინდა ამომრჩევლის აღრიცხვისა და მათ ნებაზე ზეგავლენის ნეგატიური ტენდენცია, რაც კენჭისყრის დღის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო. მიუხედავად იმისა, რომ, 2021 წლის საარჩევნო რეფორმის შედეგად, განისაზღვრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უბნის პერიმეტრზე ამომრჩევლის აღრიცხვის, შეფერხების, ადამიანთა შეკრებისა და აგიტაციისთვის, სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ შეძლეს ეფექტიანად აღესრულებინათ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა. არჩევნების ორივე ტურის დროს საიამ არაერთხელ შეატყობინა „112“-ს პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის შესახებ. თუმცა, ადგილზე მისული პოლიცია ხშირად სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლებოდა, ზოგჯერ დროებით ატოვებინებდა პერიმეტრს სავარაუდო სამართალდამრღვევებს, ან საერთოდ ვერ აფიქსირებდნენ ამომრჩევლის აღრიცხვის, შეფერხების ან ადამიანთა შეკრების ფაქტებს. მიუხედავად აღსრულების არაეფექტიანობისა, არჩევნების ორივე ტურში უბნის პერიმეტრზე შეკრებილი პირები, ძირითადად, იცავდნენ განსაზღვრულ 100-მეტრიან დისტანციას, შესაბამისად, უბნების შესასვლელებთან ამომრჩევლის ნების კონტროლი შემცირებული იყო. სამაგიეროდ, ამას 100 მეტრის მიღმა შეუფერხებლად აკეთებდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რაც პოზიტიურად არ აისახებოდა საარჩევნო გარემოზე. მეორე მხრივ, საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს უბნის შიგნით ამომრჩევლის აღრიცხვის ნეგატიური ტენდენცია, რაშიც ზოგ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ან გარკვეული სადამკვირვებლო ორგანიზაციები იყვნენ ჩართულნი. ასეთი ფაქტები ზეწოლას ახდენდა ამომრჩეველზე და უზღუდავდა მას თავისუფალ გარემოში საარჩევნო უფლების რეალიზებას.

საია პოზიტიურად აფასებს იმ ფაქტს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები მეტად მომზადებულნი იყვნენ და ორგანიზებულად მუშაობდნენ, თუმცა აქაც გამოვლინდა ხარვეზები. ორივე ტურში ზოგიერთ უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს უჭირდათ დღის განმავლობაში წესრიგის შენარჩუნება, რაც ერთეულ შემთხვევაში კენჭისყრის პროცესს აფერხებდა. საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობის პრობლემურობაზე მიუთითებს საიას დამკვირვებლების უფლებაში ჩარევისა და მათი საქმიანობის ხელშეშლის გახშირებული ინციდენტები, რომლებიც ორივე ტურში გამოვლინდა. 2021 წლის არჩევნებზე დაფიქსირდა ორგანიზაციის დამკვირვებლების მიმართ მუქარის, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ საია საოლქო საარჩევნო კომისიებს, ძირითადად, წარუდგენდა მოწმეს ან ფაქტების დამადასტურებელ შესაბამის ფოტო-ვიდეო მტკიცებულებას, არცერთ საოლქო კომისიას არცერთ შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების მიმართ

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ შეუდგენია. ეს კი ხელს უშლის სამომავლოდ მსგავსი შემთხვევების პრევენციას.

2021 წლის საარჩევნო რეფორმით განისაზღვრა არჩევნების შედეგების შემთხვევითი შერჩევით სავალდებულო გადათვლის წესი. ასეთი ცვლილება პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რადგან ის ზრდის არჩევნების შედეგების მიმართ სანდოობას, თუმცა აუცილებელია იმ პროცედურული ხარვეზების აღმოფხვრა, რომლებიც ნორმის პრაქტიკული დანერგვის დროს გამოვლინდა. მნიშვნელოვანი ხარვეზია, რომ ეს ნორმა ითვალისწინებს დალუქული ბიულეტენების მხოლოდ ტექნიკურ გადათვლას და შემაჯამებელ ოქმებთან შედარებას, სამაგიდე სიებში არსებული ხელმოწერების გარეშე, რაც ამ პროცედურის ეფექტიანობას ამცირებს. ამასთანავე, ის არ მოიცავს რაიმე სახის სამართლებრივ პასუხისმგებლობას უბანზე გამოვლენილი ცდომილებისთვის.

ამავე რეფორმის ფარგლებში ცესკომ დაადგინა არჩევნების შედეგების დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაცია. საია პოზიტიურად აფასებს ცვლილებას და მიაჩნია, რომ მსგავსი მიდგომა ამცირებს მანიპულაციის შესაძლებლობას და ზრდის არჩევნების შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობას. მიუხედავად ამისა, საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს ხარვეზები, რომლებიც უკავშირდებოდა როგორც ზოგიერთ უბანზე ტექნიკის გაუმართაობას, ასევე გადაღების დაწყებისა და დასრულების მომენტების არათანმიმდევრულობას. აღსანიშნავია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში ვიდეოკამერებზე არაიდენტიფიცირებადი იყო ბიულეტენზე გამოხატული ნება.[ii] გარდა ამისა, საიას მოსაზრებით, მსგავსი მნიშვნელოვანი პროცედურის გამოყენება უნდა აისახებოდეს კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებში, რაც ვიდეოფიქსაციის დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირებაში გამოიხატება.

მიუხედავად იმისა, რომ, 2021 წლის საარჩევნო რეფორმის შედეგად, გაუმჯობესდა სასამართლო კონტროლი საარჩევნო დავებზე, ხშირ შემთხვევაში, მართლმსაჯულების სისტემა განხილვების დროს საოლქო საარჩევნო კომისიების დისკრეციული უფლებამოსილების განხილვაში არ შედის. გარდა ამისა, არაერთგვაროვანია საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებიც წარდგენილ საჩივრებზე, რომლებიც ეხება კომისიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, არჩევნების შედეგების გადათვლას, საეჭვო ბიულეტენების ბათილობას.[iii]

საბოლოო ჯამში, კამპანიის პერიოდში და კენჭისყრის დღეს გამოვლენილმა დარღვევებმა და ნეგატიურმა ტენდენციებმა, როგორებიცაა მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვრის წაშლა, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება, ამომრჩევლის აღრიცხვა და მათი ნების კონტროლი, მოსყიდვა, ზეწოლა, თავდასხმები ოპოზიციის წარმომადგენლებზე და საგამოძიებო უწყებების მხრიდან არასათანადო რეაგირება, მნიშვნელოვნად დააზიანა თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო პროცესი.

რეკომენდაციები

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიგნებების საფუძველზე, საიამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც საარჩევნო პროცესების გაუმჯობესებას ემსახურება.

საარჩევნო სისტემა

- საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც საპარლამენტო არჩევნებისთვის დაწესებული ბარიერი იქნება ბუნებრივიდან 2%-მდე;
- საარჩევნო ოლქების საზღვრები უნდა გადაიხედოს და განისაზღვროს ხმის თანაბრობის პრინციპის დაცვით, საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის შესაბამისად;
- პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო რეგისტრაციისას პარტიულ სიაში 50%-იანი განსხვავებული სქესის წარმომადგენლობის ვალდებულების განსაზღვრა; კვოტირების მექანიზმი უნდა შენარჩუნდეს კანონში გრძელვადიან პერსპექტივაში.

საარჩევნო ადმინისტრაცია

- ხელახლა გადაიხედოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური ჩარჩო, ასევე კომისიის წევრთა დანიშვნის პროცედურები და შეიცვალოს იმგვარად, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; სასურველია, მოხდეს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის საარჩევნო კომისიის სრულად პროფესიული ნიშნით, პარტიათა შორის კონსენსუსის პრინციპით დაკომპლექტება.[iv] კომისიის წევრების შერჩევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის შეთანხმებას, რაც გულისხმობს ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების შერჩევას 2/3 უმრავლესობის მხარდაჭერით;
- პრეზიდენტის საკონკურსო კომისია უნდა დაკომპლექტდეს არა დამოუკიდებელი პირებით, არამედ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებით. მასში უნდა შევიდნენ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიები, ხოლო უმრავლესობა და ოპოზიცია პარიტეტის პრინციპით უნდა იყვნენ წარმოდგენილნი. კომისიამ პრეზიდენტს კანდიდატურა სიითი შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობით უნდა წარუდგინოს;
- საოლქო საარჩევნო კომისიის პროფესიული წევრების დაკომპლექტების პროცედურაში ანტიკრიზისული მექანიზმი უნდა გაუქმდეს, რადგან ის ხელს უშლის შეთანხმებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნის მიღწევას და აბრკოლებს კონსენსუსზე დაფუძნებულ პროცესს;[v]

- მოიხსნას საკანონმდებლო ბარიერები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ვადებთან დაკავშირებით. სასურველია, გაიზარდოს როგორც განაცხადების მიღების, ასევე მისი დამუშავების პერიოდი. ეს პროცესი არ უნდა იყოს დამოკიდებული არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების თარიღზე;
- დადგინდეს, კანონმდებლობის შესაბამისად, ერთგვაროვანი პრაქტიკა ბიულეტენზე გამოხატული ნების ნამდვილობასთან დაკავშირებით, მოქალაქეების საარჩევნო უფლების შეზღუდვის გარეშე;[vi]
- გადათვლის პროცედურის ეფექტიანობისა და არჩევნების შედეგებისადმი ნდობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია, განიმარტოს, რას გულისხმობს არჩევნების შედეგების გადათვლა.[vii] იმ შემთხვევაში, თუ ოლქები საკუთარი ინიციატივით, ლოტოტრონის მეშვეობით ან საჩივრის საფუძველზე, გადაწყვეტენ უბნის გახსნას, პროცედურა წარიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩევნების შედეგების დათვლის პროცესის შესაბამისად;[viii]
- პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრის მაქსიმალური დისტანცირებისთვის სამაგიდო სიებისგან, რაც ზღუდავს ამომრჩევლის აღრიცხვასა და მისი პერსონალური ინფორმაციის უკანონო დამუშავების შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია, დროებითი ჩანაცვლების საჭიროებისას, რეგისტრატორი შეცვალოს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა, თავმჯდომარის მოადგილემ ან თავად თავმჯდომარემ;[ix]
- დამკვირვებლის საქმიანობის ხელშეშლის ფაქტების აღსაკვეთად გაზარდოს საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტიანი მუშაობა, რათა სამართალდამრღვევებს, რომლებიც აფერხებენ დამკვირვებლების მუშაობას საუბნო საარჩევნო კომისიებში, შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისროთ;
- არჩევნების შედეგების მიმართ სანდოობის გაზრდის მიზნით შემოღებული უნდა იყოს შედეგების დათვლის პროცედურის ვიდეოფიქსაციისა და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სავალდებულო გადათვლის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე სამართლებრივი რეაგირების ბერკეტი.

საარჩევნო დავები

- საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლოებმა დავების გადაწყვეტისას უზრუნველყონ კანონის თანმიმდევრული და სწორი ინტერპრეტაცია;
- სადავო საკითხის გადაწყვეტისას ცესკომ მკაფიოდ მიუთითოს იმ არგუმენტებზე, რომლებსაც ეყრდნობა მისი აქტის სარეზოლუციო ნაწილი;[x]
- სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებით მიმდინარე საქმეებზე სასამართლომ ყველა ზომა მიიღოს იმის დასადგენად, ნამდვილად არსებობდა თუ არა სამსახურიდან მოსარჩელის გაშვების კანონიერი საფუძველი. ხოლო მოპასუხეს დააკისროს მტკიცების ტვირთი, რომ ის კანონიერი მიზნის მისაღწევად მოქმედებდა;

- საარჩევნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვის დროს სასამართლომ გამოიყენოს კანონით დადგენილი სახდელი, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს როგორც დამკვირვებლის საქმიანობის ხელშეშლის, ისე აგიტაციის წესების დარღვევის პრევენციას.

სამართალდამცავი ორგანოები

პროკურატურა

- დაიწყოს გამოძიება ამომრჩევლის მოსყიდვის იმ საქმეებზე, სადაც აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები;
- უზრუნველყოს ამომრჩევლის მოსყიდვის დანაშაულებზე დროული რეაგირება, ხოლო გამოძიება წარმართოს მიუკერძოებლად და ობიექტურად;
- დროულად აცნობოს საზოგადოებას საქმეების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

- დაიწყოს გამოძიება ისეთ საქმეებზე, სადაც აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები;
- განხილული სავარაუდო დანაშაულები სრულად გამოიძიოს, პროცესი ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართოს;
- მნიშვნელოვანია, რომ ის საქმეები, სადაც პოლიტიკური მოტივი იკვეთება, გამოძიება სწორი კვალიფიკაციით წარიმართოს;
- დროულად აცნობოს საზოგადოებას საქმეების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ;
- უზრუნველყოს უბნის პერიმეტრზე დაწესებული რეგულაციების ეფექტიანი აღსრულება, სამართალდამრღვევების გამოვლენა და მათთვის შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112" უნდა დაიწყოს სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება არჩევნების დღეს შესული ზარების შესახებ, საარჩევნო დარღვევების ტიპების მიხედვით.

პარლამენტი

- საკანონმდებლო ორგანომ არ მიიღოს ცვლილებები, რომლებიც არ არის განჭვრეტადი და არ ემსახურება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას.

წინასაარჩევნო კამპანია

- აუცილებელია, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების ფაქტებზე არსებობდეს კანონის აღსრულების რეალური, სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმი; უწყებათაშორისი კომისია უნდა გაუქმდეს და შესაბამისი კომპეტენცია გადაეცეს ცესკოს;
- კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ქმედითი მექანიზმები ონლაინაგიტაციის წინააღმდეგ. კერძოდ, აგიტაციის ცნება უნდა დაკონკრეტდეს და განისაზღვროს, რომ იგი მოიცავს სოციალური ქსელის პირადი გვერდის საშუალებით პოლიტიკური მოწოდებების გავრცელებას;
- მუნიციპალიტეტებმა დაიცვან კანონის მოთხოვნები და ხელი არ შეუშალონ პარტიებს საარჩევნო კამპანიის ნორმალურ პირობებში წარმართვაში;
- „სუბსიდია“, „გრანტი“, „შრომის ანაზღაურება“ და „სხვა ხარჯები“ - ამ პუნქტებში ცვლილებების შეტანა უნდა შეიზღუდოს და შესაძლებელი გახდეს მხოლოდ ფორსმაჟორულ სიტუაციაში.

ამომრჩევლის ნების კონტროლი

- არჩევნების დღეს ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის პრევენციისთვის, საჭიროა, არჩევნების წინა დღე სიჩუმის დღედ გამოცხადდეს;
- სრულად აიკრძალოს ამომრჩევლის აღრიცხვა როგორც კენჭისყრის ოთახში, ისე მის გარეთ.[xi]

სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საიამ სადამკვირვებლო საქმიანობა 2 ინსტრუმენტის - გრძელვადიანი (Long-Term Observation, LTO) და მოკლევადიანი (Short-Term Observation, STO) სადამკვირვებლო მისიების მეშვეობით განახორციელა.

1. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია (LTO)

გრძელვადიანი დაკვირვების ძირითადი მიზანი არჩევნების თავისუფალ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა. ამ მიზნის მისაღწევად საიას გრძელვადიანი სადამკვირვებლო (LTO) მისიის ამოცანა იყო საარჩევნო პროცესებში გამჭვირვალობის გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფა საარჩევნო დავების წარმოების/მონიტორინგის გზით და საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ.

წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი ფარავს არჩევნებისწინა[1] და კამპანიის პერიოდებს.[2] საია მას 9 რეგიონული ოფისის მეშვეობით თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში დააკვირდა. საიას ოფისები უზრუნველყოფდნენ სავარაუდო დარღვევების იდენტიფიცირებას და ამის შესახებ ცენტრალური მისიის ინფორმირებას. მონიტორინგის ძირითად ინსტრუმენტებად გამოიყენებოდა პირველწყაროდან მონაცემებისა და დოკუმენტაციის მიღება, მედიაში გავრცელებული მასალების შესწავლა/ანალიზი, საჯარო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიება/დამუშავება,[3] მონიტორინგის სუბიექტების ვებგვერდებსა და Facebook-გვერდებზე გამოქვეყნებული მასალების შესწავლა/ანალიზი, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო ღონისძიებებზე დასწრება და მათ აქტივობებზე დაკვირვება.

LTO მისიის სტრატეგიაზე დაყრდნობით, მონიტორებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ დარღვევებზე:

- ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მათ შორის, სახელმწიფო/მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვა;[4]
- ამომრჩევლის მოსყიდვა;
- უკანონო აგიტაცია;
- კამპანიაში/აგიტაციაში ხელშეშლა;

[1] საიამ პოლიტიკური პროცესების მონიტორინგი 1-ლი მაისიდან დაიწყო.

[2] წინასაარჩევნო კამპანია მოიცავდა 3 აგვისტოდან 1-ელ ოქტომბრამდე პერიოდს, აგრეთვე კენჭისყრის შემდგომ, მეორე ტურისთვის - 21 ნოემბრამდე პერიოდს.

[3] სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მონაცემები თარიღდება საგამოძიებო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისი რიცხვით. შესაძლოა, მას შემდეგ კონკრეტულ საქმეში ცვლილებები შესულიყო, რაც ამ ანგარიშში არ არის ასახული.

[4] მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ცვლილებების პროცესს საია შემდეგი მიმართულებებით დააკვირდა: (1) სოციალური დახმარებების ოდენობების ზრდა, (2) ბიუჯეტში ახალი პროგრამის დამატება, სუბსიდიის, გრანტის, შრომის ანაზღაურების და სხვა ხარჯების ზრდა.

- ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა დაშინების და იძულების გზით;
- პოლიტიკური მოტივით სამსახურიდან გათავისუფლება;[5]
- პოლიტიკური მოტივით განპირობებული ფიზიკური დაპირისპირებები და ძალადობრივი ინციდენტები;
- პოლიტიკური მოტივით სხვისი ნივთის დაზიანება;
- საარჩევნო კანონმდებლობის სხვა დარღვევები ან ისეთი ქმედებები, რომლებიც, თავისთავად, კანონდარღვევა არ არის, მაგრამ ცუდი პრაქტიკაა და წინასაარჩევნო გარემოს ამახინჯებს.

დარღვევების გამოვლენისას საიამ შესაბამისი განცხადებით/საჩივრით მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის ამოცანა არ ყოფილა ყველა ასეთი შემთხვევის იდენტიფიცირება და აღნუსხვა, არამედ ის კონცენტრირებული იყო ძირითადი ტენდენციების გამოკვეთაზე. წინასაარჩევნო პერიოდში საია უმეტესად მაშინ ამახვილებდა ყურადღებას დარღვევაზე, როდესაც მას მასშტაბური ხასიათი ჰქონდა ან/და შეეძლო, გავლენა მოეხდინა საარჩევნო გარემოსა და არჩევნების შედეგებზე.[6]

LTO მისიის ფარგლებში მონიტორინგის ობიექტები იყვნენ შემდეგი დაწესებულებები და ჩართული პირები:

- საარჩევნო ადმინისტრაცია;
- ცენტრალური ხელისუფლების სხვა ორგანოები;
- ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები;
- პოლიტიკური პარტიები.

2. მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია (STO)

მოკლევადიანი დაკვირვების ძირითადი მიზანი ამომრჩევლის მიერ საარჩევნო უფლების თავისუფალ გარემოში რეალიზების ხელშეწყობაა. არჩევნების დღეს კენჭისყრის პროცედურებზე დაკვირვებითა და დარღვევებზე რეაგირებით საიას დამკვირვებლები ცდილობენ, დაიცვან თითოეული მოქალაქის საარჩევნო უფლება.

საიას მოკლევადიანი საარჩევნო მისია დაიყო 4 ნაწილად: (1) მობილური ჯგუფი; (2) უბნის სტატიკური დამკვირვებელი; (3) პერიმეტრის სტატიკური დამკვირვებელი და (4) ოლქის დამკვირვებელი.

[5] პოლიტიკური მოტივით სამსახურიდან გათავისუფლების საქმეები თარიღდება შესაბამისი უწყებებისგან/ პირებისგან 2022 წლის მარტის ბოლომდე მიღებული ინფორმაციის შესაბამისი რიცხვით. შესაძლოა, მას შემდეგ კონკრეტულ საქმეებში რაიმე შეცვლილიყო, რაც ამ ანგარიშში არ არის ასახული.
[6] საარჩევნო დავების ანალიზის შესახებ საიამ ცალკე დოკუმენტი გამოსცა, იხ. გაბროშვილი მ. და სხვები, საარჩევნო დავების განხილვის ძირითადი ტენდენციები, 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uutv2g, განახლებულია: 11.04.2022.

კენჭისყრის ოთახებზე დაკვირვების პარალელურად, რასაც მისიის პირველი და მეორე ტიპის წარმომადგენლები უზრუნველყოფდნენ, საიას პერიმეტრისა და მობილური ჯგუფების დამკვირვებლები მუდმივად ადევნებდნენ თვალს კენჭისყრის ოთახის მიღმა, უბნის გარეთ მიმდინარე მოვლენებს და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სავარაუდო ფაქტებზე რეაგირებდნენ. საიას ამოცანა იყო პერიმეტრზე დაკვირვება, რათა შეესწავლა, რამდენად შეამცირა ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა შემოღებულმა ნორმებმა და რამდენად აღასრულებდნენ მათ სამართალდამცავი ორგანოები.

უბნის სტატიკური დამკვირვებლები არ ტოვებდნენ კენჭისყრის ოთახს და პროცესს თვალს ადევნებდნენ საარჩევნო უბნის მომზადებიდან ხმების დათვლის დასრულებამდე, შემაჯამებელი ოქმის მისაღებად.

ოლქის დამკვირვებლებმა საქმიანობა 20:00-იდან დაიწყეს. ისინი დაესწრნენ ოლქებში უბნებიდან მიღებული შემაჯამებელი ოქმების, საარჩევნო ატრიბუტიკისა და დოკუმენტაციის შემოტანის პროცესს - მისი დაწყებიდან დასრულებამდე. გარდა ამისა, მათი მთავარი ამოცანა იყო შემაჯამებელ ოქმებში დარღვევების აღმოჩენა, რა დროსაც საიას სტრატეგიის შესაბამისად მოქმედებდნენ.

საიას STO სტრუქტურა იყო შემდეგი:

- ცენტრალური შტაბი;
- რეგიონული შტაბები;
- ოლქის დამკვირვებლები;
- უბნის დამკვირვებლები: მობილური ჯგუფის დამკვირვებელი, უბნის სტატიკური დამკვირვებელი, პერიმეტრის სტატიკური დამკვირვებელი.

ორივე ტურის შემთხვევაში, კენჭისყრის დღეს, საიამ ყურადღება გაამახვილა როგორც საარჩევნო პროცედურების დაცვაზე (საარჩევნო უბნის გახსნის, ხმის მიცემისა და შეჯამების პროცესი), ასევე მონიტორინგი გაუწია საუბნო საარჩევნო კომისიების მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს. გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით ორგანიზაციამ სტრატეგიული სამართალწარმოების მექანიზმი გამოიყენა.

საიაში მუშაობდა სპეციალური ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეეძლოთ სამართლებრივი კონსულტაციების მიღება კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით. ცენტრალურ ოფისში მუშაობდა ორგანიზაციის მედიაკოორდინატორი, რომელიც ჟურნალისტების საქმიანობის მონიტორინგს აწარმოებდა და, იმავდროულად, მათთვის იურიდიული კონსულტაციის გაცემაზე იყო პასუხისმგებელი.

სადამკვირვებლო მისიის შედეგებს საზოგადოებას საია პრესკონფერენციების მეშვეობით აცნობდა.

ამ ანგარიშის მიზნებისთვის, მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა კენჭისყრის დღის დარღვევები საიას მიერ წარდგენილი საჩივრებისა და საოლქო კომისიების გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე. საჩივრების ანალიზი მთლიანად ეყრდნობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დავების რეესტრში განთავსებულ ინფორმაციას.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტური

2 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიქმნა 3746 უბანი 73 საარჩევნო ოლქში. მათგან 9 იყო გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი, ხოლო 73 კოვიდ უბანი.[7] საიას სადამკვირვებლო მისია არ ფარავდა კოვიდ და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ უბნებს.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საიას მისია შედგებოდა 349 ადამიანისგან. მათგან: უბნის სტატიკური დამკვირვებელი იყო 113; პერიმეტრის სტატიკური დამკვირვებელი - 22; მობილური ჯგუფი - 148; ოლქის დამკვირვებელი - 21. საიას 45 თანამშრომელი განაწილებული იყო ცენტრალურ და რეგიონულ შტაბებში.

არჩევნების დღეს, ორგანიზაციამ დაფარა 8 რეგიონის 10 მუნიციპალიტეტი.

საიას დამკვირვებლები ჰყავდა თბილისის ყველა ოლქში (№1 მთაწმინდა, №2 ვაკე, №3 საბურთალო, №4 კრწანისი, №5 ისანი, №6 სამგორი, №7 ჩუღურეთი, №8 დიდუბე, №9 ნაძალადევი, №10 გლდანი), კახეთში (№17 თელავის ოლქი), ქვემო ქართლში (№20 რუსთავისა და №22 მარნეულის ოლქები), შიდა ქართლში (№32 გორის ოლქი), სამცხე-ჯავახეთში (№40 ახალქალაქის ოლქი), იმერეთში (№59 ქუთაისის ოლქი), გურიაში (№60 ოზურგეთის ოლქში), სამეგრელოში (№67 ზუგდიდის ოლქი), აჭარაში (№79 ბათუმის ოლქი). გარდა ამისა, ორგანიზაციას ჰყავდა თითო დამკვირვებელი №27 მცხეთისა და №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიებში საღამოს 20:00-იდან.

არჩევნების დღეს, მოქმედებდა თბილისის ცენტრალური და 7 რეგიონული შტაბი - თელავში, რუსთავში, გორში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ქუთაისსა და ბათუმში.

არჩევნების პირველი ტურისთვის მოქმედი 3664 ძირითადი უბნიდან მისიამ დღის განმავლობაში სრულად მოიცვა 38%. თითოეულ ოლქში საიას დამკვირვებლები დათვლის პროცედურას დაესწრნენ უბნების 27%-ზე, ხოლო თბილისში - 11%-ზე.

მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, არჩევნების პირველ ტურში, საიამ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განსაზღვრულ 102 საარჩევნო უბანზე საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლებისა და სუბიექტების წარმომადგენლების გენდერული სტატისტიკა დაამუშავა. ამასთანავე, საიას დამკვირვებლები, შესაბამისი გადამზადების საფუძველზე, აფასებდნენ უბნებზე სავარაუდო გენდერული ძალადობის ნიშნების შემცველ გარემოებებს. მომზადდა კითხვარი, რომელიც მოიცავდა შემდეგ ასპექტებს:

- საარჩევნო უბანზე ხომ არ გამოვლენილა ოჯახის მიერ ერთობლივად ხმის მიცემა (იგულისხმება ოჯახის წევრების ერთად შესვლა კაბინაში);
- ხომ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ოჯახის მიერ ხმის მიცემისას კაცი წყვეტდა, ვისთვის მიეცა ხმა ქალს;
- ხომ არ გამოვლენილა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი (მაგალითად, კომისიის წევრის ან სხვა წარმომადგენლის მხრიდან ქალი დამკვირვებლის/კომისიის წევრის/პარტიის წარმომადგენლის მისამართით გენდერუ-

[7] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2022 წლის 6 ივნისის #03-01/596 წერილი.

ლი ნიშნით დისკრიმინაცია, ანუ პიროვნების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქცევა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ერთი გენდერის წარმომადგენელია და არა - მეორის).

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური

30 ოქტომბერს არჩევნების მეორე ტური საქართველოს მასშტაბით 5 თვითმმართველ ქალაქსა და 15 მუნიციპალიტეტში, 24 საარჩევნო ოლქში გაიმართა. ჯამში, საქართველოს მოქალაქეებმა 20 მერი და საკრებულოების 42 მაჟორიტარი წევრი აირჩიეს.[8] 30 ოქტომბრის არჩევნებისთვის შეიქმნა 1867 უბანი 40 საარჩევნო ოლქში. მათგან 8 იყო გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი, ხოლო 29 კოვიდ უბანი.[9] ასეთ საუბნო საარჩევნო კომისიაში საიას დამკვირვებლები არ ჰყოლია.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურისთვის საიას მისია შედგებოდა 247 ადამიანისგან. მათგან: უბნის სტატიკური დამკვირვებელი იყო 57; პერიმეტრის სტატიკური დამკვირვებელი - 11; მობილური ჯგუფი - 129; ოლქის დამკვირვებელი - 18. საიას 32 თანამშრომელი განაწილებული იყო ცენტრალურ და რეგიონულ შტაბებში.

არჩევნების დღეს ორგანიზაციამ დაფარა 4 რეგიონის 9 მუნიციპალიტეტი.

საიას დამკვირვებლები ჰყავდა თბილისის ყველა ოლქში (№1 მთაწმინდა, №2 ვაკე, №3 საბურთალო, №4 კრწანისი, №5 ისანი, №6 სამგორი, №7 ჩუღურეთი, №8 დიდუბე, №9 ნაძალადევი, №10 გლდანი), ქვემო ქართლში (№20 რუსთავი ოლქი), სამეგრელოში (№64 სენაკის, №65 მარტვილის, №67 ზუგდიდის, №68 წალენჯიხის, №69 ჩხოროწყუს ოლქები), აჭარაში (№79 ბათუმის, №83 ხელვაჩაურის ოლქები).

არჩევნების დღეს, მოქმედებდა თბილისის ცენტრალური და 3 რეგიონული შტაბი რუსთავში, ზუგდიდსა და ბათუმში.

არჩევნების მეორე ტურისთვის მოქმედი 1830 ძირითადი უბნიდან მისიამ დღის განმავლობაში სრულად მოიცვა 59%. საიას დამკვირვებლები დათვლის პროცედურას დაესწრნენ უბნების 25%-ზე თვითმმართველ თემებში, 20%-ზე - თვითმმართველ ქალაქებში, ხოლო 11%-ზე - თბილისში.

3. COVID-19

COVID-19-ის პანდემია კვლავ გამოწვევად რჩებოდა. ვირუსის გავრცელების გამო, ორგანიზაცია წინასაარჩევნო მოვლენებს, ძირითადად, დისტანციურად აკვირდებოდა. კვლავ შემცირებული იყო LTO მისიის დაკვირვების ინსტრუმენტები, რადგან ფოკუსჯგუფები, საჯარო და ქსელური შეხვედრები იშვიათად იმართებოდა. ისეთ პერიოდში, როდესაც განსაკუთრებით გაზრდილი იყო ინფიცირებულთა რაოდენობა, საია შეკრებებს არ ესწრებოდა.

[8] „საარჩევნო უბნები გაიხსნა, კენჭისყრა დაწყებულია“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3txfmkl, განახლებულია: 15.04.2022.
[9] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2022 წლის 6 ივნისის #03-01/596 წერილი.

ვირუსის გავრცელება კვლავ გამოწვევა იყო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის კენჭისყრის დღეს. მიუხედავად იმისა, რომ საია დაგეგმილი მასშტაბით დააკვირდა არჩევნების დღეს, პრობლემური იყო ადამიანური რესურსის მოძიების, გადამზადებისა და შენარჩუნების პროცესი. დამკვირვებლები ხშირად პანდემიასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზით ვეღარ ახერხებდნენ მისიაში მონაწილეობას.

საიას დამკვირვებლებმა არჩევნების დღისთვის მიიღეს ინფიცირების პრევენციის შესახებ ინფორმაცია, გაეცნენ ცესკოს მიერ დადგენილ რეგულაციებს და აღიჭურვნენ სპეციალური დაცვის საშუალებებით.

უსაფრთხოების დაცვისა და ვაქცინაციის წახალისების მიზნით, დამკვირვებლების შერჩევისას საია პრიორიტეტს ანიჭებდა ორჯერადად ვაქცინირებულ პირებს. საიას მისიაში მონაწილე პირების 72% - სრულად, ხოლო 9% - ერთჯერადად იყო აცრილი.

I ნაწილი – არჩევნებისწინა პერიოდი

1. პოლიტიკური კონტექსტი

პოლიტიკური კრიზისი და თანამშრომლობის მემორანდუმი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ოპოზიციამ პარლამენტის მანდატებზე უარი თქვა და ბოიკოტის რეჟიმში გადავიდა.[10] მას და „ქართულ ოცნებას“ შორის არჩევნების შედეგებზე შეუთანხმებლობის გამო, ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური კრიზისი შეიქმნა.[11] ვითარების განმუხტვის მიზნით, ფასილიტატორი ელჩების შუამავლობით, მხარეებს შორის დიალოგის პროცესი დაიწყო.[12] რამდენიმერაუნდიანი მოლაპარაკებების მიუხედავად, ისინი შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ.[13]

2021 წლის 4 თებერვალს ოპოზიციურ პარტია „მოქალაქეებსა“ და „ქართული ოცნებას“ შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმას ისახავდა მიზნად; ეს შეთანხმება ითვალისწინებდა კანონმდებლობის ცვლილებებს შემდეგი მიმართულებებით:[14]

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის განისაზღვრებოდა საარჩევნო ბარიერი არაუმეტეს 3%-ისა;
- საპარლამენტო ფრაქციის წევრთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრებოდა ბარიერის შესაბამისად, ხოლო მიმდინარე მოწვევის პარლამენტში ფრაქციის შექმნის უფლება მიენიჭებოდა არანაკლებ 4 დეპუტატს (7-ის ნაცვლად);
- თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის მუნიციპალიტეტებში ყველა შემდეგი საკრებულოს არჩევნები ჩატარდებოდა 4/1 თანაფარდობით პროპორციულ და მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემებს შორის. სხვა მუნიციპალიტეტებში კოეფიციენტი განისაზღვრებოდა ადგილობრივ თავისებურებათა მიხედვით, იმგვარად, რომ თანაფარდობა არანაკლებ 2/1 (პროპორციული სისტემის სასარგებლოდ) ყოფილიყო;
- თბილისის საკრებულოს არჩევნებისთვის ბარიერი განისაზღვრებოდა 2,5%-ით, ხოლო სხვა საკრებულოების არჩევნებისთვის - არა უმეტეს 3,2%-ისა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმირება, სრული პროფესიონალიზაცია და ოპტიმიზაცია ეუთო/ოდირის რეკომენდაციების შესაბამისად - ცესკოს შემადგენლობა განისაზღვრებოდა პროფესიული ნიშნით შერჩეული არანაკლებ 7 და არაუმეტეს 11 წევრით. ცესკოს თავმჯდომარისა და წევრობის კანდიდატებს წარადგენდა პრეზიდენტი იმ პირთაგან, რომლებსაც შეარჩევდა პრეზიდენტთან შექმნილი დამოუკიდებელი კომისია;

---

[10] ლაცაბიძე მ. საინფორმაციო ბიულეტენი №16, იანვარი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 2-3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GMMKHq, განახლებულია: 15.02.2022.
[11] იქვე.
[12] იქვე.
[13] იქვე.
[14] იქვე, გვ. 3-5.

- აიკრძალებოდა მოქალაქეთა შეკრება და დაყოვნება საარჩევნო უბნებიდან 100 მეტრის რადიუსში, ასევე - კენჭისყრის დღეს ამ ტერიტორიაზე ამომრჩევლის აღრიცხვა. დადგინდებოდა მკაცრი სანქციები კანონდამრღვევთა მიმართ;
- ეუთო/ოდირის რეკომენდაციების შესაბამისად, გადაისინჯებოდა და აღსრულდებოდა ნორმები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ასევე საარჩევნო დავების განხილვის შესახებ, მათი დროული, გამჭვირვალე და ჯეროვანი გადაწყვეტის მიზნით;
- დაინერგებოდა ინოვაციური საარჩევნო ტექნოლოგიები.

4 თებერვალს შალვა პაპუაშვილმა და ლევან იოსელიანმა ერთობლივ ბრიფინგზე დაანონსეს უმრავლესობასა და „მოქალაქეებს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე პარლამენტის სამუშაო ჯგუფის შექმნა,[15] რომელიც საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტს მოამზადებდა.[16] 15 თებერვალს სამუშაო ჯგუფმა რიგით მეორე შეხვედრაზე ამ ცვლილებების შესახებ კანონპროექტის პირველადი ვერსია განიხილა.[17] საიამ კანონპროექტთან დაკავშირებით დასკვნა წარადგინა. ორგანიზაციას პრინციპული პოზიცია ჰქონდა სამ საკითხზე: საარჩევნო ადმინისტრაციის სრულად პროფესიული ნიშნით დაკომპლექტება და წევრების რიცხვის შემცირება; საარჩევნო სისტემა ადგილობრივ დონეზე; ამომრჩევლის ნების კონტროლი.[18]

მოსაზრებები წარადგინეს ასევე საქართველოში აშშ-ის საელჩომ და ევროკავშირის წარმომადგენლობამ. მათი ხედვით: ყოველი მომდევნო არჩევნები პროპორციული სისტემით უნდა ჩატარებულიყო; პარტიას, რომელიც 3%-იან ბარიერს გადალახავდა, უნდა ჰქონოდა ფრაქციის შექმნის შესაძლებლობა; უნდა დადგენილიყო საარჩევნო უბანთან 100 მეტრის რადიუსში პირთა შეკრებისა და ამომრჩევლის ნების კონტროლის აკრძალვა. ევროკავშირის წარმომადგენლობამ დამატებით აღნიშნა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევაში უნდა ჩართულიყო ოპოზი-

---

[15] სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეებად შალვა პაპუაშვილი და ლევან იოსელიანი დაინიშნნენ. პარტია „ევროპელი სოციალისტებიდან“ ჯგუფში შევიდა დავით ზილფიმიანი, ხოლო ცესკოდან - გიორგი შარაბიძე, გიორგი ჯავახიშვილი და გიორგი ძაგანია. ჯგუფის შემადგენლობაში გაითვალისწინეს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

[16] ყრუაშვილი ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №17, თებერვალი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 5-9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rSNJ4M, განახლებულია: 15.02.2022.

[17] იქვე.

[18] საიას რეკომენდაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით, ბუნებრივი ბარიერის პირობებში უნდა ჩატარებულიყო; საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების შერეული მოდელი უნდა შეცვლილიყო პროფესიულით; შემოთავაზებული კანონპროექტით, ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიაში წევრებს დანიშნავდა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ეს ციფრი 2/3-მდე უნდა გაზრდილიყო. ორგანიზაცია არ დაეთანხმა საუბნო საარჩევნო კომისიაში წევრების დანიშვნის შემოთავაზებულ ვერსიას, რომლის მიხედვითაც, კომისიის წევრებს ირჩევდა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერდა, მათ შორის, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული 3 წევრი მაინც; სიითი შემადგენლობის უმრავლესობაში, ცესკოს მიერ დანიშნული წევრების ნაცვლად, მხარი უნდა დაეჭირა პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ სამ წევრს. აგრეთვე, საარჩევნო უბნიდან 100 მეტრის მოშორებით ამომრჩეველთა შეყოვნებასა და აღრიცხვასთან ერთად, უნდა აკრძალულიყო არააკრედიტებულ პირთა ყოფნაც.

ციაც, რაც მოიაზრებდა ხმის მიცემას 2/3 უმრავლესობით ან ორმაგი უმრავლესობით, სადაც ოპოზიციის ნახევარზე მეტის დადებითი ხმა იქნებოდა საჭირო; მათ მხარი დაუჭირეს ცესკოს წევრთა პროფესიული ნიშნით დანიშვნის ინიციატივასაც.[19]

რეკომენდაციები გასცეს ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“. მათი შეფასებით, ცესკოს დაკომპლექტების წესები უნდა შეცვლილიყო იმგვარად, რომ ერთ პარტიას ცესკოში, ასევე საუბნო კომისიაში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლება ჰქონოდა; პროფესიული წევრები უნდა არჩეულიყვნენ როგორც უმრავლესობის, ისე ოპოზიციის მხარდაჭერით; სრულად პროფესიულ მოდელზე გადასვლა უნდა მომხდარიყო ეტაპობრივი რეფორმით, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდებოდა სრულად პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტი.[20]

ევროკავშირის მიერ ინიცირებული მედიაციის პროცესი

მხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესი ახალ ეტაპზე გადავიდა, როდესაც საქართველოს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ეწვია.[21] ევროკავშირმა ფასილიტაციიდან მედიაციაზე გადასვლის მზაობა გამოთქვა და მხარეებს ექვსპუნქტიანი გეგმა გააცნო, რომელიც ითვალისწინებდა „ამბიციურ საარჩევნო რეფორმას“, „პოტენციურ ადრეულ არჩევნებს და მზადებას ადგილობრივი არჩევნებისთვის“.[22]

საქართველოში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური დიალოგის მედიატორად კრისტიან დანიელსონი დაინიშნა. იგი საქართველოს 12 მარტს ესტუმრა და ვიზიტის ფარგლებში არაერთი შეხვედრა გამართა, მათ შორის, პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან. ის ასევე შეხვდა უმრავლესობის, გაერთიანებული ოპოზიციის, დანარჩენი ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შეხვედრებზე მხარეებმა მედიატორს ექვსპუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციები გაუზიარეს. ევროკავშირის მედიაციის მეექვსე დღეს, დანიელსონის შუამავლობით, უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრები რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს მოლაპარაკების მაგიდასთან. შარლ მიშელის მიერ შემუშავებული გეგმის ზოგიერთ პუნქტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პროგრესი იყო, თუმცა ძირითად საკითხებზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ. ევროკავშირის მედიაციის ეს ეტაპი უშედეგო აღმოჩნდა.[23]

---

[19] ყრუაშვილი ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №17, თებერვალი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rSNJ4M, განახლებულია: 15.02.2022.

[20] იქვე, გვ. 8.

[21] ყრუაშვილი ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №18, მარტი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 11, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Bn8l8a, განახლებულია: 15.02.2022.

[22] იქვე.

[23] იქვე.

ევროკავშირის მედიაციის მეორე რაუნდი

22 მარტს შარლ მიშელმა მედიაციის მეორე რაუნდისთვის დანიელსონის საქართველოში დაბრუნება დააანონსა.[24]

საიამ, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, მოლაპარაკების მხარეებს ღია წერილით მიმართა, კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდა და რეფორმების, ასევე კრიზისიდან გამოსვლის გზების თაობაზე საკუთარი წინადადებები წარუდგინა:[25]

- საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნების სრულად პროპორციული სისტემით ჩატარება;
- მოსამართლეთა დანიშვნის წესთან დაკავშირებული რეფორმები. კერძოდ, პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა დანიშვნის, ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა პარლამენტში წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებისთვის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჭირო ხმების ე.წ. ორმაგ 2/3-მდე გაზრდა; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების დანიშვნა ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხარდაჭერით (ე.წ. ბილატერალური მხარდაჭერა);
- ბილატერალური მხარდაჭერითვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, გენერალური აუდიტორის და გენერალური პროკურორის დანიშვნა;
- ოპოზიციისთვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე სისხლისსამართლებრივი საქმეების ფიგურანტი პირების სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლება და მათი საქმეების დროებით შეჩერება. ამ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება რეფორმირებული მართლმსაჯულების სისტემის მიერ; პარლამენტში მნიშვნელოვანი თანამდებობების უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის პროპორციულად განაწილება;
- ოპოზიციის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოპოვებული მანდატების ათვისება.

მას შემდეგ, რაც 30 მარტს გამართული მედიაციის მეორე რაუნდი კვლავ უშედეგოდ დასრულდა, ევროკავშირმა გამოაქვეყნა დოკუმენტი და მხარეებს ხელმოწერისკენ მოუწოდა. მასში მოცემული იყო ხუთი ძირითადი საკითხი: პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირება, ამბიციური საარჩევნო რეფორმა, კანონის უზენაესობა, პარლამენტში ძალაუფლების განაწილება, მომავალი არჩევნები.[26]

23 მარტს აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპისა და რეგიონული უსაფრთხოების ქვეკომიტეტში გამართულ მოსმენაზე საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კრიზისზე, ასევე მართლმსაჯულებისა და საარჩევნო რეფორმებზე იმსჯელეს. გადაწყდა საქართველოს შესახებ რეზოლუციის მიღება, რომელიც საქა-

[24] იქვე.
[25] იქვე, გვ. 15-16.
[26] იქვე, გვ. 16-17.

რთველოსადმი სენატის მხარდაჭერას გაამყარებდა.[27]

1-ელ აპრილს შვიდმა ევროპარლამენტარმა,[28] კრისტიან დანიელსონის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ხელმოწერაზე პოლიტიკური პარტიების უართან დაკავშირებით, განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის ჩაშლილი მოლაპარაკების გამო, ევროპარლამენტი საქართველოსთვის დამატებითი დახმარების გამოყოფის შეჩერების საკითხს დააყენებდა, ასევე, მაკროფინანსურ და საბიუჯეტო დახმარებათა პროგრამებზე პირობითობის პრინციპის გაზრდას მოითხოვდა.[29]

საიამ, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, აშშ-ის სენატორებს განცხადებით მიმართა და საქართველოში არსებული კრიზისის დასაძლევად ხუთი მიზნის მიღწევაში დახმარება სთხოვა:[30]

- აშშ-ს ცხადად უნდა გამოეხატა თავისი პოზიცია, რომ სტატუს-კვო, ანუ, ფაქტობრივად, ერთპარტიული პარლამენტი შეუთავსებელი იყო ევროატლანტიკური თანამეგობრობის წევრობასთან;
- კრიზისის დეესკალაცია უნდა მომხდარიყო ნიკა მელიას და გიორგი რურუას პატიმრობიდან განთავისუფლებისა და საქმეების შეჩერების გზით, რომლებიც მომავალში რეფორმირებულ სასამართლოს უნდა განეხილა;
- აშშ-ს მკაფიოდ უნდა მოეთხოვა სასამართლო და საარჩევნო რეფორმების განხორციელება. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს წევრების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების, ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების დასანიშნად საჭირო უნდა ყოფილიყო ოპოზიციის თანხმობა. როგორც საპარლამენტო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო პროპორციული სისტემით, ბუნებრივთან მიახლოებული ბარიერით. ამ სისტემური ცვლილებების გატარება 2021 წლის საგაზაფხულო სესიაზე უნდა დაწყებულიყო;
- უნდა წახალისებულიყო ძალაუფლების განაწილება სხვადასხვა ინსტიტუტში, მათ შორის, პარლამენტში;
- მას შემდეგ, რაც მმართველი პარტია ქართველი ხალხისა და საერთაშორისო პარტნიორების წინაშე აიღებდა ამ ვალდებულებებს, ოპოზიციას უნდა დაეკავებინა 2020 წლის არჩევნებში მიღებული ადგილები პარლამენტში, ჩართულიყო ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკურ პროცესში და მონაწილეობა მიეღო ზემოაღწერილი რეფორმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

---

[27] იქვე.

[28] დავიდ მაკალისტერი (EPP, გერმანია), ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, მარინა კალიურანდი (S&D, ესტონეთი), ანდრიუს კუბილიუსი (EPP, ლიეტუვა), ვიოლა ფონ კრამონ-ტუბადელი (მწვანეები, გერმანია), სვენ მიკსერი (S&D, ესტონეთი), მიჰაელ გალერი (EPP, გერმანია), პეტრას აუსტრევიჩიუსი (განახლებული ევროპა, ლიეტუვა).

[29] ყრუაშვილი ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №19, აპრილი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v3ISzz, განახლებულია: 18.02.2022.

[30] იქვე, გვ. 3-4.

19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმება

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა პოლიტიკური კრიზისის მოსაგვარებლად მხარეებისთვის ახალი დოკუმენტი მოამზადა, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი 19 აპრილს გახდა. ამ დოკუმენტს რამდენიმე პუნქტი დაემატა, კერძოდ:[31]

- დაკონკრეტდა რეაგირების ზომები პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საკითხზე. რეაგირების მექანიზმი ამნისტია ან/და ისეთი ზომა უნდა ყოფილიყო, რომელიც ანალოგიურ შედეგს მოიტანდა;
- განისაზღვრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და პროფესიული წევრების არჩევისას ჩიხური სიტუაციის წარმოქმნის საწინააღმდეგო მექანიზმი;
- ჩამოყალიბდა მომავალი გენერალური პროკურორების არჩევისას ჩიხური სიტუაციის წარმოქმნის საწინააღმდეგო მექანიზმი;
- „ქართული ოცნების“ 2021 წლის 16 აპრილის შეთავაზების შესაბამისად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 2022 წელს იმ შემთხვევაში დაინიშნებოდა, თუ 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია „ქართული ოცნება“ ნამდვილი პროპორციული ხმების 43% -ზე ნაკლებს მიიღებდა.

საიამ, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მხარეებს დოკუმენტის ხელმოწერისკენ მოუწოდა. შარლ მიშელის მიერ შემოთავაზებულ კომპრომისულ წინადადებას დაეთანხმა „ქართულმა ოცნება“ და ოპოზიციის 16 წარმომადგენელი.[32]

საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ცვლილებების დამტკიცება

პარლამენტმა 28 ივნისს, 86 ხმით 3-ის წინააღმდეგ, საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები მესამე მოსმენით დაამტკიცა.[33] 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების შესაბამისად, კანონში ცვლილებები შევიდა ადგილობრივი თვითმმართველობის

---

[31] „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 19.04.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3frBggU, განახლებულია: 21.02.2022.

[32] კომპრომისულ წინადადებას ბოიკოტის რეჟიმში მყოფმა 16-მა დეპუტატმა მოაწერა ხელი. დოკუმენტს ოპოზიციური პარტიებიდან შეუერთდნენ პარტია „ლელო საქართველოსთვის“ (მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე, დავით უსუფაშვილი, ანა ნაცვლიშვილი), პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლება“ (ზურა ჯაფარიძე), „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი“ (იაგო ხვიჩია, ვახტანგ მეგრელიშვილი, ალექსანდრე რაქვიაშვილი), „ევროპული საქართველო“ (დავით ბაქრაძე, შალვა შავგულიძე, არმაზ ახვლედიანი; ამავე პარტიიდან არ შეუერთდნენ ელენე ხოშტარია და ტარიელ ნაკაიძე), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (გიორგი ვაშაძე, პაატა მანჯგალაძე, თეონა აქუბარდია; ამავე პარტიიდან არ შეუერთდა და ბლოკი დატოვა თამარ ჩარკვიანმა). დოკუმენტს არ შეუერთდა დეპუტატების უმრავლესობა ბლოკიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“. გამონაკლისია სალომე სამადაშვილი, იმ პერიოდში პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, რომელმაც დოკუმენტს ხელი პარტიისგან დამოუკიდებლად მოაწერა. დოკუმენტს შეუერთდა ბლოკიდან ხათუნა სამნიძე „რესპუბლიკური პარტიიდან“, იხ. „ქართულმა ოცნებამ“ და ოპოზიციის ნაწილმა ევროკავშირის კომპრომისულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 19.04.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v1O7ji, განახლებულია: 21.02.2022.

[33] „პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის ცვლილებები 86 ხმით მიიღო”, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 28.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ian3Xb, განახლებულია: 21.02.2022.

საარჩევნო სისტემის, საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური ჩარჩოს, წინასაარჩევნო კამპანიის, კენჭისყრის პროცესის, მისი შეჯამებისა და საარჩევნო დავების მიმართულებით.

30 აპრილს და 18 ივნისს ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა კანონპროექტის შემუშავების ეტაპზე დაჩქარებული წესით მიღებული ერთობლივი დასკვნები წარმოადგინეს. პირველ დოკუმენტში, რომელიც 30 აპრილს გამოქვეყნდა, მათ 4 ძირითადი და რამდენიმე სხვა რეკომენდაცია გასცეს. მთავარი საკითხები შეეხებოდა:

- ცენტრალური სარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების 2/3 უმრავლესობით არჩევის წესს, ჩიხური ვითარების თავიდან აცილების მექანიზმთან ერთად;
- პარტიების მიერ კომისიის წევრის დანიშვნის წესთან დაკავშირებული შეზღუდვების გაუქმებას, რომლებიც გულისხმობდა პარტიის უფლებას, მიეღო სახელმწიფო დაფინანსება, ასევე ჩანაწერს, რომ „პარტიას უნდა ჰყავდეს პარლამენტის სულ მცირე ერთი წევრი, რომელიც ახორციელებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილებას“;
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის წესში იმგვარი ცვლილებების შეტანას, რომელიც უზრუნველყოფდა უპარტიო წევრების გამჭვირვალე და ჭეშმარიტად დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევის პროცესს;
- პარტიის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლების მკაფიოდ განსაზღვრას.[34]

სხვა რეკომენდაციები შეეხებოდა უბნის პერიმეტრთან კამპანიის აკრძალვას, ხმების გადათვლის ჩარჩოს შემუშავებას, ელექტრონული საშუალებების შემოღებას სარჩელის წარდგენისას, საარჩევნო ოლქებში ხმების თანაბრობას, ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვას და სხვა.[35]

18 ივნისის დასკვნის მიხედვით,[36] რომელიც ვენეციის კომისიამ, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა შეცვლილ კანონპროექტზე წარმოადგინეს, ძირითადი რეკომენდაციების ნაწილი შესრულდა.[37] თუმცა, მათგან კვლავ შეუსრულებელი დარჩა საოლქო და საუბნო კომისიების შერჩევის პროცედურის გადახედვისა და პარტიის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხები.[38] იმავდროულად, 18 ივნისის დასკვნა მოი-

[34] იქვე.
[35] იქვე.
[36] ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2021 წლის 18 ივნისის დასკვნა მომზადდა განახლებული საარჩევნო კანონპროექტის შესაფასებლად და იგი განხილული უნდა იყოს ამ ორგანიზაციების 2021 წლის 30 აპრილის დასკვნასთან ერთობლიობაში.
[37] ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების შერჩევის პროცესში 2/3 ხმის მიცემის წესის შემოღება და ანტიკრიზისული მექანიზმის დამტკიცება; პარტიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის წევრის დანიშვნასთან დაკავშირებული პირობების გაუქმება, რომლებიც შეეხებოდა პარტიის მიერ სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლებას, ასევე წესს, რომლის მიხედვით, „პარტიას უნდა ჰყავდეს პარლამენტის სულ მცირე ერთი წევრი, რომელიც ახორციელებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილებას“.
[38] Venice Commission, OSCE/ODIHR, Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code, CDL-P

ცავდა რამდენიმე ცვლილებას, რომლებმაც დამატებით შეშფოთება გამოიწვია.[39] მაგალითად, ასეთი იყო გარდამავალ ეტაპზე ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების კენჭისყრის პროცესის ოთხიდან ერთ კვირამდე შემცირება, რაც საფრთხეს უქმნიდა კონსენსუსზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებას; ასევე, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობის მინიჭება იმ პარტიისთვის, რომელსაც უფრო მეტი საბიუჯეტო დაფინანსება ეკუთვნის. ამ რეგულაციით, ორ პარტიას - „ლეიბორისტებს“ და „ევროპულ საქართველოს“ წაერთვათ შანსი, საარჩევნო ადმინისტრაციაში წარმომადგენელი დაენიშნათ. შეშფოთება გამოიწვია საარჩევნო ცვლილებების კიდევ ერთმა დროებითმა დებულებამ, რომლის მიხედვითაც, თუ საპარლამენტო არჩევნებზე პარტიული სიით გასული ყველა დეპუტატი დატოვებს პარტიას და ერთიანად გაწევრიანდება სხვა პარტიაში, მაშინ ამ უკანასკნელს ცესკოს ერთი წევრის დანიშვნის უფლება ენიჭება.[40] ეს ჩანაწერი მოერგო ერთ კონკრეტულ შემთხვევას[41] და იყო უსამართლო.

19 აპრილის შეთანხმებიდან „ქართული ოცნების“ გასვლა

28 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმება დატოვა და დოკუმენტი ანულირებულად გამოაცხადა.[42] პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განმარტებით, მათ პირნათლად შეასრულეს დოკუმენტის თითოეული პუნქტი და შეთანხმებაში დარჩენის აზრს ვეღარ ხედავდნენ.[43]

„ქართული ოცნების“ ეს ნაბიჯი მწვავედ გააკრიტიკეს საერთაშორისო პარტნიორებმა.[44] მათი მხრიდან ეს აღიქმებოდა, როგორც დემოკრატიის წინსვლის შეჩერება, რაც საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სწრაფვას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ.[45]

პარალელურად, „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების მიღებაზე.[46] მთავრობამ ამის მიზეზად ქვეყანაში მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაასახელა. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი ითვალისწინებდა საქართველოს დასაბუთებას, თუმცა ქვეყანამ ვერ შეძლო, შეესრულებინა პირობა მაკროფინანსური დახმარების მისაღებად - ეს იყო

(2021)011 (Strasbourg, Council of Europe, 2021), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wCLHEX, განახლებულია: 18.02.2022.

[39] იქვე, para. 15, 17.

[40] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 196[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[41] „პატრიოტთა ალიანსის“ რამდენიმე წევრმა დატოვა პარტია და მათ 2021 წლის იანვარში სადეპუტატო უფლებამოსილება პარტია „ევროპელი სოციალისტების“ სახელით მიენიჭათ.

[42] ყრუაშვილი ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №22, ივლისი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oWl0Ki, განახლებულია: 18.02.2022.

[43] იქვე.

[44] იქვე, გვ. 6-7.

[45] იქვე.

[46] ყრუაშვილი ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №23, აგვისტო, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 4-5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LGObuK, განახლებულია: 18.02.2022.

სასამართლოს რეფორმა, რომელსაც სწორედ 19 აპრილის შეთანხმება ითვალისწინებდა.[47]

მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა ევროკავშირის შეთანხმებასა და ფინანსურ დახმარებაზე, 2 სექტემბერს, პარტია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 19 აპრილის შეთანხმებას ხელი მოაწერა.

„ქართული ოცნების“ თავდასხმები არასამთავრობო ორგანიზაციებზე

17 სექტემბერს უმრავლესობამ სამ არასამთავრობო ორგანიზაციას - საიას, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს და სამართლიან არჩევნებს - პრესკონფერენცია მიუძღვნა და მათი საარჩევნო ანგარიშები შინაარსობრივად გააკრიტიკა. მმართველი პარტიის თქმით, საიას ანგარიშში კამპანიის პერიოდი არჩევნებისწინა პერიოდისგან ცხადად არ იყო გამიჯნული, შესაბამისად, დროის ამ მონაკვეთში დარღვევებზე საუბარი ზედმეტი იყო. „ქართულ ოცნებას“ მსგავსი შინაარსის შეფასებები ჰქონდა დანარჩენი ორგანიზაციების ანგარიშებზეც. მათი აზრით, სამივე დოკუმენტში პრობლემური იყო კანონდარღვევისა და „ცუდი პრაქტიკის“ გამიჯვნა. უმრავლესობამ ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მოუწოდა, მათი შეფასებები ყოფილიყო საზოგადოებისთვის მკაფიო და გამჭვირვალე, ხოლო სამართალდარღვევები განესხვავებინათ ორგანიზაციების შიდა კრიტერიუმებით დადგენილი დარღვევებისგან.[48]

საია გამოეხმაურა მმართველი პარტიის კრიტიკას და იგი უსაფუძვლოდ მიიჩნია. ორგანიზაციის ანგარიშში მკაფიოდ იყო აღნიშნული ის პერიოდი, რა დროსაც კამპანიის რეგულაციები არ მოქმედებდა, ცხადად არის გამიჯნული „ცუდი პრაქტიკა“ და „სამართალდარღვევა“. რაც შეეხება შეფასების დამატებითი კრიტერიუმების შემოღების არაკეთილსინდისიერებას, საიამ მიუთითა, რომ დამატებითი კრიტერიუმები არ შეფასებულა კანონდარღვევად და ანგარიშში მოხვდა ფაქტების ორი კატეგორია: პოლიტიკური ეთიკა, რომლის კანონით დარეგულირების რეკომენდაცია ორგანიზაციას არ გაუცია, მეორე - სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მმართველი პარტიის რეკლამის აკრძალვა, რისი მოწესრიგების რეკომენდაციაც ვერ გაიცემოდა, ვინაიდან ის ახალი ტენდენცია იყო.[49]

საიას აზრით, მმართველი პარტიის თავდასხმები იყო წინააღმდეგობრივი, ცილისმწამებლური და ზედაპირული. „ქართული ოცნების“ კრიტიკა ემსახურებოდა ორგანიზაციის დისკრედიტაციას და იმიჯის შელახვას, ვინაიდან საია საზოგადოებაში მიუკერძოებელი და კომპეტენტური ორგანიზაციის სახელით სარგებლობს.

---

[47] იქვე.

[48] ყრუაშვილი ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №24, სექტემბერი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 17-18, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IqEDbq, განახლებულია: 19.05.2022.

[49] იქვე.

პრეზიდენტ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება და პოლარიზაციის გაღრმავება

2021 წლის არჩევნებს საქართველო განგრძობადი პოლიტიკური კრიზისის ფონზე შეხვდა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში დაბრუნება დააანონსა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში მას პატიმრობა ემუქრებოდა. 1-ელ ოქტომბერს სამართალდამცავებმა ის თბილისში დააკავეს.

სააკაშვილის დაბრუნებას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა პოლიტიკურ დღის წესრიგზე. ამას წინ უძღოდა კამპანიის პერიოდში „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ორი ფართომასშტაბიანი აქცია, რომელთაც ათასობით ადამიანი ესწრებოდა. საარჩევნო კამპანია მთლიანად მოიცვა ორ პოლარიზებულ მხარეს შორის დაპირისპირებამ. ამან, საერთო ჯამში, არ დატოვა სივრცე შინაარსობრივი დისკუსიისთვის, პარტიებს შორის შეჯიბრისა და ინფორმირებული არჩევანისთვის.

2. სისტემური ცვლილებები

საარჩევნო სისტემა ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის

2021 წლის საარჩევნო ცვლილებების შედეგად, ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები ჩატარდა შერეული სისტემით, სადაც, წინა არჩევნებთან შედარებით,[50] მაჟორიტარული წილი შემცირებული იყო. 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების[51] მიხედვით, პროპორციები შემდეგნაირად განისაზღვრა: პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების 4/1 (პროპორციულის სასარგებლოდ) - ხუთ თვითმმართველ ქალაქში, 2/1 - ყველა დანარჩენ მუნიციპალიტეტში.[52] პროპორციულ ნაწილში თბილისის გარდა ყველგან - 3%-იანი, ხოლო დედაქალაქში 2.5%-იანი ბარიერი დაწესდა.[53] მუნიციპალიტეტებში საკრებულოს წევრი მაჟორიტარების არჩევა ამომრჩეველთა კანონით გათვალისწინებული რაოდენობის პროპორციულად განისაზღვრა.[54] მათ ასარჩევად 40%-იანი ბარიერი დადგინდა.[55]

საია მიესალმა პროპორციული წილის ზრდას საარჩევნო სისტემაში, თუმცა, ორგანი-

---

[50] თვითმმართველ ქალაქებში (თბილისის გარდა) მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრებს შორის თანაფარდობა 2/3-ით, ხოლო თბილისში 1/1 პროპორციით განისაზღვრებოდა. სხვა დანარჩენ მუნიციპალიტეტებში საკრებულოს პროპორციული სისტემით არჩეულ წევრთა რაოდენობა 15 იყო, ხოლო მაჟორიტარული სისტემით საკრებულოს წევრთა არჩევა ამომრჩეველთა კანონით დადგენილი რაოდენობის პროპორციულად ხდებოდა. ბარიერი 4%-ს შეადგენდა, ხოლო მაჟორიტარული სისტემით არჩეულად ითვლებოდა ის, ვინც მეტ ხმას მიიღებდა.

[51] „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 19.04.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3frBggU, განახლებულია: 18.02.2022.

[52] საქართველოს საარჩევნო კოდექსის №1 დანართი, თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების (გარდა ქალაქ თბილისისა) საკრებულოების მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით არჩეული შემადგენლობები.

[53] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 148-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 162-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[54] თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 7000-ს არ აღემატება, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით აირჩევა საკრებულოს 1 წევრი; სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 7000-ზე მეტია, მაგრამ 14 000-ს არ აღემატება, მაჟორიტარული სისტემით აირჩევა 2 წევრი, იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[55] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 149-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

ზაციის შეფასებით, პარალელური მოდელი[56] სრულად ვერ უზრუნველყოფს ამომრჩევლის განწყობის სათანადოდ ასახვას და საკრებულოებში არაპროპორციულ წარმომადგენლობას განაპირობებს. საია მიიჩნევს, რომ ადგილობრივ დონეზე უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა და პროპორციული სისტემის ერთ-ერთი ნაირსახეობა - ერთი გადაცემადი ხმის (Single Transferable Vote, STV) მოდელი[57] დამკვიდრდეს. სხვა ასეთი სისტემების მსგავსად, ის უზრუნველყოფს ამომრჩევლის ხმების მანდატებში გარდასახვას პარტიის ან კანდიდატის ელექტორალური მხარდაჭერის შესაბამისად და ასარჩევი ორგანოს წარმომადგენლობითობას.[58] STV-ის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია როგორც პარტიას და მის კონკრეტულ წევრს, ასევე საინიციატივო ჯგუფსა და მის დამოუკიდებელ კანდიდატს.[59] STV-ის პირობებში, საარჩევნო ოლქი მრავალმანდატიანია. ბიულეტენში შედის რეგისტრირებული პარტიის ან საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის ოლქში დაყენებული კანდიდატების სია.[60] საარჩევნო სუბიექტი უფლებამოსილია, დაასახელოს ერთი ან იმდენი კანდიდატი, რამდენი მანდატიც ეკუთვნის ოლქს.[61] ბიულეტენი პრეფერენციული ხასიათისაა,[62] რაც გულისხმობს ამომრჩევლის მიერ კანდიდატებისთვის პრიორიტეტების მინიჭებას რიცხვების მითითებით.[63] ასეთი მოდელი უშვებს ე.წ. პანაშაჟს - ამომრჩეველს შეუძლია, პრეფერენცია მიანიჭოს არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს.[64] მოცემული სისტემა უზრუნველყოფს ამომრჩევლის ნების პროპორციულ გარდასახვას მანდატებში, რადგან, მიუხედავად იმისა, რომელი რაუნდის დათვლის შედეგად მიიღო კონკრეტულმა კანდიდატმა მანდატი, ამომრჩევლისთვის ის ერთ-ერთი პრიორიტეტი მაინც იყო. გარდა ამისა, არ იკარგება გეოგრაფიული ბმაც, რადგან ამომრჩეველს შეუძლია, მათ შორის, კანდიდატის კავშირის გათვალისწინება მის უბანთან.

მაჟორიტარული ოლქების თანაბრობის პრინციპის დარღვევა

საიამ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის დადგენილი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.[65] გასაჩივრებული ნორმების[66] მიხედვით,

---

[56] ეს მოდელი შერეული საარჩევნო სისტემის ოჯახის პარალელური მოდელია, რომლის მიხედვითაც, გამიჯნულია არჩევნების მაჟორიტარული და პროპორციული წესით მიღებული შედეგები. ისინი ერთმანეთზე გავლენას არ ახდენს და დამოუკიდებლად აისახება საკრებულოში.

[57] Reynolds A., Reilly B. and Ellis A., Electoral System Design: The New International IDEA Handbook, Stockholm, Sweden, 2005, para. 109.

[58] იქვე.

[59] იქვე, para. 111.

[60] იქვე.

[61] იქვე.

[62] იქვე, para. 109.

[63] იქვე.

[64] იქვე.

[65] „საია საკონსტიტუციო სასამართლოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის დადგენილი მაჟორიტარული ოლქების საზღვრების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 18.09.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LNniVQ, განახლებულია: 18.02.2022.

[66] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები, საქართველოს საარჩევნო კოდექსის №2 დანართი - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს

მცირერიცხოვან ოლქებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ხმას, მრავალრიცხოვან ოლქებთან შედარებით, მაღალი წონა აქვს. სამართლებრივი აქტები გასაჩივრებულია კონსტიტუციით დაცულ საარჩევნო და თანასწორობის უფლებასთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სარჩელი შეტანილია ოთხი ფიზიკური პირის მიერ საარჩევნო ხმის თანაბარი წონის უფლების დარღვევის შესახებ, რაც მათი რეგისტრაციის ადგილის შესაბამისი საარჩევნო ოლქისა (მრავალრიცხოვანი ოლქი) და მცირერიცხოვანი ოლქებისთვის მაჟორიტარი დეპუტატის ოდენობის ერთგვაროვან განსაზღვრაში გამოიხატება. მაგალითად, მთაწმინდის, ასევე საბურთალოს ამომრჩეველი თბილისის საკრებულოში ირჩევს თითო დეპუტატს. საბურთალოზე რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 134,582-ს, ხოლო მთაწმინდაზე - 53,884-ს. ვინაიდან საბურთალოზე მაცხოვრებელი ამომრჩევლის რაოდენობა 2,5-ჯერ აღემატება მთაწმინდაზე რეგისტრირებულთა რაოდენობას, საბურთალოს ამომრჩევლის ხმის წონა 2,5-ჯერ მცირდება მთაწმინდის ამომრჩევლის ხმის წონასთან შედარებით.[67]

სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, „საარჩევნო უფლების განხორციელების უპირველესი მიზანი და საფუძველია მოქალაქეთა ნების ასახვა არჩევნების საბოლოო შედეგებზე“. შესაბამისად, ამ უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია ამომრჩევლების შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგზე. სადავო ნორმებიდან გამომდინარე, ამომრჩევლის ხმის „წონის“ და გავლენის დაკარგვა ართმევს მას აქტიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი უზრუნველყოფის საშუალებას. ამის საპირისპიროდ, იზრდება იმ ამომრჩევლების გავლენა არჩევნების შედეგებზე, რომელთა ხმის „წონაც“ გაზრდილია. ასეთი საარჩევნო სისტემა მოქალაქეებს ანიჭებს არათანასწორ შესაძლებლობებს, ხელს უშლის კონსტიტუციის შესაბამისი არჩევნების ჩატარებას და მის საბოლოო შედეგზე ამომრჩეველთა ნების ადეკვატურ ასახვას. ეს კი დემოკრატიული მმართველობის პრინციპს ეწინააღმდეგება.[68] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საარჩევნო სისტემა, რომელშიც ერთ ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლის ხმა რამდენჯერმე უფრო მეტად „ფასობს“, ვიდრე მეორეში, არ ქმნის თანაბარ შესაძლებლობებს იმისთვის, რომ ამომრჩევლებმა თანასწორად მოახდინონ გავლენა არჩევნების შედეგებზე და ამომრჩევლების ხმათა თანაბრობის პრინციპიდან მნიშვნელოვან გადახრას იწვევს”.[69]

აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის დადგენილი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრები არღვევს ხმის თანაბარი წონის პრინციპს და ეწინააღმდეგება საარჩევნო და თანასწორობის უფლებებს, რის გამოც, მომწესრიგებელი ნორმები, ორგანიზაციის აზრით, არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს.

არჩევნებისთვის თვითმმართველ თემებში ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების სახელწოდებები და საზღვრები, №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 16 ივლისის №04/2021 განკარგულება.

[67] იქვე.

[68] „საია საკონსტიტუციო სასამართლოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის დადგენილი მაჟორიტარული ოლქების საზღვრების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 18.09.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LNniVQ, განახლებულია: 18.02.2022.

[69] კონსტიტუციური სარჩელი, ვახტანგ მენაბდე, ვასილ ჟიჟიაშვილი, გვანცა საკანელაშვილი და ნონა ქურდოვანიძე საქართველოს პარლამენტის და №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ.

საარჩევნო ოლქების საზღვრები უნდა გადაიხედოს და განისაზღვროს ხმის თანაბრობის პრინციპის დაცვით, საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობების შემცირება

ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის პარტიული სიების შექმნისა და მათი რეგისტრაციის წესებს განსაზღვრავს საარჩევნო კოდექსი.[70] პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს მის სამმაგ ოდენობას.[71] ამ სამართლებრივი რეგულირების პირობებში ადგილობრივი თვითმართველობის წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოიქმნა ოპოზიციური პარტიებისთვის პროპორციული სიების გაუქმების საფრთხე.[72] სწორედ ამიტომ, ცესკომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, რეგისტრირებულ პროპორციულ სიას არ გაუუქმდება რეგისტრაცია, თუ კანდიდატურის მოხსნის გამო, კანდიდატთა რაოდენობა კანონით დადგენილ მინიმუმზე ნაკლები აღმოჩნდება.[73]

საია პოზიტიურად აფასებს ცესკოს ამ ნაბიჯს, რამაც ხელი შეუწყო პარტიებისა და მათი წარმომადგენლების საარჩევნო უფლების რეალიზებას.

3. საარჩევნო ადმინისტრაცია

2021 წლის საარჩევნო რეფორმით, სხვა საკითხებთან ერთად, ახლებურად მოწესრიგდა სამივე დონის საარჩევნო კომისიების შემადგენლობა და წევრთა დანიშვნის წესი. ეს ცვლილებები შარლ მიშელის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების[74] ნაწილი იყო, რომლითაც უმრავლესობამ და ოპოზიციურმა პარტიებმა საარჩევნო რეფორმის გატარების ვალდებულება აიღეს.

3.1. ცენტრალური საარჩევნო კომისია

ცვლილებებით, საარჩევნო ადმინისტრაციაში, ყველა დონეზე, წევრების რაოდენობა 12-იდან 17-მდე[75] გაიზარდა. იქამდე მოქმედი საარჩევნო ადმინისტრაციის მოწყობა მმართველ პარტიას არაპროპორციულად დიდ წარმომადგენლობას და გავლენას ანიჭებდა, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ოპოზიციის უნდობლობას საა-

[70] საქართველოს ორგანული კანონი საარჩევნო კოდექსი, 142-ე და 143-ე მუხლები.
[71] იქვე, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[72] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, აგვისტო - სექტემბერი (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BA3W21, განახლებულია: 18.02.2022.
[73] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 სექტემბრის №60/2021 დადგენილება.
[74] „სამომავლო გზა საქართველოსთვის", ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 19.04.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3frBggU, განახლებულია: 15.02.2022.
[75] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი, მე-12 მუხლის მე-11 ნაწილი, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

რჩევნო პროცესისადმი. კომისიებში წევრთა რაოდენობის ზრდა პოლიტიკური პარტიების უფრო დაბალანსებული წარმომადგენლობის მიღწევას ემსახურებოდა. ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მხრიდან ეს ცვლილებები, როგორც კომპრომისული ვარიანტი, შეფასდა მისაღებად, თუმცა სასურველი იყო საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა რაოდენობის შემცირება.[76] საია იზიარებს საერთაშორისო ორგანიზაციების ამ რეკომენდაციას და მიიჩნევს, რომ აუცილებელია საარჩევნო ადმინისტრაციის ოპტიმიზაცია, განსაკუთრებით, საუბნო კომისიების დონეზე.

ახალი რეგულაციებით, ცესკოს პროფესიულ წევრებს პარლამენტი, პრეზიდენტის წარდგინებით, აბსოლუტური უმრავლესობის ნაცვლად, სრული შემადგენლობის 2/3-ით ირჩევდა. მაღალი კვორუმის შემოღება მიზნად ისახავდა კანდიდატების გარშემო კონსენსუსის ფორმირებას. ჩიხური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, ცესკოს წევრისა და თავმჯდომარის არჩევის პროცედურაში ძალაში შევიდა ანტიკრიზისული მექანიზმი. ეს ნიშნავდა, რომ, თუ პირველ ჯერზე ვერ შეგროვდებოდა ხმები, კანდიდატს მეორე (2/3 ხმების უმრავლესობით), მესამე (3/5 ხმების უმრავლესობით), მეოთხე (უბრალო უმრავლესობით) ჯერზე ეყრებოდა კენჭი. კენჭისყრებს შორის განისაზღვრა 4-კვირიანი ინტერვალი, თუმცა, გარდამავალ ეტაპზე, ეს ვადა 1 კვირამდე შემცირდა. ეს უკანასკნელი ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის ერთობლივ მოსაზრებაში უარყოფითად შეფასდა. მათი აზრით, გარდამავალ ეტაპზე კენჭისყრის პროცესის ოთხიდან ერთ კვირამდე შემცირებით, რისკის ქვეშ დგებოდა რეფორმის წარმატება საარჩევნო ადმინისტრაციაში დაბალანსებული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის კუთხით.[77] მართლაც, კანონმდებლობის გაუმჯობესების მიუხედავად, ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების შერჩევის პროცესში კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა.

1-ელ ივლისს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ თანამდებობა დატოვა.[78] მის გადადგომას საია სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად გამოეხმაურა.[79] ორგანიზაციების აზრით, არსებობდა შესაძლებლობა, ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონოდა 2021 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის ამაღლებაზე.[80] განცხადებაში ასევე აღინიშნა, რომ, პოლიტიკურ პარტიებს შორის მაქსიმალური კონსენსუსის საფუძველზე, ცესკოს ახალი თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების ვაკანტურ პოზიციებზე

[76] ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2021 წლის 18 ივნისის დასკვნა მომზადდა განახლებული საარჩევნო კანონპროექტის შესაფასებლად და იგი განხილული უნდა იყოს ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2021 წლის 30 აპრილის დასკვნასთან ერთობლიობაში, იხ. Venice Commission, OSCE/ODIHR, Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code, CDL-P (2021)011 (Strasbourg: Council of Europe, 2021), para. 19, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wCLHEX, განახლებულია: 15.02.2022.

[77] რეფორმის სამუშაო ჯგუფი, 2021 წლის არჩევნებამდე დარჩენილი მცირე პერიოდის გამო, ამგვარ მიდგომაზე შეჯერდა, იხ. Venice Commission, OSCE/ODIHR, Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code, para. 21.

[78] თამარ ჟვანიას განცხადება, თამარ ჟვანიას ოფიციალური Facebook-გვერდი, 30.07.2021, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/7YLqoWf, განახლებულია: 15.02.2022.

[79] „არჩევნებზე მომუშავე ორგანიზაციები ეხმიანებიან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 30.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jIzZ7c, განახლებულია: 15.02.2022.

[80] იქვე.

მაღალკვალიფიციური, მიუკერძოებელი, გამოცდილი პირები უნდა შერჩეულიყვნენ.[81]

1-ელ ივლისს, კანონმდებლობის შესაბამისად, პრეზიდენტმა ცესკოს ახალი თავმჯდომარის, ასევე 2 პროფესიული წევრის შესარჩევად[82] ღია კონკურსი გამოაცხადა და განკარგულებით საკონკურსო კომისია შექმნა.[83] პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კომისია 11 წევრისგან შედგებოდა, რომელთაგან 5 წარმოდგენილი იყო საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ხოლო 6 - აკადემიური სფეროდან.[84] კომისიის წევრებს შორის იყო საიაც. ორგანიზაცია საკონკურსო კომისიის საქმიანობაში პროცესის ხელშეწყობისა და მისი სანდოობის უზრუნველსაყოფად ჩაერთო.

9 ივლისს საკონკურსო კომისიამ პრეზიდენტს ცესკოს თავმჯდომარის პოზიციაზე უმრავლესობით არჩეული 2 კანდიდატი, ხოლო წევრის პოზიციაზე 5 პრეტენდენტი წარუდგინა.[85] საიამ თავმჯდომარეობის კანდიდატებიდან ხმა არცერთ მათგანს არ მისცა, ხოლო პროფესიული წევრებიდან 3-ს გამოუცხადა მხარდაჭერა.[86] კომისიის წევრმა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა[87] ასევე არცერთ კანდიდატს არ დაუჭირეს მხარი თავმჯდომარის პოზიციაზე. გამონაკლისია ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო“, რომელმაც ხმა თავმჯდომარეობის სამ კანდიდატს მისცა.[88]

საიას რეკომენდაციით, პრეზიდენტის საკონკურსო კომისია არა დამოუკიდებელი პირებით, არამედ პოლიტიკური პარტიების წევრებით უნდა დაკომპლექტდეს. მასში უნდა შევიდნენ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიები, სადაც უმრავლესობა და ოპოზიცია პარიტეტის პრინციპით იქნებიან წარმოდგენილნი. კომისიამ პრეზიდენტს კანდიდატურა სიითი შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობით უნდა წარუდგინოს.

12 ივლისს პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარეობის ორი, ხოლო წევრო-

---

[81] იქვე.

[82] ცესკოში წევრთა რაოდენობის ზრდამ ასევე წარმოშვა პარლამენტის მიერ ცესკოს 2 წევრის შერჩევის აუცილებლობა.

[83] საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 1-ლი ივლისის №/01/07/01 განკარგულება, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wNXikN, განახლებულია: 15.02.2022.

[84] იქვე.

[85] საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 1-ლი ივლისის №01/07/01 განკარგულებით შექმნილი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი, 08.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2W3OqLo, განახლებულია: 15.02.2022.

[86] „ნიკა სიმონიშვილი - ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე შერჩეული კანდიდატები იმ არჩევნებთან ასოცირდებიან, რომელმაც დიდი უნდობლობა გამოიწვია - კომისიამ მიიღო ცუდი და დაბალი სტანდარტის გადაწყვეტილება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 09.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rhEBod, განახლებულია: 15.02.2022.

[87] ეს ორგანიზაციებია: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, და „ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი“.

[88] ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატებიდან მრავალეროვანმა საქართველომ მხარი დაუჭირა სამ კანდიდატს: ლილი ბეგიაშვილს, გიორგი სანტურიანს და გიორგი კალანდარიშვილს, იხ. „მრავალეროვანი საქართველო» განცხადებას ავრცელებს, საინფორმაციო პორტალი „report.ge“, 09.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3u77Qfc, განახლებულია: 17.03.2022.

ბის ოთხი კანდიდატი წარუდგინა.[89] საკანონმდებლო ორგანომ, სამი მცდელობის მიუხედავად, ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევა ვერ შეძლო.[90] 2 აგვისტოს მე-4 მცდელობაზე, დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ცესკოს თავმჯდომარედ გიორგი კალანდარიშვილი აირჩიეს.[91] კომისიის წევრის პოზიციაზე პარლამენტის მხარდაჭერა გია ცაცაშვილმა და მაია ზარიძემ მოიპოვეს.[92] საარჩევნო კოდექსის ახალი რეგულაციების შესაბამისად, სამივე მათგანმა თანამდებობა 6 თვის ვადით დაიკავა.[93]

მნიშვნელოვანია, ხელახლა გადაიხედოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური ჩარჩო და კომისიის წევრთა დანიშვნის პროცედურები. საჭიროა, ისინი შეიცვალოს იმგვარად, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. ამასთანავე, სასურველია, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის საარჩევნო კომისია სრულად პროფესიული ნიშნით, პარტიათა შორის კონსენსუსის საფუძველზე დაკომპლექტდეს. კომისიის წევრების შერჩევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის შეთანხმებას, რაც გულისხმობს ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების შერჩევას 2/3 უმრავლესობის მხარდაჭერით.

3 აგვისტოს ცესკომ თავმჯდომარის ოპოზიციონერ მოადგილედ პარტია „ლელოს“ მიერ დანიშნული წევრი გიორგი სიორიძე აირჩია.[94]

ცვლილებებით, ცესკოს არაუმეტეს 9 წევრს პარიტეტის საფუძველზე ნიშნავენ საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიები.[95] წევრთა რაოდენობა 6-იდან 9-მდე გაიზარდა იმ პირობით, რომ თითოეულ პარტიას მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლება ექნებოდა. ძველი რედაქციით, პარტიის კვოტა წინა არჩევნებში მიღებუ-

---

[89] თავმჯდომარის პოზიციაზე პრეზიდენტმა წარადგინა გიორგი კალანდარიშვილისა და გიორგი სანტურიანის კანდიდატურები, ხოლო ცესკოს წევრების ვაკანტურ პოზიციებზე - გია ცაცაშვილი, ლელა ტალიური, თამარა სართანია და მაია ზარიძე. იხ. „პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი კალანდარიშვილისა და გიორგი სანტურიანის კანდიდატურები წარუდგინა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 12.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35eMT9l, განახლებულია: 15.02.2022.

[90] „პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარე ვერ აირჩია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 12.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3I59unx, განახლებულია: 15.02.2022; „ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატებმა პარლამენტისგან საჭირო მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 18.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3AtJTjX, განახლებულია: 15.02.2022; „ცესკოს თავმჯდომარეობის და წევრობის კანდიდატებმა პარლამენტისგან საჭირო მხარდაჭერა კვლავ ვერ მოიპოვეს“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 22.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3AvoHKe, განახლებულია: 15.02.2022; „პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ასარჩევად წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი უყარა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 26.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Aut8VL, განახლებულია: 15.02.2022.

[91] იქვე.

[92] იქვე.

[93] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი.

[94] ცესკოს 2021 წლის 3 აგვისტოს №103/2021 განკარგულება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BzeDSt, განახლებულია: 15.02.2022.

[95] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი.

ლი ხმების პროპორციულად განისაზღვრებოდა, ხოლო თითოეულ მათგანს 3 წევრზე მეტის დანიშვნა არ შეეძლო.[96] დროებითი მექანიზმის მიხედვით, თუ კვალიფიციური პარტიების რაოდენობა 9-ზე მეტია, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელსაც უფრო მეტი საბიუჯეტო დაფინანსება ეკუთვნის.[97] ოპოზიციის ნაწილმა ეს დროებითი ნორმა უსამართლოდ მიიჩნია, რადგან ის გამორიცხავდა ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ბოიკოტის შესაძლებლობას. კერძოდ, ამ რეგულაციით, ორ პარტიას - „ლეიბორისტებს“ და „ევროპულ საქართველოს“ - წაერთვათ შანსი, საარჩევნო ადმინისტრაციაში თავიანთი წარმომადგენელი დაენიშნათ. ვენეციის კომისიის შეფასებით, გაუგებარი იყო, რას ემსახურებოდა ეს ჩანაწერი, როდესაც რეგულაცია, რომელიც ადმინისტრაციის წევრის დანიშვნას საბიუჯეტო დაფინანსებასა და მანდატის ათვისებას უკავშირებდა, გაუქმდა.[98] რაც შეეხება ცვლილებების პოზიტიურ მხარეს, გაუქმდა პარტიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის წევრის დანიშვნასთან დაკავშირებული პირობები, რომლებიც პოლიტიკურ გაერთიანებას ავალდებულებდა, დაფინანსების მისაღებად პარლამენტის, სულ მცირე, ერთი წევრი ჰყოლოდა. საერთაშორისო საზოგადოებამ ამ რეგულაციის ამოღება დადებითად შეაფასა.[99]

2021 წლის არჩევნებისთვის ცესკოს შემადგენლობაში 17 წევრი შევიდა.[100] 2 აგვისტო - 13 ნოემბრის პერიოდში ცესკო რეგულარულად მართავდა სხდომებს, რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა.[101] ამან ხელი შეუწყო პროცესების გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ცესკომ, საერთო ჯამში, მიიღო 33 დადგენილება და 275 განკარგულება.[102]

3.1.1. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი

2021 წლის ცვლილებების შესაბამისად, საარჩევნო პერიოდით, ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნა. ცესკოს 29 ივლისის დადგენილებით განისაზღვრა მისი სტრუქტურა, უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხე-

[96] 2020 წლის არჩევნებისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში „ქართული ოცნება“ 3 წევრით, ხოლო „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თითო-თითო წევრით იყვნენ წარმოდგენილნი.

[97] იქვე.

[98] Venice Commission, OSCE/ODIHR, Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code, para. 26.

[99] იქვე, para. 14.

[100] აქედან 8 პარლამენტის მიერ არჩეული პროფესიული წევრი: გიორგი კალანდარიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი შარაბიძე (თავმჯდომარის მოადგილე), გიორგი ჯავახიშვილი (კომისიის მდივანი), გიორგი ძაგანია (ცესკოს წევრი), დიმიტრი ჯავახაძე (ცესკოს წევრი), გიორგი ჭიქაბერიძე (ცესკოს წევრი), გია ცაცაშვილი (ცესკოს წევრი), მაია ზარიძე (ცესკოს წევრი) და 9 პარტიის მიერ დანიშნული: გიორგი სიორიძე (თავმჯდომარის მოადგილე, პ/გ „ლელო“), არჩილ ანასაშვილი (ცესკოს წევრი, პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“), ანა კობახიძე (ცესკოს წევრი, პ/გ „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“), ია პირტახია (ცესკოს წევრი, პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“), დავით ჯინჯოლავა (ცესკოს წევრი, პ/გ „ევროპული საქართველო“), ნინო ბასილაია (ცესკოს წევრი, პ/გ „ევროპელი სოციალისტები“), დავით კირთაძე (ცესკოს წევრი, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ივანე ნორაკიძე (ცესკოს წევრი, პ/გ „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“), ლევან ჯგერენაია (ცესკოს წევრი, პ/გ „გირჩი“).

[101] იქვე.

[102] იქვე.

ბი.[103] 13 აგვისტოს განკარგულებით კი დამტკიცდა მისი შემადგენლობა.[104]

საკონსულტაციო ჯგუფი უფლებამოსილია, ცესკოს წარუდგინოს რეკომენდაციები საარჩევნო დავების განხილვასთან დაკავშირებით, მათ შორის, განხილვის პროცედურის, მასალების მოძიების ან/და სათანადო მტკიცებულების გამოკვლევის თაობაზე.[105] ჯგუფის თავმჯდომარეს ან მის მიერ განსაზღვრულ წევრს შეუძლია, საკუთარი ინიციატივით დაესწროს საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის პროცესს.[106]

ცესკოს დადგენილებით განისაზღვრა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კვოტა, რომლის მიხედვითაც, საკონსულტაციო ჯგუფის წევრობის არანაკლებ 7 და არაუმეტეს 11 კანდიდატს ურთიერთშეთანხმებით (კონსენსუსით) შეარჩევენ ბოლო სამი საერთო არჩევნებისას ცესკოში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები.[107] საიამ თავიდანვე თქვა უარი ამ პროცესში მონაწილეობაზე. თავდაპირველი რედაქციით, ჯგუფის წევრების შერჩევა სრული კონსენსუსით უნდა მომხდარიყო, თუმცა 6 აგვისტოს ცესკომ დადგენილებაში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, თუ შეთანხმება ვერ მიიღწეოდა, ხელახალ კენჭისყრაზე არჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერდა ამ ორგანიზაციების სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.[108] საია ამ გადაწყვეტილებას უარყოფითად აფასებს და მიიჩნევს, რომ ჯგუფის სანდოობისთვის უმჯობესი იყო ძველი წესის შენარჩუნება.[xii]

ცესკოს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება გახდა ერთ-ერთი წინაპირობა არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილისთვის, საკონსულტაციო ჯგუფის შერჩევის პროცესი დაეტოვებინათ. კერძოდ, 8 აგვისტოს მას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ გამოეთიშნენ.[109] მათი პოზიციით, საკონსულტაციო ჯგუფის წევრების შესარჩევად მოწვეული ორგანიზაციების შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების წესი ვერ უზრუნველყოფდა კვალიფიციური და სანდო ადამიანების შერჩევას კონსენსუსის საფუძველზე.[110]

13 აგვისტოს ცესკომ განკარგულებით დაამტკიცა საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენ-

---

[103] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის №44/2021 დადგენილება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონსულტაციო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oCTF0C, განახლებულია: 15.02.2022.

[104] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 აგვისტოს №156/2021 განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BClWbN, განახლებულია: 15.02.2022.

[105] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის №44/2021 დადგენილება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონსულტაციო ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ.

[106] იქვე.

[107] იქვე.

[108] იქვე, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

[109] „ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის დაკომპლექტების პროცესს „საერთაშორისო გამჭვირვალობა» და „სამართლიანი არჩევნები» ტოვებენ“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ოფიციალური ვებგვერდი, 08.08.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JF5VEN, განახლებულია: 15.02.2022.

[110] იქვე.

ლობა (12 წევრი),[111] თუმცა მან ფუნქციონირება ვერ შეძლო და 2021 წლის 19 სექტემბერს დაიშალა.[112] ცესკომ კი მისი შექმნის შესახებ განკარგულება ძალადაკარგულად გამოაცხადა.[113] დაშლის მიზეზი გახდა ჯგუფის წევრების მიერ ცესკოში შეტანილი განცხადებები მისი დატოვების თაობაზე.[114] კანონმდებლობის მიხედვით, საკონსულტაციო ჯგუფი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 9 წევრისგან.[115] 19 სექტემბრის მდგომარეობით კი, მასში მხოლოდ 6 წევრი იყო, რაც დადგენილ მინიმუმზე ნაკლებია. ამასთანავე, მისი შემადგენლობა მტკიცდება არჩევნების დანიშვნიდან 10 დღის ვადაში,[116] რაც შეუძლებელს ხდის ახალი ჯგუფის შექმნას.

3.2. საოლქო საარჩევნო კომისიები

საარჩევნო რეფორმის შედეგად, საოლქო საარჩევნო კომისიები შერეული პრინციპით კომპლექტდება, სადაც პროფესიული ნიშნით შერჩეულ 8 წევრს ნიშნავს ცესკო, ხოლო დანარჩენ 9-ს - პარტიები.[117] პროფესიული 5 წევრი 5 წლის ვადით, ხოლო 3 - დროებით, შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე იკავებს ამ თანამდებობას.[118] არჩევნების დანიშვნის შემდეგ გამოცხადებულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსზე საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღე.[119] კანონმდებლობა კანდიდატებთან გასაუბრების ვალდებულებას არ ითვალისწინებს.

2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების მიხედვით, კანონმდებლობაში აისახა საოლქო კომისიის წევრების ხმათა 2/3 უმრავლესობით არჩევის წესი.[120] საარჩევნო კოდექსით დამატებით განისაზღვრა ანტიკრიზისული მექანიზმი, რომლის თანახმად, თუ პირველ ჯერზე ვერ შეგროვდება ხმების 2/3, მომდევნო კენჭისყრაზე კანდიდატს სრული უმრავლესობით აირჩევენ.[121] ანტიკრიზისული მექანიზმი 19 აპრი-

---

[111] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 აგვისტოს №156/2021 განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2X7gopE, განახლებულია: 15.02.2022.

[112] ყრუაშვილი ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №24, სექტემბერი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 10, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lqEDbq, განახლებულია: 13.06.2022.

[113] ცესკოს №285/2021 განკარგულება, „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 13 აგვისტოს №156/2021 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3AtXGqY , განახლებულია: 15.02.2022.

[114] ყრუაშვილი ნ. საინფორმაციო ბიულეტენი №24, სექტემბერი, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 10, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lqEDbq, განახლებულია: 13.06.2022.

[115] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-16^1 მუხლის 1-ლი ნაწილი.

[116] იქვე.

[117] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილი.

[118] იქვე, მე-19 მუხლის მე-5 ნაწილი.

[119] იქვე, მე-20 მუხლის მე-12 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

[120] „სამომავლო გზა საქართველოსთვის", ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HcAWi4, განახლებულია: 15.02.2022.

[121] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-20 მუხლის მე-16 ნაწილი.

ლის შეთანხმებით არ იყო გათვალისწინებული, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობამ ამ ჩანაწერის არგუმენტად პროცესის ხელოვნურად შეფერხების შესაძლებლობის გამორიცხვა დაასახელა, რაც ხშირად გამოყენებული, მაგრამ არასაკმარისი არგუმენტია შეთანხმებისთვის გვერდის ასავლელად.

76 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 1 255. აქედან 380 იყო მუდმივი, ცესკოს მიერ ხუთი წლის ვადით, არანაკლებ 2/3-ით არჩეული წევრი; 219 - დროებითი წევრი (საარჩევნო პერიოდში, არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დროის მონაკვეთით არჩეული); ხოლო 656 - დროებითი წევრი, რომლებიც ცხრა უფლებამოსილმა პარტიამ დანიშნა.[122] მეორე ტურისთვის 40 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა შეადგენდა 680-ს. აქედან 200 იყო ცესკოს მიერ არჩეული მუდმივმოქმედი წევრი, 120 - დროებითი და 360 - პარტიების მიერ დანიშნული.[123]

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შერჩევა სწორედ რეფორმირებული კანონმდებლობის შესაბამისად მოხდა. უფრო კონკრეტულად:

1. ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსი 3 აგვისტოს გამოაცხადა.[124] 219 ვაკანტურ თანამდებობაზე მან სულ 377 განაცხადი მიიღო.[125] 7-მა კონკურსანტმა არ წარმოადგინა შესწორებული დოკუმენტაცია ხარვეზის დადგენის შემდეგ. შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობა 370-მა პირმა განაგრძო.[126]

2. ცესკოს მონაცემებით, თითოეულ საოლქო კომისიაში 3 ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატთა განაცხადების რაოდენობა ასეთი იყო: 12 საოლქო კომისიაში - სამ-სამი, 20-ში - ოთხ-ოთხი, 16-ში - ხუთ-ხუთი, 9-ში - ექვს-ექვსი, 11-ში - შვიდ-შვიდი, 4-ში - რვა-რვა და 1 კომისიაში - თერთმეტი კანდიდატი.[127] როგორც ზემოთ აღინიშნა, 12 ოლქში შევიდა ზუსტად იმდენი განაცხადი, რამდენი ვაკანტური ადგილიც იყო, რაც ნიშნავს, რომ აქ შერჩევის პროცესი რეალური კონკურენციის გარეშე წარიმართა. ამის მიზეზი, შესაძლოა, სხვადასხვა ფაქტორი ყოფილიყო. ერთ-ერთია, წინა არჩევნებთან შედარებით, ვაკანსიების რაოდენობის სამჯერ გაზრდა. თუმცა,

[122] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JFy2nx, განახლებულია: 15.02.2022.

[123] იქვე.

[124] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 აგვისტოს №102/2021 განკარგულება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსების გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3t4kCdM, განახლებულია: 15.02.2022.

[125] „სტატისტიკური ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების არჩევასთან დაკავშირებით“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 9 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DjOpUz, განახლებულია: 15.02.2022.

[126] იქვე.

[127] იქვე.

ასევე გასათვალისწინებელია განაცხადის წარდგენის უაღრესად მოკლე ვადა, რაც არ იძლეოდა ინფორმაციის სათანადოდ გავრცელებისა და ამ ინფორმაციის ადრესატების მხრიდან შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობას. კანდიდატთა განცხადებები მიიღებოდა 2 დღის განმავლობაში, 2021 წლის 4 აგვისტოდან 2021 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით, 18:00 საათამდე.[128]

3. კომისიის წევრებმა 2 დღეში შეისწავლეს 370 განაცხადი, ხოლო 7 აგვისტოს რეგიონებში გაემგზავრნენ და გასაუბრებები გამართეს.[129] ისინი გაიყვნენ და 1 დღეში ინდივიდუალურად გაესაუბრნენ 180 კანდიდატს. პროცესში მონაწილეობდა ცესკოს 14 წევრი,[130] როგორც პროფესიული, ასევე პარტიების მიერ დანიშნული.[131] კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში გასაუბრება Facebook-ის საშუალებით, პირდაპირი ჩართვის რეჟიმში გადაიცემოდა.[132] ცესკოს წევრების ინიციატივა, კანდიდატებს გასაუბრებოდნენ და ეს პროცესი მაქსიმალურად ღიად წარემართათ, პოზიტიურად უნდა შეფასდეს. იმავდროულად, საია კვლავ ამახვილებს ყურადღებას დროის დეფიციტზე. ორ დღეში 370 განაცხადის განხილვა და 180 გასაუბრების ორგანიზება არაგონივრულია, ხოლო ცესკოს წევრებს შორის კანდიდატების განაწილება და გასაუბრების ცალ-ცალკე ჩატარება ასევე არ არის ეფექტიანი. ასეთი პროცედურის შემდეგ კომისიის წევრები კონკრეტულ კანდიდატებთან მიმართებით ინფორმაციულად არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც, გარდა იმისა, რომ, თავისთავად, პრობლემაა, ასევე ხელს უშლის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის შეთანხმების მიღწევას.

4. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ დანიშნულმა კომისიის წევრებმა საოლქოების დაკომპლექტებაში მონაწილეობა არ მიიღეს. ისინი კანდიდატების სიიდან საჯარო სექტორში, ადგილობრივი თვით-

---

[128] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 აგვისტოს №102/2021 განკარგულება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსების გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ.

[129] „ცესკოს წევრები საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრობის კონკურსანტებთან გასაუბრებებს გამართავენ“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 6 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2UGI4Rx, განახლებულია: 15.02.2022.

[130] პარტიების - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ მიერ დანიშნულმა კომისიის წევრებმა საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესს პროტესტი გამოუცხადეს. მათ არც გასაუბრებებზე და არც კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ხოლო ცესკოს პროფესიული წევრი დიმიტრი ჯავახაძე არ ესწრებოდა გასაუბრებებს პირადი საპატიო მიზეზით, თუმცა კენჭისყრაში მონაწილეობდა.

[131] გასაუბრებები ჩაატარეს ცესკოს წევრებმა: ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძე, ცესკოს მდივანი გიორგი ჯავახიშვილი, ცესკოს წევრი გიორგი ძაგანია, ცესკოს წევრი გიორგი ჭიქაბერიძე, ცესკოს წევრი გია ცაცაშვილი, ცესკოს წევრი მაია ზარიძე, ცესკოს წევრი დიმიტრი ჯავახაძე, ნინო ბასილაია (პ/გ „ევროპელი სოციალისტები»), ლევან ჯგერენაია (პ/გ „გირჩი»), ია პირტახია (პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები»), ივანე ნორაკიძე (პ/გ „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები»), არჩილ ანასაშვილი (პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“), ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი სიორიძე (პ/გ „ლელო საქართველოსთვის“), ანა კობახიძე (პ/გ „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი»).

[132] „ცესკოს წევრები საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრობის კონკურსანტებთან გასაუბრებებს გამართავენ“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 6 აგვისტო.

მმართველობის ორგანოებსა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებული პირების გაცხრილვას მოითხოვდნენ.[133] დავით კირთაძის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) მოსაზრებით, კომისიის გაყოფა და წევრების მიერ გასაუბრების ინდივიდუალურად ჩატარება არ იყო ეფექტიანი გზა. ეს პოზიცია დავით ჯინჯოლავამაც („ევროპული საქართველო“) გაიზიარა. მისი თქმით, იმ პირობებში, როდესაც კომისია კანონმდებლობით არ არის ვალდებული, გასაუბრება ჩაატაროს, ხოლო კანდიდატთა ნაწილი არ გამოცხადდა გასაუბრებაზე, შეუძლებელი იყო რეალური შეფასების გაკეთება.[134] მათ არცერთი კანდიდატისთვის ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა არ მიიღეს. საიასთვის ბოლომდე ნათელი არ არის, რატომ იყო ეს არგუმენტები საკმარისი პროცესის ბოიკოტირებისთვის, მაშინ, როდესაც ოპოზიციური პარტიების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოზიტიური წვლილის შეტანა შეეძლო.

5. მთლიანობაში, პროცესის შედეგად შერჩეული 218 კანდიდატიდან 105-მა ცესკოს წევრთა 2/3-ის მხარდაჭერა (12 ან მეტი ხმა) მიიღო,[135] ხოლო 113 წევრი შეირჩა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ან მეტით, მაგრამ არა 2/3-ით (9-11 ხმა).[136] აღსანიშნავია, რომ ყველა კანდიდატი, რომელსაც პარტია „ქართული ოცნების“ დანიშნულმა წევრმა დაუჭირა მხარი, საბოლოოდ შეირჩა კომისიის წევრად (თუ მათ პირველ ტურში ვერ მიიღეს საკმარისი ხმები, ეს მხარდაჭერა მეორე ტურში ჰქონდათ).[137]

ამრიგად, კანდიდატების ნახევარი პროფესიულ წევრებს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების საფუძველზე დაინიშნა. მართალია, ამ უკანასკნელის ნაწილს შერჩევაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კონსენსუსზე ორიენტირებული მიდგომით გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია. შესაბამისად, არ არის იმის რეალური საჭიროება, რომ საოლქოს წევრები უფრო დაბალი კვორუმის პირობებში აირჩნენ. **ამიტომ, უნდა გაუქმდეს საოლქო საარჩევნო კომისიის პროფესიული წევრების დაკომპლექტების პროცედურაში ანტიკრიზისული მექანიზმი, ვინაიდან ის ხელს უშლის შეთანხმებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნის მიღწევას და აბრკოლებს კონსენსუსზე დაფუძნებულ პროცესს.**

გარდა ამისა, აუცილებელია, მოიხსნას საკანონმდებლო ბარიერები საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ვადებთან დაკავშირებით. შესარჩევი კონკურსი კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე უნდა გამოცხადდეს, ხოლო განაცხადის მიღებისა და განხილვის ვადები გაიზარდოს. დაინტერესებულ პირებს უნდა მიეცეთ გონივრული დრო, კომისიის წევრობაზე განაცხადი შეიტანონ, ხოლო კომისიას - შესაძლებლობა, რომ ისინი მშვიდ გარემოში განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს.

---

[133] ცესკოს სხდომა, 00:49 წუთზე - დავით კირთაძის გამოსვლა, 00:55 წუთზე - დავით ჯინჯოლავას გამოსვლა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 8 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Ba5rCF, განახლებულია: 15.02.2022.

[134] იქვე.

[135] პირველ კენჭისყრაზე 98-მა კანდიდატმა მიიღო 12 ან მეტი ხმა, 7-მა კანდიდატმა მეორე კენჭისყრაზე მიიღო 12 ან მეტი ხმა.

[136] მეორე კენჭისყრაზე კანდიდატებმა მიიღეს 9 ხმა და მეტი.

[137] იხ. დანართი №1.

ეს, საერთო ჯამში, ხელს შეუწყობს უფრო სამართლიანი და კონკურენტული პროცესის წარმართვას. შემჭიდროებულ ვადებთან დაკავშირებული პრობლემა აქტუალურია საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროსაც, რაზეც შემდეგ თავშია საუბარი.

3.3. საუბნო საარჩევნო კომისიები

თვითმმართველობის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსი 8 აგვისტოს გამოცხადდა. მსურველთა აპლიკაციები საკმაოდ მცირე ვადით, 9-იდან 12 აგვისტოს ჩათვლით მიიღებოდა.[138] კანონმდებლობის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის 8 პროფესიულ წევრს შესაბამისი საოლქო კომისია ირჩევს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, იმ პირობით, თუ კანდიდატურას ხმას მისცემს, მათ შორის, ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის 3 წევრი მაინც.[139] თუ ის საჭირო ხმებს ვერ დააგროვებს, ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც მხარს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა დაუჭერს (5 მუდმივი პროფესიული წევრიდან 3-ის მხარდაჭერის მოთხოვნა აქაც ვრცელდება).[140]

ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, 73 საარჩევნო ოლქის 3 664 საარჩევნო უბანზე არსებულ 29 312 ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილეობის მსურველთა 31 483 განცხადება შევიდა.[141]

- 2 153 საარჩევნო უბანზე (58,76 %) - 8 ვაკანსიაზე შევიდა მხოლოდ 8 განაცხადი;
- 891 საარჩევნო უბანზე (24,32%) - 9 განაცხადი;
- 539 საარჩევნო უბანზე (14,71%) - 9-ზე მეტი.

განაცხადების სიმცირის პრობლემა იყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც. დაბალი კონკურენციის პირობებში მცირდება საუბნო საარჩევნო კომისიების მაღალპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების შესაძლებლობა.

საოლქოების მსგავსად, საუბნო კომისიების წევრთა არჩევაც შემჭიდროებულ ვადებში, 14-იდან 17 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა.[142] დრო, რომელიც კანონმდებლობით არის განსაზღვრული, მცირეა ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელების, მიღებული განაცხადების შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის.

---

[138] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 აგვისტოს №97/2021 განკარგულება მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38AIV9K, განახლებულია: 15.02.2022.

[139] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[140] იქვე, 25-ე მუხლის მე-11 ნაწილი.

[141] „საინფორმაციო განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BupYSm განახლებულია: 15.02.2022.

[142] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 აგვისტოს №97/2021 განკარგულება მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

სასურველია, გაიზარდოს როგორც განაცხადების მიღების, ასევე მათი დამუშავების პერიოდი, ხოლო ეს პროცესი არ უნდა იყოს დამოკიდებული არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების თარიღზე. ამაზე საუბრობს ეუთოც, რომელიც მიიჩნევს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე განაცხადების შეტანისა და განხილვისთვის დადგენილი ვადები უნდა გახანგრძლივდეს.[143]

საარჩევნო კანონმდებლობით, შერჩევის პროცედურაში მონაწილეობა ეკრძალება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, თუ ის არის შესაბამისი საუბნო კომისიის წევრობის კანდიდატის ოჯახის წევრი.[144] ცესკოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, საოლქო საარჩევნო კომისიის 145 წევრი, ნათესაური კავშირის გამო, არჩევის პროცესში არ მონაწილეობდა.[145]

2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ასევე გამოირიცხა იმ პირის არჩევა პროფესიული ნიშნით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად, რომელიც წინა საერთო არჩევნებზე კომისიაში პარტიის მიერ იყო განწესებული.[146] 903 კონკურსანტი შერჩევის პროცესს გამოეთიშა, რადგან ბოლო საერთო არჩევნებზე ისინი პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრები იყვნენ.[147] შედეგად, ამ წესის დარღვევით არცერთი წევრი არ არჩეულა.

საერთო ჯამში, საქართველოს მასშტაბით საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შექმნილი 3 664 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა შეადგენდა 63 105-ს. მათ შორის, შესაბამისმა საოლქო კომისიებმა, სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, სახელობითი კენჭისყრის საფუძველზე აირჩიეს 31 848 წევრი, ხოლო ცხრა უფლებამოსილმა პარტიამ დანიშნა 31 257 მათგანი.

საუბნო საარჩევნო კომისიების 29 086 წევრიდან 25 730 (88.46%) აირჩიეს მაღალი კვორუმით (12 ან მეტი ხმით),[148] 3330 (11.44%) - 10 ან 11 ხმით, მინიმალური მხარდაჭერით (9 ხმით) კი მხოლოდ 26 წევრი (0.089%) შეირჩა.[149]

პოზიტიურად უნდა შეფასდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მონდომება, მაქსიმალურად სწრაფად გაესაჯაროებინა კონკურსანტების შერჩევის პროცესის შედეგად სტატისტიკურ მონაცემებში გამოვლენილი ტენდენციები.

ცესკოში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა არაერთი საჩივარი შევიდა, სადაც ისინი მიუთითებდნენ, რომ ათობით კანდიდატის განცხადება ერთი და იმავე ელექტრონული ფოსტის მისამართიდან იყო

---

[143] ეუთოს 2020 წლის ანგარიში, გვ. 17.

[144] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[145] „საინფორმაციო განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BupYSm, განახლებულია: 15.02.2022.

[146] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[147] „საინფორმაციო განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 აგვისტო.

[148] იქვე.

[149] იქვე. 17 ხმით აირჩიეს საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრი; 16 ხმით - 5 წევრი; 15 ხმით - 719 წევრი; 14 ხმით - 4 102 წევრი; 13 ხმით - 9 391 წევრი; 12 ხმით - 11 511 წევრი; 11 ხმით - 2 872 წევრი; 10 ხმით - 458 წევრი.

გადმოგზავნილი,[150] ხოლო ხელით დაწერილი განცხადებების ნაწილი ასევე ერთი კალიგრაფიით იყო შესრულებული.[151] ცესკომ მიიჩნია, რომ საჩივრებში დასახელებული ფაქტები არ განეკუთვნებოდა ისეთ გარემოებებს, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიებს ამ პირების არჩევის უფლებას შეუზღუდავდა.[152] საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილება კანონშესაბამისია, თუმცა გაუგებარია, რატომ ვერ შეძლეს კანდიდატებმა, თავად შეევსოთ განცხადებები ან საკუთარი ელექტრონული ფოსტით ესარგებლათ. გამოკვეთა კიდევ ერთი პრობლემა - კონკურსში მონაწილეობის შესახებ რამდენიმე განცხადებაზე არსებული ხელმოწერები ერთმანეთს ჰგავდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ საჩივრის მიხედვით,[xiii] მათ კომისიის წევრებს ზოგ შემთხვევაში არ ჰქონდათ განცხადებების სრულყოფილად გაცნობის შესაძლებლობა.[153] ცესკომ ის არ დააკმაყოფილა. თუმცა, განკარგულებაში, რომლითაც მან რამდენიმე, მათ შორის, ამ საჩივარზე მიიღო გადაწყვეტილება,[xiv] მოტივაცია აღნიშნული არ არის.[154]

საია ცესკოს მოუწოდებს, ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტისას მკაფიოდ მიუთითოს იმ არგუმენტებზე, რომლებსაც მისი აქტის სარეზოლუციო ნაწილი ეყრდნობა.

4. ელექტრონული არჩევნები

მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც 2021 წლის საარჩევნო რეფორმა ითვალისწინებდა, 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა იყო. ცესკოს მიენიჭა უფლებამოსილება, ამომრჩეველთა რეგისტრაციის, ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურები ელექტრონული საშუალებებით განეხორციელებინა.[155] ამ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წესი, პირობები და საარჩევნო ოლქების ჩამონათვალი ცესკოს დადგენილებით განისაზღვრა.[156]

---

[150] საჩივრები ხელმისაწვდომია: №80 საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/3lOZC7x; №1 საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/3nRrnPt; №60 საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/39u6dOI; №2 საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/2Z7PJKj; №79 საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/3ztcfdd; №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/3AtB8qv; განახლებულია: 15.02.2022.

[151] საჩივრები ხელმისაწვდომია: №80 საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/3lOZC7x; №60 საარჩევნო კომისია - https://bit.ly/39u6dOI; №2 საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/2Z7PJKj; №79 საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/3ztcfdd; №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/3AtB8qv; განახლებულია: 15.02.2022.

[152] იქვე.

[153] საჩივრები ხელმისაწვდომია: №80 საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/3lOZC7x, განახლებულია: 27.09.2021; №1 საოლქო საარჩევნო კომისია - https://bit.ly/3nRrnPt, განახლებულია: 15.02.2022.

[154] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №180/2021 განკარგულება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლების საოლქო საარჩევნო კომისიებში 2021 წლის 17 აგვისტოს საჩივრების (ცესკოში რეგისტრაციის ნომრები: 2700; 2701; 2702; 2703; 2704; 2705; 2706; 2707; 2708; 2709; 2710; 2711) შესახებ.

[155] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203^2-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[156] იქვე, მე-2 ნაწილი.

ელექტრონული არჩევნების პირველი სიმულაცია

2021 წლის 12 ივნისს ცესკომ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნების სიმულაცია გამართა.[157] კენჭისყრას დააკვირდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და მედიის წარმომადგენლები.[158] საია პროცესში დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთო და სრულად დააკვირდა კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას.

სიმულაციაზე შემდეგი მთავარი სიახლეები იყო წარმოდგენილი:

- სახის ამომცნობი პროგრამა. უბანზე მისული ამომრჩევლის იდენტიფიცირება ხდებოდა სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით (მისი მიზანი იყო უბანში არარეგისტრირებული ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემისა და ე.წ. კარუსელის გამორიცხვა);
- მოდიფიცირებული საარჩევნო ბიულეტენი. ახალ ბიულეტენს გააჩნდა სპეციალური კოდი, ხოლო მისი იდენტიფიცირება სპეციალური წამკითხველის მეშვეობით იყო შესაძლებელი (მისი მიზანი იყო ბიულეტენის უკანონოდ შეცვლა/გატანის თავიდან აცილება);
- სპეციალური ბეჭედი. ხმის მიცემა ხდებოდა სპეციალური ბეჭდის მეშვეობით, რომელსაც ამომრჩეველი სვამდა სასურველი სუბიექტის გასწვრივ;
- საუბნო საარჩევნო კომისიაში განთავსდა სპეციალური ეკრანი, რომლის საშუალებითაც უბანზე მყოფ პირებს შეეძლოთ, თვალი ედევნებინათ მისული ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციისთვის, კერძოდ, ეკრანზე ჩანდა მისი ვინაობა და რამდენი წუთი გაატარა უბანზე;
- ბიულეტენების დათვლისას ხდებოდა ვიდეოგადაღება და ბიულეტენების სკანირება.

ნაკადის მარეგულირებელი, რეგისტრატორი და ყუთის ზედამხედველი პლანშეტებით აღიჭურვნენ. უბნის გახსნისას პირველი სამი ამომრჩეველი რეგისტრატორის პლანშეტში ვერ მოიძებნა. მათ მხოლოდ მას შემდეგ შეძლეს რეგისტრაციის გავლა, რაც IT სპეციალისტმა პროგრამა გადატვირთა.

ნაკადის მომწესრიგებელი პირი, პლანშეტის მეშვეობით, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა ამომრჩევლის იდენტიფიცირებას და, მეორე მხრივ, მასვე ევალებოდა მარკირების შემოწმება. დიდი დატვირთვის გამო, მას ხშირად უჭირდა ამ ორი ფუნქციის შეთავსება.

სახის ამომცნობი პროგრამა ამომრჩევლის იდენტიფიცირებას ჯერ პირადი ნომრით და შემდგომ სახის სკანერის მეშვეობით ახდენდა. სახის ამოცნობისას მხოლოდ 80%-იანი შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში შეეძლო ამომრჩეველს უბანზე შესვლა. გამოვლინდა ერთეული ფაქტი, როდესაც ამომრჩევლის ფოტო პროგრამაში ვერ მოიძებნა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სიაში ფიქსირდებოდა.

---

[157] ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 12 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kfNayl, განახლებულია: 23.03.2022.
[158] იქვე.

შეიცვალა ყუთის ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქცია. მას უწევდა ელექტრონული ბიულეტენის QR კოდის დასკანერება, რის შემდეგად ამომრჩეველი ბიულეტენს ყუას ახევდა და თავადვე აგდებდა ყუთში. ეს პროცესი არსებითი დარღვევების გარეშე წარიმართა. ზედამხედველებმა საქმეს თავი კარგად გაართვეს, თუმცა საარჩევნო ყუთთან ზოგჯერ რიგები შეინიშნებოდა.

კენჭისყრის პროცესი, პარალელურად, დიდ ეკრანზე გადაიცემოდა (იხ. ფოტომასალა). თითოეულ ამომრჩეველ ხმის მისაცემად, საშუალოდ, 3-4 წუთი სჭირდებოდა.

მთვლელებმა ხმები ტრადიციული მეთოდით დათვალეს, რის შემდეგაც შემაჯამებელი ოქმები IT სპეციალისტმა დაასკანერა. მიმდინარეობდა პროცესის ვიდეოგადაღება სპეციალური მოწყობილობის მეშვეობით. საერთო ჯამში, ხმის დათვლის ეტაპზე მნიშვნელოვანი ხარვეზი არ გამოვლენილა.



ელექტრონული არჩევნების სიმულაციაზე დაკვირვების შედეგად, საიამ ცესკოს წარუდგინა რეკომენდაციები, რომელთა მიხედვით, სასურველია: ა) პილოტირებისას ყველა უბანზე IT მომსახურება იყოს უზრუნველყოფილი; ბ) გადაიხედოს საუბნო კომისიის წევრების ფუნქციები; გ) ყურადღება დაეთმოს საუბნო კომისიების წევრების გადამზადებას; დ) ტექნოლოგიებმა არ გამორიცხოს ადამიანური ფაქტორი; ე) გაანალიზდეს ამომრჩევლის ნების კონტროლის რისკები. ეუთო/ოდირის და ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, ელექტრონული ტექნოლოგიების პილოტირებისას, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს დროის ფაქტორს, შესაბამისად, ზოგიერთი ტექნოლოგიის გამოყენება შეიძლება მიზანშეწონილი იყოს შემდეგი არჩევნებისთვის.[159]

ელექტრონული არჩევნების მეორე სიმულაცია (კრწანისი)

ცესკომ 2021 წლის 22 სექტემბერს კიდევ ერთი სიმულაცია გამართა.[160] საპილოტედ კრწანისის საარჩევნო ოლქში მდებარე №75 სკოლის შენობა შეირჩა. კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად საარჩევნო სიაში 823 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. საიამ იმიტირებული კენჭისყრის პროცესზე ერთი დამკვირვებელი და რამდენიმე ამომრჩეველი წარადგინა.

კენჭისყრის დასაწყისში შეიმჩნეოდა არეულობა და რიგები, თუმცა ეს მალევე გამოსწორდა. გარკვეული დრო სჭირდებოდა ამომრჩევლების ინსტრუქტაჟს ახალ წესებთან დაკავშირებით, თუმცა ისინი მითითებებს ზუსტად ასრულებდნენ.

ელექტრონული არჩევნების პილოტის ამ სიმულაციაზე წარმოდგენილი იყო გარკვეული სიახლეები, რომლებიც წინა ჯერზე გამოყენებული ტექნოლოგიებისგან განსხვავდებოდა. კერძოდ:

- **განსხვავებული დიზაინის ბიულეტენი და ხმის მიცემის წესი.** ერთ ბიულეტენში სამ სვეტად იყო მოცემული პროპორციული, მერის და მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილე კანდიდატები. ამომრჩევლები, ნაცვლად საარჩევნო ნომრის შემოხაზვისა, კანდიდატის გასწვრივ არსებულ წრეებს სპეციალური მარკერის საშუალებით აფერადებდნენ. ბიულეტენზე დატანილი იყო სატესტო გასაფერადებელი ადგილი. ის ისევე დაცული იყო სპეციალური ბარკოდით, რაც იმის გარანტიას ქმნიდა, რომ აპარატი მხოლოდ ამ უბნისთვის განკუთვნილ ბიულეტენებს მიიღებდა. იმ შემთხვევაში, თუ წრე არასათანადოდ იქნებოდა გაფერადებული, ან ბიულეტენი გადაკეცილ მდგომარეობაში მოთავსდებოდა მიმღებ ჭრილში, აპარატი მას უკან აბრუნებდა შესაბამისი მიზეზის ეკრანზე მითითებით. აპარატი ორ ძირითად შემთხვევაში მიიჩნევდა ბიულეტენებს ბათილად: თუ ერთ სვეტში ერთზე მეტი რაოდენობა იყო მონიშნული, ან - თუ საერთოდ არ იყო;
- **განსხვავებული დიზაინის საარჩევნო ყუთი.** საარჩევნო ყუთზე სპეციალური

[159] Venice Commission, OSCE/ODIHR, Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code, para. 16.
[160] 2 ოქტომბრის არჩევნებში ხმის ელექტრონულად დათვლის საპილოტე პროექტი - კრწანისის საარჩევნო ოლქში იმიტირებული არჩევნები ჩატარდა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდი, 2021 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lnJpXQ, განახლებულია: 23.03.2022.

პლასტმასის ლუქით იყო მიმაგრებული ელექტრონული ხმის დამთვლელი აპარატი, რომელიც ბიულეტენს ასკანერებდა და ყუთში თვითონვე ათავსებდა. ბიულეტენის მიმღებ ჭრილში მოთავსებიდან აპარატს დაახლოებით 5-10 წამი სჭირდებოდა, რომ მიცემული ხმა დაეფიქსირებინა. კომისიის წარმომადგენლები ამომრჩევლებს სწორედ ამ დროით აყოვნებდნენ აპარატთან, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ მათი ხმა მიღებულია. აღსანიშნავია, რომ ბიულეტენი აპარატში თავსდება ამობრუნებული სახით, რაც აპარატის მიერ მისი უკან დაბრუნების შემთხვევაში ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას გამორიცხავს;

- **ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების ახალი წესები.** საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ჰქონდა სპეციალური ელექტრონული ჩიპი და კოდი, რომელიც აუცილებელი იყო ნულოვანი ანგარიშის დასაბეჭდად. აპარატიდან ნულოვანი ანგარიშის ამოღებით დასტურდებოდა, რომ ხმის მიცემა ნულიდან იწყებოდა. შედეგების დასათვლელად აპარატს სულ 2-3 წუთი სჭირდებოდა, რაც მოიცავდა ელექტრონული გასაღების, სპეციალური კოდის გამოყენებას და შედეგების ამობეჭდვას. აღსანიშნავია, რომ აპარატის მიერ ამობეჭდილ შედეგებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. კენჭისყრის სიმულაციაზე აპარატის მიერ ამობეჭდილი მონაცემების სისწორის შესამოწმებლად ბიულეტენები ხელით გადაითვალა და აპარატის შედეგებთან შედარდა. მათ შორის 100%-იანი შესაბამისობა დადგინდა.

ელექტრონული ტექნოლოგიების პილოტირება 2 ოქტომბრის არჩევნებზე

2021 წლის 3 სექტემბერს ცესკომ მიიღო დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა 2 ოქტომბრის არჩევნებზე უბანზე მისულ ამომრჩეველთა რეგისტრაცია, ხმის მიცემა, ხმის დათვლა და შეჯამების პროცედურები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. კონკრეტულად:

- **განსხვავებული დიზაინის საარჩევნო ბიულეტენი.** ბიულეტენი დაყოფილია იმდენ სვეტად, რამდენი სახის არჩევნებიც ტარდება. მას გააჩნია (დაცვისა და შესაბამის აპარატზე გამოყენების მიზნით) სპეციალური შტრიხკოდი და ინდივიდუალური QR კოდი. მისი შევსების წესი განსხვავებულია, კერძოდ, კანდიდატების საარჩევნო ნომრის შემოხაზვის ნაცვლად, უნდა გაფერადდეს სპეციალური წრე. ბიულეტენი მოწმდება მხოლოდ რეგისტრატორის ბეჭდით და არ საჭიროებს ხელმოწერას;[161]
- საკონტროლო ფურცლის ნაცვლად, ხმის დათვლის სპეციალური აპარატიდან იბეჭდება დასტური („ნულოვანი ამონაწერი“);[162]
- ძირითადი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისთვის, სპეციალური კონვერტის ნაცვლად, გამოიყენება ორი სახის სპეციალური ჩარჩო-კონვერტი;[163]

[161] იქვე, მე-4 მუხლი.
[162] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 სექტემბრის №58/2021 დადგენილება, მე-2 მუხლი, მე-2 პუნქტი.
[163] იქვე, მე-3 მუხლი, პირველი პუნქტი.

- **ხმის მიცემის განსხვავებული წესი.** საარჩევნო ბიულეტენის განთავსება ძირითად საარჩევნო ყუთში ხდება საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებული სპეციალური აპარატის მეშვეობით, რომელიც, იმავდროულად, ითვლის შედეგებს;[164]
- **ხმის დათვლის განსხვავებული წესი.** შედეგების ელექტრონულად დათვლის შემდეგ ხმები ხელით გადაითვლება და ივსება როგორც შემაჯამებელი, ასევე სადემონსტრაციო ოქმები. ოქმთან ერთად გამოიკვრება აპარატიდან ამობეჭდილი წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერი, რომელსაც იურიდიული ძალა არ გააჩნია.[165]

2021 წლის 2 ოქტომბერს ცესკოს ორგანიზებით კრწანისის მე-4 საარჩევნო ოლქის 28 უბანზე ხმის მიცემის პროცედურა საპილოტე პროექტის ფარგლებში ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად ჩატარდა. საერთო ჯამში, კრწანისის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ 41 314 ამომრჩეველს მიეცა შესაძლებლობა, ხმა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მიეცა.

უბნის გახსნიდან კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე ზოგიერთ უბანზე იგრძნობოდა მეტ-ნაკლები დაძაბულობა საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით ჩატარების გამო.

ყველა უბანზე იმყოფებოდა ცესკოს წარმომადგენელი ტექნიკური მუშაკი, რომელიც კომისიებს ეხმარებოდა ხმის დათვლის ელექტრონული საშუალებების ჩართვაში, დალუქვაში, ხმის დათვლის აპარატიდან ნულოვანი ანგარიშის ამოღებასა და სხვა ტექნიკურ საკითხებში.

გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ტექნიკურად გაუჭირდათ პლასტმასის ლუქის გამოყენებით ჯერ ყუთის დალუქვა და შემდეგ მასზე ხმის დამთვლელი საშუალების დამაგრება.

გამოიკვეთა ხარვეზები ბიულეტენებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, კრწანისის საარჩევნო ოლქის მე-18, 24-ე და 32-ე საარჩევნო უბნებზე საარჩევნო ბიულეტენი დიდი ზომის იყო და სპეციალურ აპარატში ვერ მოთავსდა. შესაბამისად, ამ სამ უბანზე კენჭისყრის პროცესი ელექტრონული აპარატის გარეშე, ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდა.

ამომრჩეველთა მცირე ნაწილი აპროტესტებდა ახალ წესს, რომლის მიხედვითაც, კანდიდატების საარჩევნო ნომრის შემოხაზვის ნაცვლად, შესაბამისი წრე უნდა გაეფერადებინათ. ამომრჩეველთა ასევე მცირე ნაწილი უარს ამბობდა ბიულეტენის სატესტო წრის გაფერადებაზე.

კენჭისყრის დღეს რეგისტრატორთა მხრიდან ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის ახალი წესის ახსნა დროში იწელებოდა, რაც იწვევდა რიგებს როგორც რეგისტრატორების მაგიდებთან, ისე საარჩევნო უბნებთან.

მარკერის საღებავის ფურცლის მეორე მხარეს გაჟონვის გამო, მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იყო მიცემული ხმის იდენტიფიცირება აპარატში ბიულეტენის მოთავსების პროცესში, ან, თუ აპარატი რაიმე მიზეზით მას უკან დააბრუნებდა.

[164] იქვე, მე-5 მუხლი, პირველი პუნქტი.
[165] იქვე, მე-8 მუხლი, მე-2 პუნქტი.

აპარატი იღებდა და ბათილად აღიქვამდა იმ ბიულეტენებსაც, რომლებიც არ იყო რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული.

კენჭისყრის პროცესმა აჩვენა, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით არ შემცირდა არც ხმის მისაცემად და არც არჩევნების შედეგების შესაჯამებლად განკუთვნილი დრო, რადგან არ არსებობდა ამომრჩევლის იდენტიფიცირების ელექტრონული მექანიზმი, ხოლო აპარატის ტესტირების მიზნებისთვის ხმები ხელით გადაითვალა.

2021 წლის 30 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური კრწანისის საარჩევნო ოლქში კვლავ ელექტრონული საშუალებებით ჩატარდა. პირველი ტურისგან განსხვავებით, საიამ ტექნიკური პრობლემის მხოლოდ ორი ფაქტი გამოავლინა. ერთი[166] ხარვეზი შესაბამისი დამხმარე ჯგუფის გამოძახების შემდეგ აღმოიფხვრა, მეორე შემთხვევაში კი არასწორად დამონტაჟებული კენჭისყრის აპარატის გამოყენება შეწყდა.[167]

აპარატის მუშაობის სისწორის შემოწმების მიზნით ბიულეტენების ხელით გადათვლამ და აპარატის მიერ ამობეჭდილ შედეგებთან შედარებამ როგორც პირველ, ისე მეორე ტურში შედეგებს შორის თითქმის 100%-იანი შესაბამისობა აჩვენა. გამონაკლისია მხოლოდ ის ბიულეტენები, რომლებშიც ამომრჩეველს აშკარად გამოხატული ჰქონდა ნება, თუმცა აპარატმა ისინი ბათილად მიიჩნია. ასეთი შემთხვევების ჯამური მაჩვენებელი 1%-ს არ აღემატებოდა.

დასკვნები და რეკომენდაციები

ელექტრონული საშუალებების გამოყენებას საარჩევნო პროცესებში ბევრი უპირატესობა აქვს. როგორიცაა, მაგალითად, პროცესის გამარტივება, ეფექტიანობის გაზრდა და ადამიანური შეცდომების თავიდან აცილება. ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, მათი დანერგვა მოხდეს იმგვარად, რომ ამან არ გააჩინოს უნდობლობა საარჩევნო პროცესის მიმართ. ამიტომ, მისი თანმდევი ხარვეზები მაქსიმალურად თავიდან უნდა იყოს არიდებული.

პროცესებზე დაკვირვების შედეგად, საია მიიჩნევს, რომ მომდევნო ეტაპზე ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვისას მნიშვნელოვანია შემდეგი ზოგადი და სპეციფიკური რეკომენდაციების გათვალისწინება:

- საკანონმდებლო ბაზა მკაფიოდ უნდა აწესრიგებდეს ხმის მიცემის ნებისმიერი ახალი ტექნოლოგიის გამოყენებას საარჩევნო პროცესში;
- დაცული უნდა იყოს საარჩევნო უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული გარანტიები, ისევე, როგორც ეს ტრადიციული მეთოდით ხმის მიცემისას არის უზრუნველყოფილი;
- ელექტრონული არჩევნების დანერგვის პარალელურად, სასურველია ცნობიერების ამაღლების კამპანია - მოსახლეობას უნდა გააჩნდეს ნდობა არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების მიმართ;

[166] კრწანისის მე-10 უბანი.
[167] კრწანისის 32-ე უბანი.

- ელექტრონული არჩევნებისთვის საკანონმდებლო ჩარჩოს და პოლიტიკის მომზადება უნდა დაიწყოს არჩევნებამდე გონივრული ვადით ადრე, მათ შორის, ჩატარდეს პილოტი, ყურადღება დაეთმოს საუბნო კომისიების წევრების გადამზადებას;
- სასურველია, გათვალისწინებული იყოს კარგი პრაქტიკა და ევროპის საბჭოს სტანდარტები ელექტრონული ხმის მიცემის სფეროში;[168]
- სასურველია, გაუმჯობესდეს ბიულეტენის დასაბეჭდად გამოყენებული ქაღალდის ხარისხი, ზომები უნდა იყოს ზუსტი, რათა აპარატმა შეძლოს შეუფერხებლად მისი წაკითხვა; შეუძლებელი უნდა იყოს ბიულეტენის უკანა მხარეს გამოჟონილი წერტილების შემჩნევა, რათა არ დაირღვეს ხმის მიცემის ფარულობა;
- აპარატმა უნდა შეძლოს ბეჭდით დაუმოწმებელი ბიულეტენების უკან დაბრუნება. ამით კიდევ უფრო გაუმჯობესდება ნამდვილი ბიულეტენების ხვედრითი წილი და მოქალაქეების ხმები არ დაიკარგება;
- შემდეგი არჩევნებისთვის, რეკომენდებულია, ხმის დათვლის ელექტრონულ სისტემასთან ერთად დაინერგოს ამომრჩევლის იდენტიფიცირების ელექტრონული მექანიზმი და ჩანაცვლდეს მარკირების პროცედურა.

საია განაგრძობს ელექტრონული არჩევნების გამოყენების შესწავლას და სამომავლოდ საზოგადოებას განახლებულ რეკომენდაციებს შესთავაზებს.

5. შედეგების სავალდებულო გადათვლა

19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად, 2021 წლის 28 ივლისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით ბიულეტენების სავალდებულო გადათვლის წესი დადგინდა.[169] საოლქო საარჩევნო კომისიებს დაეკისრათ ვალდებულება, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-6 დღისა, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე შემთხვევითი შერჩევით გამოევლინათ და ხელახლა დაეთვალათ 5-5 საარჩევნო უბნის ბიულეტენები.[170] სიახლის მიზანი იყო მოსახლეობისთვის არჩევნების შედეგებისადმი ნდობის გაზრდა.

ცესკოს დადგენილებით განისაზღვრა გადათვლის უზრუნველსაყოფად აუცილებელი დამატებითი წესები.[171] თითოეული უბნის შედეგების ხელახლა დათვლის პროცესში 5 პირი მონაწილეობს: შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე,[172] წი-

[168] Explanatory Memorandum to Recommendation CM/Rec(2017)5 of the Committee of Ministers to member States on standards for e-voting, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/168071bc84, განახლებულია: 20.05.2022.

[169] „სამომავლო გზა საქართველოსთვის", ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 19.04.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3frBggU, განახლებულია: 21.02.2022.

[170] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 21-ე მუხლის $დ^2$ ქვეპუნქტი.

[171] ცესკოს 2021 წლის 26 ივლისის დადგენილება №40/2021 „საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის ვადისა და წესის განსაზღვრის შესახებ".

[172] „მისი მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში - შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო თავმჯდომარის მოადგილის მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში - საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთაგან წილისყრით განსაზღვრული პირი, რომელიც ავტომატურად ასრულებს პირველი მთვლელის ფუნქციას".

ლისყრით გამოვლენილი საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული 1 წევრი და პარტიების მიერ დანიშნული 1 წევრი, წილისყრით გამოვლენილი საოლქო საარჩევნო კომისიის ცესკოს მიერ არჩეული 1 წევრი და პარტიების მიერ დანიშნული 1 წევრი.[173]

გადათვლის დროს პირველი მთვლელი იღებს საარჩევნო ბიულეტენს, ამოწმებს მის ნამდვილობას,[174] აცხადებს, ვისთვისაა ხმა მიცემული[175] და საარჩევნო ბიულეტენს ხელში ისე იჭერს, რომ ვიდეოგადამღებ მოწყობილობას შეეძლოს მისი წინა გვერდის ფიქსაცია.[176] შემდგომ ის ერთი სახის საარჩევნო ბიულეტენს გადასცემს მეორე მთვლელს, მეორე სახისას - მესამე მთვლელს, მესამე სახისას - მეოთხე მთვლელს,[177] ბათილად ან საეჭვოდ მიჩნეულ, ასევე დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებს გადასცემს მეხუთე მთვლელს.[178] მთვლელები ბიულეტენებს ცალ-ცალკე აწყობენ, თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმების შესაბამისად.[179] დახარისხების შემდეგ კომისიის წევრები ხმათა უმრავლესობით წყვეტენ საეჭვოდ მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილობის საკითხს.[180] ამის შემდგომ მთვლელები ცალ-ცალკე ითვლიან საარჩევნო სუბიექტების ხმებს და ბათილად მიჩნეულ ბიულეტენებს.[181]

თითოეული საარჩევნო უბნის ბიულეტენების ხელახლა დათვლის შემდეგ დგება შესაბამისი აქტი, სადაც აისახება გადათვლის შედეგები. მას ხელს აწერენ მთვლელები.[182] აქტის საფუძველზე, საოლქო საარჩევნო კომისია იღებს განკარგულებას კენჭისყრის შედეგების უცვლელად დატოვების ან, ცვლილების შემთხვევაში, შემაჯამებელი ოქმის/ოქმების მონაცემების აქტის მიხედვით შეცვლის შესახებ.[183]

შემთხვევით შერჩევისას არ გაითვალისწინება ის საარჩევნო უბნები, სადაც განთავსებული იყო ბიულეტენების ელექტრონული მთვლელი, ასევე, სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის შექმნილი უბნები.[184]

არჩევნების პირველი ტურის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებმა 3 ოქტომბერს წილისყრით გამოავლინეს გადასათვლელი უბნები. ბიულეტენების ხელახლა დათვლა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში, 4 ოქტომბერს (არჩევნებიდან მესამე დღეს) ჩატარდა. გადაითვალა 72 საარჩევნო ოლქის 360 საარჩევნო უბნის ბიულეტე-

---

[173] ცესკოს 2021 წლის 26 ივლისის დადგენილება №40/2021 „საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის ვადისა და წესის განსაზღვრის შესახებ“. მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის გ.ა), გ.ბ), გ.გ) ქვეპუნქტები.

[174] იქვე, მე-7 მუხლის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

[175] იქვე, „ა“ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

[176] ცესკოს 2021 წლის 23 აგვისტოს დადგენილება №55/2021 „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისას ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციის წესის განსაზღვრის შესახებ“, მე-4 მუხლი.

[177] ცესკოს 2021 წლის 26 ივლისის დადგენილება №40/2021 „საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის ვადისა და წესის განსაზღვრის შესახებ“. მე-7 მუხლის „ა“ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

[178] იქვე, „ა“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

[179] იქვე, მე-7 მუხლის „დ“ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

[180] იქვე, „გ“ ქვეპუნქტი.

[181] იქვე, მე-7 მუხლის „დ“ პუნქტი.

[182] იქვე.

[183] იქვე, მე-10 მუხლი.

[184] იქვე, მე-2 მუხლის „ა“ და „ა1“ პუნქტები.

ნები. 239 უბნის (66.7%) შემთხვევაში მონაცემები არ შეცვლილა, 121 უბანზე (33.3%) მცირედით შეიცვალა.[185] გარდა ამისა, 258 უბანი გადაითვალა ცესკოს თავმჯდომარის რეკომენდაციით,[186] ხოლო 194 უბანი - საჩივრების საფუძველზე და, ზოგიერთ შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიების ინიციატივით.[187] პირველი ტურის შემდეგ ხელახლა დაითვალა, ჯამში, 812 უბნის შედეგები.

არჩევნების მეორე ტურამდე, 16 ოქტომბერს, ცესკოს სხდომაზე დავით კირთაძემ, ცესკოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნულმა წევრმა, წამოაყენა ინიციატივა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ლოტოტრონით უბნების გამოვლენა და გადათვლის პროცესი ერთ დღეს ჩატარდებოდა.[188] ინიციატივას კომისიის წევრები დაეთანხმნენ. მეორე ტურის დასრულების შემდეგ, პირველ ნოემბერს, 11 საათზე, საოლქო საარჩევნო კომისიებმა ჩაატარეს წილისყრა, ხოლო იმავე დღეს 17:00 საათიდან დაიწყო ბიულეტენების გადათვლის პროცესი.

ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით, სავალდებულო 5 უბნის ნაცვლად, თითოეულ ოლქში გამოვლინდა 7-7 უბანი.[189] 1-ელ ნოემბერს 201 საარჩევნო უბნის შედეგი გადაითვალა სავალდებულო წესით.[190] იმავე დღეს ცესკოს წევრმა ივანე ნორაკიძემ ბრიფინგზე საოლქო საარჩევნო კომისიებს რეკომენდაციით მიმართა, ყველა იმ ოლქში, სადაც 2-ზე მეტ საარჩევნო უბანზე ვიდეოფიქსაცია არ განხორციელდა,[191] შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოევლინათ და გადაეთვალათ 2-2 უბანი, ხოლო, სადაც ასეთი უბანი 2 ან ნაკლები იყო, ავტომატურად გადაეთვალათ ყველა მათგანი.[192] შედეგად,

---

[185] „ცესკოს თავმჯდომარის რეკომენდაციით, 258 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები გადაითვალა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 10 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/WT7urLF, განახლებულია: 30.11.2021.

[186] იქვე, თავმჯდომარის რეკომენდაცია უბნების შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით: „1) წარდგენილი იყო შედეგების გადათვლის/გადასინჯვის მოთხოვნით საჩივრები ისეთი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ არჩევნებზე მრავალწლიანი დაკვირვების გამოცდილება, 2 ოქტომბრის არჩევნებზე განახორციელეს ფართომასშტაბიანი სადამკვირვებლო მისია და, ამასთანავე, არჩევნების შემდგომ აქვეყნებენ თავიანთ ანგარიშებს არჩევნებთან დაკავშირებით; 2) ზემოხსენებული ორგანიზაციების მიერ არ ყოფილა წარდგენილი საჩივრები, მაგრამ შემაჯამებელ ოქმებში ფიქსირდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენების მაღალი რაოდენობა კონკრეტული საარჩევნო ოლქების მიხედვით; 3) 9 ოქტომბრის მდგომარეობით, შემაჯამებელ ოქმებში ბათილი ბიულეტენების და ნამდვილი ხმების ჯამი აჭარბებდა, 5-ით აღემატებოდა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების რაოდენობას“.

[187] „ცესკოს თავმჯდომარის რეკომენდაციით, 258 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები გადაითვალა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 10 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/WT7urLF, განახლებულია: 30.11.2021.

[188] ცესკოს სხდომა, 2021 წლის 16 ოქტომბერი, ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/LT7jtLe, განახლებულია: 30.11.2021.

[189] „მინდა საოლქო საარჩევნო კომისიებს მივმართო მნიშვნელოვანი ინიციატივითა და რეკომენდაციით - სავალდებულო 5 უბნის ნაცვლად, გამოავლინონ და გადათვალონ 7-7 საარჩევნო უბნის შედეგი“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/GT7kbgn, განახლებულია: 30.11.2021.

[190] „მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მეორე ტურის მონაცემების გადათვლის სტატისტიკა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zyAeLH, განახლებულია: 30.11.2021.

[191] არჩევნების მეორე ტურზე ვიდეოგადაღება არ განხორციელდა 292 უბანზე, სადაც ამომრჩეველი 300-ზე ნაკლები იყო.

[192] ცესკოს წევრმა ივანე ნორაკიძემ დღეს ბრიფინგი გამართა და საოლქო საარჩევნო კომისიებს ახალი რეკომენდაციით მიმართა, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 1-ლი ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/cYx0kb2, განახლებულია: 07.12.2021.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა 2 ნოემბერს ხელახლა დათვალეს 52 საარჩევნო უბნის მონაცემები.[193]

საერთო ჯამში, არჩევნების მეორე ტურზე 274 საარჩევნო უბნის მონაცემები გადაითვალა.[194] გამოვლენილი სხვაობების შესწორებას არჩევნების შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მონდომება, კანონით განსაზღვრულის გარდა, დამატებით, საკუთარი ინიციატივით გადაეთვალათ უბნების პრაგმატული რაოდენობა.

იმ უბნებზე, რომლებსაც საია აკვირდებოდა, გადათვლის შედეგად შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული არსებითი ხარვეზები არ გამოვლენილა, თუმცა პროცესი არაერთგვაროვნად წარიმართა.

დადგენილების მიხედვით, ბიულეტენების ხელახლა დათვლის პროცესი გულისხმობს მათ ყოველმხრივ გადათვლას, როგორც რაოდენობრივი, ისე ამომრჩევლის მიერ გამოვლენილი ნების თვალსაზრისით,[195] თუმცა პრაქტიკაში ეს პროცესი არ იყო ერთგვაროვანი. ასევე აღსანიშნავია, რომ დადგენილებაში ნახსენები არ არის ამომრჩეველთა ხელმოწერების გადათვლა. შესაბამისად, იმ ოლქებში, რომლებსაც საია აკვირდებოდა, ხელმოწერები თითქმის არსად არ გადათვლილა.

გამოვლინდა კარგი პრაქტიკის შემთხვევებიც, როდესაც მთვლელები ხსნიდნენ დასტებად შეკრულ ბიულეტენებს, სათითაოდ ამოწმებდნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ ამომრჩევლის მიერ გამოვლენილ ნებას, ადასტურებდნენ ბეჭდისა და ხელმოწერის არსებობას და ბიულეტენს აჩვენებდნენ კამერას.

ნიშანდობლივია, რომ განსხვავებული მიდგომები გამოვლინდა ერთსა და იმავე გადათვლის ცენტრებში სხვადასხვა უბანთან მიმართებით. მაგალითად, სამგორის საარჩევნო ოლქის 2 უბანი სრულფასოვნად გადაითვალა, დანარჩენების შემთხვევაში კი მთვლელები ბიულეტენს არ აჩვენებდნენ კამერას, შესაბამისად, არც დამკვირვებელს შეეძლო ამომრჩევლის მიერ გამოვლენილი ნების იდენტიფიცირება. ზოგან ამ საკითხს თავად მთვლელებიც არ ამოწმებდნენ და ბიულეტენებს მხოლოდ რაოდენობრივად ითვლიდნენ.

დადგენილებით შესაძლებელი გახდა რამდენიმე უბნის კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლა ერთდროულად, ერთსა და იმავე შენობაში.[196] პროცესის ერთ სივრცეში წარმართვა, რა თქმა უნდა, ლოგიკურია, თუმცა 5 ან 7 უბნის ერთდროულად გადათვლა მასზე ჯეროვან დაკვირვებას ართულებდა. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში სა-

[193] „სტატისტიკური მონაცემები 30 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 3 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/HYx3lA5, განახლებულია: 07.12.2021.

[194] „ინფორმაცია საჩივრების საფუძველზე საარჩევნო უბნების მონაცემების გადათვლის შესახებ“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 5 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/AT7xH5j, განახლებულია: 30.11.2021.

[195] ცესკოს 2021 წლის 26 ივლისის დადგენილება №40/2021 „საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის ვადისა და წესის განსაზღვრის შესახებ“, მე-7 მუხლი.

[196] ცესკოს 2021 წლის 26 ივლისის დადგენილება №40/2021 „საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის ვადისა და წესის განსაზღვრის შესახებ“, მე-5 მუხლი.

ოლქო საარჩევნო კომისიები საიას დამკვირვებლებს გადათვლის პუნქტში თავისუფლად გადაადგილებას უზღუდავდნენ, რის გამოც, ის მხოლოდ ერთი უბნისთვის თვალის დევნებას ახერხებდა. არჩევნების პირველ ტურზე ჩუღურეთის ოლქის 47-ე უბნის გადათვლის დროს საიას დამკვირვებელმა გამოავლინა შემთხვევა, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უარს ამბობდა ოპოზიციური პარტიისთვის მიეთვალა ბიულეტენი, რომელიც ბათილად იყო მიჩნეული. ბიულეტენში „ქართული ოცნების“ კანდიდატი გადახაზული იყო, ხოლო ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის კანდიდატი შემოხაზული. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ამომრჩევლის ამგვარი ქმედება (კანდიდატის გადახაზვა) შეურაცხყოფას აყენებდა „ქართულ ოცნებას“, ამიტომ, პირადად მისი გადაწყვეტილებით, ბიულეტენი ბათილად ჩაითვალა. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილების შეცვლა მისი „ღირსების“ საკითხი იყო და ამას არ დაეთანხმებოდა. გადათვლის პროცესის დასრულების შემდეგ ეს შემთხვევა საოლქო საარჩევნო კომისიამ სხდომაზე განიხილა და ბიულეტენი ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას მიაკუთვნა.

საიას დამკვირვებლის მიერ აღრიცხულ კიდევ ერთ შემთხვევაში საბურთალოს 31-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, რომლებსაც გადათვლაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, არ გამოცხადდნენ, ამიტომ საოლქო საარჩევნო კომისიამ ამის გაკეთება სხვა უბნის მთვლელ კომისიას დაავალა. არჩევნების პირველ ტურზე ისნის ოლქის მე-5, 43-ე, 45-ე, 50-ე და 78-ე უბნების გადათვლის დასრულების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიამ დადგენილების შესაბამისად ადგილზე არ განიხილა სადავოდ მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილობის საკითხი და ისინი ყველა შემთხვევაში ცალკე გადადო, რათა კომისიის სხდომაზე, ოლქის შენობაში განეხილა. 78-ე უბნის გადათვლისას 8 ბიულეტენი ბათილებიდან „საეჭვო“ ბიულეტენებთან გადაიდო, ვინაიდან ზოგიერთზე მათი ნამდვილობა იკვეთებოდა. საეჭვო ბიულეტენებზე იმავე დღეს იმსჯელეს საოლქო კომისიის სხდომაზე, თუმცა, ნიშანდობლივია, რომ რვავე ბიულეტენი სხდომაზე არ განხილულა და არც დამკვირვებელს მიეცა სიტუაციაში გარკვევის შესაძლებლობა. პრაქტიკულად, გადათვლის პროცედურა ორ ნაწილად გაიყო, ხოლო გადათვლის ცენტრიდან საოლქო საარჩევნო კომისიამდე ბიულეტენების გადატანის მომენტში (არადაკვირვებად გარემოში) მოხდა გადაწყვეტილების შეცვლა - ბიულეტენების ნაწილი აღარ წარმოუდგენიათ კომისიაზე განსახილველად. მსგავსი შემთხვევა გამოვლინდა ისნის ოლქში კიდევ 3 უბანთან დაკავშირებით. გადათვლის ეტაპზე საეჭვოდ მიჩნეული ბიულეტენების ნაწილი კომისიის სხდომაზე ვეღარ ხვდებოდა.

ერთი პროცედურის გაყოფა როგორც დროის, ასევე ლოკაციის თვალსაზრისით არ არის პრაქტიკული და ზრდის შეცდომის დაშვების ალბათობას. იზრდება დოკუმენტაციის გადატანისას მანიპულაციის რისკიც. ასევე, არსებული პრაქტიკით, არ არის ნათელი, რა შემთხვევაში უნდა გადაწყდეს სადავო საკითხი ადგილზე და რა შემთხვევაში - საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე. დადგენილების სიტყვა-სიტყვით წაკითხვა აჩვენებს, რომ საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის/ოქმების მონაცემების შეცვლის შესახებ განკარგულებას დანართის/აქტის საფუძველზე იღებს. გადათვლის პროცესის სხვა ლოკაციაზე, საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე გაგრძელების შემთხვევას დადგენილება არ მოიცავს. მსგავსი პრაქტიკა ასევე ართულებს პროცესზე დაკვირვებას.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს გადათვლის ცენტრებში COVID-რეგულაციების დაცვა, პროცესში მონაწილე პირების ტესტირება და უსაფრთხოების სხვა ზომების მიღება.

საიას შეფასებით, უმჯობესი იქნება, გადათვლის პროცესი მთლიანად საოლქო კომისიებმა უზრუნველყონ. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, უბნების ხელახლა დათვლა სწორედ საოლქო საარჩევნო კომისიის ვალდებულებაა.[197] მთვლელებად საუბნო კომისიების წევრების შერჩევა ეწინააღმდეგება ნორმის მიზანს და ნიშნავს, რომ მათ ევალებათ მათ მიერვე შედგენილი შემაჯამებელი ოქმების გადამოწმება და არა - ზემდგომ ორგანოს, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ საოლქო საარჩევნო კომისია იღებს. რეფორმის შედეგად, კომისიის წევრთა გაზრდილი რაოდენობის პირობებში, საოლქო საარჩევნო კომისიას ნამდვილად აქვს ამის ადამიანური რესურსი. ამგვარი მიდგომით ამაღლდება გადათვლის პროცესისადმი ნდობა, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციას უფრო გაუადვილდება მისი ადმინისტრირება და ერთგვაროვანი სტანდარტის დანერგვა.

6. შედეგების დათვლის ვიდეოფიქსაცია

28 ივნისს საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებით, საარჩევნო ადმინისტრაციას მიენიჭა უფლებამოსილება, დადგენილებით მოეწესრიგებინა და შემდეგ პრაქტიკაში განეხორციელებინა ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციის პროექტი.[198] დადგენილების მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია, უზრუნველყოს ხმის დათვლის აუდიო-ვიდეო ფიქსაცია იმგვარად, რომ სრულად ჩანდეს მიმდინარე პროცესი და საარჩევნო ბიულეტენების განთავსების ადგილი.[199] ვიდეოკამერისთვის ხელსაყრელი პოზიციის შერჩევა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვალდებულებაა.[200]

საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია, ხმის დათვლის პროცესის გადაღება უზრუნველყოს საარჩევნო ყუთის გახსნის მომენტიდან საარჩევნო ბიულეტენების დასტების დალუქვის ჩათვლით.[201]

პროცედურის მიხედვით, პირველი მთვლელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს, ხმამაღლა ამბობს, ვისთვისაა მიცემული ხმა, ასევე აცხადებს ბათილად/საეჭვოდ მიჩნეულ ბიულეტენებს, ხოლო შემდგომ ბიულეტენს ისე იჭერს ხელში, რომ ვიდეოგადამღები მოწყობილობით შესაძლებელი იყოს მისი წინა გვერდის ფიქსაცია.[202]

---

[197] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 21-ე მუხლის დ[2] ქვეპუნქტი.

[198] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203[2]-ე მუხლის მიხედვით, ცესკოს მიენიჭა უფლებამოსილება, მუნიციპალიტეტის ორგანოთა მომდევნო არჩევნებში გამოეყენებინა ელექტრონული ტექნოლოგიები, მათ შორის, განეხორციელებინა ხმის დათვლის ვიდეოფიქსაცია.

[199] ცესკოს 2021 წლის 23 აგვისტოს დადგენილება №55/2021 „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისას ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციის წესის განსაზღვრის შესახებ“, 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები.

[200] იქვე, მე-6 მუხლი.

[201] იქვე, მე-2 მუხლი.

[202] იქვე, მე-4 მუხლი.

ვიდეოგადაღებას უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრით შერჩეული, კომისიის ოპოზიციური, პარტიების მიერ არჩეული წევრი.[203] „თუ წილისყრით გამოვლენილი საუბნო კომისიის წევრი უარს განაცხადებს მისთვის მინიჭებული ფუნქციის შესრულებაზე, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებთან (იგულისხმებიან ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული პირები) შეთანხმებით, განსაზღვრავს პროცედურის უზრუნველყოფაზე უფლებამოსილ პირს“.[204]

ცესკო ვალდებული იყო, არჩევნების დღიდან არაუგვიანეს მე-5 დღის დილის 10.00 სთ-მდე ინტერნეტსივრცეში აეტვირთა ვიდეოგადამღებ მოწყობილობებზე არსებული ხმის დათვლის პროცესის ყველა ვიდეოჩანაწერი.[205] დადგენილების მიხედვით, ისინი ინტერნეტში განთავსებული იქნებოდა 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.[206]

ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაცია ხდებოდა საარჩევნო უბნებზე, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 300-ს აღემატებოდა.[207] ვიდეოგადაღება არ განხორციელდა უბნებზე, სადაც კენჭისყრის პროცესი ელექტრონულად გაიმართა.

27 აგვისტოს პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ცესკოს 3700-მდე ვიდეოკამერა უსასყიდლოდ, თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა.[208]

ცესკოს ვებგვერდზე განთავსებული ბმულის მეშვეობით, ჩანაწერების დიდი ნაწილი (87%) ხელმისაწვდომი გახდა არჩევნებიდან მესამე დღეს (5 ოქტომბერს).[209] არჩევნების პირველ ტურზე ვიდეოკამერები 3198 უბანზე იყო განთავსებული,[210] ცესკოს ცნობით, 312 უბანზე ჩანაწერის გაკეთება ვერ მოხერხდა.[211]

მეორე ტურის შემთხვევაში ვიდეოფიქსაცია 1750 უბანზე უნდა განხორციელებულიყო.[212] 1461 უბნის ჩანაწერი შესაბამის პლატფორმაზე არჩევნებიდან 2 დღეში, 1-ელ ნოემბერს აიტვირთა.[213] 289 საარჩევნო უბანზე ჩანაწერის გაკეთება ვერ მოხერხდა.[214]

საია მიესალმება ხმის დათვლის პროცესისთვის მეტი საჯაროობის მინიჭებას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ტექნიკურმა გაუმართაობამ ხელი შეუშალა მათ

[203] იქვე, მე-8 მუხლის, მე-2 პუნქტი.
[204] იქვე, მე-3 პუნქტი.
[205] იქვე, მე-10 მუხლი.
[206] იქვე, მე-14 მუხლი.
[207] იქვე, მე-15 მუხლი.
[208] „ცესკოს ხმის დათვლის პროცესის ვიდეოგადაღებისთვის საჭირო კამერები გადაეცა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 27.08.2021, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/LYclhYn, განახლებულია: 07.12.2021.
[209] „ცესკოს წევრმა ივანე ნორაკიძემ ხმის დათვლის ვიდეოგადაღებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 5 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/OYg8ZC4, განახლებულია: 05.12.2021.
[210] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2022 წლის 6 ივნისის #03-01/596 წერილი.
[211] იქვე.
[212] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2022 წლის 6 ივნისის #03-01/596 წერილი.
[213] ცესკოს წევრმა ივანე ნორაკიძემ დღეს ბრიფინგი გამართა და საოლქო საარჩევნო კომისიებს ახალი რეკომენდაციით მიმართა, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 1 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/cYx0kb2, განახლებულია: 07.12.2021.
[214] იქვე.

ეფექტიან გამოყენებას. საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს ხარვეზები გადაღების პროცესში, ასევე ვიდეოჩანაწერებზე დაკვირვების შემდეგაც. ძირითადად, ნეგატიური ტენდენცია გამოიკვეთა ბიულეტენების გარჩევადობის კუთხით. ვიდეოჩანაწერებში, მეტწილად, არ ჩანდა მთვლელის მიერ აღებული ბიულეტენი, შესაბამისად, შეუძლებელი იყო იმის გარჩევა, თუ ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა. ხშირად ეს იმით იყო გამოწვეული, რომ კამერა შორ დისტანციაზე იდგა, ოთახი არასათანადოდ იყო განათებული, ან დაბალი იყო ჩანაწერის ხარისხი.

საია მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, ჩანაწერებს მეტი სამართლებრივი დატვირთვა მიენიჭოს. კერძოდ, ისინი შემჭიდროებულ ვადებში აიტვირთოს, რათა ჩართულმა პირებმა საჩივრების განხილვის დროს მათი მტკიცებულებად გამოყენება შეძლონ. გარდა ამისა, აუცილებელია, არსებობდეს სამართლებრივი ბერკეტი, რომელიც ჩართულ მხარეებს შესაძლებლობას მისცემს, ჩანაწერებზე დაფიქსირებულ დარღვევებზე შესაბამისი პირების პასუხისმგებლობა მოითხოვონ. ამგვარად, მეტად გაიზრდება ნდობა არჩევნების შედეგების დათვლის პროცესისადმი.

7. გენდერი და არჩევნები

გენდერული კვოტირება ადგილობრივ დონეზე

საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს გენდერული კვოტირების მექანიზმს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოების დაკომპლექტებისას.[215] ამ წესის მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებს ეკისრებათ ვალდებულება, ცესკოს წარუდგინონ პარტიული სია, რომელშიც პარლამენტის შემთხვევაში ოთხიდან ერთი, ხოლო საკრებულოების არჩევნებში - სამიდან ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იქნება. გენდერული კვოტა სავალდებულო ხასიათისაა და მისი დაუცველობისას პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

პარლამენტში გენდერულ კვოტირებას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლომაც, რომელმაც ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია.[216] მან საკუთარ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კვოტირება არის შედეგის მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მექანიზმი, რომელიც, როგორც მინიმუმ, გარკვეული პროცენტული ოდენობით უზრუნველყოფდა ქალთა წარმომადგენლობას.[217] იმავდროულად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საარჩევნო ნორმის ის შინაარსი, რომელიც სიის ყოველ ოთხეულში ერთი მამაკაცის ჩაწერას ითვალისწინებდა.[218]

2021 წლის რეფორმამ შეცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროპორციულ სიებში სქესთა თანაფარდობა. ცვლილების მიხედვით, პარტიულ სიაში ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. ამით გაუარესდა სტანდარტი, რომელიც პარტიებს ავალდებულებ-

[215] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლის მე-2 და მე-8 ნაწილები.
[216] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-38.
[217] იქვე, II-58.
[218] იქვე, III-2.

და, სიაში ყოველი მეორე კანდიდატი განსხვავებული სქესის ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ „ორიდან ერთი“ თანაფარდობით პარლამენტმა კვოტა 2020 წლის ივლისში დაამტკიცა, ხოლო 2021 წლის ივნისში იგი შემცირდა „სამიდან ერთამდე“, ამგვარად, „ორიდან ერთი“ კვოტის ამოქმედება თვითმმართველობის არჩევნებზე, პრაქტიკულად, ვერ მოესწრო.

2021 წლის არჩევნებამდე გენდერული კვოტირების მექანიზმი შემოიფარგლებოდა პარტიის მიერ სიის წარდგენის დარეგულირებით. საბოლოო შედეგი (წარმომადგენლობითი ორგანოში სქესთა ბალანსი) მას არ აინტერესებდა. ზოგიერთმა პარტიამ გამოიყენა კანონში დატოვებული სიცარიელე და ამ მოთხოვნას გვერდი აუარა. შესაბამისად, საჭირო გახდა საკითხის დარეგულირება. 2021 წლის ცვლილებით განისაზღვრა ჩამკეტი მექანიზმი: თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე სქესის წარმომადგენელი.[219] თუ წარდგენილ პარტიულ სიაში იმავე სქესის საკრებულოს წევრობის კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.[220]

2021 წლის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პოლიტიკურმა პარტიამ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილობრივ დონეზე გენდერული კვოტირების სისტემის გასაჩივრების მიზნით მიმართა. პარტიამ ასევე გაასაჩივრა ჩამკეტი მექანიზმი, რომელიც იმავე სქესის ადგილმონაცვლე კანდიდატის არარსებობის შემთხვევაში მანდატის გაუქმებას ითვალისწინებდა.[221] სასამართლომ დაადგინა, რომ სარჩელიდან არ იკვეთებოდა ისეთი არგუმენტი, რომელიც მას კვოტირების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობაში დაარწმუნებდა და მოსარჩელე მხარის პოზიცია დაუსაბუთებლად მიიჩნია.[222]

გენდერული სტატისტიკა 2021 წლის არჩევნებში

2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე რეგისტრირებული 20,623 კანდიდატიდან 8,766 იყო ქალი, რაც საერთო რაოდენობის 42,51%-ია,[223] მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით წარდგენილი 2,771 კანდიდატიდან კი - 488 (17,61).[224] 5 თვითმმართველი ქალაქის მერობის 40 კანდიდატიდან მხოლოდ 7 იყო ქალი (17,5%), ხოლო 59 თვითმმართველი თემის მერობის 199 კანდიდატიდან - 18 (9,05%).[225]

---

[219] იქვე, მე-10 ნაწილი.
[220] იქვე.
[221] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის №3/2/1647 განჩინება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის», ნინო თოდრია, მართა ქარდავა, ნინო ორდენიძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
[222] იქვე, II-48.
[223] 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე რეგისტრირებული კანდიდატების გენდერული სტატისტიკა, „გენდერული პორტალი“ - ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34Zjb8u, განახლებულია: 15.02.2022.
[224] იქვე.
[225] იქვე.

რაც შეეხება შედეგებს, საქართველოს მასშტაბით საკრებულოს პროპორციული სისტემით არჩეული 1,404 წევრიდან 441-ია ქალი (31,4%),[226] ხოლო მაჟორიტარული სისტემით არჩეული საკრებულოს 664 წევრიდან - მხოლოდ 50 (7.5%).[227] 5 თვითმმართველი ქალაქიდან ერთმა მერობის კანდიდატმა ქალმა გაიმარჯვა, ხოლო 59 თვითმმართველი თემიდან - ორმა.[228]

პროპორციულ ნაწილში პოზიტიური შედეგების მიუხედავად, ზემოაღნიშნული სტატისტიკა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქალთა არასაკმარის წარმომადგენლობას საჯარო თანამდებობებზე.

საია მხარს უჭერს გენდერულ კვოტირებას და მიიჩნევს, რომ იგი უზრუნველყოფს ინკლუზიურ, დაბალანსებულ და პლურალისტურ წარმომადგენლობას. ორგანიზაციის შეფასებით, გენდერული კვოტა უნდა მოქმედებდეს „ორიდან ერთი“ პრინციპით, ვიდრე ამ კუთხით გარკვეული შედეგი არ მიიღწევა.

საიას მიგნებები გენდერული მიმართულებით მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში

საია მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში მონიტორინგს უწევდა ქალების მონაწილეობას ხმის მიცემის პროცესში და უბნებზე შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტები გამოავლინა.

საიას დამკვირვებლებმა წინასწარ შედგენილი სპეციალური კითხვარის მეშვეობით შეისწავლეს უბნებზე არსებული მდგომარეობა შემდეგი მიმართულებით:

- საარჩევნო უბანზე ხომ არ გამოვლენილა ოჯახის მიერ ერთობლივად ხმის მიცემა (იგულისხმება ოჯახის წევრების ერთად შესვლა კაბინაში);
- ხომ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ოჯახის მიერ ხმის მიცემისას კაცი წყვეტდა, ვისთვის მიეცა ხმა ქალს;
- ხომ არ გამოვლენილა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი (მაგალითად, კომისიის წევრის ან სხვა წარმომადგენლის მხრიდან ქალი დამკვირვებლის/კომისიის წევრის/პარტიის წარმომადგენლის მისამართით გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია).

საერთო ჯამში, გამოვლინდა კაბინაში ოჯახის წევრების ერთად შესვლის 22 ფაქტი, ოჯახის მიერ ხმის მიცემისას კაცის მიერ გადაწყვეტილების მიღების - 4 და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის - 1 შემთხვევა. მონაცემები ეფუძნება 102 უბანზე დაკვირვების შედეგებს.

საია ამ უბნებზე დამკვირვებლებს შორის გენდერული ბალანსითაც დაინტერესდა. კერძოდ, საერთაშორისო, ადგილობრივი დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლობა გენდერულ ჭრილში ასე იყო განაწილებული:

[226] იქვე.
[227] იქვე.
[228] იქვე.

- საერთაშორისო დამკვირვებლებს შორის: 62 იყო ქალი, ხოლო 68 - კაცი;
- ადგილობრივ დამკვირვებლებს შორის: 389 - ქალი, 231 - კაცი;
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს შორის: 246 - ქალი, 147 - კაცი.

ამრიგად, დამკვირვებლებს შორის გენდერული ბალანსის მაჩვენებელი პოზიტიურია. თუმცა, პრობლემაა საარჩევნო უბნებზე ოჯახის მიერ ერთობლივად ხმის მიცემის, ასევე არჩევანის გაკეთებისას მამაკაცის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფაქტები. ამ უკანასკნელის იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია. ეს მიუთითებს, რომ ქალები თავიანთი საარჩევნო უფლებით, ზოგიერთ შემთხვევაში, სრულფასოვნად ვერ სარგებლობენ.

II ნაწილი – წინასაარჩევნო გარემო

1. საჯარო რესურსის ბოროტად გამოყენება

1.1. სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა

ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის მოთხოვნაა, რომ „სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები ერთმანეთისგან ცხადად გაიმიჯნოს“.[229] „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ამ პრინციპის დაცვა ვერ უზრუნველყო.

მთავრობის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატების წარდგენის ღონისძიებებზე ხელისუფლების ინიციატივების შესახებ საუბრისას მუდმივად აპელირებდა პარტიის დამფუძნებლისა და ლიდერის ბიძინა ივანიშვილის როლსა და ფინანსურ წვლილზე. ამის მაგალითებია, როდესაც პრემიერმა ისაუბრა: „ქართუსა“ და სახელმწიფოს ერთობლივი პროექტის - ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის აღდგენის შესახებ; სენაკის სახელმწიფო თეატრის განახლებაში ფონდ „ქართუს“ მიერ გაღებულ ხარჯებზე; ხობში ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით აღდგენილ ტერიტორიებსა და ტაძრის მშენებლობაზე; ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მშენებლობაში ბიძინა ივანიშვილის მიერ დახარჯულ უდიდეს თანხაზე.[230] ამგვარი რეფერირება საქართველოს მთავრობის ოფიციალურ Facebook-გვერდზეც დაფიქსირდა.[231]

კამპანიის პერიოდში პარტიულ ღონისძიებებზე ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული პროექტების ტირაჟირება ამომრჩევლისთვის ართულებდა სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვრის გავლებას. ეს ქმნიდა წარმოდგენას, რომ ის, რაც სახელმწიფოს ვალდებულებაა და რაზეც გადასახადის გადამხდელის ფული იხარჯება, პარტიის კეთილ ნებას ექვემდებარება და ქველმოქმედებას უკავშირდება. ამით უმრავლესობამ არაბუნებრივი უპირატესობა მოიპოვა, რამაც ხელი შეუშალა კამპანიის თანაბარ პირობებში წარმართვას.

1.2. საჯარო რესურსის ბოროტად გამოყენება და საჯარო მოხელეების აგიტაციაში უკანონო მონაწილეობა

საარჩევნო კანონმდებლობით, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში იკრძალება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.[232] კანონი ადგენს იმ პირთა სიას, რომლებიც, არ შეიძლება, მონაწილეობდნენ აგიტაციაში, მათ შორის არიან საჯარო მოსამსახურე-

---

[229] Organization for Security and Co-operation in Europe, Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE (Copenhagen: Organization for Security and Co-operation in Europe, 1990), para 5.1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vzFHwU, განახლებულია: 01.03.2022.

[230] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, აგვისტო-სექტემბერი (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 12-13, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DelH7I, განახლებულია: 01.03.2022.

[231] იქვე.

[232] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

ებიც (სამუშაო საათების განმავლობაში ან, როდესაც ისინი უშუალოდ ახორციელებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას).[233] საარჩევნო კანონმდებლობის გარდა, საჯარო სამსახურის პოლიტიკური ნეიტრალურობის და მიუკერძოებლობის პრინციპს ადგენს კიდევ ერთი ნორმა, რომელიც საჯარო მოხელეს უკრძალავს სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას.[234]

2021 წლის ცვლილებებით, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით გაფართოვდა იმ პირთა სია, რომლებსაც წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა ეკრძალებათ. კერძოდ, ცვლილებებით, გაჩნდა ტერმინი „საჯარო მოსამსახურე“, რომელსაც სამუშაო საათების განმავლობაში ან სამსახურებრივი უფლებამოსილებების შესრულებისას აგიტაცია აეკრძალა.[235] „საჯარო მოსამსახურე“ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონშია განმარტებული და იგი საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა ფართო სეგმენტს მოიცავს.[236] დამატებით განიმარტა „საჯარო სკოლის პედაგოგი“, რომელმაც ასევე მოიაზრა „სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორები, აღმზრდელ-პედაგოგები, აღმზრდელები, მასწავლებლები, იქ დასაქმებული სხვა პირები“.[237] ცვლილებებით, დამატებით აიკრძალა „საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების შეკრება „სამსახურებრივი ნიშნით“.[238]

ამ ცვლილებების დამტკიცებამდე ეუთო და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) მიუთითებდა ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა წინასაარჩევნო კამპანიაში მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირების შეუზღუდავი ჩართულობა, აგრეთვე, ადმინისტრაციული რესურსის პრევენციისთვის ქმედითი ორგანოს არარსებობა, რომელიც საჩივრებს განიხილავს, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს გამოიძიებს და შესაბამის ზომებს მიიღებს.[239] ეუთოს რეკომენდაციით, სასურველი იყო სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესება, აგრეთვე, წინასაარჩევნო კამპანიაში მაღალი რანგის თანამდებობის პირების, მათ შორის მერების, მონაწილეობის მკაცრად დარეგულირება.[240] თუმცა, ამ მიმართულებებით კანონში ცვლილებები არ შესულა.

---

[233] იქვე, 45-ე მუხლის მე-4 ნაწილი.
[234] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი.
[235] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი.
[236] საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.
[237] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი.
[238] იქვე, 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.
[239] Georgia Parliamentary Elections 31 October 2020: ODIHR Limited Election Observation Mission Final Report (Warsaw: OSCE/ODHIR, 2021), გვ. 29, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32QHQrh, განახლებულია: 15.04.2022.
[240] იქვე, გვ. 26-27.

ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების პრობლემაზე მიუთითებდა საიაც.[241] კვლავ პრობლემად რჩება საჯარო მოსამსახურეების და მათთან გათანაბრებული პირების მიერ სამუშაო საათებში აგიტაცია.[242] რეფორმა არც ამ მიმართულებით ითვალისწინებდა ცვლილებას.

საერთო ჯამში, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები მისასალმებელი, თუმცა არასაკმარისია. საიას შეფასებით, ადმინისტრაციული რესურსის სამართლებრივი ჩარჩო კვლავ უნდა გადაიხედოს, აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები, ნაკლოვანებები და მეტად დაუახლოვდეს ის საერთაშორისო სტანდარტებს. ამ მიზნით, საიას ერთ-ერთი რეკომენდაციაა, **კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ქმედითი მექანიზმები ონლაინაგიტაციის წინააღმდეგ, კერძოდ, აგიტაციის ცნება უნდა დაკონკრეტდეს და განისაზღვროს, რომ იგი მოიცავს სოციალური ქსელის პირადი გვერდის საშუალებით პოლიტიკური მოწოდებების გავრცელებას.**

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების წესების დარღვევის ფაქტებზე საიამ საარჩევნო ადმინისტრაციას საჩივრებით მიმართა (ამაზე უფრო დეტალურად ცალკე ქვეთავშია საუბარი).[243] ამის გარდა, ოფიციალური კამპანიის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე ორგანიზაციამ აღრიცხა საჯარო ფინანსების პარტიული მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევები, რაც, მართალია, კანონდარღვევა არ არის, თუმცა ცუდი პრაქტიკაა. მაგალითად, საქართველოს მთავრობამ 2 აგვისტოს, კამპანიის დაწყებამდე 1 დღით ადრე, მიიღო დადგენილება, რომელიც ოჯახებს, პირველი და მეორე შვილის გაჩენის შემთხვევაში, იპოთეკური სესხის სახელმწიფო თანადაფინანსებით უზრუნველყოფდა.[244] კამპანიის პერიოდში ამგვარი ინიციატივა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად მიიჩნევა, რაც კანონით აკრძალული ქმედებაა.[245] არჩევნებისწინა პერიოდში საჯარო რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება სახელისუფლებო ოფიციალურ Facebook-გვერდებზე მმართველი პარტიის მხარდამჭერ პოსტებშიც გამოვლინდა.[246] ამ დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვა ჯერ არ მოქმედებდა და კანონი არ დარღვეულა. თუმცა, საია ამგვარ შემთხვევებს ცუდ პრაქტიკად მიიჩნევს, რადგან ისინი უმრავლესობას გაუმართლებელ უპირატესობას ანიჭებს, ხოლო სხვა პარტიებს არსებითად უთანასწორო პირობებს უქმნის.

---

[241] ლაცაბიძე მ. კიღურაძე კ. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 28-29, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kfjVMg, განახლებულია: 15.04.2022.

[242] იქვე.

[243] იხ. თავი 1.2.2. საიას საჩივრები და რეაგირება გამოვლენილ დარღვევებზე.

[244] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, მაისი-ივლისი (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ILGi4x, განახლებულია: 15.04.2022.

[245] იქვე.

[246] იქვე, გვ. 9-10.

1.2.1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობა

საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და ამ დარღვევებზე რეაგირების მიზნით, საარჩევნო პერიოდით, იქმნება უწყებათაშორისი კომისია.[247] საქმიანობას ის არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან წყვეტს.[248] მისი შემადგენლობა და დებულება მტკიცდება იუსტიციის მინისტრის მიერ.[249] კომისია იკრიბება თავმჯდომარის მოწვევით, საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ კვირაში ერთხელ მაინც.[250] სხდომებზე განიხილება საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებული, ასევე, კომისიისთვის საარჩევნო სუბიექტებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.[251] დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია, რეკომენდაციით მიმართოს ნებისმიერ საჯარო მოსამსახურეს, ადმინისტრაციულ ორგანოს და ცესკოს გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით.[252]

კანონმდებლობის შესაბამისად, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია 29 ივნისს შეიქმნა.[253] დებულების თანახმად, მის შემადგენლობაში შევიდნენ მაღალი თანამდებობის პირები, სამინისტროებისა და უწყებების, მათ შორის, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლები.[254] ეს უკანასკნელნი 2020 წლის არჩევნების დროს შექმნილ კომისიაში არ შედიოდნენ.

ცესკომ წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციის მიზნით უწყებათაშორის კომისიასა და 18 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან მემორანდუმი გააფორმა.[255] საია მას შეუერთდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის შეთავაზება მემორანდუმის ფარგლებში ონლაინაგიტაციის განმარტების შესახებ წელსაც არ იყო გათვალისწინებული. მემორანდუმმა ამ საკითხს კვლავ გვერდი აუარა.[256]

---

[247] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[248] იქვე, მე-4 და მე-4[1] ნაწილები.
[249] იქვე, მე-5 ნაწილი.
[250] იქვე.
[251] იქვე, მე-7 ნაწილი.
[252] იქვე, მე-9 ნაწილი.
[253] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uDdiXL, განახლებულია: 25.03.2022.
[254] იქვე.
[255] ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ, 08.09.2021, ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KWtUR4, განახლებულია: 15.04.2022.
[256] საიას რეკომენდაციები უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის შესახებ, იხ. ლაცაბიძე მ. კიღურაძე კ. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში (თბილისი,

საიამ მონაწილეობა არ მიიღო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში და ბოიკოტის რეჟიმში დარჩა. თუმცა, ორგანიზაცია დისტანციურად დააკვირდა კომისიის საქმიანობას. უწყებათაშორისი კომისია კამპანიის პერიოდში სულ 14-ჯერ შეიკრიბა. კომისიის სხდომის ოქმები საჯაროდ ხელმისაწვდომია, თუმცა სამინისტროს ვებგვერდზე ისინი ხშირად რამდენიმე დღის დაგვიანებით ქვეყნდებოდა. სხდომებზე განიხილებოდა სხვადასხვა საკითხი, მათ შორის: საჯარო რესურსის გამოყენება, ამომრჩევლის მოსყიდვის, ძალადობის, მუქარის, ზეწოლის, დაშინებისა და დევნის, ასევე შესაძლო პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები.[257] ამ შემთხვევების განხილვისას კომისია ზოგჯერ სუბიექტურობას იჩენდა და საქმესთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გარემოებებს უგულებელყოფდა.[258]

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებამდე 3 დღით ადრე კომისიამ 2 არასავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია გამოსცა პედაგოგებისა[259] და საჯარო მოხელეებისთვის[260] და მათ აგიტაციაში მონაწილეობისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა.[261] წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაპირისპირებისა და კონფლიქტების პრევენციის მიზნით კომისიამ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებსაც მიმართა.[262] საიას შეფასებით, ეს მითითებები უფრო ადრე უნდა გაკეთებულიყო ვინაიდან 3 დღით ადრე რეკომენდაციების გამოცემა ნაკლებად ეფექტიანია.

საერთო ჯამში, უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობას არ გააჩნია მკაფიო მანდატი და მხოლოდ რეკომენდაციების გაცემით შემოიფარგლება, რაც არსებული გამოწვევების გადასაჭრელად საკმარისი არ არის. ეუთო/ოდირისა და GRECO-ს მითითებებით, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, სანქციების გამკაცრება, ასევე ერთი ორგანოს განსაზღვრა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჩივრების განხილვაზე, ასეთი შემთხვევების გამოძიებასა და შესაბამისი ზომების გატარებაზე.[263]

საიას რეკომენდაციით, უწყებათაშორისი კომისია უნდა გაუქმდეს და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციისთვის შესაბამისი კომპეტენცია გადაეცეს ცესკოს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 30-31, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kfjVMg, განახლებულია: 15.04.2022.

[257] დეტალურად იხ. ყრუაშვილი ნ. და სხვები, საინფორმაციო ბიულეტენი №23, აგვისტო, 2021 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 11-13, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LirMmv, განახლებულია: 15.04.2022.

[258] იქვე.

[259] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2021 წლის 29 სექტემბრის რეკომენდაცია პედაგოგებს.

[260] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2021 წლის 29 სექტემბრის რეკომენდაცია საჯარო მოხელეებს.

[261] იქვე; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2021 წლის 29 სექტემბრის რეკომენდაცია პედაგოგებს.

[262] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 2021 წლის 29 სექტემბრის რეკომენდაცია საჯარო მოხელეებს.

[263] Venice Commission, OSCE/ODIHR, Joint Urgent Opinion on Draft Amendments to the Election Code, CDLPI(2021)005 (Strasbourg: Council of Europe, 2021), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hFOk4R, განახლებულია: 25.03.2022.

1.2.2. საიას საჩივრები და რეაგირება გამოვლენილ დარღვევებზე

საიამ წინასაარჩევნო პერიოდში 6 შემთხვევის გამო საარჩევნო ადმინისტრაციას საჩივრებით მიმართა. აქედან, საბოლოო ჯამში, დაკმაყოფილდა - 1, არ დაკმაყოფილდა - 4 მათგანი, ხოლო 1 ფაქტზე საიამ დავა შეწყვიტა.[264] ორგანიზაციის საჩივრებიდან აბსოლუტური უმრავლესობა ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებას შეეხებოდა. საიამ საჩივარი შეიტანა აგიტაციაში მონაწილეობის წესის დარღვევაზეც. ამ შემთხვევების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ქვემოთ არის განხილული.

1. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტი საიამ გამოავლინა ბათუმში, როდესაც „ქართული ოცნების“ აჭარის ცენტრალურ ოფისში შპს „ბათუმის წყლის“ კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით სკამები მიიტანეს. საიამ ეს ქმედება მმართველი პარტიის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების წესის დარღვევად შეაფასა და ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა.[265] საოლქო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა.[266] ეს უარი ორგანიზაციამ ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. საქმის შეფასებისას მოსამართლე დაეყრდნო იმ არგუმენტს, რომ შპს „ბათუმის წყალს“ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგების მიღების მიზნით, უფლება აქვს, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.[267] სასამართლომ დაადგინა, რომ მმართველი პოლიტიკური პარტიისთვის მომსახურება გაწეულია ანაზღაურების სანაცვლოდ, რაც დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტითა და გადახდის ქვითრით. სასამართლოს შეფასებით, ის არგუმენტი, რომ შპს დაარსებულია ბათუმის მერიის მიერ, ვერ გამოდგება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების დასტურად, რადგან გაწეულ მომსახურებას შედეგად არ მოჰყოლია კერძო სამართლის სუბიექტის მიერ სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლო, თვითნებური მოხმარება.[268] საიამ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა,[269] რომელმაც მოსარჩელის მოთხოვნა უარყო და მიღებული დადგენილება უცვლელად დატოვა.[270] მან გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს არგუმენტები

---

[264] საიამ გაასაჩივრა ვეჯინის ადმინისტრაციული ერთეულის მიერ ოფიციალურ Facebook-გვერდზე წინასაარჩევნო აგიტაციის შემცველი ინფორმაციის გაზიარება „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. თუმცა, დადგინდა, რომ ეს პროფილი არ იყო ოფიციალური. საიამ ამ ფაქტზე დავა შეწყვიტა.

[265] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2021 წლის 17 აგვისტოს №79-29 საჩივარი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JWuP2p, განახლებულია: 15.04.2022.

[266] ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 აგვისტოს №79/54 გადაწყვეტილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uPTRvS, განახლებულია: 15.04.2022.

[267] ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 3 სექტემბრის №4-1718/21 დადგენილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MbE28F, განახლებულია: 15.04.2022.

[268] იქვე.

[269] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2021 წლის 13 სექტემბრის სააპელაციო საჩივარი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37jzkqV, განახლებულია: 15.04.2022.

[270] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილება საქმეზე №4/ა-392-2021წ.

და დამატებით მიუთითა საკანონმდებლო ჩანაწერზე, რომ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ხდება მხოლოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში.[271] ამ შემთხვევაში კი მისთვის გაუგებარია, რა სახის სააგიტაციო კამპანია მოჰყვა პარტიის ოფისში სკამების გადატანას, რამაც არათანაბარ პირობებში ჩააყენა სხვა საარჩევნო სუბიექტები და საფრთხე შეუქმნა დემოკრატიულ საარჩევნო პროცესებს.[272] მოსამართლის აზრით, ვინაიდან სააგიტაციო ღონისძიება არ ჩატარებულა, მსჯელობა, ჩაითვლება თუ არა შპს „ბათუმის წყლის" მიერ გაწეული მომსახურება აკრძალულ ქმედებად, კერძოდ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად, აზრს კარგავს.[273]

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; მათ შორის, იკრძალება სახელმწიფო ხელისუფლების ან მუნიციპალიტეტის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.[274] კანონის ტელეოლოგიური განმარტებით, „ბათუმის წყლის" კუთვნილებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება მუნიციპალური ორგანოს საკუთრებაა, ვინაიდან იგი მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირია, მუნიციპალიტეტის ორგანიზაციაა[275] და ეს შპს საქმიანობს, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებებს იძენს საჯარო ფინანსებით. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მომსახურების გაწევა მოხდა ანაზღაურების სანაცვლოდ და წარმოდგენილია ინვოისი, ეს არ არის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება. დამატებით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისას აპელირება სააგიტაციო ღონისძიებაზე, საიას შეფასებით, კანონის ვიწროდ განმარტებაა. „აგიტაციის და კამპანიის პროცესი" ბევრად უფრო ფართო შინაარსს ატარებს და წინასაარჩევნო პერიოდში პარტიული აქტივობის დასაგეგმად გადადგმული ნებისმიერი მოქმედება ასეთად უნდა ჩაითვალოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საია მიიჩნევს, რომ საჩივარში მითითებული ფაქტი განეკუთვნება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების წესის დარღვევას, ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული აქტი არის დაუსაბუთებელი და არ შეესაბამება საარჩევნო კანონმდებლობას.

2. უმრავლესობის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების კიდევ ერთი ფაქტი უკავშირდება საჯარო მოხელეების შეკრებას, რაც ბოლო რეფორმის შედეგად, პირდაპირ აიკრძალა კანონმდებლობით. კერძოდ, ამბროლაურის მაშინდელი მერი და, იმავდროულად, მერობის კანდიდატი ზვიად მხე-

[271] იქვე.
[272] იქვე.
[273] იქვე.
[274] საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტი.
[275] მუნიციპალიტეტის ორგანიზაციათა ჩამონათვალი ბათუმის მერიის საიტზე, „ბათუმის წყალი", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iTxb81, განახლებულია: 15.04.2022.

იძე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისა და წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის თანამშრომლებს შეხვდა, რაც შემდგომ Facebook-ზე კამპანიური სახით გავრცელდა.[276] საიამ მომხდარი ფაქტი, როგორც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვის წესის დარღვევა, გაასაჩივრა საოლქო საარჩევნო კომისიაში.[277] საჩივარი არ დაკმაყოფილდა.[278] კომისიამ, ააიპ-ების დირექტორების ახსნა-განმარტებებსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის წერილზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ ეს იყო მოსახლეობასთან შეხვედრა და მასზე ააიპ-ების თანამშრომლების დასწრება წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილა.[279]

საიას შეფასებით, ამ შეხვედრის ფორმა და შინაარსი სამსახურებრივი შეკრების მაგალითია და მხოლოდ შეხვედრის ორგანიზატორების ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაცია ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი ვერ იქნებოდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა.[280] მოსამართლემ განმარტა, რომ საოლქო კომისიამ სათანადოდ ვერ შეასრულა კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობა და არ გამოჰკითხა ყველა პირი, რომლებსაც, შესაძლოა, საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია ჰქონოდათ.[281]

საბოლოოდ, ეს საქმე საარჩევნო კომისიაში განსახილველად უკან დაბრუნდა,[282] რასაც საია პოზიტიურად აფასებს. თუმცა, სამწუხაროდ, საოლქო კომისიამ საქმის ხელახლა განხილვის შედეგად, იგივე გადაწყვეტილება მიიღო, რაც პირველად.[283]

3. ერთი შემთხვევა უკავშირდება Facebook-გვერდის მეშვეობით პარტიული პოსტების გაზიარებას. ა(ა)იპ ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლამ[284] თავის Facebook-გვერდზე გააზიარა „ქართული ოცნებისა“ და ამბროლაურში ამ პარტიის მერობის კანდიდატის ზვიად მხეიძის მხარდამჭერი პოსტები.[285] ამბროლაურის სამხატვრო სკოლა ამბროლაურის მუნიციპალიტე-

[276] ვიდეოს დასაწყისში ჩნდება წარწერა „ქართული ოცნება“ და კანდიდატის საარჩევნო ნომერი.
[277] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2021 წლის 19 აგვისტოს №44-23 საჩივარი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xD5bNR, განახლებულია: 15.04.2022.
[278] ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 აგვისტოს №44/40 განცხადება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Oq39H0, განახლებულია: 15.04.2022.
[279] ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 აგვისტოს №44/40 განცხადება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Epv7xl, განახლებულია: 15.04.2022.
[280] ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 სექტემბრის №o4/81-21 გადაწყვეტილება.
[281] იქვე.
[282] იქვე.
[283] ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 28 სექტემბრის №44/85 გადაწყვეტილება.
[284] ხსენებული სამხატვრო სკოლა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება.
[285] ამბროლაურის სამხატვრო სკოლის ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ltNjxl, განახლებულია: 15.04.2022.

ტის ბიუჯეტიდან ფინანსდება.[286] მუნიციპალიტეტის ორგანიზაციებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, ეკრძალებათ საკომუნიკაციო თუ საინფორმაციო საშუალებების გამოყენება აგიტაციის მიზნებისთვის.[287]

საიამ ამ ფაქტის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა,[288] რომელიც არ დაკმაყოფილდა.[289] კომისია დაეყრდნო სამხატვრო სკოლისა და მერიის წერილებს და დაადგინა, რომ მითითებული Facebook-გვერდი არ განეკუთვნებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებით ადმინისტრირებულ სოციალურ მედიას, მას არ ჰყავდა ადმინისტრატორი, ხოლო ინფორმაციის გაზიარება მოხდა პირადი სახსრებით შეძენილი ინტერნეტით.[290]

საიამ ეს საქმე სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც გაიზიარა ორგანიზაციის არგუმენტები და ეს ფაქტი სამართალდარღვევად შეაფასა, რაც მისასალმებელია.

4. საიამ საჩივარი შეიტანა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებისას „ქართული ოცნების“ სააგიტაციო ატრიბუტიკის გამოყენებაზე. საოლქო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა, ვინაიდან შპს „ნდს მშენებლობა“ ასპინძის რაიონში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის ფარგლებში სამუშაოებს აწარმოებდა ქვეკონტრაქტორი კომპანიის - შპს „მეგობრობა-5“ საშუალებით, რომელიც ფინანსდებოდა არა სახელმწიფოს, არამედ შპს „ნდს მშენებლობის“ მიერ. გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ პარტია „ქართული ოცნების“ მაისურები მუშებს ეცვათ მხოლოდ სამუშაო ტანსაცმლის გამოყენების მიზნით და არა - აგიტაციისთვის.[291]

5. აგიტაციაში უკანონო მონაწილეობის ერთ-ერთი ფაქტი შეეხებოდა ცესკოს ოპოზიციონერი წევრის დავით კირთაძის დასწრებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატის ნიკა მელიას მხარდამჭერ ღონისძიებაზე. საოლქო კომისია დაეყრდნო დავით კირთაძის წერილს, რომელმაც განმარტა, რომ რუსთაველის გამზირზე ნიკანორ მელიას შემთხვევით შეხვდა, უბრალოდ,

[286] ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №14, 2020 წლის 30 დეკემბერი, ქ. ამბროლაური, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი: ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა, პროგრამული კოდი: 0502 0103.

[287] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

[288] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2021 წლის 17 სექტემბრის №17-168 საჩივარი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, https://bit.ly/3uVoErt, განახლებულია: 15.04.2022.

[289] ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 28 სექტემბრის №44/84 გადაწყვეტილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vMqv11, განახლებულია: 15.04.2022.

[290] ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 28 სექტემბრის №44/84 გადაწყვეტილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jP2W1Z, განახლებულია: 15.04.2022.

[291] ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ოქტომბრის №39/71 გადაწყვეტილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3M9A9Ry, განახლებულია: 15.04.2022.

მიესალმა და დაახლოებით ერთწუთიანი კომუნიკაციის შემდეგ დაემშვიდობა. ცესკოს განმარტებით, იმისთვის, რომ საარჩევნო კომისიის წევრის აგიტაციაში მონაწილეობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად შეფასდეს, საჭიროა, ჩადენილი იყოს კონკრეტული, მკაფიო და რეალური საქციელი, რომელიც აგიტაციის შესახებ საარჩევნო კოდექსის განმარტების ფარგლებში მოექცევა.[292] საიამ ეს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და დაეთანხმა ცესკოს გადაწყვეტილებას, რომ მოცემული ფოტომასალა, როგორც მტკიცებულება, საკმარისი არ იყო დავით კირთაძის მიერ აგიტაციაში უკანონო მონაწილეობის ფაქტის დასადასტურებლად.[293] საიას შეფასებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ამ შემთხვევაში მტკიცების დაბალი სტანდარტით იხელმძღვანელა და დაეყრდნო მოპასუხეების ახსნა-განმარტებას ისე, რომ დამატებით არ გამოიკვლია მათი ნამდვილობა. ასეთი მიდგომა ხელს არ უწყობს კანონის სათანადოდ აღსრულებას და სამომავლოდ ამგვარი ქმედებების პრევენციას.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრობლემა დიდწილად გამოწვეულია, ერთი მხრივ, კანონის არასათანადო დაცვით, ხოლო მეორე მხრივ, ადმინისტრაციული რესურსის სამართალდარღვევის ფაქტებზე არასათანადო რეაგირებით. იმის მიუხედავად, რომ რეგულაციები გამკაცრდა, რაც მისასალმებელია, ეს ცვლილებები საკმარისი არ არის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირებისთვის.

ადმინისტრაციული რესურსის მარეგულირებელი ნორმების ეფექტიანი აღსრულებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლოებმა დავების გადაწყვეტისას უზრუნველყონ კანონის თანმიმდევრული და სწორი ინტერპრეტაცია.

1.3. საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა

ახალი პროგრამის დამატება/სოციალური გასაცემელების გაზრდა

საარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.[294] გამონაკლისია პროექტები/პროგრამები, რომლებიც ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით.[295] ამავე პერიოდში ასევე აკრძალულია სოციალური გასაცემელების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ შემთხვევებისა,

[292] ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის №01-02/1547 გადაწყვეტილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36pcSvM, განახლებულია: 15.04.2022.

[293] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 ოქტომბრის №6/6432-21 დადგენილება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uS53s6, განახლებულია: 15.04.2022.

[294] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[295] იქვე.

რომლებიც კანონმდებლობით უკვე გათვალისწინებული იყო.[296] ეს რეგულაციები არ ვრცელდება სტიქიური უბედურებისა ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე.[297]

2021 წლის არჩევნების კამპანიის პერიოდში ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გრანტების ნაწილში 1 197 300 ლარით გაიზარდა.[298] ეს პირდაპირპროპორციულად აისახა ხარჯების ზრდაზე და ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამას 1 197 300 ლარი დაემატა.[299] ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ეს ზრდა გამოწვეული იყო მთავრობის შესაბამის განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით, რომლის მიხედვითაც, ყვარლის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ 2 500 000 ლარი გამოეყო.[300] საია მიიჩნევს, რომ ეს შემთხვევა არ არის კანონდარღვევა, ვინაიდან პროექტები ხორციელდებოდა სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, რაც საგამონაკლისო ვითარებაა.

2021 წლის არჩევნების კამპანიის პერიოდში სოციალური გასაცემელების ოდენობა ბიუჯეტში 3-მა მუნიციპალიტეტმა გაზარდა:

- ახალციხის მუნიციპალიტეტი - 7 200 ლარი;[301]
- ცაგერის მუნიციპალიტეტი - 3 000 ლარი;[302]
- ტყიბულის მუნიციპალიტეტი - 1 000 ლარი.[303]

ახალციხის მუნიციპალიტეტმა საბიუჯეტო ცვლილებების მიზეზად შრომის ანაზღაურების მუხლიდან სოციალური უზრუნველყოფის მუხლში ბიულეტენის ასანაზღაურებელი თანხების გადატანა დაასახელა.[304]

ცაგერის მუნიციპალიტეტის განმარტებით, ზრდა გამოწვეული იყო იმით, რომ სოციალური უზრუნველყოფის მუხლში აისახა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახარჯული თანხა, რომელიც თავისი შინაარსით, ხარჯვის ეკონომიკური კლასიფიკაციით სოციალურ მუხლს განეკუთვნებოდა.[305]

---

[296] იქვე, მე-4 ნაწილი.
[297] იქვე, მე-5 ნაწილი.
[298] ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 სექტემბრის №20 დადგენილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
[299] იქვე.
[300] ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 11 ნოემბრის №88-882131530 წერილი.
[301] ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 სექტემბრის №16 დადგენილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
[302] ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1-ლი სექტემბრის №19 დადგენილება „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
[303] ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 აგვისტოს №9 დადგენილება „ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
[304] ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 21 ოქტომბრის №12-122129455 წერილი.
[305] ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 5 ოქტომბრის წერილი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის წერილით ირკვევა, რომ 2021 წლის პროგრამულ ბიუჯეტში სოციალური დაცვის პროგრამაში აქვთ ქვეპროგრამა 100 წელზე მეტი ხნის პირთა დახმარებისა და შინ მოვლისთვის, რომელიც ითვალისწინებს ტყიბულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის სერვისების მიწოდებას. საკვებ პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ცვლილების გამო, მესამე კვარტალში გამოყოფილი თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი აგვისტოსა და სექტემბერში მათთვის პროდუქტების შესაძენად. ამიტომ, საჭირო გახდა ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.[306]

საიას შეფასებით, ახალციხის, ცაგერის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებმა კამპანიის პერიოდში ბიუჯეტებში სოციალურ დახმარებებზე გამოყოფილი სახსრების გაზრდით კანონი დაარღვიეს. არცერთი მუნიციპალიტეტის დასაბუთება არ უკავშირდება ფორსმაჟორულ გარემოებას.

„სუბსიდიის“, „გრანტის“, „შრომის ანაზღაურებისა“ და „სხვა ხარჯების“ მიმართულებით ცვლილებები ბიუჯეტში

წინასაარჩევნოდ „სუბსიდიის“, „გრანტის“, „შრომის ანაზღაურებისა“ და „სხვა ხარჯების“ მიმართულებით ბიუჯეტში ცვლილების შეტანა სამართალდარღვევა არ არის, თუმცა, პოტენციურად, ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს საჯარო რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებაზე. ამიტომ, **ამ მუხლებში („სუბსიდია“, „გრანტი“, „შრომის ანაზღაურება“ და „სხვა ხარჯები“) ცვლილებების შეტანა ასევე უნდა დაექვემდებაროს შეზღუდვას და მხოლოდ ფორსმაჟორულ სიტუაციაში იყოს შესაძლებელი.**

სუბსიდიისთვის[307] გათვალისწინებული სახსრები 3 მუნიციპალიტეტში გაიზარდა:

- ბაღდათის მუნიციპალიტეტი - 87 000 ლარი;[308]
- მარნეულის მუნიციპალიტეტი - 532 300 ლარი;[309]
- ყვარლის მუნიციპალიტეტი - 94 300 ლარი.[310]

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ბიუჯეტში ცვლილება გამოიწვია ა(ა)იპ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ სუბსიდიის გაზრდამ.[311] ამ თანხის ნაწილი დაიხარჯა მრავალბინიანი

[306] ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 27 სექტემბრის №74-74212706 წერილი.

[307] მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ებისთვის მიმდინარე მიზნების შესასრულებლად უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემული ტრანსფერი.

[308] ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 სექტემბრის №15 დადგენილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[309] მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 სექტემბრის №31 დადგენილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №1 დადგენილებაში ცვლილების შესახებ.

[310] ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 სექტემბრის №20 დადგენილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[311] ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 29 ოქტომბრის №66-6621302201 წერილი.

საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოების შრომის ანაზღაურებისთვის, ხოლო ნაწილი - საწვავისთვის.[312]

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის საპასუხო წერილის მიხედვით, ზრდა გამოიწვია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მარნეულის სოფწყლის“ წინასწარ დაუგეგმავმა ხარჯმა - ელექტროენერგიის ფასის მატებამ.[313] ვინაიდან შპს „სოფწყალი“ მოსახლეობას წყალს აწვდის სემეკის მიერ დამტკიცებული უცვლელი ტარიფით, დანახარჯსა და შემოსავლებს შორის სხვაობის გაიზარდა, რამაც, თავის მხრივ, სუბსიდირების ზრდა გამოიწვია.[314]

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის წერილის მიხედვით, გამოყოფილი თანხა სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ, კერძოდ, საპროექტო სამუშაოებისთვის გამოიყო.[315]

სუბსიდიის მუხლით მუნიციპალური ა(ა)იპ-ები და შპს-ები ფინანსდება. მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების ხარჯების საჯაროობის სტანდარტი, მუნიციპალიტეტთან შედარებით, დაბალია. მათი დაფინანსების ზრდა წინასაარჩევნოდ მანიპულაციების საშუალებას იძლევა. წინასაარჩევნო პერიოდში სუბსიდიის დაფინანსების ზრდის აუცილებლობა დასაბუთებას საჭიროებს, რაც, საიას შეფასებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტს არ გაუკეთებია. განსხვავებული მდგომარეობაა მარნეულის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, რომელმაც კონკრეტულ გარემოებაზე მიუთითა. ეს გასაგები მიზეზია - ახალი ობიექტის გადაცემა და ელექტროენერგიის ფასის მატება ნამდვილად იწვევს ხარჯების ზრდას. ყვარლის მუნიციპალიტეტების განმარტებაც ამასთან დაკავშირებით დამაკმაყოფილებელია.

სხვა ხარჯების[316] მიმართულებით სახსრების ზრდა 4 მუნიციპალიტეტში გამოვლინდა:

- ახალციხის მუნიციპალიტეტი - 7300 ლარი;[317]
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი - 2300 ლარი;[318]
- ყვარლის მუნიციპალიტეტი - 988 600 ლარი;[319]
- ცაგერის მუნიციპალიტეტი - 6630 ლარი.[320]

---

[312] იქვე.

[313] მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 15 ოქტომბრის №32-322128848 წერილი.

[314] იქვე.

[315] ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 4 ნოემბრის №88-882130846 წერილი.

[316] მოიაზრება მერიის სარეზერვო ფონდი, რომლითაც პროგრამულად გაუთვალისწინებელი აქტივობები ფინანსდება (ძირითადად, არაპროგრამული სოციალური დახმარებები).

[317] ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 სექტემბრის №16 დადგენილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[318] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 სექტემბრის №22 დადგენილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[319] ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 სექტემბრის №20 დადგენილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[320] ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1-ლი სექტემბრის №19 დადგენილება „ცაგერის

ახალციხის მუნიციპალიტეტის განმარტებით, სხვა ხარჯების მუხლის ზრდა განაპირობა უფლებამოსილების ხარჯებმა (ფრაქცია დატოვა ორმა დეპუტატმა - თავმჯდომარემ და მოადგილემ და დაემატა დეპუტატების უფლებამოსილების ხარჯებს).[321]

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ზრდა გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების არაფინანსური აქტივების მუხლის 2300 ლარით შემცირებამ. შედეგად, სხვა ხარჯების მუხლი გაიზარდა 2300 ლარით, ანუ განხორციელდა შიდამონაცვლეობა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში.[322]

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის წერილის მიხედვით, სახსრების ზრდა სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებით იყო განპირობებული.[323]

ცაგერის მუნიციპალიტეტის განმარტებით კი, სხვა ხარჯებში აისახა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახარჯული ის თანხები, რომლებიც თავისი შინაარსით და ეკონომიკური კლასიფიკაციით სწორედ ამ მუხლს განეკუთვნებოდა.[324]

საიას შეფასებით, ყვარლის, ახალციხის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების განმარტება ბიუჯეტის გაზრდის თაობაზე დამაკმაყოფილებელია, ხოლო ცაგერის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - ბუნდოვანი.

წინასაარჩევნო პერიოდში არცერთ მუნიციპალიტეტში არ შეცვლილა შრომის ანაზღაურების და გრანტების მუხლები. ორგანიზაცია ამ ფაქტს პოზიტიურად აფასებს.

2. ამომრჩევლის მოსყიდვა

საარჩევნო კანონმდებლობა კრძალავს პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის მიერ ხმის ყიდვას. ამომრჩევლის მოსყიდვა ფართოდ რეგულირდება. კანონი კრძალავს არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობების გადაცემას, გავრცელებას, შეღავათიან ფასად მიწოდებას, აგრეთვე მათი გადაცემის დაპირებასაც, მიუხედავად ღირებულებისა. საარჩევნო კოდექსის რეგულაციები ვრცელდება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდზე,[325] ხოლო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი - არასაარჩევნო დროზეც.[326] ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.[327]

საიამ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ამომრჩევლის მოსყიდვის 9 შემთხვევა აღრიცხა. ამ შემთხვევების უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ უკავშირდება. კონკრეტულად:

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[321] ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 ოქტომბრის №12-122129455 წერილი.

[322] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 ოქტომბრის №05-302129848 წერილი.

[323] ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 4 ნოემბრის №88-882130846 წერილი.

[324] ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 5 ოქტომბრის წერილი.

[325] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[326] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 25^2-ე მუხლი.

[327] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164^1-ე მუხლი.

- წალენჯიხაში მმართველი პარტიის მერობის კანდიდატ გოგა გულორდავას მხარდამჭერ Facebook-გვერდზე გაზიარდა პოსტი სათაურით - „საქველმოქმედო დღეები დაიწყო“.[328] თანდართულ ფოტომასალაში ჩანდა პარტიის აქტივისტების მიერ საკვები პროდუქტების შეძენისა და მოქალაქეებისთვის გადაცემის ფაქტი.[329] პროკურატურის ინფორმაციით მიმდინარეობს გამოძიება.[330]
- სოციალურ ქსელში გავრცელდა მოქალაქის სამადლობელი პოსტი, სადაც ის „ქართული ოცნების“ ხაშურის საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატ ლევან გამრეკელს მადლობას უხდის შეშით მომარაგებისთვის.[331] დამატებით გავრცელდა სამადლობელი წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ლევან გამრეკელმა ერთ-ერთ პირს ოპერაცია დაუფინანსა.[332] პროკურატურის ინფორმაციით, წინასაგამოძიებო საქმისწარმოების ფარგლებში ეს ფაქტი არ დადასტურდა და, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა.[333]
- „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ტიტე მგელაძემ ძიმითის, ასკანისა და ნაგომრის საარჩევნო ოლქში წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საკუთარი ფულით წყლის ცისტერნები იყიდა და სოფლის ერთ-ერთ უბანს საჩუქრად გადასცა. ეს ფაქტი ტიტე მგელაძემ თავად დაადასტურა.[334] პროკურატურის ინფორმაციით, მიმდინარეობს ამ ფაქტის შესწავლა, თუმცა გამოძიება დაწყებული არ არის.[335]
- „მთავარმა არხმა“ გაავრცელა სატელეფონო ჩანაწერი, სადაც, სავარაუდოდ, ოზურგეთის მოქალაქე არჩილ თალაკვაძის თანაშემწესთან საუბრისას ამბობს, რომ მას, ხმების მობილიზების სანაცვლოდ, პატიმრობიდან შვილის ვადაზე ადრე გათავისუფლებას დაჰპირდნენ.[336] საიას ამ ფაქტის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

მოსყიდვის ერთ-ერთი შემთხვევა გამოვლინდა ოპოზიციური პარტიის მხრიდან:

- პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ ახალგაზრდა აქტივისტებმა, რომლებიც პარტიის მხარდამჭერ ფერებსა და მაისურებში იყვნენ გამოწყობილნი, ქალაქ ჯვარში ფრენბურთის მოედანი აღადგინეს, მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს და მოაწესრიგეს.[337] ამ შემთხვევაზე გამოძიება დაწყებულია.[338]

---

[328] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 20-21.
[329] იქვე.
[330] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 13 ოქტომბრის №13/62566 წერილი.
[331] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 21-22.
[332] იქვე.
[333] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 12 ნოემბრის №13/68554 წერილი.
[334] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, გვ. 11.
[335] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 12 ნოემბრის №13/68554 წერილი.
[336] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში, გვ. 2.
[337] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 21-22.
[338] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 13 ოქტომბრის №13/62566 წერილი.

საიამ წინასაარჩევნოდ რამდენიმე პრობლემური ინიციატივაც აღრიცხა, რომლებიც COVID-19-ის პრევენციის მიზნით უმრავლესობისა და ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს უკავშირდებოდა. მაგალითად:

- „ევროპულმა საქართველომ“ ვაქცინაციის პროცესში მოსახლეობის დახმარების მიზნით ცხელი ხაზი აამუშავა.[339] პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, მისი მეშვეობით ისინი რეგისტრაციაში დაეხმარებოდნენ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ინტერნეტის შესაბამის სერვისებზე ხელი არ მიუწვდებოდათ, ან არ ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა აცრის თაობაზე; [340]
- „ქართული ოცნების“ ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ პარტიის ოფისებში მოსახლეობას აცრაზე დარეგისტრირებაში დაეხმარებოდნენ;[341]
- პარტიამ „ლელო საქართველოსთვის“ გაავრცელა ინფორმაცია ცხელი ხაზის ამოქმედების შესახებ, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს აცრაზე რეგისტრაციაში დაეხმარებოდნენ და სამედიცინო კონსულტაციას გაუწევდნენ; [342]
- პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რუსთავის მერობის კანდიდატმა დავით კირკიტაძემ განაცხადა, რომ მათი მოხალისეები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის გამო, რუსთავის მაცხოვრებელთა აცრის პუნქტებამდე მიყვანასა და სახლში დაბრუნებას უფასო ტრანსპორტით უზრუნველყოფენ.[343]

როგორც საიასთვის გახდა ცნობილი, ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან მხოლოდ პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაზე დაიწყო გამოძიება.[344] დანარჩენ ფაქტებზე გამოძიების დაწყების შესახებ პროკურატურას ორგანიზაციისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია.[345] გაუგებარია, რის საფუძველზე მოხდა ასეთი დიფერენციაცია მაშინ, როდესაც სხვა პარტიებმაც, მათ შორის უმრავლესობამ, მოქალაქეებს შესთავაზეს სერვისი უფასო რეგისტრაციისა ან გადაადგილების სახით, შესაბამისად, დაარღვიეს კანონის მოთხოვნები.[346]

საერთო ჯამში, პროკურატურის ინფორმაციაზე დაყრდნობით,[347] საიას მიერ აღრიცხული ამომრჩევლის მოსყიდვის 9 შემთხვევიდან[348] 5 მათგანზე გამოძიება არ დაწყებულა.[349] ეს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საარჩევნო დანაშაულებზე დროული და სათანა-

---

[339] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 20.
[340] იქვე.
[341] იქვე.
[342] იქვე.
[343] იქვე.
[344] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 13 ოქტომბრის №13/62566 წერილი.
[345] იქვე.
[346] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25^2-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[347] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 13 ოქტომბრის №13/62566 და 2021 წლის 12 ნოემბრის №13/68554 წერილები.
[348] ერთი შემთხვევის (ხმების მობილიზების სანაცვლოდ პატიმრის გამოშვების ქეისი) გამოძიების მიმდინარეობის შესახებ საიას ინფორმაცია არ აქვს.
[349] პროკურატურის ინფორმაციით, ეს შემთხვევები ან არ დადასტურდა, ან არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს.

დო რეაგირება არ ხდება, რაც ამომრჩევლებს ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას უკარგავს. იმავდროულად, ამგვარი მიდგომა ხელს უშლის სამომავლოდ საარჩევნო დანაშაულების ჩადენის პრევენციას. პრობლემურია ასევე საზოგადოების დროული ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.[350] აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს რეაგირება საარჩევნო დანაშაულებზე არადამაკმაყოფილებელია და ხელს არ უწყობს თავისუფალი წინასაარჩევნო გარემოს არსებობას.

საია პროკურატურას მოუწოდებს: ა) დაიწყოს გამოძიება იმ საქმეებზე, სადაც აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები; ბ) უზრუნველყოს სისხლის სამართლის დანაშაულებზე დროული რეაგირება, ხოლო გამოძიება წარმართოს მიუკერძოებლად და ობიექტურად; გ) დროულად აცნობოს საზოგადოებას საქმეების მიმდინარეობის შესახებ.

3. იძულება, თავდასხმები და ძალადობრივი ქმედებები

წინასაარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკურ ოპონენტებს შორის დაპირისპირებამ, არაერთ შემთხვევაში, იძულების, მუქარის, ფიზიკური დაპირისპირების, ძალადობის ფორმა მიიღო. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი ინციდენტები საიამ სხვადასხვა რეგიონში, მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოავლინა, რამაც, საერთო ჯამში, კამპანიის მშვიდ და წყნარ გარემოში წარმართვას ხელი შეუშალა. პოლიტიკური კლიმატი განსაკუთრებით გაუარესდა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად და დაძაბულობაც უფრო მაღალი ინტენსივობით შეინიშნებოდა. 20 სექტემბერს რუსთავში „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ ივანე გველესიანს თავს დაესხნენ. შედეგად, მას ჩაემტვრა სახის ძვლები და მიიღო ტვინის შერყევა.[351] შსს-ს ინფორმაციით, ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება ძალადობის მუხლით[352] დაიწყო, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები და დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.[353] ამჟამად გამოძიება გრძელდება.[354] ინციდენტიდან მეორე დღეს, დმანისის მუნიციპალიტეტის ოპოზიციის შეთანხმებული მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრის დროს, ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ მისი და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, რა დროსაც ორი ადამიანი დაჭრეს.[355] ამ შემთხვევას აშშ-ის საელჩო გამოეხმაურა და დაგმო ძალადობრივი, პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმები.[356] შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს ჯგუფური ძალადობისა[357] და

[350] ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო დანაშაულებზე განახლებული ინფორმაციის მიღების მიზნით, საიამ პროკურატურას 2022 წლის 31 მარტს მიმართა, თუმცა პასუხი ამ დრომდე (იგულისხმება 2022 წლის 30 მაისის მდგომარეობით) არ მიუღია.

[351] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 27.

[352] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[353] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 13 ოქტომბრის წერილი.

[354] იქვე.

[355] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 27.

[356] ამერიკის საელჩო საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kzPhw5, განახლებულია: 15.04.2022.

[357] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების[358] მუხლებით,[359] ჩატარდა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები და დაკავებულია ერთი პირი, რომელსაც ბრალი წარედგინა.[360] ამჟამად ამ საქმეზე გრძელდება გამოძიება.[361] დმანისის ინციდენტს თბილისში „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს შორის მწვავე დაპირისპირება მოჰყვა, რაც საიამ წვრილმან ხულიგნობად შეაფასა.[362] კამპანიის პერიოდში ორგანიზაციამ წვრილმანი ხულიგნობის სხვა ფაქტებიც აღრიცხა.[363]

განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ოპოზიციური კანდიდატების, მათი მხარდამჭერებისა და ამომრჩევლების მიმართ ზეწოლის შემთხვევები. პარტია „საქართველოსთვის“ მერობის კანდიდატმა იმერეთში და პროპორციული სიის წევრმა აჭარაში მათ მიმართ ზეწოლის ფაქტებზე საჯაროდ ისაუბრეს. კერძოდ, ქედის პროპორციული სიის კანდიდატმა აკაკი ბეჟანიძემ განაცხადა, რომ მას პარტიული სიის დატოვება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ. ხოლო შუახევის პროპორციული სიის კანდიდატის დალი დაგიძის თქმით, მას სიის დატოვებას სთხოვდნენ ფრიდონ ფუტკარაძის წარმომადგენლები, უარის შემდეგ კი უთხრეს, რომ მისი მეუღლის ქონებას გაანადგურებდნენ.[364] ამავე პარტიის ხაშურის მერობის კანდიდატმა ზვიად ტეფნაძემ განაცხადა, რომ მას ემუქრებოდნენ როგორც პირადი, ისე მისი კომპანიების საკუთრებაში არსებული ავტომანქანების და უძრავი ქონების გადაწვით, ბიზნესსაქმიანობის შეჩერებით. შსს-ს ინფორმაციით, ზემოაღნიშნულ ყველა ფაქტზე გამოძიება იძულების მუხლით[365] მიმდინარეობს.[366]

ზეწოლის ფაქტები გამოვლინდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიმართაც. მაჟორიტარ კანდიდატ გივი მგელაძეს,[367] სავარაუდოდ, უცნობმა პირებმა კანდიდატურის მოხსნა მოსთხოვეს, სანაცვლოდ კი კომფორტულ ცხოვრებას დაჰპირდნენ.[368] ზეწოლაზე ისაუბრა ამავე პარტიის წევრმა რევაზ გვილიამ, რომელმაც განაცხადა, რომ იგი „ქართული ოცნების” შტაბში დაიბარეს და „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ მუშაობა მოსთხოვეს.[369] მისი თქმით, მაღალჩინოსნებთან შეხვედრის დროს მობილური ტელეფონი გამოართვეს და მის Facebook-გვერდზე გამოაქვეყნეს პოსტი, სადაც ეწერა, რომ იგი ტოვებდა პარტიას, „ნაციონალურ მოძრა-

[358] იქვე, 117-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[359] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 13 ოქტომბრის წერილი.
[360] იქვე.
[361] იქვე.
[362] იქვე.
[363] სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა ვანშიც ოპოზიციური კანდიდატის წარდგენის ღონისძიებაზე. კერძოდ, მანქანით ჩამოიარა მოქალაქემ, რომელიც გიგი უგულავას და მიხეილ სააკაშვილს აგინებდა და ლანძღავდა. ამას მოჰყვა მას და ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება. კადრებში ჩანს, როგორ აგინებენ ერთმანეთს მხარეები. შსს-ს ინფორმაციით, ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული სამართალწარმოება.
[364] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 23.
[365] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი.
[366] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 13 ოქტომბრის წერილი.
[367] საიას წარმომადგენელი გაესაუბრა გივი მგელაძეს, რომელმაც ეს ინფორმაცია დაადასტურა.
[368] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 24.
[369] იქვე.

ობასა“ და გიორგი გახარიას შორის არსებული კავშირების გამო.[370] ამ ფაქტებზე გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით საიამ შსს-ს მიმართა, თუმცა ინფორმაცია არ მიუღია.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ანა წითლიძემ „ქართული ოცნების“ შტაბის წევრები მოქალაქეებისთვის წინასაარჩევნოდ პირადობის მოწმობების ჩამორთმევაში დაადანაშაულა.[371] ამავე ბრიფინგზე გასაჯაროვდა ვიდეომასალა, სადაც ფიგურირებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მაყვალა ანთია და ზუგდიდის თეატრის მსახიობი მერაბ კაკალია.[372] კადრებში ჩანს ათობით პირადობის მოწმობა, რომლებიც, სავარაუდოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველს ეკუთვნოდა.[373] შსს-ს ინფორმაციით, შევიდა შეტყობინება რამდენიმე მოქალაქისა და მათი ოჯახებისთვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევის შესახებ, თუმცა ეს ფაქტები არ დადასტურდა, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულია.[374] საიას შეფასებით, ეს საქმე შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და აუცილებელი იყო მასზე გამოძიების დაწყება.

გამოვლინდა სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით თავდასხმის შემთხვევები ოზურგეთში. ერთ შემთხვევაში მოქალაქე ლევან თავდიშვილს, ოპოზიციური აზრის გამო, ფიზიკურად გაუსწორდნენ.[375] დაზარალებულის თქმით, მასზე თავდასხმის მიზეზი „ქართული ოცნების“ კრიტიკა გახდა.[376] შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ძალადობის მუხლით[377] დაიწყო.[378]

საიამ მმართველი პარტიიდანაც მიიღო შეტყობინება მათ წევრებზე თავდასხმების შესახებ. მაგალითად, ხაშურის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ აგიტატორ ნონა გრიგალაშვილს, სავარაუდოდ, პარტია „საქართველოსთვის“ წაღვერის მაჟორიტარობის კანდიდატმა ჯონდო კაპანაძემ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.[379] შსს-ს ინფორმაციით, ამ საქმეზე გამოძიება ძალადობის მუხლით[380] მიმდინარეობს.[381] მეორე შემთხვევაში - მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს როვშან ისკანდიროვს

---

[370] იქვე.
[371] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, გვ. 6.
[372] იქვე.
[373] იქვე.
[374] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 13 ოქტომბრის წერილი.
[375] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 27.
[376] იქვე.
[377] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[378] შსს-ს ინფორმაციით, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები: გამოიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა სამედიცინო ექსპერტიზა, იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 13 ოქტომბრის წერილი.
[379] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, გვ. 5.
[380] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი.
[381] შსს-ს ინფორმაციით, ამ საქმეზე ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება, მათ შორის, გამოიკითხნენ მოწმეები, დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი და დაინიშნა სასამართლო ექსპერტიზა, იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 2 დეკემბრის წერილი.

სცემეს.[382] ამ საქმეზე გამოძიება დაწყებულია ჯგუფური ძალადობის[383] ბრალდებით.[384] ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საკრებულოს წევრმა მმართველი პარტიიდან ვლადიმერ ჩავლეიშვილმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი მუქარასა და ფიზიკურ ძალადობაში დაადანაშაულა.[385] შსს-მ გამოძიება ძალადობის მუხლით[386] დაიწყო[387] და ამჟამადაც გრძელდება.[388]

კამპანიის აგრესიული ფორმები სხვა მიმართულებითაც ვლინდებოდა, მათ შორისაა, ოფისის და პირადი ნივთების დაზიანება, სააგიტაციო მასალების განადგურება. მაგალითად, პარტია „საქართველოსთვის“ ორ წარმომადგენელს ავტომობილები დაუცხრილეს.[389] შსს-ს ინფორმაციით, ცაგერში ამ პარტიის მერობის კანდიდატის ავტომანქანის დაცხრილვის ფაქტზე გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანების[390] მუხლით დაიწყო, შემდგომ გადაკვალიფიცირდა და ამჟამად სხვისი ნივთის დაზიანებისა[391] და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების[392] მუხლებით მიმდინარეობს.[393] ხოლო ამავე პარტიის ლაგოდეხის საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატის ავტომანქანის დაცხრილვის ფაქტზე გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანების[394] მუხლით მიმდინარეობს.

კიდევ ერთი აგრესიული შემთხვევა გამოვლინდა ზუგდიდში, სადაც პოლიტიკური გაერთიანება „დროას“ ოფისის კარზე მიაწერეს „მკვლელებო“ და სხვა უცენზურო სიტყვები. შსს-ს ინფორმაციით, ამ ფაქტზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.[395]

საიამ ბანერებისა და პლაკატების დაზიანების ათეულობით შემთხვევა აღრიცხა.[396] ამ შემთხვევაში სამიზნე იყო როგორც ოპოზიცია, ისე მმართველი პარტია. თბილისში

---

[382] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, გვ. 5.

[383] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

[384] შსს-ს ინფორმაციით, ამ საქმეზე ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება, იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 2 დეკემბრის წერილი.

[385] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 28.

[386] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[387] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 13 ოქტომბრის წერილი.

[388] იქვე.

[389] 24 სექტემბერს პარტია „საქართველოსთვის“ ლაგოდეხის საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატ სალომე ღონღაძის ავტომობილს საბურავები დაუხვრიტეს, ხოლო 25 სექტემბერს პარტია „საქართველოსთვის“ ცაგერის მერობის კანდიდატ ბესარიონ ბენდელიანის ავტომობილი დაცხრილეს. ბენდელიანი მომხდარ ფაქტს თავის წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირებს. შსს-ს ინფორმაციით გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობის მუხლებით დაიწყო.

[390] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[391] იქვე.

[392] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[393] შსს-ს ინფორმაციით, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, კერძოდ, გამოიკითხნენ მოწმეები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი და დაინიშნა ბალისტიკური ექსპერტიზა, იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 2 დეკემბრის წერილი.

[394] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[395] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 13 ოქტომბრის წერილი.

[396] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, აგვისტო-სექტემბერი (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020), გვ. 30-32, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DelH7I, განახლებულია: 15.03.2022.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატ ნიკა მელიასა და ფოთში ამავე პარტიის მერობის კანდიდატ გიგი უგულავას საარჩევნო ბანერების დაზიანების ფაქტებზე, შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანების მუხლით[397] მიმდინარეობს.[398] ორივე შემთხვევაში ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები და დაინიშნა სასაქონლო ექსპერტიზა. გამოძიება ამჟამადაც გრძელდება.[399] ხელვაჩაურში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატ მიშა ბოლქვაძის საარჩევნო ბანერის მოპარვის შემთხვევაზე გამოძიება ქურდობის[400] მუხლით დაიწყო.[401] ორგანიზაციის ინფორმაციით, სააგიტაციო მასალების დაზიანების სხვა შემთხვევებს სისხლის სამართლის დანაშაულის ინტენსივობამდე[402] არ მიუღწევია.[403]

პოლიტიკურად მოტივირებული ფიზიკური თავდასხმები მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდშიც მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. მაგალითად, 13 ოქტომბერს თბილისში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ნიკა ბაჩილავას ფიზიკურად გაუსწორდნენ. მეორე დღეს პარტია „ევროპული საქართველოს“ რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარე ვახტანგ ქებაძეს თავს დაესხნენ. ქებაძის თქმით, ის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე წასასვლელად ემზადებოდა, როდესაც 50-ზე მეტი ადამიანი გარს შემოეხვია, სამმა პირმა კი მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.[404] იმავე დღეს თბილისში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილ აქციაზე რეგიონებიდან მომავალ ავტოკოლონებს არაერთ ლოკაციაზე მოწინააღმდეგეები დახვდნენ.[405] კადრებში ჩანს, როგორ აგინებენ ისინი ავტომანქანებში მსხდომ პირებს, ესვრიან ცოცხებს და დროშის ტარებს.[406] მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა აბაშაში, ქუთაისში, სამტრედიაში, რუსთავში, გორსა და თელავში.[407] შემაშფოთებელი იყო დაპირისპირება რუსთავში, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ რუსთავის მერობის კანდიდატ დავით კირკიტაძის შტაბთან მისი მომხრეები და ოპონენტები ერთმანეთს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.[408] კონფლიქტში რუსთავის საკრებულოს წევრი შავლეგო მანდარიაც მონაწილეობდა.[409] ამ საქმეებზე შსს-მ გამოძიება ძალადობის და ჯგუფური ძალადობის მუხლებით დაიწყო.

საიამ დამატებით აღრიცხა შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები ასე აღმოჩნდნენ პო-

[397] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლი.
[398] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 2 დეკემბრის და 13 ოქტომბრის წერილები.
[399] იქვე.
[400] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლი.
[401] შსს-ს ინფორმაციით, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, გამოიკითხნენ მოწმეები და დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 13 ოქტომბრის წერილი.
[402] საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლის მიხედვით, სამართალდარღვევაა სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება. თუ ზიანის ღირებულება აღემატება 150 ლარს, საქმე სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება.
[403] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 2 დეკემბრის წერილი.
[404] ლაცაბიძე მ. და სხვები, 2021 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, გვ. 6.
[405] იქვე, გვ. 9.
[406] იქვე.
[407] იქვე.
[408] იქვე, გვ. 6.
[409] იქვე.

ლიტიკური პარტიის სიაში, რომ მათ ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ.[410] კოკა კაპანაძე და სოფიო ჯოჯუა პარტია „გირჩის“ სიაში მათი თანხმობის გარეშე შეიყვანეს. სოფიო ჯოჯუამ განმარტა, რომ პარტიასთან მას არაფერი აკავშირებს, ხოლო კოკა კაპანაძემ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ განაცხადა, რომ სააღრიცხვო ბარათზე გაყალბებული იყო მისი ხელმოწერა.[411] საია მიიჩნევს, რომ ეს ფაქტები, სავარაუდოდ, შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის - ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ნიშნებს.

როგორც ირკვევა, სისხლის სამართლის სავარაუდო დანაშაულებზე გამოძიება გაჭიანურებულია და თითქმის არცერთ შემთხვევაში პასუხისმგებელი პირები არ არიან გამოვლენილნი (ერთეული ფაქტების გარდა). ეს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შესაბამისი უწყებების მხრიდან არ ხდება ამგვარ დანაშაულებზე სწრაფი და ქმედითი რეაგირება და დამნაშავეთა დასჯა. იმ საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება არ დაწყებულა, საიას შეფასებით, არსებობს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და საგამოძიებო ორგანოები ვალდებულნი იყვნენ, შესაბამისად ემოქმედათ. ამასთანავე, პრობლემურია საზოგადოების დროული ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.[412] საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს რეაგირება ამგვარ ფაქტებზე არაეფექტიანია და ხელს არ უწყობს მშვიდი და წყნარი წინასაარჩევნო გარემოს არსებობას.

საია სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, დაიწყონ გამოძიება ისეთ საქმეებზე, სადაც აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. ამასთანავე, სრულად გამოიძიონ განხილული სავარაუდო დანაშაულები და პროცესი ობიექტურად, გამჭვირვალედ წარმართონ. მნიშვნელოვანია, რომ იმ საქმეებზე, სადაც პოლიტიკური მოტივი იკვეთება, გამოძიება სწორი კვალიფიკაციით გაგრძელდეს. აგრეთვე, საზოგადოებას დროულად ეცნობოს მათი მიმდინარეობის თაობაზე.

4. საარჩევნო კამპანიისთვის დაბრკოლებების შექმნა

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საიამ აღრიცხა ფაქტები, რომლებიც ხელს უშლიდა პარტიებს კამპანიის სრულფასოვნად წარმოებაში. ეს, ძირითადად, გამოიხატებოდა პლაკატების დაზიანებაში ან რეკლამის განთავსებაზე უარის თქმაში. ანგარიშში ასევე მოცემულია ინფორმაცია რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიერ მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შესახებ. ეს წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის გამოქვეყნებას უკავშირდებოდა და პარტიებს აგიტაციის წარმოების მიმართულებით სირთულეებს უქმნიდა.

[410] იქვე, გვ. 11-12.
[411] იქვე.
[412] სისხლის სამართლის სავარაუდო დანაშაულებზე განახლებული ინფორმაციის მიღების მიზნით საიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 25 თებერვალს მიმართა. საიამ სამინისტროდან მიიღო ინფორმაცია, რომ საჯარო ინფორმაციის წერილი მუშავდება, თუმცა მასზე პასუხი ამ დრომდე (იგულისხმება 2022 წლის 30 მაისის მდგომარეობით) არ ჩაბარებია.

4.1. ტელეკომპანია „იმედმა“ „ევროპულ საქართველოს“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვებაზე უარი უთხრა

26 აგვისტოს ტელეკომპანია „იმედმა“ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტია „ევროპულ საქართველოს“ უარი უთხრა უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვებაზე.[413] ტელეკომპანიამ ამის მიზეზად ვიდეორგოლში გამოყენებული სიძულვილის ენა დაასახელა.[414] „ტელეიმედი“ ასევე აღნიშნავდა, რომ წარმოდგენილი ვიდეომასალა შეიცავდა დაცინვასა და შეურაცხყოფას, ხოლო მისი შინაარსი არაეთიკური და არაკეთილსინდისიერი იყო.[415] ამის შემდეგ, 7 სექტემბერს, „ევროპულმა საქართველომ“ ტელეკომპანიას ალტერნატიული ვიდეორგოლი შესთავაზა, რაზეც კვლავ უარი მიიღო.[416] „იმედმა“ ასევე არ გაუშვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო რეკლამა, რომელიც პარტიამ 17 სექტემბერს მიაწოდა.[417] ტელეკომპანიის განცხადებით, მათ ეთერში ვერ განთავსდებოდა მასალა, რომელიც შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, კანონსაწინააღმდეგო ქმედებას და აქეზებდა დანაშაულს, ასევე მიმართული იყო არეულობისა და ანტისოციალური ქმედების გამოწვევისკენ.[418]

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეისწავლა ეს საქმეები და მიიჩნია, რომ რეკლამების შინაარსი არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის ზოგად პრინციპებს და კანონის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, მან დააკმაყოფილა ორივე პარტიის საჩივრები და დაადგინა, რომ „იმედმა“ ორივე შემთხვევაში დაარღვია კანონით განსაზღვრული წესები. სასამართლომ გაიზიარა კომისიის არგუმენტაცია და მიუთითა, რომ „ტელეიმედს“ არ გააჩნდა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, უარი ეთქვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო რეკლამების გაშვებაზე.

საია იზიარებს და პოზიტიურად აფასებს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

4.2. წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხისა და ადგილების გამოქვეყნების ვალდებულების დარღვევა მუნიციპალიტეტის მიერ

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია, წინასაარჩევნო კამპანია ჩატარდეს.[419] მათ ეს ინფორმაცია უნდა გადასცენ საოლქო

---

[413] „იმედმა” „ევროპულ საქართველოს” წინასაარჩევნო რეკლამის გაშვებაზე უარი უთხრა - ვიდეო“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2021 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ugZPEp, განახლებულია: 30.05.2022.

[414] იქვე.

[415] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შესახებ, საქმე №4/6066-21, 15.09.2021. გვ. 2.

[416] გიორგი ნონიაშვილის ბრიფინგი „იმედის“ წინააღმდეგ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით, „ევროპული საქართველოს“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 7 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CPAQuT, განახლებულია: 30.05.2022.

[417] „ნიკა მელია - დადგა დრო გამარჯვების“, 2021 წლის 15 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zPi3Or, განახლებულია: 30.05.2022.

[418] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შესახებ, საქმე №4/6147-21, 19.09.2021, გვ. 3.

[419] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

საარჩევნო კომისიას, რომელიც ვალდებულია, ის მიღებიდან 2 დღის ვადაში გაასაჯაროოს.[420] მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე ცესკოს ვებგვერდზე.[421] ყველა მუნიციპალიტეტმა (გარდა დედოფლისწყაროს, მესტიის, სენაკის, ხობის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტებისა) ცესკოს გაუგზავნა ინფორმაცია სააგიტაციო მასალების განთავსების შესახებ.

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების დღიდან 5 დღის ვადაში მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, რომლებზეც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, ასევე განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად.[422] ამ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.[423] ეს ნუსხა ცესკოსთვის არ გაუგზავნიათ კასპის, ქარელის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებს. ამ და ზემოთ ჩამოთვლილმა მუნიციპალიტეტებმა დაარღვიეს კანონის მოთხოვნები.

საია მოუწოდებს მუნიციპალიტეტებს, დაიცვან კანონის მოთხოვნები და ხელი არ შეუშალონ პარტიებს საარჩევნო კამპანიის ნორმალურ პირობებში წარმართვაში.

4.3. საკანონმდებლო ინიციატივა სიძულვილის ენის რეგულირების შესახებ

4 ოქტომბერს შპს „ალმამ“, რომლის მფლობელობაშიც არის თბილისსა და რეგიონებში არსებული ბილბორდები, პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა.[424] მან მოითხოვა საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რომელიც აკრძალავს საარჩევნო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში სიძულვილის ენის შემცველ, არაეთიკურ, არაკეთილსინდისიერ და სხვადასხვა პირის მიმართ შეურაცხმყოფელი რეკლამის განთავსებას.[425] შპს „ალმას“ პოზიციით საკანონმდებლო ცვლილების მიზანი მსგავსი შინაარსის სარეკლამო საშუალებების განთავსებაზე უარის თქმის ლეგიტიმური საფუძვლის შექმნა იყო.[426]

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა შპს „ალმას“ ინიციატივა[427] და მიზანშეწონილად მიიჩნია მოცემულ საკითხზე მსჯელობის დაწყება. მათი თქმით, ეს უზრუნველყოფდა საარჩევნო სფეროში სიძულვილის ენის გამოყენებისა და აგრესიის პროპაგანდის პრევენციას, ღირსების შემლახველი და დამამცირებელი შინაარსის ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილებას.[428]

---

[420] იქვე.
[421] იქვე.
[422] იქვე, 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი.
[423] იქვე, მე-5 ნაწილი.
[424] შპს „ალმას“ 2021 წლის 3 ოქტომბრის №04-10-გ საკანონმდებლო წინადადება, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Lg6tT2, განახლებულია: 26.04.2022.
[425] იქვე.
[426] იქვე.
[427] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2021 წლის 12 ოქტომბრის №2-12868/21 დასკვნა.
[428] იქვე.

მმართველი პარტიის წევრების მიერ წარდგენილი კანონპროექტი საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მაუწყებლობის შესახებ" კანონში ზოგიერთი ცვლილების შეტანას ითვალისწინებს. მათ შორის, იკრძალება სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამისა და სააგიტაციო მასალის საჯარო სივრცეში გავრცელება, რომელიც გამიზნულია საარჩევნო კანდიდატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შესაქმნელად.[429] კანონპროექტით ასევე დგინდება, რომ წინასაარჩევნო რეკლამის გავრცელება დასაშვებია მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის დაკვეთით, ხოლო რეკლამა არ უნდა შეიცავდეს სხვა პოლიტიკური პარტიის გამოსახულებას, სახელწოდებას, რიგით ნომერსა და სიმბოლიკას.[430]

ამ მოთხოვნების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მაუწყებელს, ისე წინასაარჩევნო რეკლამის დამკვეთს და იწვევს მათ დაჯარიმებას 2000-2000 ლარით. კომპეტენციის ფარგლებში ჯარიმის დაკისრებაზე პასუხისმგებელია ცესკო და კომუნიკაციების კომისია.

საია, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, გამოეხმაურა ამ ინიციატივას და ის უარყოფითად შეაფასა. ერთობლივ განცხადებაში საუბარია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი, მიუხედავად გაცხადებული მიზნებისა, ზღუდავს კონსტიტუციით დაცულ პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებას, ასევე, არაპროპორციულად ერევა მედიის საქმიანობაში, აკისრებს რა მაუწყებლებს პასუხისმგებლობას პოლიტიკური რეკლამის შინაარსთან დაკავშირებით.[431] განსაკუთრებით საგანგაშოა კანონმდებლობაში ახალი ცნების „უარყოფითი დამოკიდებულების" შემოტანა, რომელიც არ არის ნათელი და განჭვრეტადი, რაც, თავის მხრივ, ქმნის ტერმინის პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით განმარტების რისკებს.[432] ამასთანავე, საარჩევნო სუბიექტის საწინააღმდეგო კამპანია დაცულია საარჩევნო კანონმდებლობით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო პრინციპებს, განსხვავებით შემოთავაზებული სიახლისგან.[433] ბოლოს, ცვლილებებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისთვის განსაზღვრულია მკაცრი სანქცია, რაც, შესაძლოა, დამატებითი საფრთხე აღმოჩნდეს კრიტიკული პოლიტიკური აქტივობისთვის. არსებობს რისკი, რომ ზოგიერთმა მაუწყებელმა უარი უთხრას პოლიტიკურ პარტიას რეკლამის განთავსებაზე სანქციის თავიდან არიდების მიზნით.[434]

საია მოუწოდებს პარლამენტს, არ მიიღოს ეს ცვლილება, რადგან ის ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს, არ არის განჭვრეტადი და არ ემსახურება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას.

---

[429] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, პროექტი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wYSIIA, განახლებულია: 30.05.2022.

[430] იქვე.

[431] კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის უარყოფითად აფასებს კანონმდებლობაში ახალი ცნების ე.წ. „უარყოფითი დამოკიდებულების» შემოტანას, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 20.10.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vPyDxM, განახლებულია: 25.04.2022.

[432] იქვე.

[433] იქვე.

[434] იქვე.

5. სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება

2021 წლის წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შეხედულების გამო სახელმწიფო სამსახურებში დასაქმებულ პირებზე ზეწოლის ან/და სამსახურიდან გათავისუფლების სავარაუდო შემთხვევებს შემაშფოთებელი ხასიათი ჰქონდა. ამგვარი ფაქტები, ძირითადად, უკავშირდებოდა საჯარო მოხელეებს, რომლებსაც ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას მიერ ახლად დაფუძნებული პარტიის „საქართველოსთვის“[435] წევრებთან ნათესაური, მეგობრული, კეთილგანწყობილი ურთიერთობები აკავშირებდათ, აგრეთვე მათ, ვინც პარტიის ან მისი ლიდერის მიმართ სიმპათიებს გამოხატავდნენ.

პარტიამ „საქართველოსთვის“ საიას 100-მდე ასეთი შემთხვევის შესახებ აცნობა. ორგანიზაციამ ყველა მათგანთან სცადა დაკავშირება. მათგან დაახლოებით 1/3-მა ან არ მოინდომა საჯაროდ ამ საკითხზე საუბარი (ძირითადად, იმის გამო, რომ შეშინებულები იყვნენ), ან არ სურდათ დავის დაწყება. ზოგიერთ მათგანთან პირველი კომუნიკაციის შემდეგ კი საიამ ხელახლა კონტაქტზე გასვლა საერთოდ ვეღარ შეძლო.

იმ პირებიდან, რომლებსაც საია უშუალოდ გაესაუბრა და საჯაროდ საუბრის პრობლემა არ ჰქონიათ, დაახლოებით 1/5-თან მიმართებით გამოვლინდა სავარაუდო ზეწოლა სხვადასხვა ფორმით. თუმცა, ამ შემთხვევებში ზეწოლას ზეპირსიტყვიერი სახე ჰქონდა და, საბოლოოდ, ეს პირები სამსახურიდან არ გაუთავისუფლებიათ.

გამოვლინდა სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტებიც. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეეხოთ მერების მოადგილეებს. ეს უკანასკნელი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი. შესაბამისად, მას ნიშნავს და ათავისუფლებს მერი პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე. გათავისუფლებულთა დაახლოებით 1/5-მა თავად დაწერა განცხადება/პატაკი. სამწუხაროდ, არაერთ შემთხვევაში პოლიტიკური დისკრიმინაციის დადგენა ვერ მოხერხდა მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. ძირითადად, ზეწოლა განხორციელდა ზეპირსიტყვიერად, რაც შეუძლებელს ხდიდა მტკიცებულების წარმოდგენას. ამის გამო, ზოგიერთმა მოხელემ დავა შრომითი ურთიერთობის მიმართულებით დაიწყო.

საიამ შეზღუდული რესურსის პირობებში დაიწყო იმ ფაქტების შესწავლა, სადაც აშკარად იკვეთებოდა პოლიტიკური დისკრიმინაციის ნიშნები ან/და არსებობდა ამის მტკიცებულებები. აქედან ორი პირი[436] აღადგინეს სამსახურში. საია მიესალმება ამ გადაწყვეტილებებს, თუმცა, ორგანიზაციის შეფასებით, ორივე შემთხვევაში იკვეთებოდა პოლიტიკური დისკრიმინაცია, შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობისას მხედველობაში უნდა მიეღო წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეებზე ზეწოლის მასშტაბური ხასიათი, რაც არსებითი არგუმენტი იყო დისკრიმინაციის დადგენისას გონივრული ეჭვის გასამყარებლად. ასეთი ტიპის საქმეებში ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლოს როლი არა მხოლოდ უკანონოდ გათავისუფლებული პირების შრომითი უფლებების აღსადგენად, არამედ ასევე დისკრიმინაციის მოტივის დადგენისას სამართლიანი და ერთგვაროვანი სტანდარტის დანერგვის თვალსაზრისით.

---

[435] 2021 წლის 29 მაისს საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ახალი პოლიტიკური პარტია „საქართველოსთვის“ დააფუძნა.

[436] ოლეგ ხუბულური და თამარ აბულაძე.

დანარჩენ შემთხვევებთან დაკავშირებით საქმეების განხილვა მიმდინარეობს სასამართლოში, ხოლო რამდენიმე მათგანზე პროცესი ამ დრომდე არ დანიშნულა.

გთავაზობთ განახლებულ ინფორმაციას საქმეების მიმდინარეობის შესახებ:

1. მინდია დავითაძის საქმე

2021 წლის 9 ივნისს მინდია დავითაძე, პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის პოსტიდან გათავისუფლდა.[437] მან ბრძანება სასამართლოში გაასაჩივრა და თანამდებობაზე აღდგენა მოითხოვა. იგი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლია. მინდია დავითაძე ამ პოზიციაზე 2020 წლის 25 თებერვალს, მთავრობის იმდროინდელი მეთაურის გიორგი გახარიას ბრძანებით, 4 წლის ვადით დაინიშნა.[438]

საქალაქო სასამართლომ მინდია დავითაძის სარჩელი არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირდებით არსებითად თანასწორ სუბიექტებად შეიძლება განიხილებოდნენ. ამასთანავე, არსებითად თანასწორ პირთა მიმართ ნებისმიერი დიფერენცირება ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციად, კერძოდ, უნდა განვასხვაოთ ობიექტური დიფერენცირება დისკრიმინაციულისგან. თუკი განსხვავებული მოპყრობა ემსახურება სამართლიანობას, უთანასწორობის აღმოფხვრას, მაშინ იგი ვერ იქნება დისკრიმინაცია. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ თანასწორობის მოთხოვნა ირღვევა მაშინ, როდესაც მსგავსი, ერთგვაროვანი შემთხვევები განსხვავებულად განიხილება, ხოლო ეს ასეთ შემთხვევას არ განეკუთვნებოდა.[439]

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2021 წლის 5 თებერვლის და 18 მარტის განცხადებები, რომლებიც წარედგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, ასევე სახალხო დამცველის 2021 წლის 4 თებერვლის რეკომენდაციით და სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2021 წლის 24 მაისის მითითებით გამოვლენილი დარღვევები ქმნიდა მინდია დავითაძის გათავისუფლების წინაპირობას. გარდა ამისა, ამ გარემოებებიდან დისკრიმინაციის მოპყრობის დადგენა შეუძლებელი იყო. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსარჩელეს ეკისრება მხოლოდ გონივრული ვარაუდის შექმნის ვალდებულება, ხოლო მოპასუხეს - ამ ვარაუდის გაქარწყლების ტვირთი. ამრიგად, სარჩელის აღძვრისას პირმა უნდა წარადგინოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც იძლევა ვარაუდის საფუძველს, ხოლო მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა,

---

[437] მინდია დავითაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის №224 ბრძანება.

[438] მინდია დავითაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 25 თებერვლის №46 ბრძანება.

[439] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 დეკემბრის №3/4281-21 გადაწყვეტილება.

ეკისრება მოპასუხეს. ამ შემთხვევაში სასამართლომ, არსებული გარემოებების შესწავლის საფუძველზე, მიიჩნია, რომ ვერ შეიქმნა გონივრული ვარაუდი - პრეზუმფცია შესაძლო დისკრიმინაციის განხორციელებაზე.[440]

2022 წლის 26 იანვარს სახალხო დამცველმა პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს წარუდგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.[441] სახალხო დამცველმა პოლიტიკურ მოტივებზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შეხედულების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლებისა და შრომითი უფლებების სავარაუდო დარღვევის მიმართულებით გამოკვეთილ ტენდენციებზე. მან აღნიშნა, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოება იყო იმის შეფასება, ნამდვილად არსებობდა თუ არა ამ პირის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი საფუძველი. ამისთვის სასამართლოს უნდა შეემოწმებინა ახალი მთავრობის ადმინისტრაციის პირობებში მოსარჩელესთან კომუნიკაციის პირობები და გამოეყენებინა პროპორციულობის ტესტი. საბოლოოდ, სახალხო დამცველის შეფასებით, არსებობდა გონივრული ვარაუდი, რომ მინდია დავითაძის გათავისუფლების მიზეზი იყო მისი პოლიტიკური აფილაცია.[442]

საია იზიარებს სახალხო დამცველის შეფასებას და მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სათანადოდ დასაბუთებული და ეწინააღმდეგება მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპს.

საია მოუწოდებს სასამართლოს: ა) ყველა ზომა მიიღოს იმის დასადგენად, ნამდვილად არსებობდა თუ არა სამსახურიდან მოსარჩელის გათავისუფლების კანონიერი საფუძველი; ბ) მოპასუხეს დააკისროს მტკიცების ტვირთი, რომ ის კანონიერი მიზნის მისაღწევად მოქმედებდა.

2. ოლეგ ხუბულურის საქმე

ოლეგ ხუბულურმა, რომელიც იყო გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს 2021 წლის 15 ივნისის გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის, თანამდებობაზე აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენის მოთხოვნით.

სასამართლომ იმსჯელა 2021 წლის 13 და 14 მაისს სამუშაო საათებში ხუბულურის სამსახურში[443] არყოფნის შესახებ და მიიჩნია, რომ შესაბამისი საპატიო გარემოებები არ დასტურდებოდა, ამდენად, მან დაარღვია შინაგანაწესით განსაზღვრული ვალდებუ-

[440] იქვე.
[441] სასამართლოს მეგობრის მოსაზრება პოლიტიკური შეხედულების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე, საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი, 09.02.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3K9P3WI, განახლებულია: 15.04.2022.
[442] იქვე.
[443] გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 24 ნოემბრის №140310021004839090 გადაწყვეტილება, გვ. 18.

ლებები. რაც შეეხება 2021 წლის 17 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით პერიოდს, იგი იყო დროებით შრომისუუნარო და გადიოდა ამბულატორიულ მკურნალობას, რაც, საჯარო სამსახურის კანონით, მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების ერთ-ერთი ლეგიტიმური საფუძველია. ამრიგად, სასამართლომ 2021 წლის 17 მაისს სამსახურში ხუბულურის არყოფნა მიიჩნია საპატიოდ, რაც დასტურდებოდა შესაბამისი ცნობით.[444]

ოლეგ ხუბულურის გათავისუფლებას ძირითად საფუძვლად დაედო „ტვ პირველის" ეთერში გასულ სიუჟეტში ასახული მისი განცხადება, რომელიც შეფასდა, როგორც საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმების დარღვევა, რის გამოც, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა რეპუტაციული ზიანი.

სასამართლომ იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონით, ასევე - მისი შეზღუდვის ფარგლებზე საჯარო მოსამსახურეებთან მიმართებით.[445] შემდგომ შეაფასა, ექცეოდა თუ არა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ხუბულურის განცხადება. ამ საკითხში მან სრულად გაიზიარა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება და შესაბამისი არგუმენტაცია.[446]

სასამართლომ იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებზე საჯარო სამსახურში და განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში ოლეგ ხუბულურის მიერ ეთერში გაკეთებული განცხადება ერთმნიშვნელოვნად არ მიემართებოდა რომელიმე კონკრეტულ დაწესებულებას. თუმცა, ნათელი იყო, რომ იგი შეეხებოდა სახელმწიფო უწყებებში დასაქმებული პირების შრომითი უფლებების შესაძლო დარღვევებს.[447]

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მოიშველია ამ საკითხზე სახალხო დამცველის არგუმენტები. კერძოდ, 2021 წლის 15 მაისის პერიოდისთვის აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარიას თანამოაზრეების დევნის, ზეწოლისა და მათი გათავისუფლების შესახებ. ეს, ბუნებრივია, ხელს უწყობდა საზოგადოების მხრიდან მსგავსი საფრთხეების რეალურად აღქმას. ამიტომ, რადგან ოლეგ ხუბულურის განცხადებაში მითითებული იყო მისი პოზიცია, ამან წარმოშვა ეჭვი, რომ საუბარი იყო გორის მუნიციპალიტეტის მერიაზე. იქამდე მომხდარი შემთხვევების ერთობლიობა და სადავო გამონათქვამის კონტექსტი ქმნიდა წინაპირობას, რომ ფრაზაში გადმოცემული იყო არა ფაქტები, არამედ მოვლენების შეფასება და მისი პირადი დამოკიდებულება.[448] ამასთანავე, არ იკვეთებოდა, რომ ხუბულურს ამოძრავებდა პერსონალური შუღლი ან რაიმე სარგებლის მიღების მოლოდინი, რაც მის კეთილსინდისიერებას ეჭვქვეშ დააყენებდა.[449]

სახალხო დამცველის შეფასებით, შესაძლო პოლიტიკური ნიშნით შრომითი უფლების მასობრივი და ხშირი დარღვევების ფონზე, ოლეგ ხუბულურის მიერ გორის მუ-

[444] იქვე, გვ. 19.
[445] იქვე, გვ. 21-22.
[446] იქვე, გვ. 23.
[447] იქვე, გვ. 29.
[448] სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის №04-2/10222 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება პოლიტიკური შეხედულების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე, გვ. 10.
[449] იქვე, გვ. 11.

ნიციპალიტეტის მერიასა თუ სხვა სახელმწიფო უწყებებში მიმდინარე მოვლენების კომენტირება მაუწყებლის ეთერში მისი მხრიდან საკუთარი და სხვა მოხელეების უფლებების დარღვევის თავიდან აცილების ერთადერთ ეფექტიან საშუალებად საფუძვლიანად იყო მიჩნეული.[450]

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ოლეგ ხუბულურის სამსახურში აღდგენის შესახებ.

3. თამარ აბულაძე

სასამართლომ განიხილა ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 25 აგვისტოს ბრძანების ფორმალური და მატერიალური კანონიერების საკითხი, ასევე მოსარჩელის მოთხოვნა სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ.[451]

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების დასასაბუთებლად მხოლოდ შესაბამის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მითითება საკმარისი არ არის და სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება ის, თუ როგორ განხორციელდა ეს უფლებამოსილება. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენოს მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რისთვისაც ის მიენიჭა. არ შეიძლება, პირის დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატებოდეს იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც ეს აქტი გამოიცა. გატარებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.[452]

სასამართლოს შეფასებით, საჯარო ხელისუფლების განხორციელების პროცესში ყველა გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და კანონს. სახელმწიფო სამსახურის ხელმისაწვდომობის უფლებით დაცული სფერო, მათ შორის, გულისხმობს პირის უფლებას, საკუთარი თავისუფალი და ნამდვილი ნების საფუძველზე იმუშაოს ან დატოვოს კონკრეტული თანამდებობა. ხოლო ადმინისტრაციული ორგანო და უფლებამოსილი თანამდებობის პირი უნდა უზრუნველყოფდნენ კადრების სტაბილურობას და მათი უფლებების დაცვას. შესაბამისად, თუ არ არსებობს სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობები, ისინი არ უნდა დაითხოვონ სამსახურიდან.[453]

ამ გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი (თავმჯდომარის ბრძანება) არ შეესაბამებოდა კანონს და იყო ბათილი.[454] ეს, თავის მხრივ, ნიშნავდა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. სასამართლომ ახალციხის საკრებულოს ასევე დაავალა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

---

[450] იქვე, გვ. 13.
[451] ახალციხის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება №120310121005028739-3/180-22, გვ. 8.
[452] იქვე, გვ. 13.
[453] იქვე, გვ. 14.
[454] იქვე, გვ. 16.

რაც შეეხება დისკრიმინაციის ფაქტს, სასამართლომ იმსჯელა რა თანასწორობის უფლებაზე, დისკრიმინაციის განმარტებასა და ფორმებზე, დაასკვნა, რომ „დისკრიმინაციის, როგორც თანასწორ, თანაბარ, საკმარისად მსგავს პირობებში მყოფი პირების მიმართ უკანონოდ განსხვავებულად მოპყრობის შინაარსი პირის მიმართ მის ანალოგიურ პირობებში მყოფი პირისგან დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ განსხვავებული მოპყრობაა“. სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დგინდება, რომ მოსარჩელე თამარ აბულაძე არსებითად მის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებისგან განსხვავებული მოპყრობის ობიექტი გახდა რაიმე კონკრეტული ნიშნით. ამრიგად, სარჩელი ამ ნაწილში უსაფუძვლოდ მიიჩნია.

III ნაწილი – არჩევნების დღე
I ტური

1. კენჭისყრის პროცესი

1.1. უბნის მომზადება და გახსნა

საორგანიზაციო საკითხები

კენჭისყრის დღისთვის მომზადებისა და უბნის მოწყობის მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიისგან იღებს საარჩევნო დოკუმენტაციას, ინვენტარსა და სხვა საჭირო მასალებს ხმის მიცემის პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს 12 საათით ადრე.[455] კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანი 7 საათზე იხსნება[456] იმ შემთხვევაში, თუ ამ დროისთვის მისულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა არ არის 9-ზე ნაკლები.[457] აუცილებელია უბნის იმგვარად მოწყობა, რომ ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების ფარულობა არ დაირღვეს.[458] საარჩევნო უბანზე ყოველი 500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებულია არანაკლებ 1 საარჩევნო კაბინა,[459] ხოლო ყოველი 300 ამომრჩევლისთვის - 1 სარეგისტრაციო მაგიდა.[460] კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსიები.[461] 2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების პირველ ტურში თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით გახსნილი უბნებისთვის დადგინდა საარჩევნო კაბინის ახალი სახე.[462]

თითქმის ყველა იმ უბანზე, სადაც საიას დამკვირვებლები ჰყავდა განაწილებული, უბანი დროულად და არსებითი დარღვევების გარეშე გაიხსნა.[463] პრობლემური იყო უბნის გახსნა კრწანისის რამდენიმე უბანზე, სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდა.[464] ერთ უბანზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენები დადგენილზე დიდი ფორმატის აღმოჩნდა და აპარატმა ვერ აღიქვა, რის გამოც, უბ-

---

[455] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის №43/2021 დადგენილებით დამტკიცებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, გვ. 13-14.

[456] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[457] იქვე.

[458] იქვე, 58-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[459] იქვე.

[460] იქვე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

[461] იქვე, 58-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

[462] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 26 სექტემბრის №330/2021 განკარგულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ თბილისის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის კენჭისყრის კაბინის სახის დადგენის შესახებ.

[463] „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგები 10:00 საათისთვის“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022 წლის 2 ოქტომბერი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wxN6A1, განახლებულია: 15.04.2022.

[464] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 სექტემბრის დადგენილება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის ზოგიერთ საარჩევნო ოლქში ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განხორციელების წესისა და პირადობის განსაზღვრის შესახებ.

ნის გახსნა შეფერხდა.[465] კიდევ ერთ უბანზე განთავსებული ორი აპარატიდან ერთმა ნულოვანი მონაცემი ვერ ამობეჭდა, მეორე კი ბიულეტენებს არ იღებდა, შესაბამისად, უბნის გახსნა 20 წუთით დაგვიანდა.[466] არცერთი აპარატი არ მუშაობდა კიდევ ერთ უბანზე.[467] საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, გლდანის 32-ე უბანზე არაორგანიზებული გარემო იყო და უბანი ისე გაიხსნა, საუბნო საარჩევნო კომისიას მისი მომზადება დასრულებული არ ჰქონდა. საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც უბნებზე კაბინების განლაგება ქმნიდა ამომრჩევლის მიერ ბიულეტენის შევსების ფარულობის დარღვევის რისკებს.[468] საიას დამკვირვებლის ზეპირი ან წერილობითი შენიშვნის დაფიქსირების შემდეგ, უმრავლეს შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა მათი განლაგება შეცვალეს. ზოგიერთ უბანზე მისი მომზადების წესები დაირღვა. მაგალითად, ერთ-ერთ უბანზე რეგისტრირებულ 1069 ამომრჩეველზე გათვალისწინებული იყო 2 კაბინა.[469] სხვაგან - ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია უბნის შიგნით იყო განთავსებული,[470] ან საარჩევნო კაბინაში არ იყო გამოკრული ხმის მიცემის ინსტრუქცია.[471] პირველ შემთხვევაში საიას დამკვირვებელმა ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა შეიტანა. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა სხვა პრობლემებიც. მაგალითად, ერთეულ უბანზე ბიულეტენების დასტაში ბეჭდური ხარვეზი გამოვლინდა,[472] ან საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გადაცემულ ინვენტარს აკლდა მელანი და სპეციალური ბეჭედი.[473]

წილისყრის პროცედურები

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ტარდება სხვა პროცედურებიც. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს სპეციალური ბეჭდის დალუქული პაკეტების მთლიანობას[474] და ატარებს წილისყრის პროცედურებს ფუნქციების გასანაწილებლად. წილისყრის ფურცლები ერთნაირია, მომზადებულია ერთი და იმავე საწერი საშუალებით და დამოწმებულია სპეციალური ბეჭდით.[475] საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წილისყრის ფურცლებს კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა.[476] წილისყრაში არ მონაწილეობენ კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.[477] პირველ ყოვლისა, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს შორის ატარებს წილისყრას რეგისტრატორის პოზიციაზე.[478]

---

[465] კრწანისის 24-ე უბანი.
[466] კრწანისის მე-4 უბანი.
[467] კრწანისის 32-ე უბანი.
[468] მთაწმინდის 28-ე, ნაძალადევის მე-11, საბურთალოს 72-ე, ისნის 64-ე, ბათუმის მე-17 და 65-ე, გორის 70-ე უბნები.
[469] სამგორის 37-ე უბანი.
[470] მთაწმინდის მე-7 უბანი.
[471] ვაკის 66-ე უბანი.
[472] ნაძალადევის 84-ე და 88-ე უბნები.
[473] ქუთაისის 90-ე უბანი.
[474] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.
[475] იქვე, „გ“ ქვეპუნქტი.
[476] იქვე.
[477] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
[478] ყოველ 300 ამომრჩეველზე გათვალისწინებულია 1 რეგისტრატორის გამოვლენა. იხ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის №43/2021 დადგენილებით დამტკიცებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, გვ. 18.

თუ წილისყრაში მონაწილე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ კომისიის წევრთა რაოდენობა შეესაბამება წილისყრით გამოსავლენი ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობას, წილისყრა არ ტარდება და საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ კომისიის წევრებს ეს ფუნქცია ავტომატურად მიენიჭებათ.[479] ამ წილისყრაში არ მონაწილეობენ პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები.[480]

ამის შემდგომ კომისიის თავმჯდომარე ანაწილებს სხვა ფუნქციებს. თუ წილისყრით გამოვლენილი, გადასატანი ყუთის წამღები კომისიის წევრი უარს განაცხადებს მისთვის მინიჭებული ფუნქციის შესრულებაზე, ის კარგავს სხვა წილისყრაში მონაწილეობის უფლებას, ხოლო მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.[481]

რამდენიმე უბანზე, სადაც საიას დამკვირვებლები იმყოფებოდნენ, წილისყრის პროცედურების დარღვევის ფაქტები გამოვლინდა. მაგალითად, კომისიის თავმჯდომარის ნაცვლად, ფუნქციები გაანაწილა კომისიის სხვა წევრმა, გარდა ამისა, ყველა ფუნქცია ერთდროულად განაწილდა.[482] ზოგიერთ შემთხვევაში წილისყრის ფურცლები არ იყო დამოწმებული სპეციალური ბეჭდით და კომისიის წევრებმა ისინი გაცვალეს,[483] ზოგან კი ფუნქციები მათ თვითნებურად გაუცვალეს ერთმანეთს.[484] სამივე ფაქტთან დაკავშირებით საიამ შესაბამის საუბნო ან საოლქო საარჩევნო კომისიებს საჩივრით მიმართა. პირველ და მეორე შემთხვევაში საოლქო კომისიებმა საიას საჩივრები ნაწილობრივ დააკმაყოფილეს და უბნების თავმჯდომარეებს დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისრეს.[485] მესამე შემთხვევაში საუბნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა და დარღვევა არ აღმოიფხვრა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა კომისიის წევრების მიერ წილისყრის შემდეგ ფუნქციების ერთმანეთში გაცვლის ფაქტებიც.[486] ერთეულ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წილისყრის გარეშე ცდილობდა ფუნქციების განაწილებას.[487] საიას დამკვირვებლების ზეპირი შენიშვნების შემდეგ დარღვევები აღმოიფხვრა და წილისყრა ჩატარდა, ან კომისიის წევრებს დაუბრუნდათ გამოვლენილი ფუნქციები, თუმცა დამატებითმა პროცედურებმა ზოგიერთი უბნის დაგვიანებით გახსნა გამოიწვია.[488]

გლდანის 62-ე უბანზე საიას წარმომადგენელმა გამოავლინა რეგისტრატორსა და საარჩევნო ყუთის ზედამხედველს შორის წილისყრით მინიჭებული ფუნქციების გაცვლის ფაქტი. დამკვირვებელმა საჩივრით მიმართა საუბნო საარჩევნო კომისიას, თუმცა, თავმჯდომარის განცხადებით, კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა ფუნქციების გაცვლის ხანგრძლივობას. ამის შემდეგ საიამ საჩივარი წარადგინა საოლქო საარჩევ-

[479] იქვე.
[480] იქვე.
[481] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ[1]“ ქვეპუნქტი.
[482] ახალქალაქის მე-40 უბანი.
[483] ქუთაისის 90-ე უბანი.
[484] მარნეულის 59-ე უბანი.
[485] №40 ახალქალაქის საარჩევნო კომისიის 2021 წლის 8 ოქტომბრის №49/2021 და №59 ქუთაისის საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №117/2021 განკარგულებები.
[486] სამგორის 33-ე და თელავის მე-3 უბნები.
[487] მარნეულის მე-7 უბანი.
[488] იქვე.

ნო კომისიაში და მოითხოვა დარღვევის აღმოფხვრა, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება თავმჯდომარის, რეგისტრატორისა და ყუთის ზედამხედველის მიმართ. საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ თავმჯდომარეს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, კომისიის წევრებს მისცეს სხვადასხვა დავალება.[489]

1.2. ხმის მიცემის პროცესი

პირველი ამომრჩევლის მიღება, კოვიდრეგულაციები

წილისყრის პროცედურების დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების პაკეტების მთლიანობას,[490] ცესკოს მიერ დადგენილი წესით, ინდივიდუალური ნომრის მქონე ბეჭდით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს.[491] კომისიის წევრებისთვის მასალების გადაცემის შემდეგ რეკომენდებულია, კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა შეავსონ საკონტროლო ფურცლები, გარდა პირველი ამომრჩევლის შესახებ მონაცემებისა. საკონტროლო ფურცელს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი.[492] პირველი ამომრჩევლის რეგისტრაციის შემდეგ კომისიის მდივანს მის შესახებ ინფორმაცია შეაქვს საკონტროლო ფურცელში, რომელსაც ხელს აწერს პირველი ამომრჩეველი. საკონტროლო ფურცლის ერთ ეგზემპლარს თავმჯდომარე აგდებს ძირითად საარჩევნო ყუთში, მეორეს - გადასატან საარჩევნო ყუთში, ხოლო მესამეს ინახავს შემდგომში შედარების მიზნით.[493] კენჭისყრა იწყება დილის 8 საათზე.[494] ახალი კორონავირუსით გავრცელებული ინფექციის პრევენციის მიზნით განისაზღვრა სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.[495] კენჭისყრის შენობაში ყოფნა დასაშვები იყო მხოლოდ პირბადის გამოყენებით.[496] უფლებამოსილი პირები უბანზე დაიშვებოდნენ თერმოსკრინინგის გავლის შემდეგ.[497] ამომრჩეველი ვალდებული იყო, დროებით მოეხსნა პირბადე რამდენიმე შემთხვევაში: ნაკადის მომწესრიგებელი ვალდებული იყო, ამომრჩეველი არ დაეშვა კენჭისყრის შენობაში პირბადის მოხსნის გარეშე;[498] რეგისტრატორი ვალდებული იყო, ამომრჩევლისთვის არ გადაეცა ბიულეტენი პირბადის მოხსნის გარეშე;[499] თუ ამომრჩეველი პირბადეს არ მოიხსნიდა, ის არ დაიშვებოდა უბანზე ან არ

---

[489] №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №119/2021 განკარგულება.
[490] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.
[491] იქვე, „გ“ ქვეპუნქტი.
[492] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის №43/2021 დადგენილებით დამტკიცებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, გვ. 27.
[493] იქვე.
[494] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-11 ნაწილი.
[495] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს №52/2021 დადგენილება ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ.
[496] იქვე, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი.
[497] იქვე, 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.
[498] იქვე, მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
[499] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს №52/2021 დადგენილება ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის

გადაეცემოდა საარჩევნო ბიულეტენი.[500]

ზოგიერთ უბანზე, სადაც საიას წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, დაირღვა საკონტროლო ფურცლის შევსებისა და შენახვის წესები. რუსთავის მე-17 უბანზე კომისიის თავმჯდომარემ მისთვის განკუთვნილი საკონტროლო ფურცელი დაკარგა, მოგვიანებით კი, ნაგვის ურნაში იპოვა. ახალქალაქის მე-40 უბანზე თავმჯდომარის საკონტროლო ფურცელი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა. ოზურგეთის 57-ე უბანზე საკონტროლო ფურცელზე არ იყო ამომრჩევლის ხელმოწერა. ის ყუთიდან ლუქის დაზიანების გარეშე ამოიღეს და ხელმოწერის შემდეგ უკანვე დააბრუნეს. გორის 44-ე უბანზე საკონტროლო ფურცელში მონაცემების შეყვანა მას შემდეგ დაიწყეს, რაც ამომრჩეველმა კაბინაში არჩევანი დააფიქსირა.

საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, რამდენიმე უბანზე გამოვლინდა ფაქტები, როდესაც ნაკადის მომწესრიგებლები და რეგისტრატორები არ სთხოვდნენ ამომრჩევლებს პირბადის მოხსნას ვერიფიკაციის მიზნით და ბიულეტენების გაცემის მომენტში.[501] ზოგიერთ შემთხვევაში კომისიის წევრები აცხადებდნენ, რომ პირბადეშიც ცნობდნენ ადამიანებს.[502] საიას დამკვირვებლების ზეპირი შენიშვნების შემდეგ ხარვეზი უმეტესწილად აღმოიფხვრა.

დღის განმავლობაში ერთეულ შემთხვევაში დაირღვა სხვა კოვიდრეგულაციებიც. მაგალითად, ზოგან კომისიის წევრები არასათანადოდ[503] ან საერთოდ არ ატარებდნენ პირბადეს.[504] დამკვირვებლების შენიშვნის შემდეგ დარღვევები აღმოიფხვრა.

კენჭისყრის პროცესში საიას დამკვირვებლებმა აღრიცხეს სადემონსტრაციო ოქმების არასათანადოდ შევსების ფაქტები.[505] ერთ შემთხვევაში კომისიის წევრებმა სადემონსტრაციო ოქმში წინასწარ შეიყვანეს მონაცემები, რაზეც საიას დამკვირვებელმა ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა შეიტანა.[506]

ამომრჩევლის დაშვება უბანზე, მარკირების პროცედურა, ბიულეტენების გაცემა

ყველა საარჩევნო უბანზე ხორციელდება ამომრჩეველთა მარკირება, რაც გულისხმობს სპეციალური საღებავის წასმას ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელ თითზე.[507] მისი შემოწმება ხდება კენჭისყრის ოთახში შესვლისას.[508] ნაკადის მომწესრიგებელი სპეციალური ხელსაწყოთი აშუქებს მარკირების ადგილს და მას შემდეგ,

---

მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[500] იქვე.

[501] ვაკის 42-ე, საბურთალოს 79-ე, სამგორის მე-18, ოზურგეთის 21-ე, ბათუმის 98-ე, თელავის 32-ე და 43-ე, რუსთავის მე-16 უბნები.

[502] თელავის 32-ე და ვაკის 42-ე უბნები.

[503] გლდანის მე-18 უბანი.

[504] სამგორის 49-ე უბანი.

[505] გლდანის 35-ე და 38-ე, ისნის 64-ე, სამგორის 43-ე, ნაძალადევის 46-ე და ქუთაისის მე-40 უბნები.

[506] სამგორის 35-ე უბანი.

[507] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 64-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[508] იქვე, მე-2 ნაწილი.

რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ის არ აქვს, უბანზე შეუშვებს.[509] ამომრჩევლის მარკირებაზე პასუხისმგებელია რეგისტრატორი, რის შემდეგაც ის გასცემს ბიულეტენებს.[510] სამაგიდო სიასთან ამომრჩევლის მონაცემების შესაბამისობის დადგენისა და მარკირების შემდეგ რეგისტრატორი შესაბამის გრაფაში ხელს აწერინებს ამომრჩეველს და გადასცემს ბიულეტენს, რომელზეც თავად მოაწერს ხელს და დასვამს სპეციალურ ბეჭედს.[511]

არაერთ უბანზე საიას დამკვირვებლებმა მარკირების წესების დარღვევის ფაქტები აღრიცხეს. ერთ შემთხვევაში რეგისტრატორი ბიულეტენების გაცემის შემდგომ ახორციელებდა ამომრჩევლის მარკირებას. საიას დამკვირვებლის შენიშვნის მიუხედავად, ხარვეზი არ აღმოიფხვრა.[512] ზოგან ამომრჩეველს მარკირებამდე არეგისტრირებდნენ,[513] ან ნაკადის მომწესრიგებელი მარკირების შემოწმების გარეშე უშვებდა მას უბანზე.[514] რამდენიმე შემთხვევაში მხოლოდ მარკირების შემდეგ გაირკვა, რომ ამომრჩეველი უბანზე არ იყო რეგისტრირებული,[515] ან ის კენჭისყრაზე პირადობის დამადასტურებელი არასათანადო დოკუმენტით იმყოფებოდა.[516] საიას დამკვირვებლის ზეპირი შენიშვნის შემდეგ ზოგ უბანზე დარღვევა აღმოიფხვრა. გარდა ამისა, ერთ უბანზე რეგისტრატორი ხელს არ აწერდა ბიულეტენებს.[517] დამკვირვებლის მითითების შემდეგ ის თავმჯდომარემ შეცვალა და დარღვევა აღმოიფხვრა.

ბათუმის 98-ე უბანზე კომისიის წევრებმა მარკირების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ამომრჩეველი უბანზე ოჯახის წევრის პირადობის მოწმობით იყო მისული და ხელიც მის გრაფაში ჰქონდა მოწერილი. ამომრჩეველმა კენჭისყრაში მონაწილეობა ვერ მიიღო. ამ ფაქტზე საიამ საჩივარი დაწერა საუბნო საარჩევნო კომისიასა და ოლქში, რეგისტრატორისა და ნაკადის მომწესრიგებლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. საოლქო საარჩევნო კომისიამ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.[518] პრობლემური იყო მარნეულის რამდენიმე უბანი. მარკირების პროცედურის გარეშე ხმის მიცემის ფაქტები საიას წარმომადგენლებმა მარნეულის 41-ე, 48-ე და 65-ე უბნებზე გამოავლინეს. პირველ ორ უბანზე ასევე დაფიქსირდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე ხმის მიცემის არაერთი შემთხვევა. ერთ-ერთ უბანზე შენიშვნასა და საჩივარს თავმჯდომარის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. საიამ დარღვევები შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა და მოითხოვა 48-ე უბნის შედეგების ბათილობა, ხოლო თავმჯდომარისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.[519] მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიამ არცერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ არგუმენტით, რომ არ დარღვეულა ისეთი ნორმა,

[509] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 64-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[510] იქვე, მე-3 ნაწილი.
[511] იქვე, 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.
[512] რუსთავის მე-16 უბანი.
[513] სამგორის 36-ე უბანი.
[514] სამგორის მე-5 და გორის 21-ე უბნები.
[515] ბათუმის 98-ე და ნაძალადევის 96-ე უბნები.
[516] გორის 28-ე და ნაძალადევის 74-ე უბნები.
[517] თელავის მე-17 უბანი.
[518] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №73/2021 განკარგულება.
[519] №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 5 ოქტომბრის №62/2021 განკარგულება.

რომელიც ამომრჩევლის ნებასა ან არჩევნების შედეგებზე გავლენას მოახდენდა.[520] 41-ე უბანზე ზეპირი შენიშვნის შემდეგ ხარვეზი აღმოიფხვრა. 65-ე უბნიდან საიას დამკვირვებელი მას შემდეგ გააძევეს, რაც მან დარღვევები გამოავლინა.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც, საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო, კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში, შეჰყავთ ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.[521] მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისას ისინი მონაწილეობენ მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებშიც, თუ ადგილსამყოფელს ერთი და იმავე ოლქის ტერიტორიაზე იცვლიან.[522]

ორ უბანზე საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს კომისიის წევრებზე მაჟორიტარული არჩევნების ბიულეტენის გაცემის ფაქტები, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოხელეები არ იყვნენ რეგისტრირებულნი ამავე საარჩევნო ოლქში.[523] ერთ შემთხვევაში ზეპირი შენიშვნის შემდეგ ხარვეზი აღმოიფხვრა, მეორეში კი - კომისიის ორმა წევრმა არჩევნებში მონაწილეობა მაინც მიიღო. ამ ფაქტზე საიამ საჩივრები დაწერა უბანსა და ოლქში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით,[524] თუმცა ისინი არ დაკმაყოფილდა.[525]

დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა ბიულეტენის გაცემის წესის დარღვევასთან დაკავშირებული სხვა ფაქტებიც გამოავლინეს. გლდანის 92-ე უბანზე რეგისტრატორმა 5 ამომრჩევლის 3-3 ბიულეტენი ისე მოხია დასტიდან, რომ მათზე აღარ ჩანდა უბნის ნომერი, რაც დათვლის ეტაპზე ბიულეტენების უპირობო ბათილობას გამოიწვევდა. დამკვირვებელმა ფაქტი საუბნო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა და დარღვევის აღმოფხვრა მოითხოვა, რაც თავმჯდომარემ არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ საიამ საოლქო კომისიას მიმართა რეგისტრატორისა და თავმჯდომარისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა და შესაბამის პირებს განესაზღვრათ „შენიშვნა“.[526] ანალოგიური შემთხვევა გამოვლინდა ისნის 39-ე უბანზეც.

სამ უბანზე,[527] შუალედური გადათვლის შედეგად, გამოვლინდა სხვაობა გაცემულ ბიულეტენებსა და ამომრჩეველთა ხელმოწერებს შორის. სამივე შემთხვევაში რეგისტრატორებმა ახსნა-განმარტება დაწერეს ბიულეტენის „გადაყოლების“ შესახებ, რაც დაღლილობას დააბრალეს. 2 შემთხვევაში საიას დამკვირვებლებმა ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა შეიტანეს.[528]

---

[520] იქვე.
[521] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
[522] იქვე, მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
[523] ნაძალადევის მე-6 და ქუთაისის მე-80 უბნები.
[524] №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №112/2021 განკარგულება.
[525] იქვე.
[526] №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №104/2021 განკარგულება.
[527] თელავის მე-16, მთაწმინდის 34-ე და გლდანის მე-40 უბნები.
[528] მთაწმინდის 34-ე და გლდანის მე-40 უბნები.

არაუფლებამოსილი პირების ყოფნა უბანზე

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ: ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს; ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს; შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს; შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს; დამკვირვებლებს.[529] კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი უნდა ატარებდეს ვინაობისა და სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას.[530] ერთი და იმავე სადამკვირვებლო ორგანიზაციიდან უბანზე დაიშვება მხოლოდ 1 პირი.[531]

არჩევნების დღეს გამოვლინდა უბნებზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნის ერთეული შემთხვევა. მთაწმინდის მე-40 უბანზე საიას დამკვირვებელმა, სავარაუდოდ, მთაწმინდის გამგებელი შენიშნა. ზეპირი შენიშვნის შემდეგ თავმჯდომარემ მას უბანი დაატოვებინა. სოფელ კურდღელაურის საარჩევნო უბანზე ორგანიზაციებიდან „ამერიკის მხარდამჭერთა ლიგა“ და „ანტიკორუფციული მედიაცენტრი“ ორ-ორი დამკვირვებელი იყო წარმოდგენილი. საიას წარმომადგენლის ზეპირი შენიშვნის შემდეგ თითო მათგანმა უბანი დატოვა. „ედისონ რისერჩის“ წარმომადგენელი ეგზიტპოლს გორის 49-ე უბნის შიგნით ატარებდა. შენიშვნის შემდეგ მან უბანი დატოვა. დიდუბის მე-8 უბანზე საიას დამკვირვებელმა პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ორი წარმომადგენელი დააფიქსირა. მითითების შემდეგ დარღვევა აღმოიფხვრა.

კენჭისყრის ფარულობა

რეგისტრაციის შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს.[532] შემდგომ მას კეცავს ისე, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა და ათავსებს სპეციალურ კონვერტში.[533] საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა.[534] თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვის ნაცვლად ხმის მიცემა დაუშვებელია.[535]

ბათუმის 55-ე უბანზე კომისიის წევრმა ამომრჩეველს კონვერტი გამოართვა და ყუთში თავად ჩააგდო. საიამ ამაზე საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი დაწერა, რომელიც არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ დარღვევას ზიანი არ მიუყენებია კენჭისყრის პროცესისა და არჩევნების შედეგისთვის.[536] ერთეულ შემთხვევაში გამოვლინდა კენჭისყრის ფარულობის დარღვევის ფაქტები. გლდანის მე-10 უბანზე სავარაუდოდ სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ განთავსებული ვიდეოკამერა კაბინას

---

[529] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-8 მუხლის მე-16 ნაწილი.
[530] იქვე, მე-17 ნაწილი.
[531] იქვე, მე-15 ნაწილი.
[532] იქვე, 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
[533] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
[534] იქვე.
[535] იქვე, 1-ლი ნაწილი.
[536] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №85/2021 განკარგულება.

უყურებდა. ზეპირი შენიშვნის შემდეგ დარღვევა აღმოიფხვრა. თელავის 38-ე უბანზე ხანშიშესულმა ამომრჩეველმა შენიშნა, რომ არასათანადო განათების გამო სასურველი კანდიდატი ვერ შემოხაზა (ბიულეტენზე 41 იყო დაფიქსირებული), რის შემდეგაც კომისიას ბიულეტენის შეცვლის თხოვნით მიმართა. საიას დამკვირვებლის ზეპირი შენიშვნის მიუხედავად, თავმჯდომარემ ამომრჩეველს განუცხადა, რომ ბიულეტენი საარჩევნო ყუთში მაინც უნდა მოეთავსებინა.

აგიტაციის წესების დარღვევა

არჩევნების დღეს აკრძალულია აგიტაცია კენჭისყრის შენობაში.[537] ამ ნორმის მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.[538]

საიას წარმომადგენლებმა აგიტაციის წესების დარღვევის ერთეული შემთხვევა გამოავლინეს. ზუგდიდის 90-ე უბანზე დამკვირვებელი შეესწრო, რომ რეგისტრატორი ამომრჩეველს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატის მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა.[539] ანალოგიური დარღვევა თავმჯდომარის მხრიდან ვიდეოკამერაზე აღბეჭდა საიას დამკვირვებელმა დიდუბის მე-8 უბანზე. რეგისტრატორმა მას ტელეფონი წაართვა და, ჩანაწერთან ერთად, სხვა ფაილებიც წაუშალა. ორგანიზაციამ ფაქტი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა. თუმცა, ის არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ ეს იყო წამოცდენა ერთ-ერთ ამომრჩეველთან საუბრისას და არა - აგიტაცია.[540]

→ *საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ აგიტაციის წესების დარღვევა*

არჩევნების დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კახაბერ კუჭავა ხმის მისაცემად ვაკის 76-ე უბანზე მივიდა. მედიაში შესაბამისი ფოტო-ვიდეო მასალა გავრცელდა.[541] საიას ცენტრალური შტაბის წარმომადგენლებმა მედიამონიტორინგის ფარგლებში გამოავლინეს, რომ საარჩევნო უბანზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბრენდირებული პირბადით შევიდა, რომელზეც პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სიმბოლიკა იყო გამოსახული. საიამ დაუყოვნებლივ ელექტრონული საჩივრით მიმართა ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა კახაბერ კუჭავას მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა აგიტაციის წესების დარღვევის გამო.[542] საიას საჩივარი დააკმაყოფილა და

---

[537] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 45-ე მუხლის მე-11 ნაწილი.

[538] იქვე, 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[539] საიას დამკვირვებლის საჩივარი ზუგდიდის ოლქში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3NdcArM, განახლებულია: 15.04.2022.

[540] №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 12 ოქტომბრის №08/107 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.

[541] „მექანიკური შეცდომა იყო” - კუჭავა აღიარებს, რომ საარჩევნო წესი დაარღვია”, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი”, 2021 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yGGoJn, განახლებულია: 15.04.2022.

[542] საიას დამკვირვებლის საჩივარი ვაკის ოლქში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lmZSe8, განახლებულია: 15.04.2022.

12 ოქტომბერს ცესკოს თავმჯდომარემ პარლამენტის თავმჯდომარეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა,[543] ხოლო მასალები განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაუგზავნა.[544] სასამართლომ კახაბერ კუჭავა სამართალდამრღვევად მიიჩნია, თუმცა ადმინისტრაციულ სახდელად სიტყვიერი შენიშვნა გამოიყენა.[545]

განმეორებით ხმის მიცემა

დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს განმეორებით ხმის მიცემის ან მისი მცდელობის რამდენიმე შემთხვევა. ერთ-ერთი ამომრჩეველი თელავის 38-ე უბანზე ხმის მიცემის შემდეგ ვადაგასული პირადობით გამოცხადდა გვერდით მდებარე 39-ე უბანზე, სადაც ის საიას დამკვირვებლისა და ნაკადის მომწესრიგებლის რეაგირების შემდეგ აღარ დაუშვეს. მარნეულის 90-ე უბანზე ასევე რამდენჯერმე დაფიქსირდა განმეორებით ხმის მიცემის ფაქტი. საუბნო საარჩევნო კომისია დარღვევებზე არ რეაგირებდა მტკიცებულების არარსებობის მოტივით. ერთ შემთხვევაში საიას დამკვირვებლის მითითებით თავმჯდომარემ შენიშნა ერთი და იმავე პირის მიერ ხმის მიცემა. იგი კაბინიდან გამოყვანა და გაცემული ბიულეტენები „გაფუჭებულების“ დასტას მიათვალა. მსგავსი ფაქტი გამოვლინდა ზუგდიდის 28-ე უბანზეც, სადაც ამომრჩეველი ხელმეორედ გამოცხადდა ხმის მისაცემად. პირს მარკირება არ დაუფიქსირდა, რის გამოც, ის, საიას დამკვირვებლის წინააღმდეგობის მიუხედავად, უბანზე დაუშვეს. ორგანიზაციის წარმომადგენლის მტკიცებით, მარკირების არარსებობა სადეზინფექციო ხსნარის გამოყენებამ განაპირობა.[xv] გორის 43-ე უბანზე გადასატანი ყუთის დაბრუნების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ხმა მისცა იმავე სახელისა და გვარის მქონე სხვა პირმა. დამკვირვებელმა ამ ფაქტზე ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა დაწერა.

ლუქის მთლიანობის დარღვევა

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ცესკოს მიერ დადგენილი წესით, ინდივიდუალური ნომრის მქონე ბეჭდით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს.[546] თუ კენჭისყრის დროს ლუქის მთლიანობა დაირღვევა, საუბნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.[547]

საიას დამკვირვებლებმა დღის განმავლობაში რამდენიმე უბანზე გამოავლინეს ლუქის მთლიანობის დარღვევისა ან არასწორად დალუქვის ფაქტები. ვაკის მე-4 უბანზე

---

[543] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილის მიერ 2021 წლის 12 ოქტომბერს შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №001971 ოქმი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FU4KAW, განახლებულია: 15.04.2022.

[544] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 13 ოქტომბრის №01-02/1594 წერილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wo7TWi, განახლებულია: 15.04.2022.

[545] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №4/6510-21 საქმეზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39A4wCY, განახლებულია: 15.04.2022.

[546] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-6 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

[547] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 65-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს ლუქი არ ჰქონდა, ხოლო გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი წინასწარ იყო დალუქული. დამკვირვებლის მითითების შემდეგ ყუთებს ჩვეულებრივი წებოვანი ლენტი დააკრეს. საიამ ამ ფაქტზე საჩივრით მიმართა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებს და თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ შემთხვევას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ხმის მიცემის პროცესზე, ხოლო ლუქი არ დაზიანებულა.[548] გადასატანი ყუთის ლუქის მთლიანობა იყო დარღვეული მარნეულის 65-ე უბანზეც. საიამ მისი ბათილობა მოითხოვა, რაც საუბნო კომისიამ არ დააკმაყოფილა. ამის შემდგომ საჩივარი დაიწერა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელმაც საჩივარი დააკმაყოფილა, გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგები ბათილად ცნო, ხოლო ყუთის წამღებ საარჩევნო კომისიის წევრებს, დისციპლინური სახდელის სახით, შენიშვნა დააკისრა.[549]

ხარვეზები გამოვლინდა დიდუბის 27-ე უბანზეც, სადაც ძირითადი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა იყო დარღვეული, ხოლო ლუქის ნომრები ჩანაწერთა წიგნში - გადასწორებული ე.წ. კორექტორის საშუალებით. საიას წარმომადგენელმა საუბნო საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა და მოითხოვა კენჭისყრის შეჩერება, ასევე ყუთის საოლქო კომისიისთვის გადაცემა. ვინაიდან რეაგირება არ ყოფილა, საჩივარი დაიწერა დიდუბის ოლქში, რომელმაც ის არ დააკმაყოფილა. კომისიამ ფოტომასალის შესწავლის შემდეგ მიიჩნია, რომ ლუქის მთლიანობა არ იყო დარღვეული.[550]

საიას დამკვირვებელმა დაულუქავი საარჩევნო ყუთი დააფიქსირა ვაკის მე-11 უბანზეც. პრობლემა საოლქო საარჩევნო კომისიის ჩარევის შემდეგ აღმოიფხვრა.

ბიულეტენების საარჩევნო ყუთში ჩაყრის ფაქტები[xvi]

არჩევნების დღეს ერთეულ შემთხვევაში საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრის ფაქტები გამოვლინდა.

მარნეულის მე-11 უბანზე საიას დამკვირვებელმა რეგისტრატორის მაგიდაზე წინასწარ შემოხაზული ბიულეტენები იპოვა. ზეპირი შენიშვნის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ მათ კუთხე ჩამოაჭრა და გაფუჭებულ ბიულეტენებს მიათვალა. ბათუმის 55-ე უბანზე თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ამომრჩეველი სპეციალური კონვერტის გარეშე აპირებდა ბიულეტენების ყუთში მოთავსებას. მან კონვერტი მიაწოდა, რის შემდეგაც, ამომრჩევლის ნაცვლად, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტი თავმჯდომარემ ჩააგდო. საიამ ფაქტზე საჩივარი დაწერა საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელმაც მიიჩნია, რომ, პროცედურული დარღვევის მიუხედავად, თავმჯდომარის ქმედებას გავლენა არ მოუხდენია ამომრჩევლის ნებასა და ზოგად საარჩევნო პრინციპებზე.[551] შესაბამისად, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრა.

---

[548] №2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №90/2021 განკარგულება.
[549] №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №77/2021 განკარგულება.
[550] №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 5 ოქტომბრის №81/2021 განკარგულება.
[551] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №85/2021 განკარგულება.

ბიულეტენების ჩაყრის სავარაუდო შემთხვევა გამოვლინდა მარნეულის მე-7 უბანზეც. ერთ-ერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელმა სპეციალური კონვერტები, რომლებიც რეგისტრატორისგან მიიღო, საარჩევნო ყუთში ჩაყარა. ადგილზე დაწერილ საჩივარს რეაგირება არ მოჰყვა, ამიტომ საიამ ოლქში მოითხოვა საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის შეწყვეტა, ხოლო შესაბამისი კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ არგუმენტით, რომ უბანზე კანონდარღვევა არ მომხდარა.[552]

2. ამომრჩევლის ნების კონტროლი

2.1. ამომრჩეველზე ზეგავლენა უბნის შიგნით

უბანზე ამომრჩევლის აღრიცხვისა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული საარჩევნო სიების გამოყენების პრაქტიკას, ამომრჩევლის აღრიცხვის მიზნით, კანონმდებლობა სათანადოდ არ არეგულირებს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად,[553] საიამ კენჭისყრის ოთახში ამომრჩევლის ნების კონტროლის არაერთი ფაქტი აღრიცხა. წინა წელთან შედარებით, ამომრჩევლის აღრიცხვისა და პერსონალური ინფორმაციის, სავარაუდო უკანონო შეგროვების ან დამუშავების ნეგატიური პრაქტიკა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, საიას შეფასებით, საგანგაშო იყო. მასში, გარდა სუბიექტების წარმომადგენლებისა, ზოგ შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებიც იყვნენ ჩართულნი.

ზოგიერთ უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი ხმამაღლა აცხადებდა მოსული ამომრჩევლის სახელსა და გვარს, რა დროსაც პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ან გაურკვეველი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წევრი მონაცემს იწერდა.[554] ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ნაკადის მომწესრიგებლის უკან იდგა და ამ ინფორმაციას თავად ინიშნავდა.[555] თელავის 1-ელ უბანზე ამომრჩევლის აღრიცხვაში ჩართული იყო უშუალოდ ნაკადის მომწესრიგებელი. საიას დამკვირვებლების ზეპირი ან წერილობითი შენიშვნის შემდეგ ზოგიერთ უბანზე პრობლემა დროებით აღმოიფხვრა, თუმცა დღის განმავლობაში ამ და სხვა უბნებზე[556] ამომრჩევლის აღრიცხვა განახლდა. თელავის მე-14 უბანზე საიამ ამაზე საჩივარიც დაწერა, თუმცა თავმჯდომარემ ის არ დააკმაყოფილა პერსონალურ მონაცემთა სავარაუდო უკანონო დამუშავების ფაქტის გამოსავლენად არასაკმარისი მტკიცებულებების გამო. რუსთავის 55-ე უბანზე ნაკადის მომწესრიგებელთან მდგომი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელი ტელეფონის საშუალებით მესამე პირს ატყობინებდა ინფორმაციას მოსული ამომრჩევლის შესახებ. საიას დამკვირვებელმა საჩი-

[552] №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 5 ოქტომბრის №59/2021 განკარგულება.
[553] ლაცაბიძე მ. და სხვები, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, გვ. 64, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FXxLvx, განახლებულია: 15.04.2022.
[554] თელავის მე-13, მე-14, 43-ე და 49-ე, გორის მე-40, სამგორის 57-ე და ზუგდიდის მე-16 უბნები.
[555] რუსთავის 29-ე, 37-ე, 41-ე, 63-ე, 66-ე და 71-ე, მარნეულის 41-ე, ბათუმის 83-ე და თელავის მე-9 უბნები.
[556] ოზურგეთის მე-20, ახალქალაქის 70-ე, გორის 58-ე, ჩუღურეთის მე-4 და ნაძალადევის მე-8 უბნები.

ვარი დაწერა, რომელსაც რეაგირება არ მოჰყოლია. ამავე საკითხზე საიამ საჩივრით რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიასაც მიმართა, თუმცა, იმ საფუძვლით, რომ კომისიის თავმჯდომარემ დარღვევა აღმოფხვრა, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.[557] ერთ შემთხვევაში გამოვლინდა ასევე ამომრჩევლის აღრიცხვის მიზნით სამაგიდო სიის გამოყენების ფაქტი.[558] ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების სავარაუდო უკანონო შეგროვება/დამუშავების საფუძვლით, საიამ საჩივრით მიმართა შესაბამის საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებს. საჩივრები არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ შესწავლის შედეგად საოლქო საარჩევნო კომისიამ დარღვევის ნამდვილობა ვერ დაადგინა.[559] საიას დამკვირვებლების გადმოცემით, ამომრჩეველთა აღრიცხვაში სხვადასხვა უბანზე, გარდა საუბნო საარჩევნო კომისიებისა და სუბიექტების წარმომადგენლებისა, სხვადასხვა ორგანიზაციის დამკვირვებლებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის - „საზოგადოებრივი გაერთიანება - ჯერ საქართველო“, „პოლიტიკისა და სამართლის ობზერვერი“, „კავშირი მწვანე დედამიწა“.

2.2. სამართალდარღვევები პერიმეტრზე

2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში საქართველოს პარლამენტმა დააწესა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსებისთვის, ხოლო 100 მეტრის მანძილზე - ამომრჩევლის გადაადგილების შეფერხების, მათი აღრიცხვისა და ადამიანთა შეკრებისთვის.[560] 100 მეტრის მიღმა ამ წესებს დარღვევა არ ხვდება რეგულაციის მოქმედების სფეროში.

2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დღეს საიამ საპატრულო პოლიციას 23-ჯერ მიმართა და, კანონით გათვალისწინებული პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის გამო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა მოითხოვა.

25 მეტრის რადიუსში აგიტაციის აკრძალვის წესის დარღვევა

დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ეს მასალა მოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება.[561] ამ წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.[562]

არჩევნების დღეს საიას დამკვირვებლებმა ერთეულ შემთხვევაში გამოავლინეს პერიმეტრზე აგიტაციის წესების დარღვევა. ოზურგეთის მე-2 უბნიდან 25 მეტრში განთავსებული იყო პოლიტიკური სუბიექტების პლაკატები.[563] რეაგირების მიზნით სა-

[557] №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 4 ოქტომბრის №53/2021 განკარგულება.
[558] რუსთავის 55-ე და ბათუმის მე-15 უბნები.
[559] №79 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №82/2021 განკარგულება.
[560] საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ, 1-ლი მუხლის 31-ე პუნქტი.
[561] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 45-ე მუხლის მე-12 ნაწილი.
[562] იქვე, მე-80 მუხლის მე-2 ნაწილი.
[563] გამოკრული იყო შემდეგი პოლიტიკური სუბიექტების პლაკატები: №25 - „საქართველოსთვის“, №56 - დამოუკიდებელი კანდიდატი კონსტანტინე შარაშენიძე, №5 - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, №44 - „სახალხო პარტია“. იხ. ვიდეო: Ozurgeti - Polling Station 2.mp4, განახლებულია: 15.04.2022.

იამ საპატრულო პოლიცია გამოიძახა, რომელმაც გასაუბრების ოქმი შეადგინა. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, მოგვიანებით სააგიტაციო მასალა ჩამოიხსნა, თუმცა დაუდგენელია - ვისი მხრიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა, გასაუბრების ოქმის შედგენის საფუძველზე რაიმე სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები ვერ გამოკვეთა.[564] აგიტაციის წესების დარღვევის ფაქტი გამოვლინდა ასევე ბათუმის მე-8 საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის მანძილზე.[565] საიამ ამ შემთხვევაშიც მიმართა საპატრულო პოლიციას. დამკვირვებლის ცნობით, ადგილზე მისულმა ეკიპაჟმა განთავსებულ სააგიტაციო მასალას ფოტოები გადაუღო და პერიმეტრი დატოვა. შსს-ს ცნობით, პოლიციის გამოცხადებისას საიას მიერ შეტყობინებული ფაქტი არ დადასტურდა.[566]

100 მეტრის რადიუსში ამომრჩევლის ფიზიკური შეფერხება, აღრიცხვა და ადამიანთა შეკრება

დაუშვებელია არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკური შეფერხება, ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა.[567] ამ წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.[568]

არჩევნების დღეს საიას დამკვირვებლებმა პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის სხვა ფაქტებიც გამოავლინეს. პრობლემური იყო საარჩევნო უბნიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩეველთა გადაადგილების შეფერხება, ადამიანთა შეკრება და ამომრჩეველთა აღრიცხვა. საიას მიმართვის საფუძველზე, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ შეუდგენიათ.[569]

თელავის 35-ე უბნის პერიმეტრზე კენჭისყრის ოთახიდან დაახლოებით 60 მეტრის დისტანციაზე საიას დამკვირვებელმა შენიშნა მიკროავტობუსში მსხდომი პირები, რომლებიც აწარმოებდნენ ამომრჩევლის აღრიცხვას ფოტოსურათებიანი საარჩევნო სიების გამოყენებით.[570] საიას თელავის ოფისმა რეაგირებისთვის საპატრულო პოლიციას მიმართა. ადგილზე გამოცხადებული ეკიპაჟი გაესაუბრა საიას დამკვირვებელს და აცნობა, რომ პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის პირველ შემთხვევაზე დამრღვევ პირებს არ აჯარიმებდნენ. ამის შემდეგ, პოლიციის მითითების საფუძველზე, მიკროავტობუსმა უბნიდან 100 მეტრის მიღმა გადაინაცვლა. საიას მიერ შსს-დან მოთხოვნილი ინფორმაციის თანახმად, თელავის 35-ე უბნის პერიმეტრზე პოლიციის გამოცხადებისას მოქალაქეების აღრიცხვის ფაქტი არ დადასტურდა.[571] სოფელ აკურა-

[564] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 21 იანვრის №MIA 6 22 00169597 წერილი.
[565] „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ბანერი, იხ. ფოტო: Batumi - Polling Station 8.jpg, განახლებულია: 15.04.2022.
[566] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 21 იანვრის №MIA 6 22 00169597 წერილი.
[567] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 45-ე მუხლის მე-12 ნაწილი.
[568] იქვე, მე-80 მუხლის მე-2 ნაწილი.
[569] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 21 იანვრის №MIA 6 22 00169597 წერილი.
[570] იხ. ვიდეო: Telavi - Polling Station 35.mp4, განახლებულია: 15.04.2022.
[571] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 21 იანვრის №MIA 6 22 00169597 წერილი.

ში, თელავის 52-ე საარჩევნო უბნიდან დაახლოებით 10 მეტრში საიას დამკვირვებელმა შენიშნა ჯიხური, სადაც ადამიანები იყვნენ შეკრებილნი, სავარაუდოდ, ამომრჩევლის აღრიცხვის მიზნით.[572] პერიოდულად, ჯიხურში შედიოდნენ უბნიდან გამოსული ამომრჩევლები, გაურკვეველი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ამ შემთხვევაშიც, საიამ მიმართა საპატრულო პოლიციას. დამკვირვებლის ინფორმაციით, ადგილზე მისულმა ეკიპაჟმა დარღვევა ვერ დააფიქსირა. საიამ 2022 წლის 3 მაისს მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მისაღებად, თუმცა, 13 ივნისის მდგომარეობით, სამართალდამცავ ორგანოს პასუხი არ დაუბრუნებია. ამომრჩეველს აღრიცხავდა რუსთავის 36-ე და 37-ე საარჩევნო უბნებზე ორგანიზაცია „დემოკრატიული საზოგადოების“ წარმომადგენელი, რომელსაც ხელში ამომრჩეველთა სია ეჭირა.[573] შსს-ს ცნობით, საიას შეტყობინების საფუძველზე გამოცხადებულმა პოლიციის ეკიპაჟმა შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტი ვერ დაადასტურა.[574] მარნეულის 41-ე[575] და 42-ე[576] უბნების შესასვლელში დაუდგენელი პირები მოსულ ამომრჩეველს კედლის სიებში ამოწმებდნენ, რის შემდეგაც, მათ მოსვლას აღრიცხავდნენ. საიამ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა. შსს-ს ინფორმაციით, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. საბოლოო შედეგის შესახებ ინფორმაცია საიამ 2022 წლის 3 მაისს გამოითხოვა, თუმცა 13 ივნისის მდგომარეობით, შსს-ს პასუხი არ დაუბრუნებია. პერიმეტრის რეგულაციები დაირღვა ქუთაისის 90-ე უბანზეც, სადაც ამომრჩეველთა აღრიცხვისა და ადამიანთა შეკრების ფაქტები გამოვლინდა.[577] ეს პირები საიას დამკვირვებლის მიმართ აგრესიულად იყვნენ განწყობილნი. გამოძახებული პოლიციის ეკიპაჟმა ჩაატარა წარმოება, თუმცა დარღვევა ვერ დაადასტურა.[578] ადამიანები შეკრებილნი იყვნენ ბათუმის 95-ე უბნის 100-მეტრიან პერიმეტრზეც. უბანზე იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც, რომლებიც დარღვევაზე არ რეაგირებდნენ და მათთან კომუნიკაციაში შედიოდნენ. ფაქტის დაფიქსირების მიზნით საიამ 112-ს მიმართა. ადგილზე მისულმა ეკიპაჟმა შეკრებილებს ტერიტორია დროებით დაატოვებინა, თუმცა, დამკვირვებლის ცნობით, დაახლოებით 20 წუთში ისინი კვლავ დაბრუნდნენ. შსს-ს ინფორმაციით, ბათუმის 95-ე საარჩევნო უბანზე დისტანციის დარღვევა არ დადასტურდა.[579] იმავე შედეგით დასრულდა საპატრულო პოლიციის რეაგირება ბათუმის 44-ე უბნის პერიმეტრზეც.[580]

საპატრულო პოლიცია საიას დამკვირვებლებმა გამოიძახეს ჩუღურეთის 21-ე და მე-40 უბნების მიმდებარე პერიმეტრზეც, სადაც მანქანაში მსხდომი პირები მოსულ ამომრჩევლებს აღრიცხავდნენ.[581] საიას დამკვირვებლის ცნობით, ადგილზე გამოცხადებული საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მათ იცნობდა. გასაუბრების შემდეგ მანქანამ

[572] იხ. ვიდეო: Telavi - Polling Station 52.mp4, განახლებულია: 15.04.2022.
[573] იხ. ფოტო: Rustavi - Polling Stations 36 & 37.jpeg, განახლებულია: 15.04.2022.
[574] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 21 იანვრის №MIA 6 22 00169597 წერილი.
[575] იხ. ფოტო: Marneuli - Polling Station 41.jpg, განახლებულია: 15.04.2022.
[576] იხ. ვიდეო: Marneuli - Polling Station 42.mp4, განახლებულია: 15.04.2022.
[577] იხ. ვიდეო: Kutaisi - Pollinc Station 90.mp4, განახლებულია: 15.04.2022.
[578] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 21 იანვრის №MIA 6 22 00169597 წერილი.
[579] იქვე.
[580] იქვე.
[581] იხ. ფოტო: Chugureti - Polling Stations 21 & 40.png, განახლებულია: 14.05.2022.

უბნის პერიმეტრი დატოვა. ამ შემთხვევაშიც ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, თუმცა ფაქტი არ დადასტურდა.[582] ჩუღურეთის მე-15, მე-16, მე-18 და 39-ე უბნების 100-მეტრიან პერიმეტრზე საიას დამკვირვებლებმა აღრიცხეს ადამიანთა შეკრების არაერთი ფაქტი. სამართალდარღვევის აღსაკვეთად გამოძახებულმა პოლიციამ ადმინისტრაციული წარმოება ჩაატარა, თუმცა დარღვევა ვერ გამოავლინა.[583]

საია მიესალმება ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის შემცირების მიზნით მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებითაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაწესდა პერიმეტრის კონკრეტულ რადიუსში სააგიტაციო მასალის განთავსების, ამომრჩევლის აღრიცხვის, ფიზიკური შეფერხებისა და ადამიანთა შეკრების ფაქტებზე. მიუხედავად ამისა, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველ ტურში გამოვლინდა პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის არაერთი შემთხვევა, რაზეც სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება იყო არაეფექტიანი. ზოგჯერ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები საიას დამკვირვებლებთან საუბრის დროს ადასტურებდნენ სამართალდარღვევას, თუმცა არცერთ ასეთ შემთხვევაში დამრღვევებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დაჰკისრებიათ. საპატრულო პოლიციის რეაგირება ხშირად ფორმალური იყო. ზოგჯერ ისინი ტერიტორიას ატოვებინებდნენ სავარაუდო სამართალდამრღვევებს, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მათი წასვლისთანავე, ამომრჩევლის აღრიცხვა, შეფერხება და ადამიანთა შეკრება კვლავ გრძელდებოდა.

შსს-დან მიღებული წერილებით[584] დგინდება, რომ ინციდენტის ტიპით - „არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევა“ არჩევნების პირველ ტურში 112-ში შესულია 165 შეტყობინება. კენჭისყრის დღეს პერიმეტრზე მომხდარ სავარაუდო გადაცდომებზე გამოიცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 1 ოქმი. გარდა ამისა, სამინისტროს ცნობით, სსიპ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112“ ინციდენტის ტიპში „საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა“ მოიაზრებს ნებისმიერ შეტყობინებას, რომელიც ამ თემას უკავშირდება, შესაბამისად, საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის ფაქტებს სტატისტიკურად ვერ აღრიცხავს. გარდა ამისა, შეტყობინების ინიციატორთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია ფიქსირდება საქმის კომენტარებისთვის გამოყოფილ ტექსტურ ველში, ამიტომ, ის სტატისტიკურ დამუშავებას არ ექვემდებარება.

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ უზრუნველყო სამართალდარღვევის ფაქტების აღკვეთა უბნების პერიმეტრზე, არაეფექტიანად ან საერთოდ არ აღასრულა დადგენილი ნორმა, რამაც ხელი ვერ შეუწყო ამომრჩევლის ნების კონტროლის რისკების შემცირებას.

საია მიიჩნევს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების პერიმეტრზე ამომრჩევლის ნების კონტროლის ფაქტების აღსაკვეთად აუცილებელია:

---

[582] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 21 იანვრის №MIA 6 22 00169597 წერილი.
[583] იქვე.
[584] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 21 იანვრის №MIA 6 22 00169597 წერილი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 18 იანვრის №MIA 9 22 00134651 წერილი.

- **დადგენილი ნორმების ეფექტიანი აღსრულება, სამართალდამრღვევების გამოვლენა და მათთვის შესაბამისი სახდელის დაკისრება;**
- **ამგვარ ფაქტებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება, რათა საზოგადოებას ჰქონდეს სრული ინფორმაცია არჩევნების დღეს უბნის პერიმეტრზე გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ, ასევე შეფასებადი იყოს უწყებების რეაგირების ხარისხი თითოეულ შემთხვევასთან მიმართებით.**

2.3. ამომრჩევლის ნების კონტროლის სხვა შემთხვევები პერიმეტრზე

საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, კენჭისყრის დღეს პრობლემური იყო ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლი უბნებიდან 100-მეტრიანი რადიუსის მიღმა. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს მსგავს აქტივობას საარჩევნო უბნიდან 100 მეტრში, საია მიიჩნევს, რომ ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის ნებისმიერი შემთხვევა აზიანებს საარჩევნო გარემოს. ამაზე ორგანიზაცია მიუთითებდა როგორც 2020 წლის არჩევნების შემაჯამებელ ანგარიშში, ასევე საქართველოს პარლამენტისთვის გაგზავნილ მოსაზრებებში.[585] საიას დამკვირვებლებმა არაერთ უბანზე გამოავლინეს ადამიანთა შეკრებისა და ამომრჩევლის აღრიცხვის ფაქტები.[586] უმეტეს შემთხვევაში, შეკრებილი პირები კომუნიკაციას ამყარებდნენ ამომრჩეველთან კენჭისყრის შენობაში მათ შესვლამდე ან გამოსვლის შემდეგ.

საია მიიჩნევს, რომ ამომრჩევლის ნების კონტროლის ნეგატიური ტენდენცია, რომელიც უკვე არაერთ არჩევნებზე გამოიკვეთა, უარყოფით გავლენას ახდენს საარჩევნო გარემოზე, ხელს უშლის მოქალაქეებს, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება და გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი. ამიტომ, საიას რეკომენდაციაა ამომრჩევლის აღრიცხვის აკრძალვა როგორც უბნის პერიმეტრზე, ისე კენჭისყრის ოთახში, ამასთანავე, არჩევნების წინ სიჩუმის დღის დაწესება, რაც საშუალებას მისცემს ადამიანებს, მშვიდ და ზეწოლისგან თავისუფალ გარემოში მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი არჩევანის შესახებ.

---

[585] ლაცაბიძე მ. და სხვები, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, გვ. 7, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FXxLvx, განახლებულია: 14.05.2022.
„საიამ პარლამენტს საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმაზე შენიშვნები წარუდგინა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 01.07.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PAgzka, განახლებულია: 14.05.2022.

[586] ახალქალაქის 64-ე, გორის 36-ე, თელავის მე-3, მე-14, 24-ე, 25-ე, 36-ე და 54-ე, რუსთავის 1-ლი, მე-3, 35-ე, 41-ე, 58-ე, 59-ე და მე-60, მარნეულის 64-ე, ქუთაისის 88-ე, ოზურგეთის მე-20, 24-ე და 53-ე, ზუგდიდის მე-16, ბათუმის მე-8 და 37-ე, კრწანისის მე-7, ნაძალადევის მე-5, მე-6 და მე-10, ჩუღურეთის მე-15 და მე-16 უბნები.

3. შედეგების დათვლა და შეჯამება

3.1. უბნის დახურვა და შედეგების დათვლა

არჩევნების დღეს, ის უბნები, სადაც საიას დამკვირვებლები იმყოფებოდნენ, დროულად დაიხურა.

წილისყრა

წილისყრისთვის განსაზღვრული პროცედურით, კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წევრებს შორის შეარჩევს არანაკლებ 3 მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არაუმეტეს 2 მეთვალყურეს.[587] თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდებიან, 2 მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.[588]

საიას დამკვირვებლებმა ერთეულ შემთხვევაში წილისყრის პროცედურების დარღვევა აღრიცხეს. ერთ-ერთ უბანზე წილისყრის ფურცლები ბეჭდით არ იყო დამოწმებული,[589] რაზეც საიას წარმომადგენელმა შენიშვნა შეიტანა ჩანაწერთა წიგნში. სხვა უბანზე[590] თავმჯდომარემ მთვლელის გამოსავლენ წილისყრაში მონაწილეობა, თავდაპირველად, მხოლოდ რეგისტრატორებს მიაღებინა. დამკვირვებლის შენიშვნის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარემ წილისყრა ხელახლა ჩაატარა. კიდევ ერთ უბანზე[591] წილისყრით გამოვლენილმა მთვლელებმა თავმჯდომარის მითითებით გადაწყვიტეს, დაღლილობის მიზეზით კომისიის სხვა წევრებისთვის დაეთმოთ პოზიცია. საიას ზეპირი შენიშვნის საფუძველზე, წილისყრა ხელახლა ჩატარდა მთვლელების გამოსავლენად. ჩუღურეთის 36-ე უბანზე კომისიის წევრებმა უარი თქვეს წილისყრაში მონაწილეობაზე, რასაც თავმჯდომარე დაეთანხმა. შენიშვნისა და უბანზე დაწერილი საჩივრის მიუხედავად, დარღვევა არ აღმოიფხვრა. საიამ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა და დამრღვევთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საჩივარი დაკმაყოფილდა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა შენიშვნა.[592]

ბიულეტენების ბათილობა

ყველა საარჩევნო ბიულეტენის დახარისხების შემდეგ მოწმდება ის ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც ეჭვქვეშ დადგა. თითოეულის ნამდვილობას კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია. ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენი ემატება ბათილი ბიულეტენების დასტას.[593] ბიულეტენი ბათილია, თუ: იგი დამოწმებული არ არის რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით;[594] შეუძლებელია

[587] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.
[588] იქვე.
[589] ისნის მე-14 უბანი.
[590] თელავის 54-ე უბანი.
[591] თელავის 50-ე უბანი.
[592] №7 ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №74/2021 განკარგულება.
[593] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 69-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
[594] იქვე, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;[595] სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი;[596] საარჩევნო ყუთში ის აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე.[597]

არჩევნების დღეს საიას დამკვირვებლებმა საეჭვო ბიულეტენების განხილვის პროცესში რამდენიმე დარღვევა აღრიცხეს. თელავის 39-ე უბანზე კომისია ცდილობდა, ბათილად ეცნო 15 ბიულეტენი, რომლებზეც ამომრჩევლის ნება გამოხატული იყო. საიას წარმომადგენლის ზეპირი შენიშვნის შემდეგ კომისიამ ბიულეტენები ნამდვილად მიიჩნია. 3 უბანზე[598] გამოვლინდა ერთ კონვერტში ერთი და იმავე ტიპის ან დადგენილ რაოდენობაზე მეტი სხვადასხვა ბიულეტენის არსებობა. 2 შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საიას დამკვირვებლის საჩივარი არ გაითვალისწინა და ბიულეტენები ნამდვილად ცნო. მესამე შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივრის პასუხად განმარტა, რომ, რადგან ბიულეტენებს ჰქონდა სპეციალური ბეჭედი და რეგისტრატორის ხელმოწერა, ისინი ნამდვილად უნდა მიჩნეულიყო.[599] ბათუმის 85-ე უბნის საარჩევნო კომისიამ გააბათილა 7 ისეთი ბიულეტენი, რომელზეც გამოხატული იყო ამომრჩევლის ნება. მან არ გაიზიარა საიას დამკვირვებლის მოსაზრება, რომელმაც საჩივრით მიმართა ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას, წარუდგინა ბიულეტენების ფოტოსურათები და მოითხოვა მათი ნამდვილად მიჩნევა.[600] საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ საეჭვო ბიულეტენების საკითხს, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტდა საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის საფუძველზე.[601] საიამ რამდენიმე ბიულეტენის გაბათილება გაასაჩივრა ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაშიც - 106-ე უბანთან მიმართებით. დამკვირვებლის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ბიულეტენებზე ნება გამოვლენილი იყო, კომისიამ ისინი ბათილად ცნო. საჩივრით საიამ მოითხოვა ამ უბნის პროპორციული და მერის არჩევნების შემაჯამებელი ოქმების ბათილობა, დალუქული დოკუმენტაციის გახსნა, შედეგების ხელახლა გადათვლა და შესაბამისი პირებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ არგუმენტით, რომ 106-ე საუბნო საარჩევნო კომისიას კანონმდებლობა არ დაურღვევია.[602] გადაწყვეტილება ორგანიზაციამ სასამართლოში გაასაჩივრა. პირველი ინსტანციის სასამართლომ საიას მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.[603] შედეგი გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.[604]

საია მიიჩნევს, რომ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საეჭვო ბიულეტენების ბათილობის საკითხის გადაწყვეტა არაერთგვაროვანია. აუცილე-

---

[595] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.
[596] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 69-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
[597] იქვე, „ე“ ქვეპუნქტი.
[598] ზუგდიდის 90-ე, ქუთაისის 81-ე და 106-ე უბნები.
[599] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №74/2021 განკარგულება.
[600] საიას დამკვირვებელმა საოლქოს საარჩევნო კომისიას მტკიცებულების სახით წარუდგინა ბიულეტენების ფოტოები. იხ: https://bit.ly/39u9TDx, განახლებულია: 15.04.2022.
[601] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №89/2021 განკარგულება.
[602] №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 8 ოქტომბრის №137/2021 განკარგულება.
[603] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის №3/518-21 გადაწყვეტილება.
[604] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 14 ოქტომბრის №3/ბ-500-21 გადაწყვეტილება.

ბელია, კომისიის წევრებმა სწორად შეაფასონ ნების გამოვლენის ასპექტი და, კანონის არასწორი ინტერპრეტაციის გამო, მოქალაქეებს საარჩევნო უფლებით სარგებლობა არ შეუზღუდონ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოებს ჰქონდეთ ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი იმ საარჩევნო დავებზე, რომლებიც ბიულეტენების ბათილობას ეხება.

3.2. არჩევნების შედეგების შეჯამება

საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესის დარღვევა

ბიულეტენების დათვლის შემდეგ მთვლელები ცალ-ცალკე პაკეტებად ლუქავენ ბათილ და ნამდვილ ბიულეტენებს.[605] იხურება და შემდეგ ილუქება ჩანაწერთა წიგნი. დალუქულ დოკუმენტებთან ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას გადაეცემა შემაჯამებელი ოქმები.[606]

არჩევნების დღეს იმ საოლქო საარჩევნო კომისიებში, სადაც საიას მიერ წარდგენილი დამკვირვებლები იმყოფებოდნენ, საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესის დარღვევის ფაქტები 58 უბანთან მიმართებით გამოვლინდა.[607] მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ ოლქში, სივრცის მოწყობიდან გამომდინარე, დამკვირვებლებს არ ჰქონდათ საშუალება, დეტალურად გასცნობოდნენ უბნებიდან შემოსული დოკუმენტაციის მდგომარეობას. საია მიიჩნევს, რომ მსგავსი ნეგატიური ტენდენციის დამკვიდრება აჩენს დოკუმენტაციაში ჩარევის რისკებს. ამავე პრობლემაზე ორგანიზაცია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც მიუთითებდა.[608] 58-ვე შემთხვევაში საიას წარმომადგენლებმა საჩივრით მიმართეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს და, სამუშაოს არაჯეროვანი შესრულების გამო, საუბნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვეს. საინტერესოა, რომ საოლქო კომისიებს განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ საჩივრების გადაწყვეტისას. ქუთაისის ოლქში 7 უბანთან მიმართებით დაწერილი საჩივრიდან მხოლოდ 3 დაკმაყოფილდა და კომისიის ორივე წევრს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შენიშვნა დაეკისრა.[609] დანარჩენ შემთხვევებში, საოლქოს მოსაზრებით, დარღვევა არ გამოვლენილა. სამგორის ოლქში 2-იდან მხოლოდ ერთი საჩივარი დაკმაყოფილდა.[610] ვაკის ოლქში, სადაც დოკუმენტაციის დალუქვის წესი 23 უბანზე დაირღვა, არცერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ ეს დარღვე-

[605] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 69-ე მუხლის მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 ნაწილები.

[606] იქვე, 62-ე მუხლის მე-11 ნაწილი.

[607] სამგორის 42-ე და 112-ე, დიღუბის მე-13, საბურთალოს 21-ე, 22-ე და 84-ე, კრწანისის მე-11, ვაკის მე-9, მე-11, მე-12, მე-14, მე-16, 23-ე, 25-ე, 26-ე, 29-ე, 33-ე, 36-ე, 42-ე, 44-ე, 46-ე, 50-ე, 51-ე, 56-ე, მე-60, 61-ე, 63-ე, 72-ე, 75-ე და მე-80, ისნის 69-ე, ჩუღურეთის მე-2 და მე-18, მთაწმინდის მე-12 და 33-ე, გლდანის 105-ე, გორის 28-ე და 32-ე, ოზურგეთის მე-6, მე-7, მე-12, 25-ე, 37-ე და 54-ე, მარნეულის მე-11, მე-13, 26-ე, 28-ე, მე-40, 73-ე და 81-ე, ქუთაისის 67-ე, 81-ე, 94-ე, 99-ე, 103-ე, 120-ე და 123-ე უბნები.

[608] ლაცაბიძე მ. და სხვები, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, გვ. 75-76, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FXxLvx, განახლებულია: 14.05.2022.

[609] №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 8 ოქტომბრის №138/2021 განკარგულება.

[610] №6 სამგორი საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №116/2021 განკარგულება.

ვები გავლენას არ ახდენდა არჩევნების შედეგებზე.[611] ისნის, დიდუბის, ჩუღურეთის, მთაწმინდის, კრწანისის, გლდანისა და ოზურგეთის ოლქებში ეს წესი 14 უბანთან მიმართებით დაირღვა.[612] ყველა შემთხვევაში საიას საჩივარი დაკმაყოფილდა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებსა და მდივნებს შენიშვნა დაეკისრათ.[613] 3-იდან არცერთი საჩივარი არ დააკმაყოფილა საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიამ.[614] მარნეულში 6 უბანთან მიმართებით დაიწერა საჩივარი. აქედან 5 არ დაკმაყოფილდა, 1 კი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და დისციპლინური პასუხისმგებლობა - შენიშვნა - მხოლოდ უბნის თავმჯდომარეს დაეკისრა.[615] მსგავს პრაქტიკას მიემხრო გორის საოლქო საარჩევნო კომისიაც და დოკუმენტაციის დალუქვის წესის დარღვევის ორ შემთხვევაზე დისციპლინური პასუხისმგებლობა მხოლოდ თავმჯდომარეს დააკისრა.[616]

საია მიიჩნევს, რომ საარჩევნო დოკუმენტაცია კანონმდებლობის დაცვით უნდა დაილუქოს. შესაძლოა, ამ წესის დარღვევა ზოგ შემთხვევაში გავლენას არ ახდენდეს არჩევნების შედეგებზე, თუმცა პროცედურების უგულებელყოფა და საოლქო საარჩევნო კომისიების მხრიდან მათზე არაერთგვაროვანი რეაგირება ასუსტებს ნდობას საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო კანონმდებლობის აღსრულების მიმართ, ამასთანავე, ზრდის დოკუმენტაციაში მანიპულაციის რისკებს.

საარჩევნო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სხვა დარღვევები

საოლქო საარჩევნო კომისიებში საიას დამკვირვებლებმა სხვა დარღვევებიც გამოავლინეს. გლდანის მე-10 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ოლქში ჩანაწერთა წიგნის გარეშე გამოცხადდა. ფაქტზე საიამ საჩივარი დაწერა და თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი დააკმაყოფილა და ორივე მათგანს გაფრთხილება მისცა.[617] დიდუბის 24-ე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ოლქში მაჟორიტარული არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გარეშე გამოცხადდნენ. საიამ ოლქს საჩივრით მიმართა, მოითხოვა დარღვევის აღმოფხვრა და კომისიის შესაბამისი წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

---

[611] №2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №100/2021 განკარგულება.

[612] ისნის 69-ე, დიდუბის მე-13, ჩუღურეთის მე-2 და მე-12, მთაწმინდის მე-12 და 33-ე, კრწანისის მე-11, გლდანის 105-ე, ოზურგეთის მე-6, მე-7, მე-12, 25-ე, 37-ე და 45-ე უბნები.

[613] №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 5 ოქტომბრის №103/2021,
№10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №125/2021,
№1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის №63/2021 და №60/2021,
№7 ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის №77/2021,
№4 კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 5 ოქტომბრის №71/2021,
№8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 5 ოქტომბრის №80/2021,
№5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის №145/2021 განკარგულებები.

[614] №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის №154/2021 განკარგულება.

[615] №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის №84/2021 და №85/2021 განკარგულებები.

[616] №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 4 ოქტომბრის №94/2021 და №95/2021 განკარგულებები.

[617] №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №127/2021 განკარგულება.

საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ ამ პირებს ოქმი უბანზე დარჩათ და აღმოჩენისთანავე მიიტანეს ოლქში.[618] რუსთავის 30-ე უბანზე სამივე შემაჯამებელი ოქმი დაიკარგა. საიას წარმომადგენელმა საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა და თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო სახდელის ზომად შენიშვნა განისაზღვრა.[619]

შემაჯამებელი ოქმების შევსების წესის დარღვევა და დისბალანსის შემთხვევები

კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები აისახება ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.[620] აკრძალულია მასში შეტანილი მონაცემების გადასწორება.[621] ასეთი ოქმის ბათილობის საკითხს განიხილავს ზემდგომი საარჩევნო კომისია.[622] შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.[623] თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას შეცდომა იქნება დაშვებული, შესაბამისი მონაცემის გასწვრივ მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია“. საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს შესწორების ოქმი, რომელშიც აღინიშნება მონაცემის შესწორების ფაქტი, ამ ოქმის შედგენის თარიღი და დრო.[624] კომისია ვალდებულია, გახსნას საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები, თუ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ შემაჯამებელ ოქმში, ისე, რომ მას არ ახლავს შესწორების ოქმი, გადასწორებულია საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ან/და ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა.[625]

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველ ტურში საიამ 235 უბნის მონაცემების გადათვლა ან/და გადამოწმება მოითხოვა იმ ოლქებში, სადაც ორგანიზაციის დამკვირვებლები იყვნენ წარდგენილნი. აქედან 15 შემთხვევაში[626] ოლქებმა საიას მოთხოვნა სრულად, 3-ში[627] კი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. 56 უბანთან მიმართებით[628] მონაცემები გადაითვალა ან/და გადამოწმდა ოლქის ინიციატივით,

---

[618] №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 5 ოქტომბრის №81/2021 განკარგულება.
[619] №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 4 ოქტომბრის №56/2021 განკარგულება.
[620] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.
[621] იქვე.
[622] იქვე.
[623] იქვე, მე-3 ნაწილი.
[624] იქვე, მე-4 ნაწილი.
[625] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 21-ე მუხლის „დ[1]“ ქვეპუნქტი.
[626] ჩუღურეთის 25-ე და 44-ე, სამგორის მე-80, დიდუბის 36-ე და 46-ე, ვაკის 22-ე და 41-ე, მცხეთის მე-9, მე-18 და 46-ე, ბათუმის 23-ე, გორის 76-ე და 92-ე, თელავის 55-ე და რუსთავის 21-ე უბნები.
[627] გორის 21-ე და 31-ე და თელავის მე-9 უბნები.
[628] ვაკის მე-4, მე-6, მე-10, 72-ე, 77-ე, 79-ე და მე-80, საბურთალოს მე-17, 22-ე, 24-ე, 38-ე, 51-ე, 84-ე, 86-ე და 98-ე, ჩუღურეთის 42-ე, ნაძალადევის მე-40, 45-ე, 69-ე და 96-ე, კრწანისის 30-ე, მთაწმინდის მე-9 და 34-ე, სამგორის 31-ე, დიდუბის მე-13, 25-ე, 41-ე და 53-ე, ისნის მე-2, მე-7, მე-8, მე-16, 26-ე, 44-ე და 53-ე, გორის 105-ე, ახალქალაქის მე-6, მე-40, 44-ე, 49-ე, 54-ე, 68-ე და 70-ე, ქუთაისის 121-ე, ზუგდიდის მე-12, რუსთავის 24-ე, 29-ე და 45-ე, მარნეულის მე-12, 41-ე, 70-ე და 73-ე, ბათუმის 44-ე, 63-ე, 97-ე და 105-ე უბნები.

7 შემთხვევაში[629] - სხვა სუბიექტის საჩივრის საფუძველზე, ხოლო ასევე 7[630] შემთხვევაში - ლოტოტრონით გამოვლენის შედეგად. საოლქო საარჩევნო კომისიებმა იგივე მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს 147 უბანთან დაკავშირებით.[631] გარდა ამისა, ერთეულ შემთხვევაში საიამ გამოავლინა დარღვევები შემაჯამებელ ოქმებში და მოითხოვა შესაბამისი კომისიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 6 ასეთი საჩივრიდან 4 დაკმაყოფილდა,[632] ხოლო 2 - არა.[633]

არჩევნების დღეს, საიას საარჩევნო დავების სტრატეგიის შესაბამისად, ორგანიზაციამ შედეგების გადათვლა/გადამოწმება ან შესაბამისი პირების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა ისეთ შემთხვევებში, როდესაც შემაჯამებელ ოქმებში გამოვლინდა მეტობა ან საეჭვო რაოდენობით ნაკლებობა, გადასწორებული იყო რომელიმე გრაფა ისე, რომ მას არ ახლდა შესწორების ოქმი ან ახსნა-განმარტება, ბათილი ბიულეტენების რაოდენობა მოსული ამომრჩევლის რაოდენობის დაახლოებით 10%-ს ან მეტს შეადგენდა. საიას სტატისტიკა ემყარება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების ელექტრონული ბაზის მონაცემებს.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ შედეგების გადათვლის დროს საოლქო საარჩევნო კომისიები უბნებს არა სრულად, არამედ ნაწილობრივ ითვლიან. ხშირ შემთხვევაში პროცესს ტექნიკური ხასიათი აქვს და, არსებული ხარვეზების მიუხედავად, არ ხდება ბიულეტენების რაოდენობის შედარება სამაგიდე სიებში არსებულ ხელმოწერებთან.

საია მიიჩნევს, რომ გადათვლის პროცედურის ეფექტიანობისა და არჩევნების შედეგებისადმი ნდობის გასაზრდელად, აუცილებელია, კანონმდებლობით განიმარტოს, რას გულისხმობს არჩევნების შედეგების გადათვლა. იმ შემთხვევაში, თუ ოლქები საკუთარი ინიციატივით, ლოტოტრონის მეშვეობით ან საჩივრის საფუძველზე გადაწყვეტენ უბნის გახსნას, პროცედურა წარიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩევნების შედეგების დათვლის პროცესის შესაბამისად.

---

[629] სამგორის მე-16, 32-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე, 42-ე და 111-ე უბნები.

[630] გლდანის 35-ე, სამგორის 96-ე, ჩუღურეთის 30-ე, ვაკის 33-ე და 73-ე, ბათუმის 38-ე და მარნეულის 82-ე უბნები.

[631] მთაწმინდის მე-4, მე-14, მე-18, 24-ე, 26-ე, 32-ე (მაჟორიტარული და პროპორციული შედეგების ოქმები) და 35-ე, გლდანის 24-ე, 75-ე და 84-ე, კრწანისის მე-11, 29-ე და 31-ე, ვაკის მე-3, მე-9, მე-15, 24-ე, 34-ე და 56-ე, საბურთალოს 37-ე, 57-ე, 62-ე, 77-ე და 79-ე, ისნის მე-5, მე-11, 31-ე, 35-ე, 37-ე, 46-ე, 47-ე, 51-ე, 56-ე, 57-ე, 61-ე, 67-ე, 68-ე, 74-ე, 77-ე და 82-ე, ჩუღურეთის 1-ლი, მე-3, მე-5, მე-9, მე-17, მე-18, 21-ე, 26-ე, 43-ე, და 49-ე, ნაძალადევის მე-18, 35-ე, 66-ე და 71-ე, სამგორის მე-17, 45-ე, 63-ე, 75-ე, 81-ე, 115-ე, 117-ე, 119-ე და 120-ე, დიდუბის მე-19, 32-ე, 43-ე და 56-ე, ბათუმის მე-6, მე-9, 34-ე, 68-ე, 69-ე და 85-ე, გორის მე-5, მე-15, 28-ე, 29-ე და 35-ე, ქუთაისის მე-5, მე-13, 37-ე, მე-40, 42-ე, 52-ე, 58-ე, 77-ე, 103-ე, 105-ე, 106-ე, 111-ე, 114-ე და 120-ე, თელავის 28-ე, ზუგდიდის მე-15 და 38-ე, რუსთავის 1-ლი, მე-9, მე-12, მე-19, მე-20, 22-ე, 23-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 28-ე, 36-ე, 44-ე (მერისა და მაჟორიტარული შედეგების ოქმები), 46-ე, 48-ე, 49-ე, 50-ე, 51-ე, 53-ე, 55-ე (ნაკლებობა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობა), 56-ე, 58-ე, 61-ე, 66-ე, 69-ე, 70-ე, 72-ე, 74-ე, 78-ე და 79-ე, მარნეულის მე-7, მე-8, მე-10, მე-14, მე-16, მე-18, 22-ე, 23-ე, 37-ე, მე-40, 48-ე, 50-ე, 53-ე, 56-ე, 67-ე, 84-ე, 86-ე და 91-ე უბნები.

[632] ოზურგეთის მე-14, მე-19, 22-ე და 41-ე უბნები.

[633] საბურთალოს 31-ე და ბათუმის 71-ე უბნები.

4. საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა

საუბნო საარჩევნო კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას, კენჭისყრის დროს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვას, ამომრჩეველთა, წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით გარანტირებული უფლებების რეალიზებას.[634] საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პასუხისმგებელია კენჭისყრის დღეს შენობაში წესრიგის შენარჩუნებაზე.[635] საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა დისციპლინური გადაცდომაა სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება,[636] კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის სავალდებულო ხელმოწერაზე უარი.[637] ამ მოთხოვნათა დარღვევისთვის საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.[638]

ზოგიერთ უბანზე, რომლებზეც საიას წარმომადგენლები არჩევნებს აკვირდებოდნენ, შეინიშნებოდა არაორგანიზებული გარემო და საუბნო საარჩევნო კომისიებს უჭირდათ წესრიგის შენარჩუნება დღის განმავლობაში.[639] ისნის 23-ე უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი დაკისრებულ ფუნქციებს სათანადოდ ვერ ასრულდება, ხოლო 28-ე უბნის კომისიის წევრებს შორის დაპირისპირება ერთ-ერთის მხრიდან აგიტაციის წესების დარღვევას მოჰყვა და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. მათ მოგვიანებით უბანი დატოვეს. ამ ფაქტზე საიას დამკვირვებელმა საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა, რომელიც დაკმაყოფილდა და შესაბამის წევრებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შენიშვნა დაეკისრათ.[640] ერთეულ შემთხვევაში გაურკვეველი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ან პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლები ეხმარებოდნენ კომისიის წევრებს ფუნქციების შესრულებაში,[641] ან უხეშად ერეოდნენ მათ საქმიანობაში.[642] ამ ფაქტებზე საიას წარმომადგენელი ზეპირ შენიშვნას აძლევდა კომისიის თავმჯდომარეს, რის შედეგადაც, ხარვეზები მეტწილად აღმოიფხვრა.

ახალქალაქის მე-40 უბანზე ყუთის ზედამხედველმა ფუნქცია დროებით დატოვა, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია ჩანაწერთა წიგნში არ შეიტანა. ფაქტზე საიას დამკვირვებელმა წერილობით შენიშვნა დააფიქსირა. თელავის 49-ე და 54-ე უბნებზე დღის განმავლობაში კომისიის ზოგიერთი წევრი უმიზეზოდ ტოვებდა უბანს. საიას არაერთი ზეპირი შენიშვნის მიუხედავად, დარღვევა არ აღმოფხვრილა.

ზუგდიდის მე-6 უბანზე ერთ-ერთმა მთვლელმა უარი განაცხადა დალუქული კონვერტებისა და შემაჯამებელი ოქმების ხელმოწერაზე, რაც კომისიის წევრის მხრიდან ფუნქციის არაჯეროვანი შესრულებაა. ფაქტი საიამ საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა და მოითხოვა წევრის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

---

[634] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
[635] იქვე, 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.
[636] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
[637] იქვე, „ვ“ ქვეპუნქტი.
[638] იქვე, მე-2 ნაწილი.
[639] გლდანის მე-18 და 32-ე, ისნის 23-ე და 28-ე, ჩუღურეთის მე-7 და რუსთავის 21-ე უბნები.
[640] №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის №146/2021 განკარგულება.
[641] რუსთავის 21-ე უბანი.
[642] ჩუღურეთის მე-7, გლდანის 32-ე და ზუგდიდის 90-ე უბნები.

საჩივარი დაკმაყოფილდა და სახდელად განისაზღვრა შენიშვნა.[643]

საარჩევნო რეფორმის ფარგლებში დადგინდა, რომ რეგისტრატორის წილისყრაში არ მონაწილეობენ პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები.[644] საიას შეფასებით, ეს ცვლილება ემსახურება სამაგიდე სიებთან პარტიების წვდომის შეზღუდვას, ამომრჩევლის აღრიცხვისა და პერსონალური ინფორმაციის სავარაუდო დამუშავების თავიდან არიდების მიზნით.

არჩევნების დღეს საიას დამკვირვებლებმა წილისყრით განსაზღვრული რეგისტრატორების პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრებით ჩანაცვლების არაერთი ფაქტი აღრიცხეს.[645] თითოეულ შემთხვევაზე საიას დამკვირვებლებმა ზეპირი და წერილობითი შენიშვნა დააფიქსირეს. ძირითადად, კომისიის თავმჯდომარე ხარვეზს დროებით აღმოფხვრიდა. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ჩანაცვლებას ხსნიდნენ რეგისტრატორის დასვენების მოტივით. გლდანის 68-ე უბანზე დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ წილისყრით განსაზღვრული რეგისტრატორი დაუბრუნდა თავის პოზიციას, თუმცა უბანზე ხელახლა მისვლისას საიას წარმომადგენელმა შენიშნა, რომ კვლავ პარტიის მიერ დანიშნული წევრი ასრულებდა ამ ფუნქციას. დამკვირვებელმა საჩივრით მიმართა საუბნო საარჩევნო კომისიას, თუმცა, ვინაიდან ხარვეზი არ აღმოიფხვრა, საჩივარი წარედგინა შესაბამის საოლქო კომისიას თავმჯდომარისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ არგუმენტით, რომ კომისიის წევრებისთვის ფუნქციების დროებით შეთავსება თავმჯდომარის უფლებამოსილებაა.[646]

საქართველოს საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს თავმჯდომარის მიერ კომისიის წევრებისთვის დროებითი ფუნქციის მინიჭებას.[647] საია უშვებს, რომ დღის განმავლობაში, სხვადასხვა ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით, შესაძლებელია როგორც რეგისტრატორის, ისე სხვა ფუნქციის მქონე კომისიის წევრების დროებით ჩანაცვლება.

მიუხედავად ამისა, საია მიიჩნევს, რომ რეგისტრატორის ფუნქციის შესრულების აკრძალვა ემსახურება პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრის მაქსიმალურ დისტანცირებას სამაგიდო სიებისგან, რაც ზღუდავს ამომრჩევლის აღრიცხვისა და მისი პერსონალური ინფორმაციის უკანონო დამუშავების შესაძლებლობას. ამიტომ, ამ ნორმის მიზნების მისაღწევად, დროებითი ჩანაცვლების საჭიროებისას რეგისტრატორი უნდა ჩანაცვლდეს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული საუბნო კომისიის წევრით, თავმჯდომარის მოადგილით ან თავად თავმჯდომარით.

---

[643] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის №84/2021 განკარგულება.
[644] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-2[1] ნაწილი.
[645] გლდანის 66-ე, 68-ე, 69-ე და 70-ე, ვაკის მე-17, საბურთალოს 62-ე, სამგორის მე-16 და 45-ე და რუსთავის მე-16 უბნები.
[646] №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №110/2021 განკარგულება.
[647] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

5. დამკვირვებლის საქმიანობის ხელშეშლა

დამკვირვებელი უფლებამოსილია, იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში არჩევნების დღეს, ასევე ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს.[648] მას უფლება აქვს, თვალი ადევნოს ამომრჩეველთა ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რომ შესაძლებელი იყოს საარჩევნო ბიულეტენის დანახვა,[649] აგრეთვე, საჩივრით მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოითხოვოს დარღვევების აღმოფხვრა.[650] დამკვირვებლის უფლებების უგულებელყოფისა ან მის საქმიანობაში ჩარევისთვის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საარჩევნო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.[651] საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია, შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ დამკვირვებელს შეეძლოს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება საარჩევნო კომისიაში მიმდინარე ყველა პროცედურასთან დაკავშირებით.[652] კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს, საარჩევნო პროცესისთვის ხელშეშლის გარეშე, შეუძლია, აწარმოოს ფოტო-ვიდეო გადაღება.[653] ცესკოს დადგენილებით, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით განისაზღვრა სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები უბანზე დამკვირვებლების დაშვებისას.[654] დაწესდა უბანზე შემსვლელ პირთა თერმოსკრინინგის ვალდებულება.[655] 5 წუთის ინტერვალით, ორჯერ ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირი კენჭისყრის შენობაში არ დაიშვებოდა.[656]

საიას დამკვირვებლებმა მეტწილად უპრობლემოდ შეძლეს კენჭისყრის შენობაში შესვლა. ცალკეულ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები ორგანიზაციის წარმომადგენლებს უარყოფითი კოვიდ-ტესტის წარდგენას სთხოვდნენ.[657] დამკვირვებლების მიერ შესაბამის დადგენილებაზე მითითების შემდეგ დარღვევა აღმოიფხვრა.

არჩევნების პირველ ტურში საიას დამკვირვებლებს ზოგიერთ უბანზე შეეზღუდათ დაკვირვების შესაძლებლობა. გამოვლინდა მათ მიმართ მუქარის, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები.[658] გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევაში მათ ხელი

---

[648] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.
[649] იქვე, „თ“ ქვეპუნქტი.
[650] იქვე, „კ“ ქვეპუნქტი.
[651] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 41-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
[652] იქვე, მე-5 ნაწილი.
[653] იქვე, მე-8 მუხლის 25-ე ნაწილი.
[654] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს №52/2021 დადგენილება ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ.
[655] იქვე, მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი.
[656] იქვე, მე-2 ნაწილი.
[657] საბურთალოს 78-ე და ახალქალაქის მე-17 უბნები.
[658] „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესის შეფასება”, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022 წლის 3 ოქტომბერი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yKLtjC, განახლებულია: 15.04.2022.

ეშლებოდათ საჩივრების დარეგისტრირებაში. ერთ-ერთ უბანზე თავმჯდომარემ დასარეგისტრირებლად მისთვის გადაცემული საჩივარი დახია.[659] კიდევ ერთ უბანზე კომისიის მდივანმა შენობა დატოვა, რათა საჩივარი არ დაერეგისტრირებინა. ამ ფაქტზე საიას წარმომადგენელმა რეაგირება კომისიის თავმჯდომარეს მოსთხოვა, რის შემდეგაც მან დამკვირვებლის ოთახში გამოკეტვა სცადა.[660] შედეგად, ორგანიზაციის წარმომადგენელმა ვერ შეძლო საჩივრის დარეგისტრირება. არსებობს ამ ფაქტის დამადასტურებელი ვიდეომასალაც. საჩივრის დარეგისტრირებაზე უარი უთხრეს საიას კიდევ ერთ დამკვირვებელს.[661] საიამ ამ ფაქტთან დაკავშირებით საოლქო კომისიას მიმართა და, დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვის გამო, მდივნისა და თავმჯდომარის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა მოითხოვა. საჩივარი არ დაკმაყოფილდა არასაკმარისი მტკიცებულებების წარდგენის მოტივით.[662]

სხვადასხვა უბანზე დარღვევების გამოვლენის შემდეგ საიას კიდევ სამ დამკვირვებელს დაატოვებინეს კენჭისყრის შენობა.[663] ამ ფაქტების უმრავლესობასთან დაკავშირებით ორგანიზაციამ საჩივრით მიმართა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს და მოითხოვა სამართალდარღვევის ოქმის შედგენა საუბნო საარჩევნო კომისიების შესაბამისი პირების მიმართ.[664] არცერთ შემთხვევაში, საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლებით, რომ მას აკლდა მტკიცებულებები ან კომისიის წევრთა მხრიდან დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა არ დასტურდებოდა.[665]

ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზაციის წარმომადგენლებს ეზღუდებოდათ ფოტო-ვიდეო გადაღების შესაძლებლობა. ისნის 64-ე უბანზე დამკვირვებელი საარჩევნო პროცესს უღებდა ვიდეოს, რაშიც ხელი შეუშალეს, ხოლო 39-ე უბანზე საიას წარმომადგენელს არ გადააღებინეს ჩანაწერთა წიგნში გაკეთებული შენიშვნა. მსგავსი ფაქტი გამოვლინდა ახალქალაქის მე-40 უბანზეც. თელავის 52-ე უბანზე საიას დამკვირვებელმა შენიშნა, რომ კომისიის წევრმა შენობა უმიზეზოდ დატოვა. ფაქტის გადაღებისას თავმჯდომარემ, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, დამკვირვებელს ვიდეოგადაღება შეუზღუდა, რაზეც ადგილზევე დაიწერა საჩივარი. საუბნო საარჩევნო კომისიამ საიას მოთხოვნა დააკმაყოფილა და დარღვევა აღმოიფხვრა.

დღის განმავლობაში გარემო დაძაბული იყო ზუგდიდის 90-ე უბანზე, სადაც, საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, მას საქმიანობაში ხელს უშლიდა ერთ-ერთი სადა-

---

[659] ვაკის მე-2 უბანი.
[660] მარნეულის 42-ე უბანი.
[661] მარნეულის 41-ე უბანი.
[662] №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 13 ოქტომბრის №22/111 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.
[663] მარნეულის 65-ე და საბურთალოს მე-14 უბნები, მარნეულის მე-7 უბანი.
[664] საიას მიერ წარდგენილ საჩივარში, ნაცვლად 65-ე უბნისა, მითითებული იყო მარნეულის მე-7 საარჩევნო უბანი. ორგანიზაციის წარმომადგენელმა საოლქო საარჩევნო კომისიას უთხრა, რომ საჩივარში ტექნიკური ხარვეზი იყო, თუმცა არგუმენტი ოლქმა არ გაითვალისწინა და საჩივარი განიხილა მე-7 საუბნო საარჩევნო კომისიასთან მიმართებით, საიდანაც საიას დამკვირვებელი არ გაუძევებიათ. შესაბამისად, კომისიამ მარნეულის მე-7 საარჩევნო უბანზე დარღვევა ვერ დააფიქსირა.
[665] №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 ოქტომბრის №156/2021 განკარგულება.
№22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 13 ოქტომბრის №22/111 და №22/112 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.
№2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 12 ოქტომბრის №02/137 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.

მკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელი. საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ეს უბანი საიას ორ წარმომადგენელს დაატოვებინეს. პირველ შემთხვევაში დამკვირვებელმა უბნის თავმჯდომარეს შენიშვნა მისცა, როდესაც დაინახა, რომ რეგისტრატორი ამომრჩეველს უთითებდა, რომელი საარჩევნო სუბიექტი შემოეხაზა. ფაქტის გამოვლენამ უბანზე მყოფი ერთ-ერთი ადგილობრივი ორგანიზაციის დამკვირვებელი გააღიზიანა. დარღვევის აღბეჭდვის მიზნით საიას წარმომადგენელმა ფოტო-ვიდეო გადაღება დაიწყო, რის გამოც, კომისიამ ის, დამკვირვებლის მითითებით, უბნიდან გააძევა. ამავე საფუძვლით, იგივე უბანი დაატოვებინეს საიას კიდევ ერთ წარმომადგენელს. დამკვირვებლის საქმიანობაში ხელშეშლის რამდენიმე ეპიზოდი საიამ საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა და მოითხოვა პასუხისმგებელი პირების მიმართ ერთ შემთხვევაში - დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, ხოლო მეორეში - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. პირველ ფაქტზე უბნის თავმჯდომარეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.[666] მეორეზე კი საიას უარი ეთქვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.[667]

ფოტო-ვიდეო გადაღებისთვის გამოაძევეს საიას კიდევ ორი დამკვირვებელი. მათ კომისიის წევრებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნაზე უარი ეთქვათ.[668] ერთ შემთხვევაში, დამკვირვებლის მიერ თავმჯდომარის მხრიდან აგიტაციის ფაქტის ვიდეოკამერით გადაღებას რეგისტრატორის გაღიზიანება მოჰყვა. მან საიას წარმომადგენელს მობილური ტელეფონი წაართვა და, გადაღებულ მტკიცებულებასთან ერთად, პერსონალური ჩანაწერებიც წაუშალა.[669] საიამ ფაქტი საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა, რომელმაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.[670] ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიმართა სასამართლოსაც, რომელმაც მიიჩნია, რომ კომისიის წევრები მოქმედებდნენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში და მათ დამკვირვებლისთვის საქმიანობაში ხელი არ შეუშლიათ, ხოლო ტელეფონის წართმევა ნების საწინააღმდეგოდ და მასში არსებული ფაილების წაშლა-დათვალიერება სცილდება საჩივრის განხილვის ფარგლებს. სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა.[671]

არჩევნების პირველ ტურში ზოგიერთ უბანზე საარჩევნო კომისიის წევრები საიას დამკვირვებლებს გადაადგილების თავისუფლებას უზღუდავდნენ.[672] ორგანიზაციის წარმომადგენლის ზეპირი შენიშვნის შემდეგ უმეტესად დარღვევა აღმოიფხვრა, თუ-

[666] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 6 ოქტომბრის №74/2021 განკარგულება.
[667] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 12 ოქტომბრის №67/119 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.
[668] №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 12 ოქტომბრის №05/108 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.
№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 13 ოქტომბრის №79/118 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.
[669] დიდუბის მე-20 უბანი.
[670] №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 12 ოქტომბრის №08/107 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.
[671] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ოქტომბრის დადგენილება №4/6512-21, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LxsBaU, განახლებულია: 14.05.2022.
[672] მთაწმინდის მე-14 და 62-ე, მარნეულის მე-7, ბათუმის 85-ე და თელავის 28-ე უბნები.

მცა ზოგ შემთხვევაში მას საჩივრის დაწერის შესაძლებლობა არ მისცეს,[673] ან გაძევებით დაემუქრნენ.[674] ერთ-ერთ უბანზე დამკვირვებელმა საბოლოოდ მაინც მოახერხა საჩივრის დაწერა, თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიამ ის არ დააკმაყოფილა.[675] საიამ გადაწყვეტილება, დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვის საფუძვლით, შესაბამის საოლქო კომისიაში გაასაჩივრა. მტკიცებულების არარსებობის არგუმენტით, ორგანიზაციას უარი ეთქვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.[676]

საიას დამკვირვებლებმა დღის განმავლობაში, როგორც უბნის შიგნით, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე, სხვა გაურკვეველი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა ან პერიმეტრზე შეკრებილი არაიდენტიფიცირებადი პირების მხრიდან მათი მისამართით მუქარისა[677] და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებიც[678] აღრიცხეს. ორგანიზაციის წარმომადგენელთა უსაფრთხოების მიზნით, ზოგიერთ შემთხვევაში, საიამ სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა. ერთ-ერთ უბანზე, დამკვირვებლის ცნობით, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა დამრღვევებს მიმდებარე ტერიტორია დროებით დაატოვებინა. ბათუმის 44-ე და 103-ე უბნებთან მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყო საიას დამკვირვებლისთვის ჯანმრთელობის დაზიანების მუქარის მუხლით. ორგანიზაციის წარმომადგენელს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა.[679] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ცნობით, მიმდინარეობს გამოძიება და კონკრეტული შედეგი არ დამდგარა.[680] ჩუღურეთის მე-16 უბანზე გამოძახებულმა საპატრულო პოლიციამ სამართალდარღვევის ფაქტი ვერ დაადასტურა.[681] ამ უბნის პერიმეტრზე საიამ დააფიქსირა როგორც ამომრჩეველთა აღრიცხვის, ასევე დამკვირვებლის შეურაცხყოფის ფაქტები.

საიამ 2022 წლის 3 მაისს მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციის მიერ „112“-ში გაკეთებულ შეტყობინებებზე რეაგირების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მისაღებად, თუმცა, 2022 წლის 13 ივნისის მდგომარეობით, სამართალდამცავ ორგანოს პასუხი არ დაუბრუნებია.

საია მიიჩნევს, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციების გამართული და შეუფერხებელი მუშაობა არჩევნების შედეგების მიმართ სანდოობას ზრდის. სამწუხაროდ, დამკვირვებლის საქმიანობის ხელშეშლის ნეგატიური ტენდენცია 2021 წლის არჩევნების პირველ ტურშიც გამოვლინდა. ორგანიზაციის აზრით, მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად აუცილებელია როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ასევე საერთო სასამართლოების ეფექტიანი მუშაობა, რათა სამართალდამრღვევებს, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების მუშაობას აფერხებენ, შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისროთ.

---

[673] ბათუმის 85-ე უბანი.

[674] მარნეულის მე-7 და რუსთავის მე-16 უბნები.

[675] თელავის 28-ე უბანი.

[676] №17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 13 ოქტომბრის №17/106 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.

[677] თელავის 54-ე, ბათუმის 44-ე და 103-ე უბნების პერიმეტრი.

[678] გორის 70-ე, ჩუღურეთის მე-16 და ქუთაისის 89-ე უბნები.

[679] ბათუმის რაიონული პროკურატურის 2022 წლის 18 თებერვლის დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ.

[680] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 2 მაისის №MIA 3 22 01159855 წერილი.

[681] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 21 იანვრის №MIA 6 22 00169597 წერილი.

II ტური

1. კენჭისყრის პროცესი

1.1. უბნის მომზადება და გახსნა

საორგანიზაციო საკითხები

ყველა იმ უბანზე, სადაც საიას დამკვირვებლები იმყოფებოდნენ, კენჭისყრის პროცესი დროულად და შეუფერხებლად დაიწყო. რამდენიმე შემთხვევაში ორგანიზაციის წარმომადგენლებმა უბნის არასათანადოდ მომზადების ფაქტები აღრიცხეს. მაგალითად, ბათუმის მე-9 უბანზე კომისიის წევრებს ბიულეტენების პაკეტი გახსნილი დახვდათ და შემდეგ დალუქეს. ფაქტზე საიას დამკვირვებელმა შენიშვნა შეიტანა ჩანაწერთა წიგნში. უბნის გახსნის გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიამ ბათუმის საოლქო კომისიასთან შეთანხმებით მიიღო. სამგორის 75-ე უბანზე დამკვირვებელმა შავ პარკში არჩევნების პირველი ტურის ბიულეტენების ყუები აღმოაჩინა. შენიშვნის შემდეგ ნივთები უბნიდან გაიტანეს. ისნის მე-8 და მე-15 უბნებზე არ იყო გამოკრული ბიულეტენის ბათილობისა და შევსების წესები. საიას დამკვირვებლის შენიშვნის საფუძველზე, დარღვევები აღმოიფხვრა.

მარტვილის მე-19 უბანზე გადასატანი ყუთის სიაში შეყვანილი ამომრჩევლის რაოდენობა ერთიანი სიის კანონით დადგენილ 3%-ს აჭარბებდა. ჩუღურეთის მე-5 უბანზე საიას დამკვირვებელმა ხარვეზები გამოავლინა გადასატანი ყუთის სიაში. 33-მა ამომრჩეველმა ხმის მიცემა შეძლო, თუმცა დარღვევის დაფიქსირების შემდეგ ყუთი დაილუქა და საოლქო საარჩევნო კომისიას გადაეცა.

წილისყრის პროცედურები

არჩევნების მეორე ტურში საიას დამკვირვებლებმა წილისყრის პროცედურების დარღვევის ერთეული შემთხვევა აღრიცხეს.

ზუგდიდის მე-16 უბანზე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულმა ერთ-ერთმა წევრმა უარი თქვა რეგისტრატორის ფუნქციის შესრულებაზე. კომისიის თავმჯდომარემ ეს ფუნქცია, მის ნაცვლად, ერთ-ერთი პარტიის მიერ დანიშნულ კომისიის წევრს მიანიჭა. საიას დამკვირვებელმა საჩივრით მიმართა საუბნო საარჩევნო კომისიას, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. საიამ ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა და თავმჯდომარის დისციპლინური პასუხისმგებლობა მოითხოვა, რაც არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ დარღვევაზე რეაგირება მყისიერად მოხდა უბანზე საჩივრის დაწერის შემდეგ. ამ ფაქტს საიას დამკვირვებელი არ ადასტურებს.

წილისყრის პროცედურები დაირღვა მარტვილის მე-13 უბანზე. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, გადასატანი ყუთის გამყოლის წილისყრის პროცედურის ჩატარების შემდეგ კომისიის წევრს უარი ათქმევინეს ამ ფუნქციის შესრულებაზე. წილისყრა ხელახლა, იმავე ფურცლების გამოყენებით ჩატარდა, რა დროსაც საარჩევნო კომისიისთვის სასურველ პირს მიუთითეს, რომელი ფურცელი უნდა აეღო. საიამ საჩივრით

მიმართა მარტვილის საოლქო კომისიას და მოითხოვა თავმჯდომარის, ასევე სხვა წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივარი არ დაკმაყოფილდა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განმარტების საფუძველზე, რომელმაც განაცხადა, რომ წილისყრა კანონმდებლობის სრული დაცვით გაიმართა.[682]

1.2. ხმის მიცემის მიმდინარეობა

პირველი ამომრჩევლის მიღება, კოვიდრეგულაციები

იმ უბნებზე, სადაც საია არჩევნების მეორე ტურს აკვირდებოდა, კომისიის წევრებმა პირველი ამომრჩეველი, ძირითადად, კანონმდებლობის დაცვით მიიღეს. მეტწილად დაცული იყო ცესკოს მიერ დადგენილი კოვიდრეგულაციები.

დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა ერთეული დარღვევა გამოავლინეს. ვაკის რამდენიმე უბანზე არ სრულდებოდა კოვიდრეგულაციებით განსაზღვრული ტემპერატურის გაზომვის მოთხოვნა შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებისთვის.[683] ჩხოროწყუს მე-11 უბანზე, საიას წარმომადგენლის ინფორმაციით, კოვიდინფიცირებულმა ამომრჩევლებმა უპრობლემოდ შეძლეს უბანზე შესვლა და კენჭისყრაში მონაწილეობა.

გლდანის მე-19 და 36-ე უბნებზე ნაკადის მომწესრიგებელი ზოგიერთ ამომრჩეველს არ სთხოვდა პირბადის მოხსნას ვერიფიკაციის მიზნით. საიას დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ დარღვევა აღმოიფხვრა.

გამოვლინდა ასევე სადემონსტრაციო ოქმის არასათანადოდ შევსების 5 შემთხვევა.[684] საიას დამკვირვებლების ზეპირი შენიშვნის საფუძველზე, დარღვევები ყველა უბანზე აღმოიფხვრა.

ამომრჩევლის დაშვება უბანზე, მარკირება, ბიულეტენების გაცემა და კენჭისყრის დღის სხვა პროცედურები

კენჭისყრის დღეს საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს მარკირების წესის დარღვევის რამდენიმე ფაქტი. ერთ შემთხვევაში[685] სანათი დაზიანებული იყო, მაგრამ ამომრჩეველი უბანზე მაინც დაუშვეს. საიას დამკვირვებლის მითითების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიამ მიმართა ოლქს და სანათის შეცვლა მოითხოვა. ერთ-ერთ უბანზე[686] ნაკადის მომწესრიგებელი გამორთული სანათით ამოწმებდა მარკირებას. ორგანიზაციის წარმომადგენლის შენიშვნის შემდეგ დარღვევა აღმოიფხვრა. ორივე ფაქტზე საიამ შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში შეიტანა.

ისნის მე-8 უბანზე რეგისტრატორმა ბიულეტენი ისე გასცა, რომ აუცილებელი რეკვი-

---

[682] №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №82/2021 განკარგულება.
[683] ვაკის მე-18, მე-40, 53-ე, 56-ე, 56-ე, 64-ე და 77-ე უბნები.
[684] გლდანის 38-ე, საბურთალოს მე-8 და 84-ე, მთაწმინდის 24-ე და 28-ე უბნები.
[685] ისნის 22-ე უბანი.
[686] გლდანის 28-ე უბანი.

ზიტები დაზიანდა. საიას დამკვირვებლის შენიშვნის საფუძველზე, ბიულეტენები „გაფუჭებულების“ დასტაში გადადეს შესაბამისი წესის დაცვით.

რუსთავის მე-5 და 75-ე უბნებზე რეგისტრატორი პროცედურის ბოლოს უკეთებდა მარკირებას ამომრჩეველს. საიას დამკვირვებლების შენიშვნის შემდეგ დარღვევები აღმოიფხვრა.

დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა ხმის მიცემის წესის დარღვევის სხვა ფაქტებიც აღრიცხეს. სენაკის მე-14 საარჩევნო უბანზე დამკვირვებელმა შენიშნა, რომ ამომრჩეველმა ხელი სხვა გრაფაში მოაწერა. მან ფაქტის გადამოწმება მოითხოვა, თუმცა კომისიის წევრებმა ამის უფლება არ მისცეს. საიას წარმომადგენელმა საჩივრით მიმართა სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას შესაბამისი წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. კომისიის წევრების ახსნა-განმარტების საფუძველზე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ხელმოწერა თავად გადაამოწმეს, ოლქმა, დარღვევის არარსებობის არგუმენტით, საჩივარი არ დააკმაყოფილა.[687] მარტვილის 35-ე უბანზე ამომრჩეველმა კენჭისყრაში მონაწილეობა გატეხილი პირადობის მოწმობით მიიღო. შენიშვნის მიუხედავად, კომისიის თავმჯდომარეს რეაგირება არ ჰქონია. საიამ ამ ფაქტზე ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა შეიტანა.

არჩევნების დღეს ერთ-ერთ უბანზე გამოვლინდა მარკირების მქონე ამომრჩევლის მხრიდან უბანზე შესვლისა და კენჭისყრაში ხელახლა მონაწილეობის მცდელობა.[688]

ერთეული დარღვევა აღირიცხა გადასატანი ყუთით ხმის მიცემის პროცესში. ერთ-ერთ უბანზე ხმა მისცა ამომრჩეველმა, რომელიც გადასატანი ყუთის სიაში იყო. ეს ფაქტი მას შემდეგ გაირკვა, რაც ამომრჩეველთან გადასატანი ყუთი მიიტანეს და მან განაცხადა, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა უკვე მიიღო. საიას წერილობითი შენიშვნის შემდეგ შესაბამისმა რეგისტრატორმა ახსნა-განმარტება დაწერა. ნაძალადევის 79-ე უბანზე გადასატანი ყუთის დაბრუნების შემდეგ გაირკვა, რომ 40 წაღებული ბიულეტენიდან 35 ამომრჩეველმა გამოიყენა, ხოლო დარჩენილი 5-იდან 3 დაიკარგა. კომისიის წევრები ფაქტს ვერ ხსნიდნენ. საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ყუთი დაილუქა და ოლქს გადაეცა. საიამ საჩივრით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას, მოითხოვა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრების მიმართ და დარღვევის აღმოფხვრა. ოლქის განმარტებით, მან საკუთარი ინიციატივით გადათვალა გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგები[689] და დაადგინა, რომ მასში 35-ის ნაცვლად 37 ბიულეტენი იყო მოთავსებული. ამის საფუძველზე, ოლქმა ბათილად ცნო 79-ე უბნის გადასატანი ყუთის შედეგები,[690] დისციპლინური პასუხისმგებლობა „შენიშვნა“ დააკისრა კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს, ხოლო ყუთის გამყოლ კომისიის წევრებს სახდელად „გაფრთხილება“ განესაზღვრათ.[691] შესაბამისად, საიას სარჩელი დაკმაყოფილდა.[692] 72-ე უბანზე გადასატანი ყუთის დაბრუნების შემდეგ კომისიის წევრები აპირებდნენ მის წაღებას ერთ-ერთ

[687] №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №97/2021 განკარგულება.
[688] რუსთავის 75-ე უბანი.
[689] №9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 1 ნოემბრის №188/2021 განკარგულება.
[690] იქვე.
[691] №9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 1-ლი ნოემბრის №190/2021 განკარგულება.
[692] №9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 2 ნოემბრის №191/2021 განკარგულება.

ამომრჩეველთან, რომელიც იმ მომენტში სახლში არ იმყოფებოდა. ამ მიზეზით, ისინი ყუთს არ ლუქავდნენ. საიას დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ გადასატანი საარჩევნო ყუთი დალუქა და მას უბანი აღარ დაუტოვებია.

არაუფლებამოსილი პირების ყოფნა უბანზე

არჩევნების მეორე ტურში უბანზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნის ნეგატიური ტენდენცია გაგრძელდა. დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა რამდენიმე ასეთი ფაქტი გამოავლინეს. ზოგ უბანზე ერთი და იმავე სადამკვირვებლო ან მედია ორგანიზაციის 1-ზე მეტი წარმომადგენელი იმყოფებოდა.[693] ერთ-ერთ უბანზე საიამ ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა შეიტანა, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარემ დარღვევა აღმოფხვრა და უბანზე ორგანიზაციის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი დარჩა.[694] სხვა შემთხვევებში ამგვარი რეაგირება ზეპირ შენიშვნას მოჰყვა.[695] ისნის 63-ე უბანზე, საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორი წარმომადგენელი ერთდროულად იმყოფებოდა. ზეპირი შენიშვნის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ ერთ-ერთ მათგანს უბანი დაატოვებინა. კიდევ ერთ შემთხვევაში, თავმჯდომარის თავდაპირველი განმარტებით, ერთი და იმავე სადამკვირვებლო ორგანიზაციის ორ წარმომადგენელს უბანზე ყოფნის უფლება ჰქონდა. საიას საჩივრის შემდეგ დარღვევა აღმოიფხვრა.[696]

ზოგიერთ შემთხვევაში საიამ აღრიცხა მსგავსი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დასახელებები: „საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი“, „დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაცია - თავისუფალი პრესა“, „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი“, „საზოგადოებრივი გაერთიანება - ჯერ საქართველო“.

→ ***ქართული ოცნების ყოფილი თავმჯდომარის დაცვის წევრების ყოფნა უბანზე***

30 ოქტომბერს, 09:15 საათზე, მთაწმინდის მე-4 საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად გამოცხადდა „ქართული ოცნების“ ყოფილი თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი.[697] კენჭისყრის ოთახში მასთან ერთად იმყოფებოდნენ მისი დაცვის წევრები. ფაქტი საიამ მედიამონიტორინგის შედეგად გამოავლინა და, ვინაიდან დაცვის წევრები იყვნენ არაუფლებამოსილი პირები, მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარადგინა საჩივარი ნაკადის მომწესრიგებლისა და თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. ოლქმა დაადასტურა, რომ დაცვის წევრები არ იყვნენ ამ უბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლები, თუმცა განმარტა, რომ ისინი წარმოადგენდნენ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს და იცავდნენ

[693] ჩუღურეთის მე-40, რუსთავის მე-17 და 75-ე, მარტვილის მე-13, გლდანის 55-ე, ზუგდიდის 21-ე უბნები.
[694] გლდანის 55-ე უბანი.
[695] რუსთავის მე-17 და 75-ე, ჩუღურეთის მე-40 და მარტვილის მე-13 უბნები.
[696] ზუგდიდის 29-ე უბანი.
[697] „ბიძინა ივანიშვილმა ხმა მისცა და უკომენტაროდ დატოვა“, 2021 წლის 30 ოქტომბერი, „აჭარის ტელევიზია“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wnFsYE, განახლებულია: 15.04.2022.

ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომელიც უბანზე ხმის მიცემის პროცედურისთვის საჭირო დროით იმყოფებოდა. მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიამ, ამ განმარტების გათვალისწინებით, საიას საჩივარი არ დააკმაყოფილა.[698]

საიამ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება არ გაიზიარა და თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი წარადგინა, რომლითაც მოითხოვა აქტის ბათილობა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და ნაკადის მომწესრიგებლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. სასამართლომ საიას სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ არგუმენტით, რომ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების განმსაზღვრელი ნორმა უნდა შეფასდეს სხვა ნორმებთან ერთობლიობაში და კანონმდებლის მიზნის გათვალისწინებით.[699]

კენჭისყრის ფარულობა

არჩევნების მეორე ტურში კვლავ გამოვლინდა კენჭისყრის ფარულობის დარღვევის ფაქტები. ზუგდიდის 55-ე უბანზე საიას დამკვირვებელმა შენიშნა, რომ ამომრჩევლები კაბინაში ბიულეტენს ფოტოს უღებდნენ და დამლაგებელს აჩვენებდნენ. ბათუმის 95-ე უბანზე ერთ-ერთი დამკვირვებელი ამომრჩევლებს ხმის მიცემის პროცესში კაბინაში ფოტოს უღებდა. რუსთავის მე-5 უბანზე ორგანიზაცია „სოციალური გარემოს“ წარმომადგენელი კაბინების უკან გადაადგილდებოდა და ცდილობდა, დაენახა, ვის შემოხაზავდა ამომრჩეველი. ვაკის 62-ე უბანზე არასწორად იყო დამონტაჟებული ახალი დიზაინის საარჩევნო კაბინა. ყველა ამ შემთხვევაში საიას წარმომადგენლები ზეპირი შენიშვნით შემოიფარგლნენ, რასაც დარღვევის აღმოფხვრა მოჰყვა.

კენჭისყრის ფარულობის დარღვევა საიას დამკვირვებლებმა კიდეც რამდენიმე უბანზე გამოავლინეს. ერთგან[700] ამომრჩეველს კაბინაში დასახმარებლად შვილი შეჰყვა, რომელიც თავად სხვა უბნის ამომრჩეველი იყო. მეორე[701] შემთხვევაში ამომრჩეველმა ბიულეტენი კონვერტის გარეშე მოათავსა საარჩევნო ყუთში. ამ ფაქტებზე საის დამკვირვებლებმა შენიშვნები შეიტანეს ჩანაწერთა წიგნში. სენაკის 25-ე უბანზე ერთ-ერთმა ამომრჩეველმა, რომელიც, იმავდროულად, ამ უბანზე ერთ-ერთ სადამკვირვებლო ორგანიზაციას წარმოადგენდა, თავისი არჩევანი ღიად, რეგისტრატორის მაგიდაზე დააფიქსირა. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, ეს ფაქტი წაახალისა კომისიის მდივანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამომრჩეველს ამის უფლება ჰქონდა და ბიულეტენის საჯაროდ შევსება დარღვევა არ იყო. საიამ საჩივრით მიმართა სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა მდივნისა და სხვა შესაბამისი პირების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივარი არ დაკმაყოფილდა კომისიის წევრთა განმარტებებზე დაყრდნობით, რომლებმაც განაცხადეს, რომ ამომრჩეველს კენჭისყრაში ფარულად მონაწილეობისკენ მოუწოდეს, თუმცა მას ბიულეტენი უკვე შევსებული ჰქონდა და ვერ წაართმევდნენ.[702]

---

[698] №1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №111/2021 განკარგულება.

[699] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/6952-21.

[700] მარტვილის მე-20 უბანი.

[701] ვაკის 73-ე უბანი.

[702] №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №83/2021 განკარგულება.

კენჭისყრის ფარულობა დაირღვა მარტვილის 35-ე უბანზეც, სადაც კომისიის თავმჯდომარე თავის მამას, რომელიც ამ უბანზე ამომრჩევლად იყო რეგისტრირებული, დახმარების მიზნით საარჩევნო კაბინაში შეჰყვა. ის ხმის მიცემის პროცესს დაესწრო. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, ამ დროს უბანზე სხვა ამომრჩევლებიც იმყოფებოდნენ. საიამ საჩივრით მიმართა მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიას და თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა, თუმცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. 35-ე უბნის თავმჯდომარემ სხდომაზე განმარტა, რომ მამამ დაჟინებით სთხოვა კაბინაში შეყოლა და მას უარი ვერ უთხრა, ხოლო კენჭისყრის პროცესს არ დასწრებია. მარტვილის ოლქმა არგუმენტი გაიზიარა.[703]

ლუქის მთლიანობის დარღვევა

არჩევნების მეორე ტურში საიას დამკვირვებლებს საარჩევნო ყუთებზე ლუქის მთლიანობის დარღვევის ნეგატიური ტენდენცია არ გამოუვლენიათ.

ორგანიზაციის წარმომადგენლების ცნობით, 1 უბანზე საარჩევნო ყუთი არასწორად იყო დალუქული, კერძოდ, ორის ნაცვლად, ერთი ლუქი ჰქონდა.[704] საიას დამკვირვებლის შენიშვნის საფუძველზე, დარღვევა აღმოიფხვრა.

სამგორის 94-ე უბანზე პრობლემა შეიქმნა გადასატან საარჩევნო ყუთთან მიმართებით. საიას დამკვირვებლის ცნობით, ყუთის დაბრუნების შემდეგ, გამყოლი კომისიის წევრების განმარტებით, ერთ-ერთმა ამომრჩეველმა მათ კარი არ გაუღო და ბიულეტენის კარის ჭრილიდან გადაცემა სთხოვა. კომისიის წევრებმა ამომრჩეველს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და გადასცეს როგორც ბიულეტენი, ასევე გადასატანი ყუთის სია. დამკვირვებლის ინფორმაციით, მათ ვერ მოახერხეს იდენტიფიცირება, ვინ მოაწერა ხელი სიაში. ამომრჩეველმა სია, ბიულეტენთან ერთად, სპეციალურ კონცერტში მოათავსა და ის გადასატან საარჩევნო ყუთში ჩააგდო. სიის ამოსაღებად კომისიის წევრებს ურნის გახსნა მოუხდათ, რითაც ლუქის მთლიანობა დაირღვა. საიამ საჩივრით მიმართა სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგების ბათილობა, ხოლო პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიამ საკუთარი ინიციატივით მიიღო 94-ე უბნის გადასატანი ყუთის შედეგების გადათვლისა და გაბათილების გადაწყვეტილება,[705] ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და ყუთის გამყოლ კომისიის წევრებს დისციპლინურ სახდელად განუსაზღვრა „გაფრთხილება“ და „შენიშვნა“.[706]

[703] №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №97/2021 განკარგულება.
[704] სამგორის 75-ე უბანი.
[705] №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 1-ლი ნოემბრის №198/2021 განკარგულება.
[706] №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №218/2021 განკარგულება.

2. ამომრჩევლის ნების კონტროლი

2.1. ამომრჩეველზე ზეგავლენა უბნის შიგნით

არჩევნების მეორე ტურში გაგრძელდა უბნის შიგნით ამომრჩევლის ნების კონტროლი. საიას დამკვირვებლებმა აღრიცხეს არაერთი ფაქტი, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, სადამკვირვებლო ორგანიზაციისა ან პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენლები კენჭისყრის ოთახში შესულ ამომრჩეველს ინიშნავდნენ. განსაკუთრებით პრობლემური იყო რუსთავის ოლქი, სადაც საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორთა მხრიდან ამომრჩევლის აღრიცხვის ფაქტები. ისინი ამომრჩეველთა სამაგიდე სიიდან ცალკე ფურცელზე იწერდნენ მოსული მოქალაქეების რიგით ნომერს.[707] რეგისტრატორები, ძირითადად, განმარტავდნენ, რომ ამომრჩევლის რიგით ნომრებს სადემონსტრაციო ოქმში შესატანი ინფორმაციის (მოსული ამომრჩევლის რაოდენობა) შესაგროვებლად იწერდნენ. ნეგატიური ტენდენციის გამოვლენის შემდეგ საია დაუკავშირდა რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მოსთხოვა დარღვევის აღმოფხვრა. შედეგად, საოლქო საარჩევნო კომისიამ უბნებს მოუწოდა, ამომრჩევლის აღრიცხვა შეეწყვიტათ. ერთ შემთხვევაში საიამ უბანზე პერსონალური ინფორმაციის სავარაუდო უკანონო დამუშავების ფაქტზე საჩივარი დაწერა, რომელიც არ დაკმაყოფილდა.[708]

რამდენიმე უბანზე ამომრჩევლის აღრიცხვისა და მათ ნებაზე ზემოქმედების სხვა ფაქტებიც გამოვლინდა. სხვადასხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები კვლავ ინიშნავდნენ ინფორმაციას მოსული ამომრჩევლის შესახებ.[709] ერთ შემთხვევაში, დამკვირვებელს უბანი დაატოვებინეს.[710] რუსთავის 50-ე უბანზე ორგანიზაცია „მწვანე დედამიწის“ წარმომადგენელი შენობიდან გადიოდა და პერიმეტრზე ამომრჩევლის მობილიზებაში მონაწილეობდა.

საიას წარმომადგენლის ცნობით, ბათუმის 91-ე უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრატორებს დაავალა, შეედგინათ იმ ამომრჩევლების სია, რომლებიც უნდა გამოცხადებულიყვნენ უბანზე, თუმცა ჯერ არ იყვნენ მისულნი. დამკვირვებლის ინფორმაციით, თავმჯდომარე გეგმავდა ასეთ ამომრჩევლებთან დარეკვას და გარკვევას, აპირებდნენ თუ არა ისინი უბანზე გამოცხადებას კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად. საიამ საჩივრით მიმართა ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ იყო და დარღვევა არ დასტურდებოდა.[711]

საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს რამდენიმე ფაქტი, როდესაც სუბიექტის წარმომადგენელთა მხრიდან სტაციონარული ვიდეოგადაღებისას ამომრჩევლების იდენტიფიცირება ხდებოდა.[712] ერთ შემთხვევაში დამკვირვებელმა უბანზე საჩივრის

[707] რუსთავის მე-8, მე-12, მე-14, მე-15, მე-17, მე-20, 38-ე, 50-ე, 63-ე, 64-ე, 65-ე, 66-ე, 68-ე, 74-ე და 75-ე უბნები.
[708] რუსთავის 50-ე უბანი.
[709] ვაკის 70-ე, გლდანის 32-ე, ბათუმის 49-ე, 52-ე, 91-ე და 94-ე, მარტვილის მე-13 და რუსთავის 74-ე უბნები.
[710] ბათუმის 49-ე უბანი.
[711] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 2 ნოემბრის №187/2021 განკარგულება.
[712] სამგორის მე-19, 34-ე, 39-ე და 49-ე, ვაკის 32-ე და 37-ე უბნები.

დაწერა დაიწყო, რის შემდეგაც თავმჯდომარემ სუბიექტის წარმომადგენელს ვიდეოკამერის რაკურსი შეაცვლევინა.[713] დანარჩენ შემთხვევებში დარღვევა ზეპირი შენიშვნის საფუძველზე აღმოიფხვრა. სამგორის 28-ე უბანზე მითითებასა და უბანზე დაწერილ საჩივარს შედეგი არ მოჰყვა, ამიტომ საიამ საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა და თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა, რადგან მან პერსონალურ მონაცემთა სავარაუდო უკანონო დამუშავების ფაქტი არ აღკვეთა. საჩივარი დაკმაყოფილდა და პასუხისმგებლობის ზომად განისაზღვრა „შენიშვნა“.[714]

საია მიიჩნევს, რომ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, კომისიის წევრებისა და ზოგიერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ უბანზე გამოცხადებული პირების აღრიცხვის უარყოფითი ტენდენცია გავლენას ახდენს ამომრჩევლის ნებაზე, ქმნის ზეწოლის განცდას და ხელს უშლის ნეიტრალურ, თავისუფალ გარემოში მათი საარჩევნო უფლების რეალიზებას.

2.2. სამართალდარღვევები პერიმეტრზე

100 მეტრის რადიუსში ამომრჩევლის ფიზიკური შეფერხება, აღრიცხვა და ადამიანთა შეკრება

პერიმეტრის რეგულაციები დაირღვა არჩევნების მეორე ტურშიც. საიამ საპატრულო პოლიციას სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირებისთვის 3-ჯერ მიმართა. რუსთავის მე-18 უბნის გარეთ შეკრებილი პირები ამომრჩევლებს აფერხებდნენ.[715] ადგილზე მოსული საპატრულო პოლიცია გაესაუბრა საიას დამკვირვებელს, თუმცა, ორგანიზაციის წარმომადგენლის ცნობით, სამართალდარღვევის ოქმი არ შეუდგენია.[716] ადამიანთა შეკრება და ამომრჩევლის აღრიცხვა გამოვლინდა ჩუღურეთის 22-ე და 43-ე საარჩევნო უბნების მიმდებარე პერიმეტრზეც. ამ შემთხვევაშიც საიამ დარღვევა 112-ში დააფიქსირა, თუმცა ადგილზე გამოცხადებულმა ეკიპაჟმა, დამკვირვებლის ცნობით, ფაქტი ვერ დაადასტურა.[717]

არჩევნების მეორე ტურშიც, საიას დაკვირვებით, პერიმეტრზე დაწესებული რეგულაციები სამართალდამცავი უწყებების მხრიდან დროულად და ეფექტიანად არ აღსრულებულა.

[713] სამგორის მე-19 უბანი.
[714] №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №222/2021 განკარგულება.
[715] იხ. ფოტო: Rustavi - Polling Station 18.jpg, განახლებულია: 15.04.2022.
[716] საიამ შსს-ს რეაგირების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მისაღებად 2022 წლის 3 მაისს მიმართა, თუმცა, 2022 წლის 13 ივნისის მდგომარეობით, უწყებას პასუხი არ დაუბრუნებია.
[717] საიამ შსს-ს რეაგირების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მისაღებად 2022 წლის 3 მაისს მიმართა, თუმცა, 2022 წლის 13 ივნისის მდგომარეობით, უწყებას პასუხი არ დაუბრუნებია.

2.3. ამომრჩევლის ნების კონტროლის სხვა შემთხვევები პერიმეტრზე

დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა უბნების პერიმეტრებზე გამოავლინეს ამომრჩევლის ნების კონტროლის არაერთი ფაქტი. რუსთავის ზოგიერთ უბანზე[718] გამოვლინდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების უმიზეზო შეკრება, ასევე უცხო პირთა მობილიზებაც.[719] მარტვილის მე-13, 33-ე და 35-ე უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე საიას დამკვირვებლებმა არა მხოლოდ უცხო პირები,[720] არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც დააფიქსირეს.[721] უბნის პერიმეტრზე ადამიანთა შეკრება შეინიშნებოდა ზუგდიდის 53-ე უბანზეც.[722]

ზოგიერთ შემთხვევაში შეკრებილი პირები არღვევდნენ პერიმეტრის რეგულაციებს, თუმცა, სამართალდამცავ ორგანოთა არაეფექტიანი რეაგირების გამო, დამკვირვებლებს 112-ისთვის აღარ მიუმართავთ.

საია მიიჩნევს, რომ პერიმეტრზე ამომრჩევლის ნების კონტროლი კვლავ რჩება არჩევნების დღის მთავარ გამოწვევად, ხელს უშლის მოქალაქეების უფლებას, თავისუფალი არჩევანი გააკეთონ კენჭისყრის ოთახში, რაც ნეგატიურად აისახება საარჩევნო გარემოზე.

3. შედეგების დათვლა და შეჯამება

3.1. უბნის დახურვა და შედეგების დათვლა

ბიულეტენების ბათილობა

არჩევნების მეორე ტურში საიას დამკვირვებლებმა ბიულეტენების ბათილობასთან დაკავშირებული რამდენიმე დარღვევა გამოავლინეს.

რუსთავის 75-ე უბანზე ორ სხვადასხვა ბიულეტენზე ნება იდენტურად იყო გამოხატული: ერთ შემთხვევაში X-ით იყო მონიშნული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ხოლო მეორე შემთხვევაში - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატი. კომისიამ პირველი ბიულეტენი ბათილად, ხოლო მეორე ნამდვილად მიიჩნია. საიამ საჩივარი დაწერა უბანზე, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია, შესაბამისად, ოლქში მოითხოვა ბიულეტენების ხელახლა გადათვლა. საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ ორიდან ერთ ბიულეტენზე ნება სათანადოდ გამოვლენილი არ იყო და დადგენილი კომისიური წესით გადაწყდა მისი გაბათილება.[723]

საბურთალოს 33-ე უბანზე, საიას დამკვირვებლის ცნობით, საუბნო საარჩევნო კომისიამ ჯერ „საეჭვოებში“, ხოლო შემდეგ „ბათილებში“ გადადო 4 ბიულეტენი, სადაც ამომრჩევლის ნება გამოვლენილი იყო. ამომრჩეველს სასურველი კანდიდატის გასწვრივ ხელმოწერა ჰქონდა დასმული. უბანზე დაწერილ საჩივარს რეაგირება არ მოჰ-

[718] რუსთავის 1-ლი, მე-2, მე-12, მე-13, მე-14, მე-16 და მე-17 უბნები.
[719] იხ. ვიდეო: Rustavi - Polling Station 12.mp4, განახლებულია: 15.04.2022.
[720] იხ. ფოტო: Martvili - Polling Station 33.jpg, განახლებულია: 15.04.2022.
[721] იხ. ფოტო: Martvili - Local Self-Government Officials 2.jpg, Martvili - Local Self-Government Officials 2.jpg, განახლებულია: 15.04.2022.
[722] იხ. ფოტო: Zugdidi - Polling Station 53.jpg, განახლებულია: 15.04.2022.
[723] №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №146/2021 განკარგულება.

ყვა, ამიტომ საიამ საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა. მოთხოვნა, ნამდვილად მიჩნეულიყო ოთხივე ბიულეტენი და ხელახლა დათვლილიყო ბათილი ბიულეტენები, არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ ფურცლებზე ამომრჩევლის ნების დადგენა შეუძლებელი იყო.[724]

სენაკის მე-13 უბანზე 24 ბიულეტენი გაბათილდა იმის გამო, რომ ის არ იყო დამოწმებული სპეციალური ბეჭდით და რეგისტრატორის ხელმოწერით. საიას დამკვირვებლის ცნობით, ამას რეგისტრატორები მიზანმიმართულად აკეთებდნენ, რათა ბიულეტენები გაბათილებულიყო. ფაქტზე საიამ საჩივარი დაწერა და მოითხოვა რეგისტრატორების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ორგანიზაციის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და კომისიის შესაბამის წევრებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრათ „შენიშვნა“.[725]

ბათუმის 50-ე უბანზე კომისიამ ბათილად მიიჩნია ისეთი ბიულეტენი, რომელზეც ნება გამოვლენილი იყო, ჰქონდა რეგისტრატორის ხელმოწერა და შესაბამისი ბეჭედი, თუმცა მოხევის დროს დაზიანებული ჰქონდა კუთხეში არსებული რეკვიზიტი - არჩევნების წელი. საიამ უბანზე დაწერილი საჩივრით მოითხოვა ბიულეტენის ნამდვილად მიჩნევა, რაც არ დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ ორგანიზაციამ მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა ბათილი ბიულეტენების ხელახლა დათვლა, ხოლო კონკრეტული ბიულეტენის ნამდვილად მიჩნევა. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა და დაეყრდნო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განმარტებას, რომლის თქმით, ბიულეტენი ურნაში სპეციალური კონვერტის გარეშე იყო მოთავსებული და უნდა გაბათილებულიყო.[726] საიამ ინფორმაცია გადაამოწმა ცესკოს მიერ ატვირთულ ვიდეოფაილებში, რომლებიც უბანზე ხმების დათვლის პროცესს იწერდა. კადრებიდან გაირკვა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ოლქის სხდომაზე არასწორი განმარტება გააკეთა, რადგან სადავო ბიულეტენი ნამდვილად იყო სპეციალურ კონვერტში მოთავსებული. საიამ სარჩელი წარადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა წინა განკარგულებების ბათილობა, 50-ე უბანზე ბათილი ბიულეტენების ხელახლა დათვლა და იმ ბიულეტენების ნამდვილად მიჩნევა, რომლებსაც მოხევის დროს დაზიანებული ჰქონდა კუთხე. სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა,[727] რის შემდეგაც საიამ ზედა ინსტანციას მიმართა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ მაშინაც კი, როდესაც ბიულეტენზე კონკრეტული რეკვიზიტის დაზიანება, შესაძლოა, მიუთითებდეს რეგისტრატორის ბრალეულობაზე, ის აუცილებელია ბიულეტენის ავთენტურობის დასადგენად.[728]

[724] №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №272/2021 განკარგულება.
[725] №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №100/2021 განკარგულება.
[726] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 2 ნოემბრის №193/2021 განკარგულება.
[727] ბათუმის საქალაქო სასამართლოს №3-683/21 გადაწყვეტილება.
[728] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №3/ბ-551-21.

3.2. არჩევნების შედეგების შეჯამება

საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესის დარღვევა

არჩევნების მეორე ტურში გაგრძელდა საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესის დარღვევის ნეგატიური ტენდენცია. იმ ოლქებში, სადაც საიას დამკვირვებლები იმყოფებოდნენ, ჩანაწერთა წიგნის დაულუქავად მიტანის ფაქტი 28 უბანთან მიმართებით გამოვლინდა.[729] ყველა შემთხვევაში საიას წარმომადგენლებმა საჩივრით მიმართეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს და სამუშაოს არაჯეროვანი შესრულებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვეს. ამჯერადაც არაერთგვაროვანი იყო საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. აღსანიშნავია, რომ ყველა უბანთან მიმართებით მათ დარღვევა დაადგინეს, თუმცა განსხვავდებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი. ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიამ 4-ვე უბანთან დაკავშირებული საჩივარი დააკმაყოფილა და როგორც კომისიების თავმჯდომარეებს, ასევე მდივნებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განუსაზღვრა „შენიშვნა“.[730] ამავე პრაქტიკას მიმართეს ჩხოროწყუს,[731] გლდანისა და ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიებმა და საიას მოთხოვნა თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე სრულად დააკმაყოფილეს.[732] სამგორის, ხელვაჩაურის, მთაწმინდის, საბურთალოსა და ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიებმა საიას საჩივრები ნაწილობრივ დააკმაყოფილეს და განმარტეს, რომ მდივნებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკმარისი საფუძველი არ არსებობდა.[733] შესაბამისად, ამ ოლქებში გასაჩივრებულ უბნებზე მხოლოდ თავმჯდომარეებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა „შენიშვნა“.[734]

შემაჯამებელი ოქმების შევსების წესის დარღვევა და დისბალანსის შემთხვევები

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში საიამ 22 უბნის მონაცემების გადათვლა ან/და გადამოწმება მოითხოვა იმ ოლქებში, სა-

[729] მთაწმინდის მე-12, გლდანის 21-ე, 23-ე, 35-ე და 113-ე, ჩუღურეთის მე-5, საბურთალოს მე-16, ვაკის მე-3, მე-12, მე-13, 27-ე, 36-ე, 38-ე, 49-ე და 78-ე, ჩხოროწყუს მე-3 და მე-10, ბათუმის 38-ე, მე-40, 92-ე და 106-ე, რუსთავის მე-40 და 105-ე, ხელვაჩაურის 21-ე, 28-ე, 29-ე, 33-ე და 43-ე უბნები.

[730] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 2 ნოემბრის №190/2021, №192/2021, №194/2021 განკარგულებები.

[731] მე-3 უბნის თავმჯდომარესა და მდივანს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრათ „შენიშვნა“, ხოლო მე-10 უბნისას - „გაფრთხილება“.

[732] №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №68/2021, №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 2 ნოემბრის №202/2021 და №7 ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 2 ნოემბრის №154/2021 განკარგულებები.

[733] №1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №112/2021, №2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 2 ნოემბრის №164/2021, №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №273/2021, №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №232/2021 და №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 1-ლი ნოემბრის №40/2021 განკარგულებები.

[734] მთაწმინდის მე-12 უბნის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა „გაფრთხილება“.

დაც ორგანიზაცია არჩევნებს აკვირდებოდა. აქედან 4 შემთხვევაში[735] ოლქებმა საიას მოთხოვნა - სრულად, 7-ში[736] კი - ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. 1 უბანთან მიმართებით[737] მონაცემები ოლქის ინიციატივით გადაითვალა ან/და გადამოწმდა. საოლქო საარჩევნო კომისიებმა მოთხოვნა 10 უბანზე არ დააკმაყოფილეს.[738]

არჩევნების დღეს, საიას საარჩევნო დავების სტრატეგიის შესაბამისად, ორგანიზაციამ შედეგების გადათვლა/გადამოწმება ან შესაბამისი პირების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა ისეთ შემთხვევებში, როდესაც შემაჯამებელ ოქმებში ფიქსირდებოდა მეტობა ან საეჭვო რაოდენობით ნაკლებობა, გადასწორებული იყო რომელიმე გრაფა ისე, რომ მას არ ახლდა შესწორების ოქმი ან ახსნა-განმარტება, ბათილი ბიულეტენების რაოდენობა მოსული ამომრჩევლის რაოდენობის დაახლოებით 4%-ს ან მეტს შეადგენდა. საიას სტატისტიკა ემყარება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების ელექტრონული ბაზის მონაცემებს.

4. საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა

არჩევნების მეორე ტურში საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს არაერთი ფაქტი, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ხელი ეშლებოდათ საკუთარი საქმიანობის ჯეროვან შესრულებაში, ან თავმჯდომარეები ვერ იცავდნენ უბანზე მშვიდ გარემოს და წესრიგს.[739] ზუგდიდის 53-ე უბანზე მოხდა დაპირისპირება კომისიის წევრებს შორის, რისი აღკვეთაც თავმჯდომარემ ვერ უზრუნველყო. ამის გამო, უბანზე კენჭისყრის პროცესი დროებით შეჩერებული იყო. ერთეულ უბანზე ერთმანეთს „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული კომისიის წევრები ან წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ.[740] ამ შემთხვევებშიც თავმჯდომარე წესრიგის შენარჩუნებას ვერ ახერხებდა, ხოლო დაძაბული გარემო კენჭისყრის პროცესს აფერხებდა.

დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა აღრიცხეს ფაქტები, როდესაც დაძაბულობის შექმნასა და დაპირისპირებაში ჩართულნი იყვნენ სადამკვირვებლო ან მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები.[741] მსგავს ინციდენტებში, საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, მონაწილეობდნენ ორგანიზაციები: „მწვანე დედამიწა“, „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“, „პოლიტიკისა და სამართლის ობზერვერი“, „Allmedia”, „ახალი თაობა“, „აჭარის განვითარების ცენტრი“, „მოძრაობა საქართველოს ერთობისა და გაერთიანებისთვის“. ერთ შემთხვევაში, დაპირისპირების გამო, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პოლიცია გამოიძახა და ორ დამკვირვებელს უბანი დაატოვებინა.[742]

---

[735] საბურთალოს მე-15, 21-ე და 24-ე, ვაკის 52-ე უბნები.
[736] რუსთავის 48-ე, 49-ე, 51-ე, 54-ე და 55-ე, ისნის 62-ე და 68-ე უბნები.
[737] საბურთალოს მე-17 უბანი.
[738] საბურთალოს მე-2 და 56-ე, წალენჯიხის მე-17, ზუგდიდის მე-10, ბათუმის მე-3, მე-10, მე-16, 34-ე, 53-ე და 62-ე უბნები.
[739] ისნის 54-ე, 63-ე, 75-ე და 81-ე, საბურთალოს 38-ე და 64-ე, ჩუღურეთის მე-7 და 49-ე, ზუგდიდის მე-10, 53-ე, 78-ე და 103-ე, რუსთავის მე-16 და 54-ე უბნები.
[740] რუსთავის 75-ე, ისნის 54-ე და 81-ე უბნები.
[741] ზუგდიდის მე-10 და 103-ე, რუსთავის მე-16 და 54-ე უბნები.
[742] ზუგდიდის 103-ე უბანი.

საიას წარმომადგენლებმა სამ სხვადასხვა უბანზე დააფიქსირეს, რომ რეგისტრატორის ფუნქციას პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები ასრულებდნენ.[743] ორ შემთხვევაში წევრი დროებით ანაცვლებდა წილისყრით გამოვლენილ რეგისტრატორს, თუმცა ეს ინფორმაცია ჩანაწერთა წიგნში არ ასახულა.[744] ერთ შემთხვევაში კი მას პირდაპირ მიანიჭეს ეს ფუნქცია წილისყრის პროცედურის დროს, რადგან უბანზე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული საკმარისი რაოდენობის წევრი არ გამოცხადდა.[745]

პრობლემური იყო ზუგდიდის 21-ე უბანი, სადაც, საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი და ერთ-ერთი დამკვირვებელი გააძევეს. ფაქტს დაპირისპირება მოჰყვა. ადგილზე იმყოფებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი და საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ანა წითლიძე, რომელმაც განაცხადა, რომ მათ წარმომადგენლებს უბნიდან უმიზეზოდ აძევებდნენ.

5. დამკვირვებლის საქმიანობის ხელშეშლა

არჩევნების მეორე ტურში შენარჩუნდა დამკვირვებლის საქმიანობის ხელშეშლის ნეგატიური ტენდენცია. სენაკის მე-13 უბანზე კომისიის თავმჯდომარე საიას დამკვირვებელს უბნის შიგნით თავისუფლად გადაადგილებას უზღუდავდა. კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, სივიწროვის გამო, მაგიდების წინ მოძრაობა, ერთდროულად, მხოლოდ 1 დამკვირვებელს შეეძლო. გარდა ამისა, ამავე უბანზე საიას წარმომადგენელს არ მისცეს საშუალება, გასცნობოდა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს და შენიშვნა დაეწერა. თავმჯდომარისა და მდივნის განმარტებით, დამკვირვებელს ამის უფლება არ ჰქონდა. საიამ საჩივრით მიმართა სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას, მოითხოვა დარღვევის აღმოფხვრა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შესაბამისი პირებისთვის. კომისიამ საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და შენიშვნა მისცა მე-13 უბნის მდივანს, ხოლო თავმჯდომარის შემთხვევაში დარღვევა ვერ გამოავლინა.[746] ამავე უბანზე შედეგების დათვლის დროს საიას წარმომადგენელს არ მიეცა საჩივრის დაწერის შესაძლებლობა ბიულეტენების ბათილობასთან დაკავშირებით. დამკვირვებლისთვის საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტზე საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას საჩივარი არ დააკმაყოფილა.[747]

პრობლემური იყო სენაკის მე-14 საარჩევნო უბანიც, სადაც საიას დამკვირვებელმა ეჭვი გამოთქვა ამომრჩევლის მიერ სხვა გრაფაში ხელმოწერასთან დაკავშირებით და მოითხოვა ფაქტის გადამოწმება, რისი უფლებაც მას კომისიის წევრებმა არ მისცეს. ორგანიზაციამ საჩივრით მიმართა სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას და შესაბამისი პირების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. კომისიის წევრების ახსნა-განმარტების საფუძველზე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ხელმოწერა თავად გადაამოწმეს, ოლქმა, დარღვევის არარსებობის მოტივით, საიას

[743] საბურთალოს 38-ე, 49-ე და 93-ე უბნები.
[744] საბურთალოს 38-ე და 49-ე უბნები.
[745] საბურთალოს 93-ე უბანი.
[746] №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №99/2021 განკარგულება.
[747] №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №100/2021 განკარგულება.

საჩივარი არ დააკმაყოფილა.[748]

ამავე ოლქის 41-ე უბანზე საიას დამკვირვებელს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნთან წვდომა შეუზღუდეს. საიამ საჩივრით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, რაზეც უარი ეთქვა იმ არგუმენტით, რომ დამკვირვებელი არ აკონკრეტებდა, რა ინფორმაციის მიღება სურდა ჩანაწერთა წიგნიდან.[749]

ზუგდიდის 72-ე უბანზე საიას წარმომადგენელს არ აძლევდნენ საშუალებას, ამომრჩევლის რეგისტრაციის პროცესს დაჰკვირვებოდა. ამის გამო, ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა და მოითხოვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა კომისიის თავმჯდომარის მიმართ. ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიამ საიას უარი უთხრა ოქმის შედგენაზე იმ არგუმენტით, რომ კომისიის თავმჯდომარე დაკისრებულ ფუნქციებს კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებდა, ხოლო დამკვირვებელი უხეშად ერეოდა მის საქმიანობაში.[750] ამავე ოლქის 29-ე უბანზე საიას დამკვირვებელს თავმჯდომარემ უფლება არ მისცა, ჩანაწერთა წიგნში შესული ინფორმაციისთვის ფოტო გადაეღო. საიამ საჩივრით მიმართა ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას და, დამკვირვებლისთვის საქმიანობაში ხელშეშლის გამო, თავმჯდომარის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა მოითხოვა. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საიას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მან გაიზიარა 29-ე უბნის თავმჯდომარის განმარტება, რომლის მიხედვითაც, ჩანაწერთა წიგნი შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს და დამკვირვებელს მისი გადაღების უფლება არ ჰქონდა.[751]

ზუგდიდის 104-ე უბანზე კომისიის ერთ-ერთმა წევრმა საიას დამკვირვებელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. სამართლებრივი რეაგირების მოთხოვნით, საიამ საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიტანა საჩივარი, რომელიც არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საუბნო საარჩევნო კომისიის ზემოხსენებული წევრის ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, მსგავსი ფაქტი არ მომხდარა.[752]

სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს საიას კიდევ ერთ დამკვირვებელს რუსთავის ოლქის მე-20 უბანზე ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის შეტანის დროს. მტრული გარემოს გამო, მას უბნის დატოვება მოუწია. ზუგდიდის 78-ე უბანზე დამკვირვებლის შენიშვნას კომისიის თავმჯდომარის გაღიზიანება მოჰყვა, რომელმაც საიას წარმომადგენელი მის საქმიანობაში ჩარევაში დაადანაშაულა და პოლიციის გამოძახებით დაემუქრა. დამკვირვებლის ინფორმაციით, ამ დროს მისკენ კომისიის სხვა წევრი გაემართა, რომელიც, სავარაუდოდ, ფიზიკურ შეურაცხყოფას აპირებდა. დამკვირვებელს საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად უბნის დატოვება მოუწია. საიამ საჩივრით ვერ მიმართა

[748] №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №97/2021 განკარგულება.
[749] №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 8 ნოემბრის №64/301 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.
[750] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 8 ნოემბრის №67/192 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.
[751] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 8 ნოემბრის №67/188 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.
[752] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის №134/2021 განკარგულება.

რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიას, მოწმის უარისა და ფოტო-ვიდეო მასალის არარსებობის გამო.

ბათუმის 89-ე უბანზე საიას დამკვირვებელმა შენიშნა, რომ რეგისტრატორმა, მარკირების სითხის ნაცვლად, სადეზინფექციო ხსნარი გამოიყენა. თავმჯდომარემ მას უფლება არ მისცა, ეს ფაქტი მობილური ტელეფონით გადაეღო. დამკვირვებელმა ასევე ვერ მოახერხა, უბანზე საჩივარი დაერეგისტრირებინა. შესაბამისად, საიამ ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა და პასუხისმგებელი პირების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა. ოლქმა საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ არგუმენტით, რომ დამკვირვებლისთვის საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტს თავმჯდომარე და რეგისტრატორები არ ადასტურებდნენ.[753]

გადაადგილება შეუზღუდეს საიას დამკვირვებელს რუსთავის 54-ე უბანზე. თავმჯდომარე ორგანიზაციის წარმომადგენელს მიუთითებდა, რომ პროცესებს მისთვის განსაზღვრული ადგილიდან უნდა დაჰკვირვებოდა. მოგვიანებით, ზეპირი შენიშვნის საფუძველზე, დარღვევა აღმოიფხვრა. ამავე ოლქის მე-20 უბანზე გამოცხადდა ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ დამკვირვებელი, რომელიც საიას წარმომადგენელს საქმიანობაში ხელს უშლიდა და კონფლიქტური სიტუაციის შექმნას ცდილობდა. მოგვიანებით, მან უბანი თავად დატოვა.

საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, ზუგდიდის ერთეულ უბანზე გამოკრული იყო ფოტო-ვიდეო გადაღების ამკრძალავი ნიშანი.[754]

საია მიიჩნევს, რომ დამკვირვებელთა საქმიანობის ხელშეშლა არჩევნების დღის კიდევ ერთი გამოწვევაა. ორგანიზაციის შეფასებით, საარჩევნო ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს დამკვირვებლების უფლებების სრულყოფილ დაცვას, ხოლო შესაბამისი საარჩევნო კომისიები ამგვარ ფაქტებზე არასათანადოდ და არაეფექტიანად რეაგირებენ.

[753] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 2 ნოემბრის №184/2021 განკარგულება.
[754] ზუგდიდის მე-8 და მე-17 უბნები.

დანართი №1 – ხმის მიცემის სტატისტიკა ცესკოში საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას

ცესკოს წევრი	დანიშვნის წესი	I კენჭისყრაზე მხარი დაუჭირა	I კენჭისყრაზე შეირჩა	II კენჭისყრაზე მხარი დაუჭირა	II (განმეორებითი) კენჭისყრაზე შეირჩა	ჯამი
არჩილ ანასაშვილი	პ/გ ქართული ოცნება	218	98	120	120	218
გიორგი კალანდა-რიშვილი	თავმჯდომარე, პროფესიული	274	98	163	117	215
გიორგი შარაბიძე	პროფესიული	258	98	159	120	218
გიორგი ჯავახიშვილი	პროფესიული	258	98	151	120	218
მაია ზარიძე	პროფესიული	240	98	123	120	218
გიორგი ძაგანია	პროფესიული	225	98	121	120	218
დიმიტრი ჯავახაძე	პროფესიული	221	98	125	120	218
გიორგი ჭიქაბერიძე	პროფესიული	228	98	130	120	218
გია ცაცაშვილი	პროფესიული	233	98	134	120	218
გიორგი სიორიძე	პ/გ ლელო საქართვე-ლოსთვის	39	9	15	1	10
ანა კობახიძე	პ/გ გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	23	1	20	1	2
ია პერტახია	პ/გ საქართველოს ევროპელი დემოკრატები	101	84	18	18	102
ლევან ჯგერენაია	პ/გ გირჩი	59	32	4	0	32
ივანე ნორაკიძე	მპგ ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები	279	98	175	84	182
ნინო ბასილაია	პ/გ ევროპელი სოციალისტები	234	98	111	95	193
დავით კირთაძე	პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	არ მონაწილეობდა				
დავით ჯინჯოლავა	პ/გ ევროპული საქართველო	არ მონაწილეობდა				

დანართი №2 – 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის IV შუალედური ანგარიში (ოქტომბერი)

1. შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2021 წლის მაისიდან დაიწყო პროექტის იმპლემენტაცია - „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია“. გრძელვადიანი დაკვირვების მიზანი არჩევნების თავისუფალ, თანასწორ და კონკურენტულ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა. ამ მიზნის მისაღწევად საიას ამოცანაა საარჩევნო პროცესებში გამჭვირვალობის გაზრდა, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფა საარჩევნო დავების წარმოების/მონიტორინგის გზით და საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ.

გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, ორგანიზაცია წინასაარჩევნო გარემოს 9 რეგიონული ოფისის მეშვეობით თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში აკვირდება.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2021 წლის 25 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე (II ტური) პერიოდში გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას.

ამ პერიოდში აღირიცხა სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფის, ამომრჩევლის მოსყიდვისა და პოლიტიკური პარტიისთვის საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები.

2. სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა

გუდიაშვილის რეაბილიტირებული სკვერის გახსნა („ქართული ოცნება“)

26 ოქტომბერს თბილისის მერმა კახა კალაძემ გუდიაშვილის რეაბილიტირებული მოედანი გახსნა.[755] ღონისძიების ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას ის მოსახლეობას დაჰპირდა, რომ ეს მიდგომა და დამოკიდებულება ძველ თბილისთან მიმართებით მომავალშიც გაგრძელდებოდა.[756] მან ასევე განაცხადა, რომ თავის გუნდთან ერთად მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მსგავს პროექტებს დანერგავს და ბევრ ოჯახს გაახარებს.[757]

ღონისძიების ჩატარების მომენტში კახა კალაძე მოქმედი მერი და, იმავდროულად, თბილისის მერობის კანდიდატი იყო. მართალია, იგი ხელისუფლებაში ყოფნის ბუ-

[755] „გუდიაშვილის რეაბილიტირებული მოედანი გაიხსნა - პროექტის ღირებულება 100 მლნ ლარია”, საინფორმაციო პორტალი „mb.ge”, 2021 წლის 26 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3d8O1vX, განახლებულია: 15.04.2022.
[756] იქვე.
[757] იქვე.

ნებრივ უპირატესობას ფლობდა, თუმცა ამ უპირატესობით გაუმართლებლად არ უნდა ისარგებლოს. თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და შლის ზღვარს სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის.

საპარკინგე ზონების ათვისება („ქართული ოცნება“)

27 ოქტომბერს, არჩევნების მეორე ტურამდე 3 დღით ადრე, მმართველმა პარტიამ დედაქალაქში მასშტაბური წინასაარჩევნო შეკრება (აქცია) გამართა.[758] საპატრულო პოლიციამ, შეკრების მონაწილეთა სატრანსპორტო საშუალებების განთავსების მიზნით, ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციაზე საპარკინგე სივრცეები შემოსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ ღონისძიება ოთხშაბათს გაიმართა, რომელიც არ იყო უქმე დღე. ამასთანავე, მსგავსი სახის არაგონივრული, შემზღუდველი ზომები საპატრულო პოლიციას არ მიუღია ოპოზიციური პარტიების მიერ ჩატარებული აქციების ხელშეწყობის მიზნით.

ეს არის მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვრის წაშლის მაგალითი. ცხადია, შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, დაიცვას და ხელი შეუწყოს მშვიდობიან შეკრებას, თუმცა მიღებული ზომები არ უნდა გასცდეს გონივრული საჭიროების ფარგლებს და არ უნდა განხორციელდეს შერჩევითი მიდგომებით. ამის საპირისპიროდ, უმრავლესობამ სახელმწიფო რესურსი პირადი მიზნებისთვის გამოიყენა, რაც ცუდ პრაქტიკად უნდა შეფასდეს.

3. ამომრჩევლის მოსყიდვა

ხმების მობილიზების სანაცვლოდ, პირის პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების დაპირების სავარაუდო შემთხვევა

25 ოქტომბერს „მთავარმა არხმა“ გაავრცელა სატელეფონო ჩანაწერი, სადაც, სავარაუდოდ, ოზურგეთელი გოდერძი ქავთარაძე არჩილ თალაკვაძის თანაშემწესთან საუბრისას ამბობს, რომ მას, ხმების მობილიზების სანაცვლოდ, პატიმრობიდან შვილის ვადაზე ადრე გათავისუფლებას დაჰპირდნენ.[759] ქავთარაძის თქმით, სოფლის დეპუტატი მასთან რამდენჯერმე მივიდა და უთხრა, რომ 2 წლის მოხდის შემდეგ თალაკვაძე მის შვილს გამოუშვებდა.[760]

28 ოქტომბერს გავრცელებული ინფორმაციით, ოზურგეთში, სოფელ ჭანიეთში, გოდერძი ქავთარაძე, სავარაუდოდ, „მთავარი არხის“ ეთერში ფარული აუდიოჩანაწე-

[758] „ოცნების“ მხარდამჭერი აქცია თავისუფლების მოედანზე - რა არ უნდა გამოგრჩეს 27 ოქტომბერს”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, 2021 წლის 27 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hj1Ryd, განახლებულია: 15.04.2022.

[759] „250 ხმა მოვაგროვე, კიდევ რამდენი უნდა... - ოზურგეთში თალაკვაძეს ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებენ“, საინფორმაციო პორტალი „მთავარი არხი“, 2021 წლის 25 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GY1DGN, განახლებულია: 14.05.2022.

[760] იქვე.

რის გასვლის მიზეზით სცემეს. ამის საპირისპიროდ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი ხიდან ჩამოვარდა და ხელ-ფეხი მოიტეხა.[761]

ამ საქმეში, სავარაუდოდ, დანაშაულების - ამომრჩევლის მოსყიდვისა[762] და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების[763] ნიშნები იკვეთება.

4. პოლიტიკური პარტიისთვის საქმიანობაში ხელშეშლა

ტელეკომპანია „იმედმა“ პოლიტიკური რეკლამა კანონის დარღვევით განათავსა

28 ოქტომბერს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დააჯარიმა ტელეკომპანია „იმედი“, პოლიტიკური ვიდეორგოლების „გვახსოვს“ და „გამარჯვება მივიყვანოთ ბოლომდე“[764] საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესების დარღვევით ეთერში განთავსების გამო.[765] კომუნიკაციების კომისიის განმარტებით, „იმედმა“ დაარღვია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები. მან, საკუთარი ინიციატივით, მაუწყებლის ეთერში განათავსა ისეთი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამები (შემდგომ „წინასაარჩევნო რეკლამა“) რომლებიც არ აკმაყოფილებდა საარჩევნო კოდექსის ფორმალურ კრიტერიუმებს (საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურები ან მისი საარჩევნო ნომერი)[766] და იმ მოთხოვნებს, რომლებიც უკრძალავს მაუწყებელს შესაბამისი საარჩევნო სუბიექტისთვის იმაზე მეტი საეთერო დროის დათმობას,[767] ვიდრე მას ეკუთვნის.[768]

ვიდეორგოლი „გამარჯვება მივიყვანოთ ბოლომდე“ სასამართლომ წინასაარჩევნო რეკლამად შეაფასა, ვინაიდან მასში გამოსახულების ფორმით ჩანდა „ქართული ოცნების“ დროშები და პარტიის მერობის კანდიდატი. ამასთანავე, ვიდეორგოლი შეიცავდა პარტიის სასარგებლო მოწოდებებს და ლოზუნგებს სიტყვებით „მივიყვანოთ გამარჯვება ბოლომდე“.[769] ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვიდეოჩანაწერი თავისი ფორმითა და შინაარსით იყო წინასაარჩევნო რეკლამა.[770] სასამართლომ დაადგინა, რომ წინასაარჩევნო რეკლამაში არ იყო მითითებული საარჩევნო სუბიექტის მონაცემები, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტის

---

[761] „სკანდალური აუდიოჩანაწერის გმირი უეცრად „ხიდან ჩამოვარდა” ხელი მოიტეხა, ფეხი მოიტეხა და თავი „გაიბზარა”, საინფორმაციო პორტალი „გურიის მოამბე“, 2021 წლის 28 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oRzcnO, განახლებულია: 14.05.2022.

[762] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონი, 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 164[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[763] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[764] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 15 ნოემბრის №g-21-03/3189 წერილი, ვიდეორგოლები.

[765] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ოქტომბრის №000349 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

[766] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 186-ე მუხლის მე-19 ნაწილი.

[767] იქვე, მე-20 ნაწილი.

[768] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ოქტომბრის №000349 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

[769] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 ოქტომბრის №4/6729-21 დადგენილება, para. 6.22.

[770] იქვე, para. 6.23.

სახელწოდება ან რიგითი ნომერი.[771] თუმცა, ამის მიუხედავად, ეს იყო პოლიტიკური რეკლამა, რომელიც კანონის მოთხოვნების დარღვევით განთავსდა.[772] ამდენად, სასამართლოს შეფასებით, ტელეკომპანია „იმედმა“ „ქართულ ოცნებას“ რეკლამის განთავსებისთვის გადახდილი საფასურის შესაბამის საეთერო დროზე მეტი დაუთმო, რაც, თავის მხრივ, მიეკუთვნებოდა აკრძალულ შემოწირულებას.[773] სასამართლომ მაუწყებელი 1000 ლარის ოდენობით დააჯარიმა.[774]

მეორე ვიდეორგოლი „გვახსოვს“, რომელშიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში განვითარებული მოვლენებია ქრონოლოგიურად ნაჩვენები, სასამართლომ არ მიიჩნია წინასაარჩევნო რეკლამად. მისი შეფასებით, კონკრეტული სუბიექტის მხრიდან მოთხოვნების დარღვევის დასადგენად, პირველ ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, არის თუ არა საეთერო ბადეში განთავსებული რეკლამა წინასაარჩევნო/პოლიტიკური ხასიათის. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემოწმდეს მისი ფორმალური მხარე.[775] სასამართლოს აზრით, რგოლში არ ჩანდა არცერთი სარჩევნო სუბიექტი - საჯარო ხელისუფლების თანამდებობის არცერთი კანდიდატი (მერობის კანდიდატი).[776] აქედან გამომდინარე, მან მიიჩნია, რომ ვიდეორგოლი „გვახსოვს“ არ აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ იმ კუმულაციურ პირობებს, რომელთა ერთობლიობაც წინასაარჩევნო რეკლამად მისი შეფასების შესაძლებლობას მისცემდა.[777] სასამართლომ ამ ნაწილში „იმედის“ მიმართ დაწყებული საქმის წარმოება შეწყვიტა,[778] რასაც საია არ იზიარებს.

კანონმდებლობით, წინასაარჩევნო რეკლამა არის „ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს [...]“.[779] ეს ნიშნავს, რომ კანონმდებელი სამ კუმულაციურ პირობას აყენებს რგოლის წინასაარჩევნო რეკლამად შესაფასებლად: ა) საარჩევნო მიზანი; ბ) საარჩევნო სუბიექტის ან ნომრის გამოჩენა; გ) ვიდეო უნდა შეიცავდეს კამპანიის ნიშნებს. ვიდეორგოლი მოიცავს კადრებს არქივიდან, რომელიც შეეხება პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდს, საქართველოს მესამე პრეზიდენტს და ნაჩვენებია საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულება მესამე პრეზიდენტის მიმართ. ამ შემთხვევაში საარჩევნო მიზანი ცალსახაა, რადგან ასეთი შინაარსის ვიდეორგოლის გაშვება პარტიის სახელით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების არჩევისთვის ხელის შეშლას ემსახურება. „წინასაარჩევნო კამპანია“ არის „საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა“.[780] ამ ვიდეორგოლთან მი-

[771] იქვე, para. 6.24.
[772] იქვე.
[773] იქვე, para. 6.26.
[774] იქვე, para. 7.6.
[775] იქვე, para. 6.16.
[776] იქვე, para. 6.19.
[777] იქვე.
[778] იქვე, para. 6.21.
[779] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მე-2 მუხლის „ჯ“ ნაწილი.
[780] იქვე, „ჰ“ ნაწილი.

მართებით წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნები ცხადად იკვეთება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ის განთავსებული იყო პროგრამებს შორის, არაერთჯერადად და მოიცავდა კონკრეტულ პარტიასთან დაკავშირებულ მოწოდებებს/ფაქტებს. სასამართლომ რგოლი რეკლამად არ მიიჩნია, რადგან მასში არ იყო ნაჩვენები საარჩევნო სუბიექტის კანდიდატი და ნომერი. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას უნდა მიეთითოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ერთიანი კონტურები ან არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი. თუმცა, ეს კანონის ფორმალური მოთხოვნაა. ამის მიუხედავად, ვიდეორგოლი, არსებული ფაქტობრივი და შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით, წინასაარჩევნო რეკლამის კატეგორიაში ექცევა. აქედან გამომდინარე, იგი უნდა შეფასებულიყო, როგორც საარჩევნო რეკლამა, რომელიც არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნის ფორმალურ კრიტერიუმებს. სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება ნორმის არასწორ განმარტებას და ეწინააღმდეგება კანონის მიზნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საია არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ ვიდეორგოლი „გვახსოვს“ საარჩევნო რეკლამად უნდა შეფასებულიყო.

ტელეკომპანია „იმედმა“ „ნაციონალური მოძრაობას“ წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებაზე უარი უთხრა

29 ოქტომბერს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანია „იმედის“ მიმართ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ პოლიტიკური რეკლამების განთავსებაზე უარის თქმის საფუძვლით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა.[781]

სასამართლომ განმარტა, რომ „საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებელი ვალდებულია, საერთო არჩევნების დროს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას [...] თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსოს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა“.[782] შესაბამისად, მან დაადგინა, რომ ტელეკომპანია „იმედს“, საარჩევნო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ევალებოდა ამ უფასო პოლიტიკური რეკლამების ეთერში გაშვება. სასამართლომ მაუწყებელი 5000 ლარით დააჯარიმა.[783] სხდომაზე შპს „იმედის“ წარმომადგენელმა დარღვევის ფაქტი დაადასტურა და არსებული ფაქტობრივი გარემოებები სადავო არ გაუხდია.

საია დადებითად აფასებს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

---

[781] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 29 ოქტომბრის №000350 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

[782] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 3 ნოემბრის №4/6778-21 დადგენილება, para. 6.13.

[783] იქვე, para. 4.1.

დანართი №3 – 2021 წლის 2 აპრილის ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნების შეფასება

2022 წლის 2 აპრილს ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნები №79.04 მაჟორიტარულ ოლქში დაინიშნა.[784] ამის მიზეზი გახდა ბათუმის საკრებულოს წევრ ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალება, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი იყო.[785]

1. საიას სადამკვირვებლო მისია

2021 წლის 2 აპრილს ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის №79.04 მაჟორიტარულ ოლქში შეიქმნა 14 საუბნო საარჩევნო კომისია. სადამკვირვებლო მისიაში საიას 17 წარმომადგენელი იყო ჩართული. არჩევნების დღეს ორგანიზაციის სტატიკური დამკვირვებლები 12 უბანზე იყვნენ განაწილებულნი. ასევე 1 დამკვირვებელი იმყოფებოდა ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში. მოქმედებდა 1 შტაბი საიას ბათუმის ოფისში, სადაც ორგანიზაციის 4 თანამშრომელი მუშაობდა. 2 აპრილისთვის ამოქმედდა საიას ცხელი ხაზი, რომლითაც მოქალაქეებსა და მედიის წარმომადგენლებს შეეძლოთ სამართლებრივი დახმარების მიღება და საარჩევნო დარღვევების დაფიქსირება.

წინასაარჩევნო გარემოს ბათუმში საიას ბათუმის ოფისი აკვირდებოდა.

2. პოლიტიკური კონტექსტი

ცესკოს 1-ლი თებერვლის განკარგულებებით, 2 აპრილს რუსთავში საქართველოს პარლამენტის და ბათუმში მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები დაინიშნა.[786] ამის მიზეზი გახდა რუსთავის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის, ნინო ლაცაბიძის მერად არჩევა,[787] ხოლო ბათუმში - ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული საკრებულოს წევრის, ჯემალ ფუტკარაძის გარდაცვალება.[788]

---

[784] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2022 წლის 1-ლი თებერვლის №8/2022 განკარგულება.

[785] „გარდაიცვალა ბათუმის ახალი საკრებულოს წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები“, ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/375995/, განახლებულია: 10.06.2022.

[786] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2022 წლის 1-ლი თებერვლის განკარგულება №8/2022 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2022 წლის 1-ლი თებერვლის განკარგულება №7/2022 საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №12 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ.

[787] საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 1-ლი დეკემბრის №1034–VI მს-Xმპ დადგენილება ნინო ლაცაბიძისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

[788] ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №15 საოქმო ჩანაწერის შესაბამისად, ცნობად იყო მიღებული №79.04 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალების ფაქტი.

რუსთავის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად „ქართულმა ოცნებამ“ - იურისტი ირაკლი შატაკიშვილი,[789] ოპოზიციიდან კი პარტიამ „ლელო საქართველოსთვის“ - ბადრი ჯაფარიძე წარადგინა.[790] ამ უკანასკნელს პარლამენტის დეპუტატობის მანდატი მის წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გამო შეუწყდა.[791] სასამართლომ იგი ჯგუფურ თაღლითობაში დამნაშავედ ცნო, მაგრამ, საქმის ხანდაზმულობის გამო, სასჯელის მოხდისგან გაათავისუფლა.[792] ბადრი ჯაფარიძეს შუალედურ არჩევნებზე მხარდაჭერა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოუცხადა. თუმცა, 27 თებერვალს მან განაცხადა, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე საარჩევნო პროცესის წარმოება შეუძლებლად მიაჩნდა, აქედან გამომდინარე, კანდიდატურა მოხსნა.[793] ამის შემდეგ „ქართული ოცნების“ ოპონენტად რუსთავში ოპოზიციიდან პარტია „სოციალური სამართლიანობისთვის“ კანდიდატი მამუკა ტუსკაძე და „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტიის“ წარმომადგენელი კამალ მურადხანოვი დარჩნენ.[794]

ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოქმედი მოადგილე რამაზ ჯინჭარაძე წარადგინა,[795] ხოლო პარტია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ - გარდაცვლილი ნუგზარ ფუტკარაძის შვილი მათე ფუტკარაზე.[796] ამას წინ უძღვოდა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ საკრებულოებში თანამდებობების განაწილების დროში გაწელილი პროცესი და პრობლემები ფუნქციონირების თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ უმრავლესობის

[789] ქართულმა ოცნებამ რუსთავისა და ბათუმის შუალედური არჩევნებისთვის კანდიდატები წარადგინა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 02.02.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xhv9ER, განახლებულია: 10.06.2022.

[790] „ბადრი ჯაფარიძე რუსთავის მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 16.02.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3O39EOT, განახლებულია: 10.06.2022.

[791] ბადრი ჯაფარიძესთან ერთად, მანდატი შეუწყდა ორ ოპოზიციონერ დეპუტატს - ელენე ხოშტარიას და შალვა ნათელაშვილს, იმ მიზეზით, რომ ისინი პარლამენტის არცერთ სხდომას არ დასწრებიან. დეპუტატთა მანდატის შეწყვეტის საკითხს ქვეყნის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ქვეყნის შიდა და გარე გამოწვევების ფონზე დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას არ დაეთანხმებოდა. მომხდარზე კომენტარი გააკეთა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა. მისი თქმით, მანდატების შეწყვეტა „შესაძლოა, პარლამენტში პოლიტიკური ინკლუზიურობისა და დემოკრატიული პლურალიზმის ხარჯზე“ გადაწყდა. დამატებით იხ. ჩხეტიანი ლ. საინფორმაციო ბიულეტენი №29, თებერვალი, 2022 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022), გვ. 6-7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tsz8gG, განახლებულია: 10.06.2022.

[792] იქვე.

[793] ჩხეტიანი ლ. საინფორმაციო ბიულეტენი №30, მარტი, 2022 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022), გვ. 3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3O8cPVC, განახლებულია: 10.06.2022.

[794] იქვე.

[795] „ქართულმა ოცნებამ“ რუსთავისა და ბათუმის შუალედური არჩევნებისთვის კანდიდატები წარადგინა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 02.02.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xhv9ER, განახლებულია: 10.06.2022.

[796] „ნაციონალურმა მოძრაობამ" გარდაცვლილი დეპუტატის შვილი დაასახელა მაჟორიტარობის კანდიდატად ბათუმში, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება”, 12.02.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ObEpRT, განახლებულია: 10.06.2022.

მოპოვება ვერ შეძლო.[797] ამის მაგალითია ბათუმის საკრებულოც, სადაც თავმჯდომარის ასარჩევად საკმარისი 18 ხმა ვერცერთმა მხარემ ვერ მიიღო.[798] მეტიც, „ქართული ოცნებიდან“ არჩეული წევრების გამოუცხადებლობისა და, შესაბამისად, საჭირო კვორუმის არარსებობის გამო, სხდომის ჩატარებაც ვერ მოხერხდა.[799] ამდენად, საკრებულოებში წარმოქმნილი კრიზისის ფონზე შუალედურ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მითუმეტეს ოპოზიციისთვის, რათა მათ 2021 წლის არჩევნებზე მოპოვებული უმრავლესობის მანდატები შეენარჩუნებინათ.

2022 წლის 24 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტს ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატები წარუდგინა.[800] თავმჯდომარეობის კანდიდატად მან ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი და თენგიზ თევზაძე დაასახელა.[801] ოპოზიციურმა პარტიებმა „ლელო საქართველოსთვის” და „სტრატეგია აღმაშენებელმა” განაცხადეს, რომ ისინი მხარს თევზაძის კანდიდატურას დაუჭერდნენ, ვინაიდან, მათი აზრით, კალანდარიშვილის დამოუკიდებლობის საკითხი ეჭვქვეშ იდგა.[802]

ცესკოს ახალი თავმჯდომარე და პროფესიული წევრები საარჩევნო კანონმდებლობის ბოლო ცვლილებების შესაბამისად აირჩიეს.[803] კერძოდ, 2021 წლის 17 დეკემბერს პარლამენტმა, 82 ხმით არცერთის წინააღმდეგ, მესამე მოსმენით დაუჭირა მხარი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებებს, რითაც შეიცვალა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის წესი და დაზუსტდა პროცედურები.[804] ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრის არჩევა მოხდება სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით ან სრული შემადგენლობის უმრავლესობით.[805] არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3, ხოლო თუ გამარჯვებული ვერ გამოვლინდება, კანდიდატებს დაუყოვნებლივ ხელახლა ეყრებათ კენჭი.[806] ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.[807] საია ყურადღებას ამახვილებს ე.წ. „შარლ მიშელის“ დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც, კომისიაში პროფესიული წევრების ასარჩევად 2/3-ის უმრავლესობა განისაზღვრა იმ მიზნით, რომ კანდიდატის არჩევა მრავალპა-

[797] ჩხეტიანი ლ. საინფორმაციო ბიულეტენი №28, იანვარი, 2022 (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022), გვ. 3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zuSMMT, განახლებულია: 10.06.2022.

[798] იქვე.

[799] იქვე.

[800] იქვე, გვ. 4.

[801] იქვე.

[802] იქვე.

[803] ცვლილების შეტანამდე მოქმედი რედაქციით, ცესკოს წევრისა და თავმჯდომარის არჩევისას მოქმედებდა ანტიკრიზისული მექანიზმი: თუ პირველ ჯერზე ვერ შეგროვდება ხმები, კანდიდატს მეორე (2/3-ის უმრავლესობით), მესამე (3/5-ის უმრავლესობით), მეოთხე (უბრალო უმრავლესობით) ჯერზე ეყრებოდა კენჭი. კენჭისყრებს შორის დადგენილი იყო 4 კვირის ინტერვალი, ხოლო გარდამავალ ეტაპზე კენჭისყრის პროცესი ოთხიდან ერთ კვირამდე იყო შემცირებული.

[804] „კენჭისყრის ანგარიში“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 17.12.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zrE5Kz, განახლებულია: 10.06.2022.

[805] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

[806] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

[807] იქვე.

რტიული მხარდაჭერით მომხდარიყო.[808] ანტიკრიზისული მექანიზმი კი პროცესის ჩიხური მდგომარეობის თავიდან აცილებას ემსახურებოდა.[809] კენჭისყრის პროცესის ინტერვალის შემცირებით, შესაძლოა, ზიანი მიადგეს კანდიდატის დანიშვნისას უმრავლესობასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსენსუსს. ამაზე საუბრობდა ვენეციის კომისია და ეუთო/ოდირი, რომელთა შეფასებით, ინტერვალის შემცირებით რისკის ქვეშ დგება საარჩევნო რეფორმის წარმატება.[810]

საქართველოს პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარისა და ორი პროფესიული წევრის არჩევას 2022 წლის 15 თებერვალს უყარა კენჭი.[811] პირველადი კენჭისყრით ეს მხარდაჭერა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო. კანონმდებლობის შესაბამისად, განმეორებით კენჭისყრაზე საქართველოს პარლამენტმა, 84 ხმით 2-ის წინააღმდეგ, 6 თვით, გიორგი კალანდარიშვილი დაამტკიცა.[812]

რაც შეეხება პროფესიულ წევრებს, ორ ვაკანტურ ადგილზე წარმოდგენილი იყო ოთხი კანდიდატი - მაია ზარიძე, გია ცაცაშილი, ქრისტინე ქაჯაია და ლევან ისაკაძე.[813] აქაც პირველად კენჭისყრაზე ვერცერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა ხმათა 2/3. განმეორებით კენჭისყრაზე ცესკოს წევრებად აირჩიეს მაია ზარიძე - 79 ხმით 2-ის წინააღმდეგ და გია ცაცაშვილი - 77 ხმით 2-ის წინააღმდეგ, 6 თვის ვადით.[814]

საიას შეფასებით, ცესკოს წევრის შერჩევის ახალი წესი ეწინააღმდეგება კონსენსუსზე ორიენტირებულ პოლიტიკას, გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო მეტად აღრმავებს პოლარიზაციას და ნეგატიურად აისახება საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობაზე.

3. წინასაარჩევნო პერიოდი

ადგილობრივი თვითმმართველობის 2 აპრილის შუალედური არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანია, კანონმდებლობის შესაბამისად, 1-ელ თებერვალს დაიწყო. საარჩევნო პროცესი პოლიტიკური კრიზისისა და პოლარიზაციის ფონზე მიმდინარეობდა, რაც რუსეთის მიერ უკრაინაში გაუმართლებელმა და არაპროვოცირებულმა საომარმა მოქმედებებმა უფრო მეტად გაამძაფრა. ამის გამო, პოლიტიკური დისკურსი და საინფორმაციო სივრცე მთლიანად ომისა და ეროვნული უსაფრთხოების თემებმა მოიცვა, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა. წინასაარჩევნო ღონისძიებებისა და არჩევნების მოსამზადებელი ეტაპების ადმინისტრირების კუთხით პრობლემები ნაკლებად შეინიშნებოდა. ცესკო რე-

[808] „სამომავლო გზა საქართველოსთვის", ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3frBggU, განახლებულია: 10.06.2022.
[809] იქვე.
[810] Venice Commission, OSCE/ODIHR, Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code, CDL-P (2021)011 (Strasbourg: Council of Europe, 2021), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wCLHEX, განახლებულია: 10.06.2022.
[811] პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარედ 84 ხმით გიორგი კალანდარიშვილი აირჩია, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 15.02.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xqARV8, განახლებულია: 10.06.2022.
[812] იქვე.
[813] იქვე.
[814] იქვე.

გულარულად მართავდა სხდომებს და დანერგა არაერთი სიახლე, მათ შორის, არჩევნების ელექტრონულად ჩატარების მიმართულებით. წინა არჩევნების მსგავსად, ყველა სხდომა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, რამაც ხელი შეუწყო ცესკოს საქმიანობის გამჭვირვალობას. საარჩევნო სუბიექტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავისუფლად ეწარმოებინათ კამპანია, თუმცა საარჩევნო პროცესები დააზიანა სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფამ და ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის შემთხვევებმა. ამან უმრავლესობას გაუმართლებელი უპირატესობა მიანიჭა და ხელი შეუშალა კამპანიის თანაბარ პირობებში წარმართვას.

3.1. სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნის მოთხოვნის უგულებელყოფა

2022 წლის 25 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, შუალედურ არჩევნებში ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატ რამაზ ჯინჭარაძესთან ერთად, „ოცნების ქალაქში“ ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.[815] ოფიციალურ სამთავრობო ვიდეორგოლში თორნიკე რიჟვაძე ადგილობრივ მოსახლეობას მიმართავს და ჰპირდება, რომ „არ გავჩერდებით“ და „არცერთი ოჯახი არ დარჩება ამ პროგრამის მიღმა“.[816] ამასთანავე, იგი აღნიშნავს, რომ რამაზ ჯინჭარაძე მუდმივად ზრუნავდა მოსახლეობის საჭიროებებზე და სწორედ „მისი ჩართულობის დიდი დამსახურებაა, რასაც ვხედავთ (იგულისხმება მშენებლობები)“.[817] თორნიკე რიჟვაძემ იქ მყოფ მოსახლეობას მოუწოდა, 2 აპრილს ხმა რამაზ ჯინჭარაძისთვის მიეცათ.[818]

საიას აზრით, ეს შემთხვევა მმართველ პარტიასა და ხელისუფლებას შორის ზღვრის წაშლის ნათელი მაგალითია. „ქართული ოცნება“ ამ ხერხს ბოლო რამდენიმე არჩევნებზე აქტიურად იყენებს. ამგვარი კამპანიის წარმოებით უმრავლესობა ხელს უწყობს სახელისუფლებო პროექტებისა და პროგრამების აფილირებას „ქართულ ოცნებასთან“ და მათ პერსონიფიცირებულ ხასიათს ანიჭებს. შედეგად, ეს ღონისძიებები უმრავლესობის კამპანიის ნაწილად აღიქმება, მაშინ, როდესაც სოციალური პროგრამების უზრუნველყოფა სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა.

ზღვრის ბუნდოვანება სხვა სამთავრობო და ადგილობრივ ინიციატივებშიც შეინიშნებოდა. მაგალითად, 28 მარტს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამთავრობო მიზნობრივი პროგრამა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“, რომლის თანახმადაც, ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების პარალელურად, პროცესში ინვესტორები, სამშენებლო-დეველოპერული კომპანიები, საფინანსო ორგანიზაციები ჩაერთვებიან.[819] 29 მარტს თორნიკე რიჟვაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ ჯა-

[815] „რამაზ ჯინჭარაძე/Ramaz Jincharadze - შენი ხმა ბათუმის საკრებულოში“, თორნიკე რიჟვაძის ოფიციალური Facebook-გვერდი, 25.03.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xk2Khx, განახლებულია: 10.06.2022.

[816] იქვე.

[817] იქვე.

[818] იქვე.

[819] „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე - მთავრობა დეველოპერებს 150 მილიონის თავდებობას სთავაზობს“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები ნეტგაზეთი“, 28.03.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3myfNqn, განახლებულია: 10.06.2022.

ნდაცვის ახალი პროგრამა ამუშავდებოდა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდებოდა უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა.[820] მისი თქმით, ბიუჯეტის კორექტირების შემდეგ ამ მიმართულებისთვის დაახლოებით მილიონი ლარი გამოიყოფა.[821]

ამგვარი გადაწყვეტილებების გამოცხადება/დაანონსება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ამომრჩეველთა გულის მოგებაზეა გათვლილი და ეწინააღმდეგება საერთაშორისო პრინციპებს. ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი მოითხოვს, რომ „სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები ერთმანეთისგან ცხადად გაიმიჯნოს“.[822] გარდა ამისა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციის მიზნით, ეუთო/ოდირმა სპეციალური რეკომენდაციებიც გამოსცა და სახელმწიფოებს მოუწოდა, „სოციალურ-ეკონომიკური მასტიმულირებელი გეგმების შემუშავებისას დახმარება იმგვარად გაანაწილონ, რომ არ შეიქმნას მმართველი პოლიტიკური ძალის პოზიციის გაუმჯობესების შთაბეჭდილება“.[823] ამდენად, ხელისუფლებამ ეს სტანდარტები ვერ დააკმაყოფილა.

საერთო ჯამში, „ქართულმა ოცნებამ“ კამპანიის პროცესში არაბუნებრივი უპირატესობა მოიპოვა, რამაც ხელი შეუშალა წინასაარჩევნო კამპანიის თანაბარ პირობებში წარმართვას.

3.2. ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა

პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ადგილობრივი თვითმმართველობის შუალედურ არჩევნებში „ქართული ოცნების“ მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის, რამაზ ჯინჭარაძის საარჩევნო სუბიექტობის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. პარტიის თქმით, რამაზ ჯინჭარაძე არაკეთილსინდისიერი გზებით და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევით ცდილობდა ამომრჩეველთა ხმების მოპოვებას.

სარჩელში მითითებულია „ტვ პირველის“ მიერ გავრცელებული სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც, „ქართულმა ოცნებამ“ თავისი კანდიდატის გასამარჯვებლად, კონკრეტულ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა სასურველი სიების ფორმირების მიზნით, სხვა მისამართზე რეგისტრირებული ამომრჩევლები უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ გადმოწერა.[824] მოსარჩელის ინფორმაციით, ბათუმის მე-4 საარჩევნო უბანზე, ჯამში, 1053 ახალი ამომრჩეველი დარეგისტრირდა, რომლებიც წინა არჩევნების პერიოდში ხმას სხვა ოლქებსა და ქალაქებში აძლევდნენ.[825] მოსარჩელემ

---

[820] „აჭარაში უშვილობის დიაგნოსტიკას და მკურნალობას დავაფინანსებთ - რიჟვაძე“, საინფორმაციო პორტალი „ბათუმელები ნეტგაზეთი“, 29.03.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aHc8UA, განახლებულია: 10.06.2022.

[821] იქვე.

[822] Organization for Security and Co-operation in Europe, Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE (Copenhagen: Organization for Security and Co-operation in Europe, 1990), para 5.1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vzFHwU, განახლებულია: 10.06.2022.

[823] OSCE Human Dimension Commitments and State Responses to the COVID-19 Pandemic (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2020), p. 86, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uA86lg, განახლებულია: 10.06.2022.

[824] ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სარჩელი.

[825] იქვე.

მიუთითა „ტვ პირველის“ მიერ 2022 წლის 28 მარტს გავრცელებულ სატელეფონო ჩანაწერებზე, სადაც, სავარაუდოდ, ერთ-ერთი გადმოწერილი პირი საუბრობს, რომ იგი ლანჩხუთში იყო რეგისტრირებული, ხოლო არჩევნებისთვის ის ბათუმში „ქართული ოცნების“ კანდიდატისთვის ხმის მისაცემად დაარეგისტრირეს.[826] მას ხმის მიცემის სანაცვლოდ, სავარაუდოდ, დაჰპირდნენ, რომ საკუთრებაში ბინას გადასცემდნენ.[827] ამავე სიუჟეტში, სატელეფონო ჩანაწერის მიხედვით, მეორე პირი ადასტურებს, რომ იგი იყო პასუხისმგებელი ამომრჩეველთა გადმოწერაზე, მას სიაში ჰყავდა 15 ამომრჩეველი, რომლებიც ბათუმის მე-4 არჩევნო ოლქში რამაზ ჯინჭარაძის მხარდასაჭერად დაარეგისტრირა.[828] სარჩელში აგრეთვე მითითებულია აჭარის მთავრობის მეთაურის, თორნიკე რიჟვაძის მიერ გაცემული დაპირებები ბინების გადაცემის შესახებ.[829]

მოპასუხე №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიამ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ამომრჩევლის მოსყიდვის დასადასტურებლად სანდო, მყარი და ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა არ იყო წარმოდგენილი.[830] მოპასუხის თქმით, საქმეში წარმოდგენილი მასალები, კერძოდ, სატელეფონო ჩანაწერი და საუბრები სიების გადმოწერაზე არ ქმნიდა მოსყიდვის დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებას.[831] ამასთანავე, მოპასუხემ აღნიშნა, რომ რამაზ ჯინჭარაძეს, როგორც არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტს, არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული ამომრჩევლის მოსყიდვასთან დაკავშირებით.[832]

„ქართულმა ოცნებამ“ მესამე პირის სახით განაცხადა, რომ კანონმდებლობა მოქალაქეებს ანიჭებდა შესაძლებლობას, თავისუფლად აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი, მიეღოთ გადაწყვეტილება კონკრეტულ მისამართზე რეგისტრაციისა ან რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ.[833] პარტიის წარმომადგენლებმა მიუთითეს ამომრჩეველთა სიების ფორმირების წესებზეც.[834] მათი თქმით, რეალობას არ შეესაბამებოდა ის ფაქტი, თითქოს რამაზ ჯინჭარაძის მიერ ხდებოდა უბნებზე სიების ფორმირება და ამომრჩეველთა ხელოვნური გადმოწერა მატერიალური ფასეულობების სანაცვლოდ.[835] „ქართული ოცნების“ პოზიციით, მოსარჩელე ამგვარი ბრალდებებით ცდილობდა ვიწრო პარტიული ინტერესების გატარებას და საარჩევნო პროცესის დისკრედიტაციას, ხოლო „ტვ პირველის“ სიუჟეტი არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.[836]

სასამართლომ საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებზე მსჯელობისას მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომელიც სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საქმეში

[826] იქვე.
[827] იქვე.
[828] იქვე.
[829] იქვე.
[830] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის შესაგებელი ადმინისტრაციულ საქმეზე №3-165/22 წ.
[831] ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №010310022005631043.
[832] იქვე.
[833] იქვე.
[834] იქვე, გვ. 5.
[835] იქვე.
[836] იქვე, გვ. 6.

აღნიშნავს: „[...] კანდიდატების უკანონო დისკვალიფიკაციის თავიდან ასაცილებლად ეროვნულ დონეზე არსებული შესაბამისი პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს დავის საკმარის საშუალებებს საარჩევნო გადაცდომის შესახებ ბოროტი და დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან კანდიდატთა დასაცავად“.[837] სასამართლომ იმსჯელა რა მტკიცებულებათა სტანდარტებზე, რომელიც გამოიყენება საარჩევნო დავების განხილვისას, აღნიშნა, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი გამოიყენება ისეთი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც თავისი შინაარსით უტოლდებოდა დანაშაულს ანუ სისხლისსამართლებრივ ბრალდებას.[838] სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორად ასეთი მოცემულობა იყო ამ საქმეში, შესაბამისად, ამომრჩევლის მოსყიდვის გონივრული ვარაუდის შექმნისთვის აუცილებელი იყო სანდო, მყარი და ურთიერთშეჯერებული მტკიცებულებების არსებობა.[839]

სასამართლომ მიუთითა, რომ, საარჩევნო კოდექსის მიხედვით, დავის წარმოება შესაძლებელი იყო ამომრჩევლის სიის ფორმირებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ კონკრეტული ოლქის ამომრჩეველთა ერთიანი სიის თაობაზე დავა არ დაწყებულა.[840] რაც შეეხება მოსარჩელის შეფასებებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეზე არ წარმოდგენილა და მტკიცება იყო საფუძველს მოკლებული, ვინაიდან „სიების ფორმირება საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული რეგულაციებით განისაზღვრებ[ოდა] და ეს პროცედურა საარჩევნო სუბიექტთან ან მის მაჟორიტარ კანდიდატთან შემხებლობაში არ [იყო]“.[841]

რაც შეეხება ე.წ. „ოცნების ქალაქში“ ამომრჩევლებთან შეხვედრის ფაქტს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შეხვედრაზე რამაზ ჯინჭარაძის დასწრებისა და მონაწილეობის გაიგივება არ შეიძლებოდა ამომრჩევლის მოსყიდვასთან.[842] ამასთანავე, საკრებულოს დეპუტატი არ უკავშირდებოდა, მითითებული სოციალური პროგრამის შესაბამისად, კონკრეტული პირებისათვის საცხოვრებელი ბინების გადაცემის საკითხის გადაწყვეტას.[843]

„ტვ პირველის“ სიუჟეტთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მასში მითითებული პირების იდენტიფიცირება მოსარჩელეს არ მოუხდენია, ხოლო საუბრის შინაარსი, წარმოდგენილი ინტერპრეტაციისა და კონტექსტის გათვალისწინებით, შეუძლებელია, უკავშირდებოდეს რამაზ ჯინჭარაძის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვას.[844] ამდენად, სასამართლოს შეფასებით, დასახელებული სიუჟეტი არ იყო მოსყიდვასთან მიმართებით სათანადო შინაარსის მქონე მტკიცებულება.[845]

საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ ვერ დაძლია მტკიცების სტანდარტი მოსყიდვის კვალიფიკაციის დასადგენად.[846] შესაბამისად, მან მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია და სარჩელი არ დააკმაყოფილა.

---

[837] იქვე, გვ. 11.
[838] იქვე.
[839] იქვე, გვ. 12.
[840] იქვე, გვ. 15.
[841] იქვე.
[842] იქვე, გვ. 16.
[843] იქვე.
[844] იქვე.
[845] იქვე.
[846] იქვე, გვ. 17.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

საარჩევნო კანონმდებლობა კრძალავს პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის მიერ ხმის ყიდვას. ამომრჩევლის მოსყიდვა ფართოდ რეგულირდება. კანონი კრძალავს არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობების გადაცემას, მიწოდება-გავრცელებას, შეღავათიან ფასად მიწოდებას, აგრეთვე მათი გადაცემის დაპირებასაც, მიუხედავად ღირებულებისა. საარჩევნო კოდექსის რეგულაციები ვრცელდება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდზე,[847] ხოლო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი - არასაარჩევნო დროზეც.[848] ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.[849] მისი სუბიექტია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც მოქმედებს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან მის საწინააღმდეგოდ. ეს პირი შეიძლება იყოს კანდიდატი, მისი წარმომადგენელი და სხვა. დანაშაულის შემადგენლობის გამომხატველი ქმედებები პირდაპირ არის განსაზღვრული და ეს შეიძლება იყოს ამომრჩეველთათვის ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის დაპირება, გადაცემა და გაწევა.[850] ეს შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვანაირად, მაგალითად, სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისთვის ფულადი სახსრების, პირველადი მოხმარების საგნების უსასყიდლოდ დარიგებაში, ასევე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მოწყობილობების შეღავათიან ფასად გადაცემაში და ა.შ. დანაშაული დასრულებულად მიიჩნევა აკრძალული ქმედების განხორციელებისთანავე ან ზემოთ მითითებული რომელიმე სიკეთის დაპირების მომენტიდან.

საიას შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, როგორიცაა ასობით ამომრჩევლის მიგრაცია იმ კონკრეტულ ოლქში, სადაც არჩევნები იმართება, აგრეთვე აჭარის მთავრობის მეთაურის, თორნიკე რიჟვაძისა და უმრავლესობის კანდიდატ რამაზ ჯინჭარაძის ერთობლივ შეხვედრაზე მოსახლეობისთვის მიცემული დაპირებები (ამ შეხვედრის პრობლემურობაზე საუბარია ზღვრის წაშლის ქვეთავშიც), ერთობლიობაში, ქმნიდა საფუძველს გამოძიების დასაწყებად. ამასთანავე, აუცილებელია, რომ გამოძიების პროცესში შეფასდეს „ტვ პირველის“ ეთერში გასული ჩანაწერები.

საია მოუწოდებს შესაბამის უწყებებს, დაიწყონ გამოძიება ამ საქმეზე (იმ შემთხვევაში თუ ამ დრომდე არ დაწყებულა), ხოლო პროცესი წარმართონ მიუკერძოებლად და ობიექტურად. ამასთანავე, საქმის მიმართ მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, აცნობონ საზოგადოებას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

---

[847] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[848] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 25^2-ე მუხლი.

[849] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164^1-ე მუხლი.

[850] სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან გაწევა, ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადება“ ისჯება კანონით.

4. ელექტრონული არჩევნები

ცესკოს გადაწყვეტილებით, 2022 წლის 2 აპრილს ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნები №79.04 მაჟორიტარულ ოლქში ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გაიმართა.[851] საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა ვერიფიკაცია განხორციელდა ელექტრონულად, ვერიფიკაციის აპარატის მეშვეობით, რომელშიც ჩატვირთული იყო შესაბამისი საარჩევნო უბნის სია.[852] თითოეული აპარატი მოიცავდა 1 რეგისტრატორისთვის განკუთვნილი სამაგიდე სიის თაობაზე ინფორმაციას, ხოლო ყოველ 800 ამომრჩევლისთვის გამოიყენებოდა 1 ვერიფიკაციის აპარატი მაინც.[853] უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე თითოეული აპარატიდან თავმჯდომარე ბეჭდავდა ამომრჩეველთა სიებს (საწყისი ანგარიში), რომლებიც, სადემონსტრაციო ოქმთან ერთად, თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრებოდა.[854] იდენტიფიკაციისთვის ამომრჩეველს შეეძლო, გამოეყენებინა როგორც ID ბარათი, რომელსაც რეგისტრატორი სპეციალურ MRZ (Machine-Readable Zone) წამკითხველში[855] მოათავსებდა,[856] ასევე საქართველოს მოქალაქის არაელექტრონული პირადობის მოწმობა ან პასპორტი, რომლის მონაცემებსაც რეგისტრატორი აპარატში ინფორმაციის ხელით შეყვანით მოძებნიდა.[857] ამომრჩევლის ვერიფიკაციის დადასტურების შემდეგ აპარატი ბეჭდავდა ქვითარს, რომელზეც დატანილი იყო ამომრჩეველთა სიაში არსებული მონაცემები.[858] ხმის მიცემამდე ამომრჩეველი გადიოდა მარკირების პროცედურას და ხელმოწერას აფიქსირებდა აპარატის მიერ დაბეჭდილ ქვითარზე.[859] ქვითრები ინახებოდა გამჭვირვალე ყუთში.[860] იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იყო აპარატით კენჭისყრის გაგრძელება, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრს გადასცემდა სამაგიდე სიას ფოტოსურათებით.[861] რეგისტრატორი იმ ამომრჩეველთა გასწვრივ, რომლებმაც არჩევნებში უკვე მიიღეს მონაწილეობა და ამის დამადასტურებელი ქვითარი გამჭვირვალე ყუთში იყო მოთავსებული, შესაბამის გრაფაში აფიქსირებდა ხელმოწერას.[862]

ხმის მისაცემად გამოიყენებოდა ახალი ტიპის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური ჩარჩო-კონვერტი. მათი გაცემის შემდეგ რეგისტრატორი ამომრჩეველს განუმარტავდა სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებისა და ბიულეტენის შევსების წესს

---

[851] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2022 წლის 18 თებერვლის №19/2022 დადგენილება, 1-ლი მუხლი.
[852] იქვე, დანართი 1, მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი.
[853] იქვე, მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი.
[854] იქვე, 1-ლი ნაწილის „გ“ და „$გ^1$“ პუნქტები.
[855] მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული მოწმობის წაკითხვადი ზონა - აპარატი, რომელიც აღიქვამს ამომრჩევლის პირად ბარათს და შესაბამის პირს ეძებს ამომრჩევლის ერთიან სიაში, რომელიც აპარატშია ჩატვირთული.
[856] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2022 წლის 18 თებერვლის №19/2022 დადგენილება, მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი.
[857] იქვე, მე-2 ნაწილი.
[858] იქვე, 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტი.
[859] იქვე, მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი.
[860] იქვე.
[861] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2022 წლის 18 თებერვლის №19/2022 დადგენილების დანართი, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი.
[862] იქვე.

და აფერადებინებდა მას ამავე საარჩევნო ბიულეტენზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე არსებულ საცდელ წრეს.[863] ამის შემდეგ, ამომრჩეველი შედიოდა ფარული კენჭისყრის კაბინაში, სპეციალური მარკერის გამოყენებით ავსებდა საარჩევნო ბიულეტენს და ათავსებს მას ჩარჩო-კონვერტში.[864] ხმის მისაცემად გამოიყენებოდა ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებული ელექტრონული აპარატი.[865] ამომრჩეველი დადგენილი წესით ათავსებდა ბიულეტენს სპეციალურ აპარატში, ხოლო ჩარჩო-კონვერტს გადასცემდა ყუთის ზედამხედველს. თუ მოქალაქე დამოუკიდებლად ვერ განათავსებდა ბიულეტენს აპარატში, კომისიის წევრი უფლებამოსილი იყო, მას დახმარებოდა.[866] კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარე თითოეული ხმის დათვლის აპარატიდან იღებდა „ნულოვან ამონაწერს“, რაც ადასტურებდა, რომ იმ მომენტისთვის არცერთ ამომრჩეველს აპარატის საშუალებით ხმა არ ჰქონდა მიცემული.[867]

ამომრჩეველს შეეძლო გადასატანი ყუთის საშუალებით ხმის მიცემა. იმ შემთხვევაში, თუ ყუთის უბანზე დაბრუნების შემდეგ ლუქის მთლიანობა დარღვეული არ იყო, ყუთის გახსნის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აპარატის საშუალებით ძირითად საარჩევნო ყუთში ათავსებდა საარჩევნო ბიულეტენებს იმგვარად, რომ არ დარღვეულიყო ხმის მიცემის ფარულობა.[868]

კენჭისყრის პროცედურების დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე ვერიფიკაციის აპარატებიდან ბეჭდავდა მოსული ამომრჩევლის შესახებ საბოლოო ანგარიშს,[869] ხოლო ხმის დათვლის აპარატიდან - კენჭისყრის საბოლოო შედეგებს. ამის შემდგომ იწყებოდა ხმის დათვლის პროცედურა საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით, რომლის საფუძველზეც ივსებოდა შემაჯამებელი ოქმი.[870]

2022 წლის 22 მარტს ცესკომ ბათუმში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით იმიტირებული არჩევნები გამართა.[871] საიას წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, პროცესის მიმდინარეობას დაჰკვირვებოდნენ და მასში, ამომრჩევლების სახით, მონაწილეობაც მიეღოთ. ეს ნაბიჯი პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რადგან ჩართულ მხარეებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ ელექტრონული საშუალებების გამოყენების წესს პრაქტიკაში და ადგილზე მიეღოთ პასუხები დასმულ შეკითხვებზე.

არჩევნების დღეს საიას დამკვირვებლები ბათუმში გახსნილი 14 უბნიდან, სადაც პროცესი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით წარიმართა, 12-ს სრულფასოვნად დაესწრნენ.

---

[863] იქვე, მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტი.
[864] იქვე, „ე“ და „ვ“ პუნქტები.
[865] იქვე, „ზ“ პუნქტი.
[866] იქვე.
[867] იქვე, მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტი.
[868] იქვე, მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი.
[869] იქვე, მე-5 მუხლის მე-5 ნაწილი.
[870] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 69-ე მუხლი.
[871] „ბათუმში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით იმიტირებული არჩევნები იმართება“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mgFLyC, განახლებულია: 20.05.2022.

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების პროცესში სხვადასხვა ტექნიკური ხარვეზი გამოავლინეს. ძირითადი გამოწვევა, რომელიც საიამ აღრიცხა და რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა უპასუხოს, უკავშირდება ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის რისკებს. დღის განმავლობაში ყველა უბანზე დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ ხმის მიცემის დროს სპეციალურ ბიულეტენზე მარკერით გაფერადების შედეგად, სითხე გვერდის უკანა მხარეს გადადიოდა. კონვერტში ბიულეტენი ხშირად სათანადოდ არ იყო მოთავსებული, უკანა გვერდზე გადასული მონიშნული რგოლის მდებარეობის მიხედვით კი, შესაძლებელი იყო შემოხაზული კანდიდატის გარჩევა. ეს პრობლემურია, რადგან ზრდის ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის რისკებს და არღვევს არჩევნების ფარულობის კონსტიტუციით გარანტირებულ პრინციპს. ხარვეზი ამჯერად განსაკუთრებით პრობლემური იყო, ვინაიდან ბათუმის №79.04 მაჟორიტარულ ოლქში გამართულ არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ ორი კანდიდატი იღებდა. ამასთანავე, ყუთის ზედამხედველი უფლებამოსილი იყო, საჭიროების შემთხვევაში ამომრჩეველს აპარატში ბიულეტენის მოთავსებაში დახმარებოდა. შესაბამისად, მარტივად გასარჩევი იყო, ვის მისცა მოქალაქემ ხმა.

ორგანიზაციის წარმომადგენლების დაკვირვებით, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნების ჩატარების პროცესში ნათელი იყო ცესკოს განსაკუთრებული მობილიზება. ზოგიერთ შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების წევრები ეხმარებოდნენ შესაბამისი პროცედურების ჩატარებაში. რამდენიმე უბანზე გამოვლინდა კომისიის წევრების მიერ ტექნიკური პერსონალის მოხმობის ფაქტიც, რაც ძირითადად აპარატების გაუმართავ მუშაობას ან პროგრამული გადატვირთვის საჭიროებას უკავშირდებოდა. რამდენიმე უბანზე საიამ დააფიქსირა სპეციალური მონიტორები, რომლებიც ამომრჩეველს ხმის მიცემის ინსტრუქციას უხსნიდა. პოზიტიურად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ცესკომ წინასწარ შეიმუშავა გეგმა, რომელიც აზღვევდა ელექტრონული საშუალებების გამოუყენებლობის შემთხვევას და კენჭისყრის სტანდარტული პროცედურებით გაგრძელებას ითვალისწინებდა. საია დადებითად აფასებს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მისი პერსონალის აქტიურ ჩართულობას ამ პროცესში. ამან ხელი შეუწყო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის პროცედურების ჩატარების გამოწვევის დაძლევას.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამომავლოდ, საერთო არჩევნების ჩატარებისას მსგავსი სიახლეების უფრო დიდ მასშტაბზე დანერგვის შემთხვევაში, ცესკოს არ ეყოფა რესურსი, ასეთი ჩართულობით უზრუნველყოს პროცესის სრულფასოვნად წარმართვა. თუ საარჩევნო ადმინისტრაცია განიხილავს მორიგ არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვას, მნიშვნელოვანი იქნება კომისიების წევრთა საფუძვლიანი გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და საკმარისი რაოდენობის ტექნიკური პერსონალის მობილიზება, რომელიც შეძლებს, დროული და ადეკვატური დახმარება გაუწიოს საუბნო საარჩევნო კომისიებს. გარდა ამისა, საიას მოსაზრებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩართულ მხარეებსა და ამომრჩევლებს უნდა მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია ელექტრონული საშუალებების გამოყენებით არჩევნების ჩატარებისას უსაფრთხოების საკითხების თაობაზე, განსაკუთრებით, კიბერდანაშაულთან დაკავშირებით და დააზღვიოს ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის რისკები.

5. არჩევნების დღე

5.1. უბნის მოწყობა და გახსნა

2022 წლის 2 აპრილს ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებზე რამდენიმე შემთხვევაში დაირღვა საარჩევნო უბნის მოწყობის წესი,[872] რადგან უბნებზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 1500-ს აღემატებოდა.[873] განსაკუთრებით პრობლემური იყო ბათუმის 89-ე უბანი, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2015-ს შეადგენდა. ბევრ უბანზე, საიას წარმომადგენლების ცნობით, სიმჭიდროვე იყო, რასაც განაპირობებდა როგორც კენჭისყრის ოთახის სივიწროვე, ისე შესამჩნევად დიდი რაოდენობით უფლებამოსილი პირების ყოფნა უბანზე. ხშირად კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების შეუფერხებელ საქმიანობას ხელი ეშლებოდა.[874]

თითქმის ყველა საარჩევნო უბანი დროულად გაიხსნა. ბათუმის 23-ე და 76-ე უბნებზე, ვერიფიკაციის აპარატს ტექნიკური პრობლემები შეექმნა, რის გამოც, ორივე უბნის გახსნა, დაახლოებით, 15 წუთით დაგვიანდა. 76-ე უბანზე, ორივე ვერიფიკაციის აპარატმა ერთი და იგივე სია ამოიღო, რის გამოც, ტექნიკურ ჯგუფს პროგრამის გადატვირთვა დასჭირდა. 23-ე უბანზე 3-იდან ერთი აპარატი გაფუჭებული იყო, ამიტომ რეგისტრატორმა სამაგიდე სიის გამოყენება დაიწყო. პრობლემები შეიქმნა 89-ე უბანზეც, სადაც ერთ-ერთი აპარატი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ ქვითარს არ ბეჭდავდა. მოგვიანებით, აპარატი გამოცვალეს, თუმცა ეს უბანი მაინც დროულად გაიხსნა.

5.2. კენჭისყრის პროცესი

იმ უბნებზე, სადაც საიას დამკვირვებლები იმყოფებოდნენ, კენჭისყრის პროცესი მეტწილად დარღვევების გარეშე წარიმართა. თუმცა, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა უბნის გახსნიდან ხმის მიცემის დასრულებამდე პერიოდში რამდენიმე პროცედურული ხარვეზი გამოავლინეს.

საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, უბნების დიდ ნაწილზე სათანადოდ არ იცავდნენ COVID-19-ის პრევენციის მიზნით დადგენილ რეგულაციებს. განსაკუთრებით პრობლემური იყო ბათუმის 78-ე უბანი, სადაც კომისიის წევრები პირბადეს არ ატარებდნენ. ამაზე საიამ შენიშვნა დააფიქსირა, თუმცა თავმჯდომარემ, ნაცვლად იმისა, რომ ხარვეზი გამოესწორებინა, საიას დამკვირვებელს „ლაწირაკი" უწოდა. ბათუმის 90-ე უბანზე ნაკადის მომწესრიგებელმა დაუშვა ამომრჩეველი, რომელსაც უკვე ჰქონდა მარკირება გავლილი და ხმაც ამავე უბანზე ჰქონდა მიცემული. საიას შენიშვნისა და თავმჯდომარის რეაგირების შედეგად, დარღვევა აღმოიფხვრა. ბათუმის 76-ე უბანზე გადასატანი ყუთის დაბრუნების შემდეგ ცარიელი ბიულეტენების რაოდენობა 1-ით ნაკლები აღმოჩნდა. კომისიის შესაბამისმა წევრებმა დაწერეს ახსნა-განმარტება და განაცხადეს, რომ ეს ბიულეტენი გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. მე-100 უბანზე კომისიის რამდენიმე წევრმა შენობა დატოვა. საიას შენიშვნის შემდეგ დარღვევა აღმოიფხვრა. 89-ე უბანზე რეგისტრატორის უკან მდგომი დამკვირვებელი, რომელიც

[872] ბათუმის 23-ე, 69-ე, 77-ე, 89-ე და 91-ე უბნები.
[873] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
[874] ბათუმის 58-ე, 78-ე, 91-ე, 92-ე, მე-100 და 104-ე უბნები.

წარმოადგენდა ორგანიზაციას „მრავალეთნიკური ერთობა", ინიშნავდა მონაცემებს სამაგიდე სიებიდან. დამკვირვებლის არაერთი მითითების მიუხედავად, თავმჯდომარემ ვერ შეძლო ამ პრობლემის აღმოფხვრა. საიამ უბანზე საჩივარი დაწერა, რომელსაც რეაგირება არ მოჰყოლია. ორგანიზაციამ მიმართა ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება სამუშაოს არაჯეროვანი შესრულებისთვის. საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტით, რომ საუბნო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მან ადგილზე აღმოფხვრა დარღვევა.[875] ფაქტს საიას დამკვირვებელი არ ადასტურებს. არჩევნების დღეს ყველა უბანი დროულად დაიხურა. შედეგების დათვლის დროს საიას წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი დარღვევები არ გამოუვლენიათ.

5.3. აგიტაციის წესების დარღვევა

კენჭისყრის დღეს საიას წარმომადგენლებმა უბნის შიგნით აგიტაციის წესების დარღვევის 2 ფაქტი გამოავლინეს. 78-ე უბანზე დამკვირვებელი შეესწრო ფაქტს, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ერთ-ერთ ამომრჩეველს რეგისტრაციის გავლის შემდეგ ჰკითხა, ხომ იცოდა, ვისთვის უნდა მიეცა ხმა. საიას დამკვირვებელმა საჩივრით მიმართა საუბნო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა თავმჯდომარის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. ფაქტი ორგანიზაციამ ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა და იგივე მოთხოვნა დააყენა. ოლქის თავმჯდომარემ საიას უარი უთხრა ოქმის შედგენაზე იმ არგუმენტით, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ახსნა-განმარტებით უარყო ფაქტის არსებობა, ასევე დასძინა, რომ საუბნო კომისიის წევრებმა შეადგინეს აქტი, სადაც რამდენიმე მათგანი ხელმოწერით უარყოფს საჩივარში მითითებულ გარემოებებს.[876] საიასთვის უცნობია, რა ტიპის სამართლებრივი აქტი შეადგინეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა, რომლითაც საჩივარში არსებული გარემოებები უარყვეს. გარდა ამისა ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წერილში არ აკონკრეტებს, რამდენმა ან რომელმა კომისიის წევრებმა მოაწერეს ამ აქტს ხელი. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი საფუძვლად უდევს თავმჯდომარის გადაწყვეტილებას, ის არ არის ატვირთული ცესკოს საჩივრების ბაზაში, საჩივართან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად. ამასთანავე, მსგავს სამართლებრივ ბერკეტს, რომლითაც კომისიის წევრები დაადასტურებენ ან უარყოფენ კენჭისყრის პროცესში გამოვლენილ გარემოებებს, საარჩევნო კანონმდებლობა არ იცნობს. საიამ მიმართა ცესკოს და მოითხოვა ის აქტი, რომელზეც ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა. ბათუმის საოლქო კომისიამ ორგანიზაციას მიაწოდა აქტი,[877] რომელიც, თავისი შინაარსით, ახსნა-განმარტებაა. დოკუმენტის ავტორია ერთ-ერთი სადამკვირვებლო ორგანიზა-

[875] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 5 აპრილის №26/2022 განკარგულება.

[876] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 15 აპრილის №79/25 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.

[877] ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 9 ივნისის №79/37 პასუხის დანართი, ახსნა განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: Explanatory Note.pdf, განახლებულია: 10.06.2022.

ციის „რეგიონული განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის“ წარმომადგენელი. განცხადების ბოლოს მითითებულია კიდევ 5 პირის სახელი და გვარი, დოკუმენტს კი ხელს 4 მათგანი აწერს. საიამ შეადარა ხელმომწერთა სია შემაჯამებელი ოქმის ქვეშ მითითებულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მონაცემებს[878] და დაადგინა, რომ 4-იდან მხოლოდ 1 ადამიანია ბათუმის 78-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი. ორგანიზაციისთვის დანარჩენების უფლებამოსილება უცნობია. გარდა ამისა, ახსნა-განმარტების თანახმად, ხელმომწერები აღნიშნავენ, რომ აგიტაციის ფაქტს არ შესწრებიან და ეს იყო მხოლოდ მოკითხვა ნათესავებს შორის, რაც „რამდენიმე წამში დასრულდა და აღმოიფხვრა“. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა მხოლოდ ორი სახის ახსნა-განმარტებას იცნობს: პირველი, როდესაც მას წერს კომისიის წევრი კონკრეტული დარღვევის შესახებ,[879] მეორე, როდესაც მას წერს დამრღვევი, ვისზეც საჩივარი იწერება.[880] შესაბამისად, ფაქტის შემსწრეთა მიერ ახსნა-განმარტების დაწერასა და ხელმოწერებით დამოწმებას საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს. შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიას თავისი გადაწყვეტილება ამ დოკუმენტზე არ უნდა დაეფუძნებინა. ამასთანავე, ის შეცდომით მიუთითებს, რომ აქტი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერაა შედგენილი. უბანზე მყოფი პირების პოზიციის მოსასმენად, საოლქო საარჩევნო კომისიას შეეძლო, დაებარებინა ისინი საჩივრის განხილვაზე და ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება. საია მიიჩნევს, რომ საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია, ჯეროვნად განიხილოს თითოეული საჩივარი და გადაწყვეტილება მტკიცებულებებს დააფუძნოს. ამასთანავე, აუცილებელია, ყველა ის დოკუმენტი, რომელიც გადაწყვეტილების საფუძველია, საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს საჩივართან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად.

არჩევნების დღეს საიას კიდევ ერთმა დამკვირვებელმა გამოავლინა კენჭისყრის ოთახში აგიტაციის ფაქტი. ბათუმის 79-ე უბანზე პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი კენჭისყრის ოთახში გადაადგილდებოდა მაისურით, რომელზეც გარდაცვლილი დეპუტატის, ნუგზარ ფუტკარაძის სახელი, გვარი და ფოტოსურათი იყო გამოსახული. საიამ საჩივრით მიმართა საუბნო, შემდგომ კი საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა აგიტაციის წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საიას მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.[881] მისი განმარტებით, მოკვლევის შედეგად დადასტურდა კენჭისყრის ოთახში მაისურის ტარების ფაქტი, თუმცა ეს არ იყო კანონმდებლობით დადგენილი აგიტაციის წესების დარღვევა. საია მიიჩნევს, რომ მაისური, რომელზეც არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტის მოქმედი ან ყოფილი წევრია გამოსახული, განეკუთვნება სააგიტაციო მასალას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბათუმის შუალედურ არჩევნებში პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით კენჭს იყრიდა ნუგზარ ფუტკარაძის შვილი.

---

[878] ბათუმის 78-ე საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3QfoUtF, განახლებულია: 10.06.2022.

[879] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ჰ[5]“ პუნქტი.

[880] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

[881] №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 15 აპრილის №79/25 წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.

5.4. პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის შემთხვევები

არჩევნების დღეს უბნიდან 25-მეტრიან რადიუსში გამოვლინდა აგიტაციის მცდელობის 2 შემთხვევა. მე-100 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე უცნობმა პირმა ამომრჩეველს მოუწოდა, შემოეხაზა 41. საიას დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ ამ პირმა ტერიტორია დატოვა. 104-ე უბანზე შესულ ამომრჩეველს ხელში ეჭირა სპეციალურად დაბეჭდილი სააგიტაციო მასალა, რომელზეც პარტია „ნაციონალური მოძრაობის" რიგითი ნომრის გასწვრივ ეწერა „ომის პარტია", ხოლო ბიულეტენის ინსტრუქციის ადგილზე იყო მოწოდება, რომ „გაეფერადებინათ" ქართული ოცნების კანდიდატ რამაზ ჯინჭარაძის გასწვრივ არსებული წრე.[882] სავარაუდოდ, ამომრჩევლებს ეს სააგიტაციო მასალა პერიმეტრზე დაურიგდათ.

საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს 100-მეტრიან რადიუსში ამომრჩევლის აღრიცხვის, შეფერხებისა და ადამიანების შეკრების ფაქტებიც. პერიმეტრის რეგულაციების დარღვევაზე რეაგირების მიზნით საიამ ორ შემთხვევაში მიმართა „112"-ს.

ბათუმის 77-ე უბნიდან 10 მეტრში მობილიზებულნი იყვნენ ადამიანები. პოლიცია ადგილზე დროულად გამოცხადდა. თუმცა, მან სამართალდარღვევის ოქმი არ შეადგინა იმ არგუმენტით, რომ შეკრებილ პირებს უბანზე ყოფნის უფლებამოსილება ჰქონდათ და ვერ დააჯარიმებდა.[883] მე-100 უბანთან გამოვლინდა შეკრების ფაქტი. საიას დამკვირვებელმა ამის შესახებ იქვე მდგომ პოლიციელებს შეატყობინა. შედეგად, პირებმა უბნის ტერიტორია დროებით დატოვეს. საიას დამკვირვებლის ცნობით, სამართალდარღვევის ოქმი არც ამ შემთხვევაში შედგენილა. ორგანიზაციამ რეაგირების თაობაზე ოფიციალური ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა, თუმცა, 14 ივნისის მდგომარეობით, სამართალდამცავ ორგანოს პასუხი არ დაუბრუნებია.

საიას დამკვირვებლების ინფორმაციით, მთელი დღის განმავლობაში უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე შეინიშნებოდა ამომრჩევლის ნების კონტროლის რეგულაციების, კერძოდ, შეკრების, ამომრჩევლის შეფერხებისა და აღრიცხვის აკრძალვის სრული უგულებელყოფა. თუმცა, სამართალდამცავ ორგანოს არცერთ შემთხვევაში არ ჰქონია ადეკვატური რეაგირება. ამის გამო, დღის განმავლობაში პერიმეტრის რეგულაციების დარღვევის განგრძობითი ხასიათის მიუხედავად, საიას საპატრულო პოლიციისთვის აღარ მიუმართავს.

5.5. ამომრჩევლის ნების კონტროლის სხვა შემთხვევები

შუალედურ არჩევნებზე კვლავ გამოვლინდა ამომრჩევლის ნების კონტროლის ნეგატიური ტენდენცია. 2 აპრილს ცალკეულ უბანზე შეინიშნებოდა რიგები უბნების შესასვლელებთან. ხშირად, ეს გამოწვეული იყო პოლიტიკური პარტიების მიერ ამომრჩევლების მობილიზებით. საიას დამკვირვებლებმა 76-ე და მე-100 უბნებთან დააფიქ-

[882] საიას დამკვირვებლის მიერ სააგიტაციო მასალისთვის გადაღებული ფოტოსურათი, ხელმისაწვდომია: Campaigning material.jpeg, განახლებულია: 10.06.2022.

[883] საიამ რეაგირებასთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოითხოვა, თუმცა, 14 ივნისის მდგომარეობით, სამართალდამცავ ორგანოს პასუხი არ დაუბრუნებია.

სირეს სამარშრუტო ტაქსები, რომლითაც ამომრჩევლები მოჰყავდათ. გარდა ამისა, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შენიშნეს გავლენიანი პირები, მათ შორის, პარლამენტის დეპუტატები, თბილისისა და რეგიონების საკრებულოების წევრები - როგორც „ქართული ოცნების", ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და სხვა პარტიების მხრიდან. უბნების მიმდებარედ მათი ყოფნა ზრდიდა ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების რისკებს.

ხალხმრავლობა და სიმჭიდროვე შეინიშნებოდა კენჭისყრის შენობების შიგნითაც, რაც გამოწვეული იყო განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დამკვირვებლების ყოფნით საკმაოდ მცირე ზომის უბნებზე. ამის გამო, საიას ზოგჯერ ხელი ეშლებოდა პროცესის სრულფასოვნად დაკვირვებაში. ეს პრობლემა აფერხებდა საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობასაც როგორც დღის განმავლობაში, ასევე უბნების დახურვის შემდეგ. ზოგიერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელი მონაწილეობდა უბნის შიგნით ამომრჩევლის აღრიცხვასა ან უბნის გარეთ მათ მობილიზებაში. არაერთ შემთხვევაში საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ საქმიანობაში ან აფილირდებოდნენ პოლიტიკურ პარტიებთან.[884]

[884] „ასოციაცია 21-ე საუკუნე", „სამოქალაქო საზოგადოების ასოციაცია", „ფოთი - ქართული დემოკრატიისთვის", „სოციალური გარემო", „ახალგაზრდული ცენტრი - ჩვენი თაობა 1921", „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების ანალიტიკურ-კომპილაციური ცენტრი", „ქალაქ ფოთის ახალგაზრდული ალიანსი", „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებებისთვის", „ინიციატივა სამოქალაქო საზოგადოება", „მომავლის ნათება", „კავშირი 21-ე საუკუნე", „საქართველოს ერთიანი ახალგაზრდული კომისია", „ქართული სამოქალაქო საზოგადოებისთვის", „ახალგაზრდა თაობა", „ადვოკატთა და იურისტთა ობსერვატორია", „მონიტორინგის ცენტრი - საზოგადოება", „მრავალეთნიკური ერთობა", „ალტ-მედია", „რეგიონული განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი", „ქალის როლი საზოგადოებისთვის", „სამოქალაქო ერთობა", „ფოთის ასოციაცია", „ამერიკის მხარდამჭერთა ლიგა", პოლიტიკისა და სამართლის ობზერვერი", „რეგიონულ კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი", „საზოგადოებრივი ინსტიტუტების ორგანიზაცია", „რეგიონულ კონფლიქტთან ბრძოლის ასოციაცია", „მოძრაობა საქართველოს ერთიანობისა და მრავალფეროვნებისთვის".

შენიშვნები

i ცენტრალური საარჩევნო კომისია არ იზიარებს საიას ამ მოსაზრებას. მათი შეფასებით „აღსანიშნავია, რომ დროებითი წევრების არჩევა, არა მხოლოდ ქართული ოცნების წევრის, არამედ, სხვა პარტიის მიერ დანიშნული წევრების მხარდაჭერით ხორციელდებოდა, რაც მაღალ ინკლუზიაზე და გარკვეულ კონსენსუსზე მიუთითებს. ამიტომ ქართული ოცნების გავლენებზე კომისიაში, საუბარი გაუგებარია. ასევე, არ მიგვაჩნია გამართლებულად მხოლოდ სტატისტიკური მონაცემის საფუძველზე ამგვარი დასკვნის გაკეთება. საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობისას არ ახდენს წევრების დაყოფას პარტიული კუთვნილებისა თუ პროფესიული ნიშნით არჩევის მიხედვით. ყველა წევრი თანაბარია ინფორმაციასთან წვდომის კუთხით და თავისუფალია თავის არჩევანში. მათ შორის მმართველი პარტიის მიერ დანიშნული წევრი. თუ გადავხედავთ სხვა წევრების მხრიდან ხმის მიცემის ამპლიტუდას, დავინახავთ, რომ საკმაოდ დიდია განსხვავებებიც და თანხმობაც, კრიტერიუმებისა და ინდივიდუალური მიდგომების გათვალისწინებით. ამდენად, ხაზგასმა ერთერთი წევრის ხმის მიცემის სტატისტიკაზე სრული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე არასასურველია, რამდენადაც შესაძლოა გამოიწვიოს არასწორი აღქმა მთლიანად საარჩევნო პროცესის (კერძოდ კომისიის წევრების არჩევის), მით უმეტეს როდესაც დასკვნაშივეა აღნიშნული, რომ შერჩევა კონსენსუსის საფუძველზე და გამჭვირვალედ მიმდინარეობდა“.

ii ცესკოს მოსაზრებით „უნდა აღინიშნოს, რომ აუდიოვიდეოფიქსაცია არ გულისხმობს ბიულეტენების სკანირებას და აღნიშნული პროცედურა ითვალისწინებს, საარჩევნო ყუთის/ყუთების გახსნის მომენტიდან საარჩევნო ბიულეტენების დასტების დალუქვის მომენტის ჩათვლით, ხმის დათვლის პროცესის გადაღებას, იმდაგვარად, რომ სრულად ჩანდეს ხმის დათვლის პროცესი და საარჩევნო ბიულეტენების განთავსების ადგილი”.

საია არ იზიარებს ცესკოს შენიშვნას. ვიდეოფიქსაციის მარეგულირებელი დადგენილება ითვალისწინებს ბიულეტენის ვიდეოკამერისთვის ჩვენებას, რისი მიზანიც, ორგანიზაციის მოსაზრებით, ამომრჩევლის ნების კამერაზე დაფიქსირება უნდა იყოს. ამიტომ, სასურველია, რომ ხმის დათვლის ვიდეოფიქსაცია აჩვენებდეს პროცედურის ჩატარების სრულ სურათს, რაც პროცესის მიმართ სანდოობას გაზრდის.

iii ცესკოს მოსაზრებით, „არაერთგვაროვნება არ სცილდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩარჩოებს და ცესკოს ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტის რეკომენდაციებს, ამასთან, აღნიშნული მეორეს მხრივ მიუთითებს, რომ კომისიები საკუთარ გადაწყვეტილებებში არიან რეალურად დამოუკიდებელი რგოლები და ადგილი არ აქვს მათი საქმიანობის ხისტ ცენტრალიზებულ რეგლამენტირებას. ამასთან, ყველა გადაწყვეტილება დამოკიდებულია ინდივიდუალურ გარემოებებზე და საჩივარზე.“

საიას მიგნებით, საოლქო საარჩევნო კომისიები კონკრეტული საჩივრების დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას იღებდნენ ერთგვაროვნად, თუმცა არათანმიმდევრულები იყვნენ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში. ხშირად, რამდენიმე კომისიის წევრის დისციპლინირების საკითხის განხილვისას, გაუგებარი იყო რა არგუმენტებზე დაყრდნობით წყვეტდნენ საოლქო საარჩევნო კომისიები რომელი წევრის მიმართ დაეკისრებინათ დისციპლინური სახდელი მაშინ, როდესაც საარჩევნო კანონმდებლობა ყველა მათგანის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა.

iv ცესკოს მოსაზრებით, „პროფესიული ნიშნით შერჩეული კანდიდატი და პარტიათა შორის კონსენსუსი არის ორი შეუთავსებელი საკითხი. გაურკვეველია როგორ მოხდება საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება პარტიული კონსენსუსით, მაშინ როცა რეკომენდაციით შემოთავაზებულია ოლქის სრულად პროფესიული ნიშნით დაკომპლექტება.“

საია მიიჩნევს, რომ საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრებით დაკომპლექტების დროს კონსენსუსი უნდა შედგეს პოლიტიკურ პარტიებს შორის საკანონმდებლო ორგანოში, დამტკიცების პროცესში. სუბიექტებმა შეთანხმებას უნდა მიაღწიონ არა პარტიული წევრების პროპორციულ განაწილებაზე, არამედ უშუალოდ კანდიდატებზე, რომლებიც დაიკავებენ კომისიების წევრების პოზიციებს.

v ცესკოს მოსაზრებით, „საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის არჩევისას ანტიკრიზისული მექანიზმის არარსებობის შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების სრულად არჩევა ვერ მოხერხდებოდა.“

საია მიიჩნევს, რომ კომისიის წევრების კონსენსუსის საფუძველზე შერჩევა შესაძლებელია და ამას მოწმობს 2021 წლის შერჩევის პროცესზე დაკვირვების მიგნებები. ანტიკრიზისული მექანიზმის გაუქმებასთან ერთად, აუცილებელია, გაიზარდოს დაკომპლექტების ვადები, რათა წევრებს ჰქონდეთ მეტი საშუალება შეთანხმდნენ სასურველ კანდიდატებზე.

vi ცესკოს მოსაზრებით, „სრულიად ერთგვაროვანი პრაქტიკა შესაძლებელია მხოლოდ კატეგორიული ბიულეტენის არსებობის შემთხვევაში. თუმცა, აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს მოქალაქეების უფლების ნაწილობრივი შეზღუდვა ან მინიმუმ ამ შეზღუდვის აღქმა.“

vii ცესკოს განმარტებით, „საარჩევნო კოდექსის 21-ე მუხლის ,,დ[2]“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელახლა უნდა გადაითვალოს საარჩევნო ბიულეტენები. თუ საარჩევნო უბნის მონაცემების სრულად გადათვლის სა-

ჭიროება არ დგას, აღნიშნული გამოიწვევს კომისიის მუშაობის გართულებას, მაშინ როდესაც მოქმედი პროცედურებით შედეგი ისედაც მიიღწევა.“
საია მიიჩნევს, რომ ბიულეტენების ტექნიკური გადათვლა სრულად არ ემსახურება შედეგების საფუძვლიანი გადამოწმების ძირითად მიზანს.
viii ცესკო განმარტავს, რომ „აღნიშნული პროცედურა დარეგულირებულია ცესკოს №40/2021 დადგენილებით.“
საიას მიიჩნევს, რომ დადგენილი პროცედურა არ ითვალისწინებს შედეგების სრულფასოვან გადათვლას. შედეგების მიმართ სანდოობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია, რომ კომისიებმა პროცესი წარმართონ უბანზე დათვლის პროცედურის ანალოგიურად, მათ შორის, გადათვლის შედეგების სამაგიდე სიებში არსებულ ხელმოწერებთან შედარებით.
ix ცესკო მიიჩნევს, რომ „საარჩევნო კოდექსის თანახმად, დადგენილი ფუნქციის გადაცემა შესაძლებელია კომისიის სხვა წევრისთვის თავმჯდომარის ნებართვით და ,,სხვა წევრების“ კუთხით კანონმდებლობა აკრძალვას არ აწესებს. გარდა აღნიშნულისა შესაძლოა დადგეს რისკი იმისა რომ არ იყოს საკმარისი პრეფესიული წევრები. ამასთან, აღნიშნული ფაქტობრივად იწვევს პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრების სრულ სეგრეგაციას.“
საიას მოსაზრებით, რეგისტრატორებად პროფესიული წევრების დანიშვნის ნორმის შემოღება ემსახურება პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრების მაქსიმალურ დისტანცირებას სამაგიდე საარჩევნო სიებისგან. არასაკმარისი პროფესიული წევრების ყოფნისას უბანზე, ფუნქციის შეთავსება შეუძლია კომისიის თავმჯდომარესაც.
x ცესკოს აქტებში მკაფიოდ არის მითითებული არგუმენტაცია რასაც დაეფუძნა სარეზოლუციო ნაწილი. მათ, შორის №180/2021 განკარგულება. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული განკარგულება №1 მთაწმინდის და №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული განკარგულებების ნაწილში, საჩივრის ავტორის მიერ, სასამართლოშიც არ გასაჩივრებულა.
xi ცესკო განმარტავს, რომ „საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, აკრძალულია ისეთი მონაცემების დამუშავება, რომელიც არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, ხოლო 45-ე მუხლის მე-12 პუნქტი ითვალისწინებს ამომრჩევლის აღრიცხვისა და შეფერხების აკრძალვას გარე პერიმეტრზე.“
საიას მიგნებით, ამომრჩევლის ნებისმიერი სახით აღრიცხვა, მათ შორის, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი სიების მეშვეობით, პოლიტიკური პარტიების მიერ გამოიყენება როგორც ამომრჩეველზე ზეწოლა და მისი თავისუფალი ნების კონტროლი. შესაბამისად, დამკვიდრებული ცუდი პრაქტიკა საჭიროებს აღმოფხვრას. ამასთან, პერიმეტრთან დაკავშირებული ნორმების აღსრულებისა და მოქმედების შესახებ საიას მოსაზრებები მოცემულია ანგარიშის შესაბამის ნაწილებში.
xii საკონსულტაციო ჯგუფთან დაკავშირებით ცესკოს ფუნქცია შემოიფარგლებოდა მხოლოდ დახმარების აღმოჩენით. ამდენად, მისი გადაწყვეტილებები დაფუძნებული იყო თვით არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებზე. აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ შეთანხმების მიღწევა ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა და უფლება იყო და საარჩევნო ადმინისტრაციის ამ გადაწყვეტილების გავლენა საბოლოო შედეგზე მინიმალურია.
xiii ცესკოს თქმით „ყველა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს მათ შორის პარტიულ წევრებსაც ადგილზე ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ საარჩევნო დოკუმენტაციას, ასევე, დამუშავებად ფორმატში ყველას გადაეცა კონკურსანტთა შესახებ ინფორმაცია საარჩევნო გამოცდილების შესახებ.“
xiv ცესკოს განმარტებით „ცესკოს აქტებში მკაფიოდ არის მითითებული არგუმენტაცია რასაც დაეფუძნა სარეზოლუციო ნაწილი. მათ, შორის №180/2021 განკარგულება. რაც შეეხება დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას, აღნიშნულზე წარმოდგენილი იყო შესაბამისი მტკიცებულება და განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული განკარგულება №1 მთაწმინდის და №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული განკარგულებების ნაწილში სასამართლოშიც არ გასაჩივრებულა და ცესკოს განკარგულების დასაბუთებულობა საჩივრის ავტორსაც არ გაუხდია სადავოდ.“
ცესკოს მითითებული განკარგულების სარეზოლუციო ნაწილში მოცემულია საარჩევნო რეგულაციები, რის საფუძველზეც ხდება საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება და ამასთან აღნიშნულია, რომ საოლქო კომისიებში საუბნო კომისიების შესარჩევი კონკურსი ამ მოთხოვნათა დაცვით წარიმართა. თუმცა, გადაწყვეტილებაში მკაფიოდ არ ჩანს რის საფუძველზე არ დაკმაყოფილდა მომჩივნის მოთხოვნა განაცხადების სრულყოფილად გაცნობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ცესკოს ინფორმაციით, აღნიშნულზე წარმოდგენილი იყო შესაბამისი მტკიცებულებები და განხილული იყო კომისიის სხდომაზე, თუმცა შესაბამისი ინფორმაცია რეზოლუციაში არაა მითითებული.
xv ცესკოს განმარტებით, „ცესკოს მიერ ჯერ კიდევ 2020 წელს გადამოწმდა სადეზინფექციო ხსნარის გამოყენების შესაძლო გავლენა მარკირების სითხეზე და ამ მხრივ, რაიმე პრობლემა არ დაფიქსირებულა.“
xvi ცესკოს მოსაზრებით, „გაურკვეველია მეორე აბზაცში არსებული შემთხვევები რატომ გულისხმობს ბიულეტენების ე.წ. ჩაყრას“.

საიას დამკვირვებლისთვის შეუძლებელი იყო იმის გადამოწმება, იყო თუ არა კონვერტებში მოთავსებული ბიულეტენები. სწორედ ამიტომ, ორგანიზაციის მოსაზრებით, ეს წარმოადგენს ბიულეტენების ჩაყრის სავარაუდო შემთხვევას. გარდა ამისა, პრობლემურია საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების მოქმედება, რომლებსაც სათანადო რეაგირება მომხდარზე არ ჰქონიათ.